ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა **ამერიკისმცოდნეობა**

გიორგი ლაბაძე

პარტიული პოლიტიკის ფორმირება ადრეული რესპუბლიკის პერიოდში და მისი გამოძახილი თანამედროვე ამერიკის შეერთებულ შტატებში

სადისერტაციო ნაშრომი

ნაშრომის ხელმძღვანელი მიხეილ ბარნოვი
თსუ, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2024

აბსტრაქტი

სადოქტორო დისერტაციის კვლევის მიზანს წარმოადგენს შეერთებულ შტატებში პოლიტიკური პარტიების განვითარების მიმოხილვა და მათი გამოცდილების მიხედვით, ქართულ რეალობაში არსებულ გამოწვევებზე პასუხების გაცემა.

კვლევის მთავარი ამოცანებია: აშშ-ს ადრეულ რესპუბლიკაში წარმოქმნილი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის მეთოდების ანალიზი; აშშ-ს ადრეული რესპუბლიკის მაგალითზე, პოლიტიკური კომპრომისების მნიშვნელობის დახასიათება; ამერიკული პარტიების განვითარების ისტორიის შესწავლა სადამფუძნებლო იდეებზე დაყრდნობით და მათი შესაძლო გავლენის შეფასება ქართულ პოლიტიკურ სპექტრზე როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში, ისე თანამედროვე ეპოქაში.

კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება პირველად წყაროებს, მათ შორის, საარქივო დოკუმენტებს, პოლიტიკური პარტიებისა და ამერიკის ადრეული რესპუბლიკის მკვლევარებს, ინტერვიუებს; ასევე, თანამედროვე პოლიტიკურ კომენტატორებს, ანალიტიკოსებს და პრაქტიკულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

ნაშრომში განხილულია აშშ-ს დაარსების წინაპირობები, ურთიერთობები თავდაპირველად სხვადასხვა კოლონიებს, ხოლო შემდგომში, შტატებს შორის. ამ პროცესში, აღწერილია ფედერალური მთავრობის შექმნის კომპრომისული გადაწყვეტა, ხოლო კონსტიტუციის მიღების შემდეგ, პარტიული დაპირისპირებების დასაწყისი. ნაშრომში აქცენტი გაკეთებულია პარტიათა შორის ძირითადი მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების ერთგვაროვნებაზე, მათი დაარსებიდან დღემდე. მეორეს მხრივ, სადისერტაციო ნაშრომი აღწერს ქართული პოლიტიკური პარტიების დაბადებას, მათ თანამშრომლობას ამერიკულ პოლიტიკურ სპექტრთან და ზოგადად, ქართულ-ამერიკული ურთიერთობების დასაწყისსა და განვითარებას.

კვლევის შედეგად გამოტანილია შემდეგი მთავარი დასკვნები:

1. ამერიკის შეერთებული შტატები არ გახლდათ ზედმიწევნით ერთიანი და ჰომოგენური სახელმწიფო, რომელიც ბუნებრივად მიილტვოდა ძლიერი ცენტრალური მთავრობისა და ერის ფორმირებისკენ, თუმცა, ყველა სხვა შესაძლო პერსპექტივიდან, სწორედ ეს უკანასკნელი იქნა არჩეული, რათა

2. მიღწეული ყოფილიყო პრეამბულისეული საყოველთაო კეთილდღეობა და თავისუფლება;
3. კონსტიტუციური კონვენტისა და კონსტიტუციის მიღების შემდგომ დადგა ვითარება, რომელმაც, უკვე პოლიტიკური იდეების განსხვავებულობამ, პარტიების წარმოშობას დაუდო დასაბამი. აშშ არის სწორედ მათი განსხვავებული პოლიტიკური ლოგიკის სინთეზის შედეგი, რაზეც, თანაბრად აისახა როგორც ჰამილტონის, ისე ჯეფერსონის შეხედულებები;
4. ამერიკული გამოცდილების გაზიარება უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს მსგავს ახალგაზრდა დემოკრატიაში, რომლის ძირითად გამოწვევებს თავიდანვე ძალაუფლების კონცენტრაცია და საერთო ინტერესებზე შეთანხმების სირთულე წარმოადგენდა.
5. ქართული პარტიული სისტემის მთავარი პრობლემა პირველ რიგში ძალაუფლების ცდუნებაა, რის დასაზღვევადაც საჭიროა ძლიერი ინსტიტუტები. ამ უკანასკნელის ასაშენებლად, ამერიკული ადრეული რესპუბლიკის გამოცდილება შესანიშნავი მაგალითია;
6. პარტიულობა თუ ფრაქციონიზმი, საქართველოს ისტორიისა და აწმყოს განუყოფელი ნაწილია, რაც სოციოლოგებსა და ისტორიკოსებს კარგად მოეხსენებათ, თუმცა ამერიკის მაგალითზე, წარმატების ფორმულა და წინაპირობა, კომპრომისებზე დაყრდნობა და საერთო ინტერესების გათვალისწინებაა.

Abstract

The goal of the doctoral thesis research is to review the development of political parties in the United States and to provide answers to the challenges in the Georgian reality based on their experience.

The main tasks of the research are: analysis of the challenges that arose in the early republic of the USA and the methods of solving them; characterizing the importance of political compromises on the example of the early republic of the USA; The study of the history of the development of American parties based on the founding ideas and the assessment of their possible influence on the Georgian political spectrum both during the period of the restoration of independence of Georgia and in the modern era.

The information presented in the study is based on primary sources, including archival documents, interviews with scholars of political parties and the early American republic; Also, modern political commentators, analysts and practical political solutions.

The work discusses the prerequisites for the founding of the United States, the relations between the various colonies, and later, the states. In this process, a compromise solution to the creation of a federal government is described, and after the adoption of the constitution, the beginning of party conflicts. The paper focuses on the uniformity of the main similar and distinguishing features between the parties, from their foundation to the present day. On the other hand, the dissertation describes the birth of Georgian political parties, their cooperation with the American political spectrum and, in general, the beginning and development of Georgian-American relations.

As a result of the research, the following main conclusions were drawn:

1. The United States of America was not a thoroughly united and homogeneous state, naturally tending to the formation of a strong central government and nation, although, from all other possible perspectives, it was the latter that was chosen in order to achieve the Preamble's universal welfare and liberty;
2. After the constitutional convention and the adoption of the constitution, a situation arose which, due to differences in political ideas, gave rise to parties. The USA is the result of the synthesis of their different political logics, on which the views of both Hamilton and Jefferson were equally reflected;
3. Sharing the American experience is extremely important in a young democracy like Georgia, whose main challenges from the beginning were the concentration of power and the difficulty of agreeing on common interests;

4. The main problem of the Georgian party system is, first of all, the temptation of power, which requires strong institutions to avoid. To build the latter, the experience of the early American republic is an excellent example;
5. Partisanism or factionalism is an inseparable part of the history and present of Georgia, which sociologists and historians know well, however, based on the example of America, the formula and prerequisite for success is to rely on compromises and take into account common interests.

შინაარსი

შესავალი 1

თავი I: ამერიკული პოლიტიკური აზროვნების წინაპირობები კოლონიებსა და ადრეულ რესპუბლიკაში 9

1.1 განსხვავებული იდენტობები ამერიკაში, როგორც განსხვავებული პოლიტიკური აზროვნების წინაპირობა.....9

1.2 დიდი პაექრობა - ჰამილტონი ჯეფერსონის წინააღმდეგ 30

1.3 ფრაქციონიზმისა და პარტიული ორგანიზაციების შიში 46

თავი II: ადრეული რესპუბლიკის იდეათა გამოძახილი მე-20 საუკუნის ამერიკაში 54

2.1 ამერიკული ინდივიდუალიზმი და ნელი სვლა „ახალ კურსამდე“ 56

2.2. „დიადი საზოგადოება“ და „რეიგანის რევოლუცია“, როგორც ორი განსხვავებული კონცეფცია.....78

თავი III: დამოუკიდებელი საქართველოს პარტიები და მათი ურთიერთობები შეერთებული შტატების პოლიტიკურ წრეებთან.....94

3.1 ქართულ-ამერიკული ურთიერთობების სათავეებთან - საერთო ეროვნული თუ პარტიული კონტექსტი? 99

3.2 ამერიკული პარტიების პლატფორმები XXI საუკუნეში - ცვლილება თუ ტრადიციის გაგრძელება?.....124

3.3 გზა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების თანამედროვე გამოწვევებისკენ და პარტიების როლი მათი გადაწყვეტის პროცესში.....135

დასკვნა.....144

გამოყენებული ლიტერატურა 153

შესავალი

ფრანგი ავტორი ალექსის დე ტოკვილი, თავისი ნაშრომის, „დემოკრატია ამერიკაში“, შესავალშივე აღნიშნავს ამერიკული საზოგადოების სიჭრელის შესახებ, თუმცა ასევე ხაზს უსვამს მის გამაერთიანებელ რამდენიმე წინაპირობას. მისი თქმით, „ემიგრანტები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში ჩამოვიდნენ და დაიკავეს ის მიწები, ამჟამინდელი ამერიკის კავშირს რომ ქმნის, ერთმანეთისგან დიდად განსხვავდებოდნენ; მათი მიზანიც ერთი არ იყო და ისინი, ბუნებრივია, მართვა-გამგეობის სხვადასხვა პრინციპით ხელმძღვანელობდნენ.“ ამასთან ერთად, ტოკვილი იქვე დასძენს, რომ „ამ ადამიანებს საერთოც ბევრი რამ ჰქონდათ: ისინი ხომ ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. და მაინც, ყველაზე ძლიერი და გამძლე დამაკავშირებელი, რასაც ამ ადამიანთა გაერთიანება შეეძლო, იყო ენა. იმ დროს ჩამოსახლებული ყველა ემიგრანტი ერთსა და იმავე ენაზე - ინგლისურზე მეტყველებდა და ერთი ხალხის შვილები იყვნენ.“[1] ალბათ სწორედ ამიტომ აღწერა ჯონ ჯეიმ თავის მეორე ფედერალისტურ წერილში, ჯერ კიდევ ტოკვილზე უფრო ადრე ამერიკელ ერზე, რომ „განგებამ ეს განუყოფელი ქვეყანა ერთადერთ ხალხს უწყალობა – ხალხს, რომელიც ერთი და იმავე წინაპრის შთამომავალია; ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობს; ერთსა და იმავე სარწმუნოებას აღიარებს; ერთგულია მმართველობის ერთი და იმავე პრინციპებისა. ხალხს, რომელიც ძალზე ჰგავს ერთმანეთს ზნითა და ჩვეულებით. ხალხს, რომელსაც გაერთიანებული რჩევით, ჯარებითა და ძალისხმევით მრავალი ხნის მანძილზე ერთმანეთის მხარდამხარ უომია სისხლისმღვრელ ომებში, რის შედეგადაც მოუპოვებია საყოველთაო თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ეს ქვეყანა და ეს ხალხი, თითქოსდა, ერთმანეთისთვის გაუჩენია ღმერთს, თითქოსდა განგებას ენებებინოს, რომ ჭეშმარიტი ძმობით აღბეჭდილი ეს მემკვიდრეობა არასოდეს გაიხლიჩოს დაქსაქსულ, ერთმანეთის მოშურნე და ერთმანეთისადმი მტრულ სუვერენულ წარმონაქმნებად.“[2] იმის მიუხედავად, რომ ტოკვილის არგუმენტებითაც ვრწმუნდებით ჯონ ჯეის სიტყვების მართებულობაში, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ჯეის ოპტიმიზმი ამერიკული საზოგადოების ერთგვაროვნების

[1] ალექსის დე ტოკვილი, „დემოკრატია ამერიკაში“, თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2011, გვ. 35

[2] ჯონ ჯეი, ფედერალისტი #2, ხელმისაწვდომია აქ: http://federalistpapers.ge/federali2.php

შესახებ, მისი ერთიანობის წახალისებას და ხელშეწყობასაც ემსახურებოდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმდროინდელი ამერიკული საზოგადოება და ერი ჯერ კიდევ არ იყო ისეთ დონეზე ერთიანობისა და აქედან გამომდინარე ერთიანი ფედერალური მთავრობის შექმნისკენ მიდრეკილი, როგორც ამას ჯეი აცხადებდა. თუმცა, სწორედ იმიტომ, რომ ჯეის ძლიერი ფედერალური მთავრობა ამერიკელი ერის ხსნისა და სამომავლო გაძლიერების ერთადერთ შესაძლებლობად მიაჩნდა, მას ერთგვაროვნების ცოტათი გადაჭარბებულად მტკიცებაც უწევდა. მეორე ფედერალისტური წერილის გაგრძელება, რომელშიც ჯეი წერს, რომ სხვადასხვა შტატის ხალხი „საერთოსა და მთავარში ჩვენ ერთ ხალხად ჩამოვყალიბდით; თითოეული ჩვენი მოქალაქე, სადაც უნდა ყოფილიყო იგი, ერთი და იმავე ეროვნული უფლებით, პრივილეგიითა და მფარველობით სარგებლობდა. ჩვენი, როგორც ერის, ერთიანობა ყველაფერში ვლინდებოდა. მაშინ, როცა მოწინააღმდეგეს ვუზავდებოდით თუ მასთან ომში ვებმებოდით; საერთო მტერზე ვიმარჯვებდით თუ სხვადასხვა ალიანსში შევდიოდით, მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით თუ ხელშეკრულებებს ვდებდით.[3] ამ მტკიცებათა მიუხედავად, ამერიკის ისტორიასა და პოლიტიკის მეცნიერებაში, ჯეის საწინააღმდეგო არგუმენტებიც მრავალია იმის თაობაზე, რომ ადრეული რესპუბლიკისა და ახლად დაბადებული ერის საზოგადოება სულაც არ იყო ამდენად ჰომოგენური და შესაბამისად, არც ერთიანი ფედერალური მთავრობის შექმნაზე იყო მოწადინებული. აქედან გამომდინარე, ნაშრომის ერთ ნაწილში უნდა გამოირკვეს, თუ რატომ სურდა ამერიკელი ხალხის ნაწილს განცალკევებული შტატების პირობებში ცხოვრების გაგრძელება, რა პრობლემებს ხედავდნენ ფედერალურ მთავრობაში და როგორ მოახერხეს დამფუძნებელმა მამებმა იმდროინდელი საზოგადოებისთვის ისეთი წესრიგის შეთავაზება, რომელზეც უმრავლესობა იქნებოდა თანახმა. აღნიშნული საკითხი საკვლევად იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც გამოკვეთს ერის ერთიანობის, ერთ სახელმწიფოებრივ სუბიექტად შეერთების აუცილებლობას. ამასთან, ნაშრომის უმნიშვნელოვანესი მიზანია რომ გამოკვეთოს კომპრომისების დასმისა და მიღწევის ხელოვნება, მისი აუცილებლობა და განსხვავებულ მოსაზრებათა მშვიდობიანად, ცივილიზებული დებატებით გადაჭრის კულტურა. აღნიშნული ნაშრომს წარმოაჩენს მნიშვნელოვნად როგორც ამერიკის დეტალური

[3] იქვე, ხელმისაწვდომია აქ: http://federalistpapers.ge/federali2.php

შესწავლის ზოგადი თვალსაზრისით, ასევე, ამერიკული გამოცდილების მიღებისა და მისი განვითარებად დემოკრატიებში გაზიარების მიმართულებით.

ჯეისა და სხვა დამფუძნებლების მცდელობის შედეგად, კომპრომისების მეშვეობით, აშშ-ის როგორც ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და შექმნა მოხერხდა, მაგრამ, იგი მრავალ განხეთქილებასა თუ უთანხმოებას დაეფუძნა. ამის მიუხედავად, ახლად დაარსებულმა სახელმწიფომ, თავის თავში უკვე წარმოშვა პარტიული და ფრაქციული ძალები, რაზეც, სწორედ უკვე განხილულმა გარემოებებმა მოახდინა გავლენა. ამ პარტიულ ძალებს, რომელთა ფუნდამენტი სწორედ კონსტიტუციურ კონვენტზე, ფედერალური მთავრობის ფორმირებისას წარმოიშვა, ორი ძირითადი ლიდერი, ალექსანდრ ჰამილტონი და თომას ჯეფერსონი ჩაუდგნენ სათავეში. როგორც ქართველი მკვლევარებიც მიუთითებენ, ვაშინგტონის კაბინეტში ხშირი იყო კამათი, დაძაბულობა და დაპირისპირება, კერძოდ, ჯეფერსონსა და ჰამილტონს შორის. მათი პოლიტიკური პლატფორმებიდან გამომდინარე, ისინი დებატებში ფედერალისტთა და რესპუბლიკელთა კონცეფციებს უპირისპირებდნენ ერთმანეთს.[4]

თომას ჯეფერსონი აგრარული რეგიონებისა და ფერმერების ინტერესებს იცავდა. სახელმწიფო მდივანს მიაჩნდა, რომ ამერიკის მომავლისთვის ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო განვითარება გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო. ალექსანდრე ჰამილტონი კი ბრიტანეთის სავაჭრო სისტემასთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობისკენ იხრებოდა. იგი აქცენტს აკეთებდა დამოუკიდებელი საფინანსო სისტემის ჩამოყალიბებასა და მრეწველობის განვითარებაზე, რაც გადამწყვეტი იყო ქვეყნის სამომავლო წინსვლისთვის.[5] ფედერალისტები, რომელთაც ალექსანდრ ჰამილტონი ხელმძღვანელობდა, უმთავრესად საპორტო ქალაქების კომერსანტების ინტერესებს ატარებდნენ. ხოლო ჯეფერსონის მეთაურობით, ანტიფედერალისტი რესპუბლიკელ-დემოკრატები, სოფლის მოსახლეობის, ფერმერებისა და სამხრეთის აგრარული შტატების ინტერესებს იცავდნენ. ფედერალისტები უპირატესობას ანიჭებდნენ ძალაუფლების არსებულ ფორმას, მხარს უჭერდნენ ძლიერ ფედერალურ ცენტრალურ ხელისუფლებას, ხოლო ანტიფედერალისტები გამოდიოდნენ შტატების

[4] მიხელ ბარნოვი, „ჯორჯ ვაშინგტონი“, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2017, გვ. 167
[5] ბარნოვი, 2017, გვ. 172

უფლებების დასაცავად. [6] 1790 წლიდან ჰამილტონმა, რომელსაც მთავრობაში წამყვანი პოზიცია ეკავა, ფედერალისტური პარტია ჩრდილო-აღმოსავლეთის ინტერესებს დაუქვემდებარა, რამაც ფედერალისტებიდან ჯეიმს მედისონის სახით გავლენიანი სამხრეთელი პოლიტიკოსის ჩამოცილება გამოიწვია. ჩამოცილებისთანავე მედისონმა მჭიდრო პოლიტიკური კავშირი დაამყარა ჯეფერსონთან. ჯეფერსონი წინ ფერმერებს აყენებდა, მედისონი კი პლანტატორების ინტერესებს იცავდა, ხოლო ორივენი ეწინააღმდეგებოდნენ ამერიკის განვითარების ჰამილტონისეულ გეგმას.[7]

ყველაფრის საფუძველი გახლდათ ის, რომ ამერიკული რევოლუცია რაიმე ინოვაციური გადატრიალება არ ყოფილა, არამედ იყო კოლონიური მმართველობის პრეროგატივის კონსერვატიული რესტავრაცია. თვითმმართველობის ტრადიციებში დახელოვნებული კოლონისტები მიიჩნევდნენ, რომ ისინი მემკვიდრეობით ფლობდნენ იმ უფლებებს, რომლებიც როგორც ინგლისელებს, მემკვიდეობით ერგოთ. შესაბამისად, როცა ოკეანის გაღმიდან მეფემ მათზე აქამდე უპრეცედენტო გადასახადების დაწესება გადაწყვიტა, კონოლისტებმა თავიანთი უფლებების აღდგენა მოითხოვეს. თუმცა, წარმატებული რევოლუციის შემდეგ გაჩნდა კითხვები, თუ რომელ გზას უნდა დადგომოდნენ ისინი, რესპუბლიკურს - რომლის ფარგლებში ჯეფერსონი ფრანგული ეგალიტარიზმის თეორიებთან დაახლოებას უმიზნებდა, თუ ფედერალისტურს - რომლებიც ისტორიული გამოცდილების პრიმატს და ახალი კონსტიტუციის გარანტიებს ეფუძნებოდნენ. ეს უკანასკნელი, ძლიერი ცენტრალური მთავრობის ორგანიზებას ისახავდა მიზნად, რაც მონაწილეობას მიიღებდა ინდუსტრიული და ფინანსური სისტემის მშენებლობაში, ხოლო ჯეფერსონის რესპუბლიკური სისტემა, შტატების უფლებებისა და ეკონომიკის აგრარული მიმართულებით განვითარების მომხრე იყო. ადრეული ამერიკული რესპუბლიკის სწორედ ამ დებატებიდან დაედო სათავე შემდგომში ამერიკული პარტიების განვითარებას და მათ იდეოლოგიურ დაპირისპირებას. მისი ყველაზე ცხელი და უკომპრომისო მოვლენა, სამოქალაქო ომიც, ამ კონტექსტის ნაწილია, თუმცა იგი შეადგენს იმ იშვიათ გამოხატულებას, როდესაც, ამერიკულმა საზოგადოებამ მშვიდობიანი კომრომისის მიღწევა სადავო საკითხების შესახებ ვერ შეძლო.

[6] ბარნოვი, 2017, გვ. 173

[7] ელენე მეძმარიაშვილი, მიხელ ბარნოვი, „ამერიკული დემოკრატიის გაკვეთილები (1600-1877)“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ. 156

სამაგიეროდ, ამერიკელი ერის ფორმირება ამ დებატების ქოლგის ქვეშ გაგრძელდა მე-20 საუკუნეში, როდესაც, რესპუბლიკელები და დემოკრატები სწორედ ცენტრალური მთავრობის ძლიერებისა და შტატების უფლებების საკითხებს ათწლეულების განმავლობაში არკვევდნენ. რესპუბლიკელები, როგორც ლინკოლნისა და ჰამილტონისეული ძლიერი ცენტრალური მთავრობის მომხრეები, თავიანთ პოზიციებზე დიდი დეპრესიის დაწყებამდე ურყევად იდგნენ, როცა მკაცრად ჰქონდათ არჩეული გეზი მძლავრი ინდუსტრიის, ფინანსური სისტემის ჩამოყალიბებისაკენ და ამ გზაზე არ ერიდებოდნენ მდიდარი თუ გავლენიანი ელიტების ინტერესების დაცვას. თუმცა, დიდმა დეპრესიამ ბევრი რამ შეცვალა და მთავრობა ჩვეულებრივ ხალხთან მეტად დააახლოვა. პოლიტიკოსებს, ახალი სამთავრობო პროგრამების მეშვეობით, ამერიკელი მუშებისა და უბრალოდ მოქალაქეების ინტერესების უფრო აქტიურად დაცვა მოუწიათ ერთის მხრივ საარჩევნო, ხოლო მეორეს მხრივ, ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, დიდი დეპრესიის პანაცეა, „ახალი კურსი“ გარკვეულ შემთხვევებში ისე შორს წავიდა სამთავრობო ხარჯებისა და კონტროლის მიმართულებებით, რომ მისი კიდევ უფრო გაფართოების შეჩერება და აღკვეთა გახდა საჭირო. ამ პროცესის სათავეში რესპუბლიკური პარტია ჩადგა, რომელიც, ახალ კურსამდე ძლიერი ცენტრალური მთავრობისა და დიდი ბიზნესის კოოპერაციის პროდუქტი იყო, 1950-იანი წლებიდან კი, მიზნად დაისახა შტატების უფლებების დაცვა, რისი საჭიროებაც, „ახალი კურსისა“ და მისი შემდგომი პროგრამების გამო გაზრდილი სამთავრობო კონტროლის შედეგად დადგა. იმ პერიოდიდან მოყოლებული, დემოკრატებისა და რესპუბლიკელების პარტიული პლატფორმები თითქმის ყველა ათწლეულში დიდწილად ჰგავს ერთმანეთს, თუმცა, რასაკვირველია, მრავლადაა განსხვავებებიც. ამის მიუხედავად, ჰამილტონისა და ჯეფერსონის თავდაპირველი დებატების სულისკვეთებას ცენტრალურ მთავრობასა და შტატებს შორის უფლებათა განაწილების სამართლიანობის შესახებ, დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამერიკულმა საზოგადოებამ და მისმა პარტიებმა, ქვეყანაში მიმდინარე დებატებისა თუ დაპირისპირებების ფონზე, მტკიცედ შეინარჩუნეს მთლიანობა, ერთიანობა, გაიღრმავეს პოლიტიკური ტრადიციები და კულტურა. სწორედ ეს უკანასკნელია განსაკუთრებით საყურადღებო ისეთი

ქვეყნებისთვის, რომლებიც დიდი ხანი არ არის რაც ეზიარნენ თავიანთი თავის მართვის შესაძლებლობას და სულ ახლახან შეაბიჯეს რთულ და ზოგჯერ ქაოტურ საერთაშორისო წესრიგში. ამდენად, იმის გამოკვლევა, თუ როგორ განვითარდა პარტრიული და პოლიტიკური სპექტრი საქართველოში, ხოლო მეორეს მხრივ მისი ურთიერთდაკავშირება ამერიკულ პარტიებთან და სისტემასთან, საინტერესოც არის და მნიშვნელოვანიც. ეს იმიტომ, რომ არამხოლოდ შევისწავლით ამერიკულ გამოცდილებას, არამედ, საზოგადოებისთვის უფრო ნათელს გავხდით ამერიკული პოლიტიკური კულტურის ძირითად მახასიათებლებს, რაც სამომავლოდ გაამარტივებს ხალხთა შორის ორმხრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ქართულ არაფორმალურ პარტიებს გარკვეული ცოდნა უკვე დაეგროვებინათ ამერიკული დემოკრატიისა და პოლიტიკური ინსტიტუტების შესახებ მწირი საინფორმაციო სივრცის მიუხედავად. სწორედ ამის გამოხატულება იყო პირველი პოლიტიკური გაერთიანებისთვის „რესპუბლიკური პარტიის“ დარქმევა. ქართველი პოლიტიკოსები იზიარებდნენ როგორც 1980-იანი წლებისთვის ცნობილ, „რეიგანომიკის“ ეკონომიკურ მოდელს, ისე მმართველობის საპრეზიდენტო ფორმის თავისებურებებს, რასთან მიახლოებული მოდელიც, საქართველოში 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით დამკვიდრდა კიდეც. ნაშრომის ფარგლებში გამოსაკვლევია, იყვნენ ან არიან თუ არა საქართველოში პარტიები, რომლებმაც, რომელიმე ამერიკული პოლიტიკური გაერთიანების დღის წესრიგი თავისას მოარგეს ან მიამსგავსეს. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი მაინც მდგომარეობს იმაში, როგორი სახის არის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოს მიმართ, მიკერძოებული და პარტიულ პლატფორმებზე დაფუძნებული, თუ ორპარტიული და ერთსულოვანი? ეს იმიტომ, რომ ცხადი და ბუნებრივია, როგორც ყველგან, საქართველოშიც პარტიები გარკვეულ იდეებს ეფუძნება და ხშირ შემთხვევაში, მსოფლიო პრაქტიკისთვისაც დამახასიათებელია კოოპერაციის სიღრმავე იდეათა თანხმობის შესაბამისად. ქართულ-ამერიკული ურთიერთობების შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანი გამოირკვეს მისი პერსპექტივა დამოკიდებულია კონკრეტულ იდეურ პლატფორმებზე, თუ უფრო მეტად საქმე გვაქვს ზეპარტიულ, სახელმწიფო მნიშვნელობის თანამშრომლობასთან. ამ კონტექტში, კვლევა უაღრესად **აქტუალურია**

ქართულ-ამერიკული ურთიერთობების შემდგომი განსაზღვრისა და წინაპირობების შექმნისთვის. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის **მიზანს** წარმოადგენს ამერიკული როგორც პოლიტიკურ-შინაარსობრივი, ისე პოლიტიკურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა და მისი გაზიარება ქართველი მკითხველის, მათ შორის, პრაქტიკოსი პოლიტიკოსებისა და ფართო საზოგადოებისთვის. ასევე, ნაშრომში გამოკვეტილი იქნება დამოუკიდებელ საქართველოში ათწლეულების განმავლობაში მომხდარი ისეთი მოვლენები, რომლებიც, შესაძლოა სხვაგვარად წარმართულიყო, შესაბამისი პოლიტიკური კულტურის არსებობის პირობებში. ამდენად, ნაშრომი სამომავლოდ მსგავსი შეცდომების დაშვების არიდებას ისახავს მიზნად, მათ შორის, ამერიკული კომპრომისების კულტურის შესწავლის მაგალითზე. დამატებით, ნაშრომის მიზანია სამი ათწლეულის განმავლობაში დაგროვებული ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორიის მნიშვნელობა და მისი გაგრძელების აუცილებლობაზე ხაზგასმა.

მიმდინარე ნაშრომის სრულყოფისათვის, გამოყენებულია **კვლევის თვისებრივი მეთოდი,** რაც მოიაზრებს ისტორიული და საარქივო დოკუმენტების შესწავლას, დარგისათვის მნიშვნელოვანი ნაშრომების ანალიზს და სპეციალისტებთან სირღმისეულ ინტერვიუს. რაც შეეხება **წყაროებსა და ლიტერატურას,** იგი მოიცავს ქართველი ავტორების ნაშრომებს ამერიკული პოლიტიკური პარტიებისა და ისტორიის შესახებ, რასაც ემატება საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი ამერიკელი ექსპერტები, როგორებიც არიან ჰენრი კისინჯერი და ბრუს ჯენტლესონი. ამერიკული პოლიტიკური პარტიების დაარსებისა და განვითარების ისტორიის გააზრებისათვის, საყურადღებოა ჯონ მილერის, რიჩარდ ჰოფშტადტერის და სოლ პედოვერის შრომები, რომელთაც თან ახლავს ალბათ ნაშრომისთვის ყველაზე საყურადღებო, ფედერალისტებისა და ანტიფედერალისტების წერილების ანალიზი. თანამედროვე ამერიკის კონტექსტის აღსაქმელად, მიმოხილულია ცნობილი ავტორები, ვიქტორ დეივის ჰენსონი, ჰენრი ოლსენი და მარკ ლევინი, ასევე, გრეტა ოლსონი, ანდრეას ფალკე. ვფიქრობ ნაშრომისთვის ასევე საინტერესოა მით რომნის, როგორც არამხოლოდ პოლიტიკოსის, არამედ მწერლის მოსაზრებათა ანალიზი. ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მიმოხილვისათვის, გამოყენებულია პერიოდული პრესა, პროფესორ ვასილ კაჭარავას მრავალმხრივი შრომები, დიმიტრი

შველიძის კვლევა პოლიტიკური დაპირისპირებების შესახებ და სამი ექსპერტის ინტერვიუ, რომლებიც, წლების განმავლობაში უშუალოდ იყვნენ ჩართულნი როგორც ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მშენებლობის, ისე ქართული პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებისა თუ შესწავლის პროცესში.

თავი I: ამერიკული პოლიტიკური აზროვნების წინაპირობები კოლონიებსა და ადრეულ რესპუბლიკაში

1.1 განსხვავებული იდენტობები ამერიკაში, როგორც განსხვავებული პოლიტიკური აზროვნების წინაპირობა

როგორც შესავალში აღვნიშნე, ადრეული რესპუბლიკის ამერიკული საზოგადოების ბუნება ბევრი ავტორის მიერ არაერთგვაროვნად არის აღქმული. მათ შორის, ქართველი ავტორების მოსაზრებებშიც ვხვდებით, რომ ამერიკული საზოგადოება თავდაპირველად როგორც მრავალეთნიკური, ასევე მრავალკულტურული იყო. მაგალითად, ნიუ ინგლენდში ინგლისელი ახალმოსახლეები იყვნენ, დასავლეთ ჩისეპიკსა და პენსილვანიაში - გერმანელები, ნიუ იორკსა და ნიუ ჯერსიში - ჰოლანდიელები, შოტლანდიელი ირლანდიელები (შოტლანდიელი პრესბიტერიანელები) - სამხრეთ დასავლეთ რეგიონებში, და სამხრეთშივე გაჩნდა რეგიონები, სადაც აფრიკელები მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ.[8] მაგალითისთვის, ევროპელების დიდი ნაწილი ძირითადად დევნილი რელიგიური უმცირესობები იყვნენ, კერძოდ, დაახლოებით 300 ათასი ფრანგი კალვინისტი და ჰუგენოტი, 3 ათასი გერმანელი პროტესტანტი და სხვ. მათი უმრავლესობა პენსილვანიაში დასახლდა. შოტლანდიელი პრესბიტერიანელები ევროპული დასახლებების დასავლეთ საზღვრებისკენ დასახლდნენ და ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიკავეს მიწები. ასევე შოტლანდიელების ნაწილი ჩრდილოეთ ქეროლაინაში დასახლდა და სხვ.[9]

უნდა ითქვას, რომ კოლონიების თავდაპირველი მდგომარეობა, რაც ძირითადად მოიცავდა მე-17 საუკუნეს, დამოკიდებული იყო მეტროპოლიაში მიმდინარე მოვლენებზე, ხოლო იმდროინდელი ინგლისი როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური დაპირისპირებებით აშკრად გამოირჩეოდა. მაგალითისთვის ჯეიმს I-მა მკვეთრად შეცვალა ინგლისის როგორც საშინაო ისევე საგარეო პოლიტიკა. {...} ქვეშევრდომებთან დაპირისპირება ჯეიმს I-ის გამეფების პირველივე დღიდან დაიწყო,

[8] მეძმარიაშვილი, ბარნოვი, 2019, გვ. 68
[9] იქვე, გვ. 68

რადგანაც მას სჯეროდა მეფის ხელისუფლების ღვთაებრიობის და მეფის ფუნქციებში პარლამენტის ჩარევას უკანონოდ აღიქვამდა.[10] ხოლო მისი მემკვირდრის, ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯას კი, ოლივერ კრომველის მმართველობა მოჰყვა თან, რაც სხვათა შორის, სწორედ პურიტანების პოლიტიკურ ბაზას ეყრდნობოდა.[11] საკმაოდ მოკლე ხანში, 1660 წელს, კრომველის გარდაცვალების შემდეგ მონარქია კვლავ აღდგა ჩარლ II-ის კორონაციის შედეგად, თუმცა, ამას არც რელიგიური და არც პოლიტიკური სიმშვიდე არ მოჰყოლია. ეს იმიტომ, რომ ჩარლის II-ის გარდაცვალების შემდეგ, მისი ძმა ჯეიმს II ავიდა ტახტზე, რომელიც კათოლიკე იყო და ჯიუტად უნდოდა კათოლიციზმის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება.[12] ამის და სხვა საშინაო თუ საგარეო მიზეზების გამო, იგი სახალხო აჯანყების შედეგად იქნა ტახტიდან გადაგდებული და 1689 წელს ინგლისის მეფედ ვილჰემ ორანელი გამოცხადდა.[13]

სწორედ ამ მრავალწლიანი დაპირისპირებების დროს, ინგლისიდან ამერიკის კონტინენტის მიმართულებით მიგრაციის ზრდას შეეწყო ხელი. კოლონიებზე, რომლებიც უკვე არსებობდა, დიდწილად სწორედ მეტროპოლიაში მიმდინარე სწრაფი ცვლილებები ახდენდა გავლენას. მაგალითად, ჯეიმს I და ჩარლზ I-ის მმართველობის პერიოდში, პურიტანებსა და მეფის სხვა მოწინააღმდეგეებს უწევდათ თავშესაფრის ამერიკაში ძიება. მეორეს მხრივ, ვიდრე პურიტანებმა კრომველის მმართველობის დროს აიღეს ძალაუფლება, მათი ოპონენტებიც სწორედ ამერიკაში გაიქცნენ და ძირითადად ვირჯინიას შეაფარეს თავი.[14] მსგავსი რელიგიური დაპირსპირებებიდან გამომდინარე, ამერიკაში ჩასულ ახალმოსახლეებს ახასიათებდათ ჯგუფურობა. პრაქტიკულად, ყველა იმიგრანტი რომელიმე ეკლესიის ან რომელიმე რწმენის წარმომადგენელი იყო. უდიდესი უმრავლესობა პროტესტანტები იყვნენ, რომელთა უმთავრესი მოტივი ინგლისის ეკლესიის მმართველობის და შეხედულებების წინააღმდეგობა იყო. მიუხედავად სხვა საკითხებზე არსებული წინააღმდეგობებისა, ამ ნაწილში ერთმანეთს პურიტანები, ქუაკერები, ბაპტისტები, პრესვიტერიანელები და ლუთერანებიც ეთანხმებოდნენ. ხაზგასასმელია, რომ ყველა მოვლენა ეფუძნებოდა

[10] მერაბ კალანდაძე, „ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2005, გვ. 98
[11] Charles A. Beard and Mary R. Beard, “A Basic History of the United States”, Doubleda, Doran & Company, New York, 1944, p. 15
[12] კალანდაძე, 2005, გვ. 121
[13] კალანდაძე, 2005, გვ. 122
[14] Beard, 1944, p. 16

რელიგიურ შეხედულებებს თითოეული კოლონიის დაარსებასა თუ განვითარების ეტაპებზე ნიუ ჰემპშირიდან ჯორჯიამდე.[15]

იმის მიუხედავად, რომ რევოლუციონერების თაობას ამერიკის შეერთებული შტატების პირველ მოქალაქეებად ვთვლით, ისინი თავს უფრო მეტად მერილენდერებად, ნიუ იორკელებად, ჯორჯიელებად აღიქვამდნენ.[16] სწორედ ამის გამოხატულება იყო პირველ ეტაპზე კონფედერაციის მუხლების რატიფიცირება, რაც შტატებს ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებდა. მეტიც, 1787 წლის კონსტიტუციის პრეამბულის პირველი ვარიანტი იწყებოდა შესავლით „ჩვენ, ნიუ-ჰემპშირის, მასაჩუსეტსის, როდ-აილენდის, კონექტიკუტის, ნიუ-იორკის, ნიუ-ჯერსის, პენსილვანიის, დელავერის, მერელენდის, ვირჯინიის, ჩრ. ქეროლაინის, სამხრეთ ქეროლაინის და ჯორჯიის ხალხი“ და არა „ამერიკის შეერთებული შტატების ხალხი“, როგორც ეს საბოლოოდ მიღებულ რედაქციაშია.[17] აქვე აღსანიშნავია, რომ ამერიკელი ხალხი, კონსტიტუციის პრეამბულის ისეთი სახით ჩამოყალიბებას, როგორსაც დღეს ყველანი ვიცნობთ, ნიუ-იორკის სენატორს და ბრწყინვალე სახელმწიფო მოღვაწეს, გავერნორ მორისს უნდა უმადლოვდეს. აქედან გამომდინარე, არათუ დამოუკიდებლობის გამოცხადებისას, 1776 წელს, არამედ 1787 წლისთვისაც აშკარად არსებობდა ერთიანობის დეფიციტი, რაც, იმ დროისათვის ერთიანი ამერიკული იდენტობის პრობლემისკენაც მიგვითითებს. საქმე ის არის, რომ ყოფილი კოლონიები თანხმდებოდნენ ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობაზე, თუმცა ცხადად ვერ წყვეტდნენ უნდა ჰყოლოდათ თუ არა ერთიანი ეროვნული მთავრობა.[18] როგორც ჩანს, ამერიკის რევოლუცია იმ არსობრივად განსხვავებული ეროვნული იდენტობების ლოგიკური კულმინაცია ნამდვილად არ იყო, რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეებს შორის ვითარდებოდა. ამერიკის კონტინენტი უკვე იყო დასახლებული საკმაოდ ჰომოგენური, მაგრამ მაინც ასობით განსხვავებულ საზოგადოებად განსახლებული ინდიელებით. ამერიკა იმავეს უქადდა ევროპელებსაც. მაგალითად,

[15] Beard, 1944, p. 19
[16] Carol Berkin, “We, The People of the United States”: The Birth of An American Identity, September 1787.’ OAH Magazine of History 20, no. 4 (2006): p. 53.
[17] Berkin, 2006, p. 53.
[18] Victoria Bettney, “The Development of American: Identity and the Language of Revolution”, The York Historian, The University of York Student History Magazine, ხელმისაწვდომია აქ: https://theyorkhistorian.com/2018/03/27/the-development-of-america-identity-and-the-language-of-revolution/, (გადამოწმებულია: 25/09/2024)

მე-17 საუკუნემ მხოლოდ ამერიკის ინგლისურ ნაწილში არაერთი განსხვავებული კულტურა შექმნა, რომლებიც ზოგჯერ უფრო მეტად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, ვიდრე თავად ინგლისისგან.[19] ნიუ ინგლენდის მკვიდრნი ძირითადად ინგლისელები იყვნენ. ცენტრალური კოლონიები ჩრდილოეთ ევროპელებით დასახლდა. ჩესაპიკს დიდი რაოდენობით აფრიკული წარმოშობის მოსახლეობა დაემატა, რამაც 1690-იან წლებში კიდევ უფრო მოიმატა. სამხრეთ ქეროლაინაში აფრიკელებმა ორჯერ გადააჭარბეს ევროპელებს.[20] იმავე არაერთგვაროვნება ახასიათებდა მთავრობისა და რელიგიის ნაწილს. პროვინციულ დონეზე ნიუ ინგლენდს კორპორაციული დამოუკიდებლობა ჰქონდა, რაც, როდ აილენდმა და კონექტიკუტმა რევოლუციამდე შეინარჩუნა. ნიუ ინგლენდის სამხრეთით, მოსახლეთა დიდი ნაწილი ცხოვრობდა მეფის პირდაპირი გამგებლობის ქვეშ, მაგალითად ვირჯინია, მერილენდი და პენსილვანია. თავის მხრივ, ინგლისური სტილის დაბები იქცა ადგილობრივი თვითორგანიზაციის ფორმებად დასავლეთ ჯერსიდან ჩრდილოეთ ქეროლაინამდე. ასევე ნიშანდობლივია, რომ საერთო ჯამში, რაც უფრო ჩრდილოეთით წახვიდოდით, შეამჩნევდით რელიგიის საკითხებისაკენ რესურსების მეტად მიმართვის ტენდენციებს.[21]

თუმცა, სახელოვანი რევოლუციიდან მოყოლებული, 1763 წლამდე, კოლონები ერთმანეთს მრავალ ასპექტში დაემსგავსა. რამდენადაც ახალი თაობები კლიმატს უფრო მეტად შეეგუენ, სიცოცხლის ხანგრძლივობამაც მოიმატა და მოსახლეობაც უფრო თვითმყოფადი გახდა. ამასთან, მეფის ხელისუფლების გავლენის გაძლიერებამ 1720-იანი წლებიდან, კოლონიებში ერთგვარ ჰომოგენურობასა და სტრუქტურული მსგავსებების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რაც, მე-17 საუკუნის განმავლობაში, კოლონიებს ნამდვილად აკლდა.[22] თუმცა, როგორც ჯონ მარინი აღწერს, ამას არ გამოურიცხავს დაყოფის ის ელემენტები, რაც თავად დამოუკიდებლობისთვის ომის დროსაც შეიმჩნეოდა. ასე მაგალითად, ზოგჯერ რეგიონულ სიძულვილს არმიის დემორალიზაციაც კი გამოუწვევია, რაც გამოვლინდა იანკების უნდობლობაში ნიუ იორკელი გენერლის მიმართ; ამერიკის სხვა ნაწილების მკვიდრ ჯარისკაცებისგან

[19] John M. Murrin, "A Roof without Walls: The Dilemma of American National Identity", „*In Beyond Confederation: Origins of the Constitution and American National Identity*", edited by Richard Beeman, Stephen Boten, and Edward C. Carter, University of North Carolina Press, 1987, p. 334.
[20] Murrin, 1987, p. 335
[21] Murrin, 1987, p. 335
[22] Murrin, 1987, p., p. 336

პენსილვანიელი კაპიტნის, ალექსანდრ გრეიდონის მიმართ, რადგან მისი, როგორც „აღმოსავლელის“ დამოკიდებულებები ზედმეტად ეგალიტარული იყო. 1776 წელს ტრიბუნალმა განიხილა საქმე მერილენდელი ოფიცრის შესახებ ნიუ ინგლენდელი გენერლის მიმართ შეურაცხყოფის გამო სწორედ წარმომავლობაზე ხაზგასმით და სხვ.[23] ალბათ სწორედ ამ გამოწვევის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად პატრიკ ჰენრის სიტყვები პირველ კონტინენტურ კონგრესზე, როდესაც მან განაცხადა „განსხვავება ვირჯინიელს, პენსილვანიელს, ნიუ იორკელს, ნიუ ინგლენდელს შორის აღარ არსებობს. მე ამერიკელი ვარ და არა ვირჯინიელი.“[24] ბრიტანეთის მთავრობის მოქმედებით შეწუხებული პატრიკ ჰენრი კონფლიქტს უკვე გარდაუვლად მიიჩნევდა, ამბობდა, რომ ამერიკელი ხალხისთვის ბორკილები უკვე მომზადებულია, ამიტომ დელეგატებს ერთიანი მოქმედებისკენ მოუწოდებდა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ამერიკული იდენტობა საკმაოდ შეუმზადებელი და მყიფე იყო რევოლუციის პერიოდში, რის გამოც, მას წინ საკმაოდ მძიმე გამოცდა ელოდა. სწორედ ამიტომაა, რომ რევოლუციის შემდგომ, 1787 წელს მიღებულ კონსტიტუციას მეცნიერთა ნაწილი, კერძოდ ისტორიკოსი ჯონ მარინი უწოდებდა „სახურავს კედლების გარეშე“.

ალბათ სწორედ ზემოთ მითითებული წინაპირობების შედეგი იყო ანტიფედერალიზმი, როგორც კონცეფცია, რომელიც მოძრაობის სახით ჩამოყალიბდა 1787 წლის ზაფხულში მიმდინარე კონსტიტუციური კონვენტის დროს და შემდგომში. ანტიფედერალისტების მოძრაობა აშკარად გახლდათ შტატებს შორის მყიფე ერთიანობის გამოხატულება. მართალია ანტი-ფედერალისტები კონსტიტუციის შემუშავების პროცესში თავიანთი ოპონენტების მსგავსად თავიანთ თავს როგორც „ერს“ და „ქვეყანას“ მოიაზრებდნენ, თუმცა, ამის მიუხედავად, ისინი ერთიანი ფედერალური მთავრობის კატეგორიული მოწინააღმდეგეები იყვნენ. თავდაპირველად, მოკლედ რომ ჩამოვთვალოთ, კონსტიტუციის რამდენიმე ნაკლი ანტიფედერალისტების მიხედვით იყო, რომ შტატების ხელისუფლებათა უფლებამოსილების ხარჯზე ის მეტისმეტ უფლებას აძლევდა ცენტრალურ მთავრობას, ხელისუფლების სხვა განშტოებების ხარჯზე ის გადაჭარბებულ უფლებას

[23] Murrin, 1987, p. 344
[24] [Notes of Debates in the Continental Congress, 6 September 1774.] ,” Founders Online, National Archives, https://founders.archives.gov/documents/Adams/01-02-02-0004-0006-0007

აძლევდა აღმასრულებელ ხელისუფლებას, „აუცილებელი და სავალდებულო“ პუნქტის ძალით ის უზომოდ აფართოებდა კონგრესის კომპეტენციას, მასში არ იყო შეტანილი უფლებათა ბილი.

ანტიფედერალისტების მხრიდან უკმაყოფილება ემყარებოდა შტატების ინტერესთა პრიმატს, რომელზეც დამოკიდებული იყო ინდივიდუალური თავისუფლება, ხოლო ამ უკანასკნელს, ისინი ყოველი ლეგიტიმური მთავრობის ძირითად კომპონენტად მიიჩნევდნენ. პენსილვანიელი პოლიტიკოსის რობერტ უაითჰილის მიხედვით, „ფედერალური კონსტიტუცია შეიძლებოდა გამხდარიყო შტატების კონსტიტუციების და შესაბამისად ადამიანთა თავისუფლებების მოსპობის წინაპირობა.“[25] დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიხედვით სწორედ შტატის მთავრობების შექმნას მიეცა დასაბამი. ხოლო ერთიანი ეროვნული მთავრობა ამ შტატების მთავრობათა დანამატია ისეთი უფლებებით, რომელიც ცალკე აღებულ არც ერთ შტატს არ აქვს. ეს კი, ანტიფედერალისტების მიხედვით უსამართლოა, რადგან ცენტრალური მთავრობა ლეგიტიმურობას სწორედ შტატების მთავრობებისგან იძენს.[26] რაც შეეხება ეკონომიკური, პოლიტიკური და საგარეო საკითხებში წარმოშობილ გამოწვევებს, ანტიფედერალისტები მიიჩნევდნენ, რომ მავანმა სხვადასხვა მიმართულებებით ამერიკელების პრობლემები გააზვიადა. მათი აზრით ის სირთულეები, რომლებიც 1787 წლისთვის ქვეყნის გარშემო ხდებოდა არაეფექტური მთავრობის ბრალი სულაც არ იყო, არამედ მათ გადაჭრას დრო და ინდუსტრიის განვითარება სჭირდებოდა, მითუმეტეს ომის შემდეგ.[27] ამის მიუხედავად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისინი ერთიანობის საჭიროებას ნაწილობრივ ხაზს უსვამდნენ, თუმცა არა იმდენად ძლიერი მთავრობის ფარგლებში, როგორც ეს კონსტიტუციამ დააწესა. საკანონმდებლო ხელისუფლების ქვეშ არსებული უფლება „აუცილებელი და სავალდებულო“ კანონების მიღების შესახებ, რომელიც კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-8 ნაწილშია მოცემულია, ანტი-ფედერალისტებმა ჩათვალეს როგორც უსასრულოდ დიდი შესაძლებლობა ძალაუფლების უზურპაციისა და ტირანიისთვის.[28] მოკლედ რომ ვთქვათ, ფედერალისტების მსგავსად, ისინიც

[25] „The Complete Anti-Federalist“, Edited by Herbert J. Storing, Volume 1, The University of Chicago Press, Chicago, 1981. p. 15
[26] J. Storing, 1981, p. 15
[27] J. Storing, 1981, p. 26
[28] J. Storing, 1981, p. 28

უფრთხოდნენ ერთი რომელიმე ხელისუფლების შტოს მხრიდან ძალაუფლების უზურპაციის შესაძლებლობას, თუმცა, ერთი ჯგუფი ცენტრალური მთავრობისთვის ბევრად ნაკლები ძალაუფლების დატოვებას თვლიდა მართებულად, ხოლო მეორე, სწორედ ძლიერ, თუმცა დაბალანსებულ ცენტრალურ მთავრობაში ხედავდა ხსნას. ამასთან, ანტიფედერალისტები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ დემოკრატიის ნაკლებობისა და არისტოკრატიული ტენდენციების მატების შესახებ სახელისუფლებო შტოებში, განსაკუთრებით კი, სენატში. ანტიფედერალისტების აზრით, ასეთი არისტოკრატიული ბუნების საზოგადოება, დრო და დრო მეტად მკაცრად შერჩევითი ხდება, ხოლო კონსტიტუციის მთავარი მიზანი, ამ პროცესის (არისტოკრატიის დომინირების) შეჩერება უნდა იყოს.[29] ამასთან, საკამათო იყო პრეზიდენტის საარჩევნო კოლეგიის საშუალებით არჩევის წესიც, რისი საშუალებითაც, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის არჩევა არა მოქალაქეთა ხმების უმრავლესობის არამედ, ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო კოლეგიის წევრთა ნებაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. დამფუძნებელი მამების ზოგიერთი თანამედროვის აზრით, კონსტიტუციის ამგვარი განსაზღვრება, ეჭვქვეშ აყენებდა ამერიკელი ხალხის უმთავრეს მონაპოვარს, არჩევნების საყოველთაობის პრინციპს და ხელს უწყობს არისტოკრატთა ხელში ძალაუფლების კონცენტრაციას. მაგალითად, მერსი ოტის უორენის მოსაზრებით, ამერიკის სუვერენობა თუ იმისთვის შეიქმნა, რომ ადამიანს ჰქონდეს არჩევანის უფლება, რომელიმე შტატისთვის მხოლოდ ათი ამომრჩევლის ხმით შეზღუდვა და იმავე პროპორციის მიცემა სხვა შტატებისთვის, ხალხის ხმების შეზღუდვის ტოლფასია; ეს არის არჩევანის მიცემა მხოლოდ არისტოკრატთა ხუნტისთვის, რომელსაც ადვილად შეუძლია გაერთიანება, რათა შეერთებული შტატების ყოველ შტატში თავში მოაქციონ დესპოტური ძალაუფლების ყველაზე უფრო მოსახერხებელი ინსტრუმენტი.[30] სწორედ ასევე აყენებს ეჭვქვეშ არჩევნებში მონაწილეობის უფლების საკითხს #72-ე ანტიფედერალისტური წერილი, რომელშიც, როგორც ანონიმური ავტორი აღნიშნავს, „კონსტიტუციის მეორე მუხლის პირველი ნაწილი, აღმასრულებელი შტოს ხელმძღვანელად პრეზიდენტს მოიზარებს,

[29] Storing, 1981, p. 48

[30] ლევი შვაიკარტი, დეივ დოქერტი, მაიკლ ალენი, „პატრიოტთა ისტორიის მასალები“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2014, გვ. 143

რომლის არჩევაც ისეთი მეთოდით ხდება, რისი პირველი შემქმნელიც დიდი კონვენტი იყო. ამ მეთოდის მიხედვით, ამომრჩევლები ისეთ ადამიანს ირჩევენ, რომელთა შესახებაც არაფერი იციან. არადა, არჩეული ადამიანი არმიის უმაღლესი მთავარსარდალი და მრავალი სხვა უფლების მფლობელია. საჭირო და აუცილებელია კი, რომ ადამიანის ასეთი წმინდა მონაპოვარი, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, ელექტორების მეშვეობით, ეგზომ უმნიშვნელო გახდეს?"[31] ამ ნაწილში კარგად ჩანს, თუ რამდენად დაკნინებულია ანტიფედერალისტი ავტორის თვალში საარჩევნო უფლება, ელექტორების არსებობის შემთხვევაში. მეტიც, ამავე წერილში, იგი საარჩევნო კოლეგიის ზოგად ლეგიტიმურობასაც კი აყენებს ეჭვქვეშ, როდესაც წერს, „მე მთავრობის ან მისი რომელიმე შტოს მხოლოდ ერთ წყაროზე შემიძლია ვიფიქრო, და ეს არის ხალხი. მას და მხოლოდ მას აქვს უფლება განსაზღვროს შექმნის კანონს, აღასრულებს, გააკეთებს ორივეს ერთ კოლექტიურ ორგანოში თუ მოახერხებს მას ძალაუფლების გადაცემის მეშვეობით. თუ ხალხი ექვემდებარება რომელიმე ისეთ მმართველს, რომელიც მას უშუალოდ არ აურჩევია, მაშინ იგი ემორჩილება არალეგიტიმურ ხელისუფლებას."[32] როგორც უკვე აღვნიშნე, დაპირისპირების მნიშვნელოვანი საგანი იყო თავდაპირველ კონსტიტუციაში უფლებათა ბილის არარსებობა. ანტიფედერალისტები ამ საკითხზე მიუთითებდნენ, რომ კონსტიტუცია პირდაპირ უნდა ცნობდეს ტრადიციულ საპროცესო უფლებებს, რათა ადამიამენი დაცულები ყოფილიყვნენ უკანონო ჩხრეკისა და პატიმრობისგან, არ აგონ პასუხი არავითარ დანაშაულზე თუ იგი სასამართლოს მიერ არ არის გამოტანილი, არ გახდნენ სასტიკი და უჩვეულო სასჯელის მსხვერპლნი და სხვ. შესაბამისად, ყველაზე აქტუალური იყო სამი სახის უფლებების მიღება - კრიმინალური პროცედურების, აზრის თავისუფლებისა და პრესის თავისუფლების.[33] აქედან გამომდინარე, წინააღმდეგობა ფედერალური მთავრობისა და კონსტიტუციის მომხრეთა მიმართ საკმაოდ მწყობრი, კონსტრუქციული და ალბათ საფუძვლიანიც იყო. შესაბამისად,

[31] ანტი-ფედერალისტური წერილი #72, გამოქვეყნებული ანონიმურად, გაზეთში, The Kentucky Gazette, 1788 წლის 1 მარტს, ხელმისაწვდომია აქ: https://thefederalistpapers.org/antifederalist-paper-72?fbclid=IwAR354qC1Lj2DGS4A37ETlak_FyrqpSfV2A7AKUTnIBHDaRym93ymDynNSkA (გადამოწმების თარიღი, 5 თებერვალი, 2023)

[32] იქვე, ხელმისაწვდომია აქ: https://thefederalistpapers.org/antifederalist-paper-72?fbclid=IwAR354qC1Lj2DGS4A37ETlak_FyrqpSfV2A7AKUTnIBHDaRym93ymDynNSkA (გადამოწმების თარიღი, 5 თებერვალი, 2023)

[33] Storing, 1981, p. 60

ნაშრომის დარჩენილ ნაწილში მოვიყვან იმ არგუმენტებს რაც ფედერალისტებს ჰქონდათ ცენტრალური მთავრობის შექმნის სასარგებლოდ და იმ კომპრომისებს, რომლის საფუძველზეც ეს თავდაპირველად არც თუ ისე განჭვრედატი და მყარი ერთობა შედგა.

ზემოთ მოყვანილი დავების აღმოსაფხვრელად ფედერალური მთავრობის უპირატესობათა ჯეროვნად მტკიცება იყო საჭირო, რისთვისაც, ფედერალისტებს საკმაოდ ბევრი გარჯა დასჭირდათ. ზოგადად რომ მიმოვიხილოთ, ფედერალური სისტემა ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც სახელმწიფოს ფორმირებისთვის დამახასიათებელი უნიკალური მოვლენაა, რომელიც თავდაპირველად ექსპერიმენტალურად წარიმართა, თუმცა, თითქმის 250 წლიანი წარმატებული მმართველობის გამოცდილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ექსპერიმენტმა გაამართლა. თუმცა, ფედერალისტური წესრიგის ჩამოყალიბება, შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის მოპოვებისას თვითმიზანს არ წარმოადგენდა. მეტიც, ფედერალიზმის წარმოშობა ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის, არა ტექნიკურ-სამართლებრივი, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო. საქმე იმაში იყო, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 13-მა შტატმა შექმნა საკმაოდ მყიფე ერთობა, რომელიც დაეფუძნა 1781 წლის კონფედერაციის მუხლებს, რომელმაც ბევრი ვერაფერი შექმნა მუდმივი კრიზისული ვითარებების გარდა, რაც ალბათ ბუნებრივიც იყო, ქმედითი აღმასრულებელი და სასამართლო შტოების არსებობის გარეშე. კონფედერაციას ჯეროვნად გადასახადების შეგროვებისა და შტატებს შორის შავაჭრო შეთანხმებების დაცვაც კი არ შეეძლო. „ადგილი ჰქონდა ვალუტების სიმრავლეს, იბეგრებოდა შტატებს შორის იმპორტი და ამ ყველაფერმა, საბოლოოდ „შეის აჯანყების“ სახელით ცნობილ მოვლენასაც კი მისცა ბიძგი.“[34] შესაბამისად, ფედერალიზმი თავდაპირველად პრობლემების გადაწყვეტის ერთგვარ გზად იქნა აღქმული, მაგრამ პირველ ეტაპზე, კრიზისული ვითარების მიუხედავად, „ფედერალური მთავრობის იდეა იმდენად სუსტი იყო, რომ 1787 წლის კონსტიტუციური კონვენტის მიზანი „კონფედერაციის მუხლების“ გადახედვა იყო და არა ერთიანი ფედერალური მთავრობის შექმნა“.[35] აღნიშნული ისტორიული

[34] The Constitution of the United States with Explanatory Notes, World Book, 2004, p. 6
[35] ბარნოვი, 2017, გვ. 135

მოცემულობა კიდევ ერთხელ ამყარებს ნაშრომის პირველ თავში მოყვანილ ფაქტებსა და ვარაუდს ერთიანი სახელმწიფოს შექმნის მიმართ სხვადასხვა შტატების ნაკლებ მზაობასთან დაკავშირებით. „თუმცა, კონვენტზე გამოჩნდნენ ადამიანებიც, რომლებიც ძლიერ ეროვნულ მთავრობას და კონფედერაციის მუხლების სრულ რეფორმას მოითხოვნენ. „ამ იდეას ორი ამერიკელი - ვირჯინიელი პლანტატორი ჯეიმს მედისონი და ნიუ იორკელი იურისტი, ალექსანდრე ჰამილტონი ხელმძღვნალობდნენ“.[36] ამ საქმეში წვლილი შეიტანა ჯონ ჯეიმ, რომელიც სწორედ ფედერალისტური წერილების თანაავტორია.

ჯონ ჯეი ფედერალისტური წერილების დასაწყისშივე ასაბუთებდა ცენტრალური მთავრობისა და მისი სიძლიერის აუცილებლობას მრავალ სხვა მიზეზთან ერთად, საგარეო გამოწვევების გადაწყვეტით. კონკრეტულად, ჯეი აცნობიერებდა იმდროინდელი ამერიკის შეერთებული შტატების გარშემო არსებულ ევროპულ ძალებს, მათ შორის, სამხრეთში არსებულ ესპანეთის კოლონიებს, რომელთაც, შესაძლოა ასევე მოსურვებოდათ დამოუკიდებლობა. შესაბამისად, ამ სხვადასხვა სუბიექტებთან კონფრონტაციას ძლიერ მოსალოდნელად თვლიდა, რის გამოც, ყოფილი ინგლისური კოლონიების ერთიანობას მიიჩნევდა აუცილებლად. მესამე ფედერალისტურ წერილში ჯეი წერდა, „ესპანეთისა და ბრიტანეთის სამფლობელოთა სიახლოვე, რომელთაც ზოგიერთი შტატი ესაზღვრება კიდეც, შეიძლება ჩვენი მესაზღვრე შტატების მათთან წაჩხუბების მიზეზად იქცეს. ასეთი შტატები მართალია ცოტაა, მაგრამ ძალზე დიდია ალბათობა იმისა, რომ მათ უეცარმა სიბრაზემ წამოუაროთ, დაუფარავმა სიხარბემ დარიოთ ხელი, ანდა შეურაცხყოფილად იგრძნონ თავი; ამის გამო კი აშკარა ძალმომრეობაზე გადავიდნენ და ამ სახელმწიფოებს ომი აუტეხონ. ამგვარ საშიშროებას უფრო ეფექტურად ვერავინ აგვაშორებს თავიდან, თუ არა ნაციონალური მთავრობა, რომლის სიბრძნესა და კეთილგონიერებასთან ხელი არა აქვს იმ ვნებებს, რომელიც უშუალოდ დაინტერესებულ მხარეებს საომარად აღაგზნებს.“[37] როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონფედერაციის მუხლების მოქმედებამ და დამოუკიდებლობისთვის ომის პირობებში არეფექტიანმა კომუნიკაციამ ფედერალისტებს არგუმენტი გაუჩინა უფრო მოქნილი

[36] მეძმარიაშვილი, 2019, გვ. 136

[37] ჯონ ჯეი, ფედერალისტი #3, ხელმისავწდომია აქ: http://federalistpapers.ge/federali3.php

აღმასრულებელი ხელისუფლების აუცილებლობის შესახებ. სწორედ ამიტომ, ჯონ ჯეი წერდა, რომ „ერთიან მთავრობას ძალუძს, უფრო იოლად და სწრაფად მოუყაროს თავი რესურსებსა და ძალებს, რათა დაიცვას ქვეყნის ცალკეული მხარე, ვიდრე ამას შეძლებდა გათითოებული შტატების მთავრობები, ანდა რამდენიმე ცალკე კონფედერაცია, რომელთა შორის არ იქნებოდა თანხმობა და არც მოქმედების ერთიანი სისტემა ექნებოდათ. ერთიან მთავრობას შეუძლია, იყოლიოს დისციპლინირებული ლაშქარი, რომლის ოფიცრებიც პირდაპირ დაემორჩილებიან უმაღლეს ხელისუფლებას. ეს იქნება ერთიანი ჯარი, რომელსაც ექნება უფრო მეტი ძალა, ვიდრე აქვს ცამეტი გათითოებული შტატისა თუ სამი, ანდა ოთხი კონფედერაციის მხედრობას.[38]

იმისათვის რომ დავასკვნათ, თუ რა სახის ერთობის ჩამოყალიბების შეთავაზება დაისახეს მიზნად ფედერალისტებმა უნდა გავიაზროთ, რომ „ფედერაციის სუბიექტი არ არის სახელმწიფო, იგი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია“.[39] სწორედ სახელწმიფოსა და ფედერალურ ერთეულს შორის უფლებამოსილებათა გადანაწილების მომენტი ქმნის ფედერალიზმის უნიკალურობას. როგორც მოსამართლე ენტონი კენედიმ აღნიშნა, „ფედერალიზმი ჩვენი ერის აღმოჩენაა. დამფუძნებლებმა სუვერენიტეტის ატომი ორად გახლიჩეს. ამ გადაწყვეტილების გენიალობა იმაშია, რომ ჩვენს მოქალაქეებს ორგვარი პოლიტიკური უნარიანობა წარმოეშვათ, ერთი შტატების, ხოლო მეორე ფედერალური. რაც მთავარია, თითოეული მათგანი ერთმანეთის ჩარევისგან დაცულობის პირობებში“.[40] ფედერალიზმი თავის თავში იმთავითვე შეიცავს დემოკრატიულ ელემენტებს, როგორიცაა დეცენტრალიზაცია - ძალაუფლების ცენტრისგან დამოუკიდებელი ადმინისტრაციული პოლიტიკის წარმოება, დეკონცენტრაცია - ადგილობრივი ერთეულებისთვის უფლებამოსილებების გადაცემა და სუბსიდიარობა - მმართველობის განხორციელება მაქსიმალურად ქვედა დონეზე. აღნიშნული პრინციპები თანამედროვე ეფექტიანი მმართველობის მთავარი ნიშნებია, რაც, თავის დროზე ჯეროვნად იქნა აღქმული ამერიკელი ახალმოსახლეების მიერ. „სწორედ

[38] ჯონ ჯეი, ფედერალისტი #4, ხელმისავწდომია აქ: http://federalistpapers.ge/federali4.php
[39] გიორგი ხუბუა, „ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი“, თბილისი, 2000, გვ. 356
[40] Alison L. LaCroix, „The Ideological Origins of American Federalism“, Harvard University Press, 2010, p. 5

ამიტომ, ფედერალიზმი და დემოკრატია ერთგვარად ავსებენ ერთმანეთს. როგორც დემოკრატიას, ასევე ფედერაციულ სახელმწიფოს სურს პიროვნების ინდივიდუალურ შესაძლებლობათა მაქსიმალური რეალიზაცია“.[41] {…} „დემოკრატია უფრო სრულყოფილად რეალიზდება ფედერალურ, ვიდრე მართვის ცენტრალიზებულ სისტემებში. ანიჭებს რა ტერიტორიულ ერთეულებს განსაზღვრული სახელმწიფო ფუნქციების განხორციელების უფლებამოსილებას, ფედერალიზმი შესაძლებლობას იძლევა თავიდან ავიცდინოთ ძალაუფლების კონცენტრაცია“.[42] ეს იმიტომ, რომ „შტატებს უკეთ შეუძლიათ თავიანთი მოქალაქეების ინტერესების დაცვა, ვიდრე ფედერალურ მთავრობას. ხოლო ადგილობრივი ადმინისტრაციები კიდევ უფრო უკეთ წყვეტენ პრობლემებს, რადგან ისინი, ადგილობრივ თემებთან უფრო ახლოს არიან და ასევე, მიღებული გადაწყვეტილებები მათზე უშუალოდ აისახება“.[43] სწორედ ამიტომ, დამფუძნებელმა მამებმა ფედერალური მთავრობის უფლებამოსილებას მხოლოდ შეზღუდული საკითხები მიაკუთვნეს, როგორებიც არის ეროვნული უსაფრთხოება, იმიგრაცია, ვალუტის მიმოქცევა, გადასახადის აკრეფა მთავრობის ფუნქციონირებისთვის, საგარეო ურთიერთობები, შტატებს შორის წარმოშობილი კონფლიქტების გადაწყვეტა და სხვა კონსტიტუციით განსაზღვრული საკითხები. „ყველა დანარჩენ შემთხვევაში, შტატებს უნდა შეენარჩუნებინათ მმართველობითი თუ ადმინისტრაციული უფლებამოსილება“.[44]

როგორც უკვე აღვნიშნე, ფედერალიზმის მთელი იდეა ფედერალურ ცენტრსა და ფედერალურ სუბიექტებს შორის ძალაუფლების გადანაწილება და გამიჯვნაა ისე, რომ როგორც ერთი სუბიექტის, ასევე კავშირის უფლებები მაქსიმალურად იყოს დაბალანსებული. სწორედ ამ მსჯელობის პრაქტიკული განმტკიცება იყო, რასაც კონსტიტუციის ავტორები და ფედერალისტები დაუღალავად ცდილობდნენ. მისი ერთ-ერთი ნაწილი, მაგალითად, არჩევნების საკითხის რეგულირებაა. არჩევნები ფედერალიზმისთვის იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც, ფედერაციის ყველა სუბიექტმა, თითოეულმა შტატმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ცენტრალური მთავრობის ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, არჩევნების წესი საკვანძო და გადამწყვეტი

[41] ხუბუა, გვ. 181
[42] ხუბუა, გვ. 181
[43] Mark Levin, Liberty and Tyranny, “A Conservative Manifesto”, New York, 2009, p. 50
[44] იქვე, p. 49

იყო იმის დასადგენად, თუ როგორ შეიტანდა წვლილს ცენტრალური მთავრობის ფორმირებაში სხვადასხვა შტატების ხალხი. ამასთან, როგორც ვიცით, შტატების მთავარი წინააღმდეგობა სწორედ ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების არსებობა იყო, სხვა შტოების ძალაუფლების შემცირების ხარჯზე, აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საკითხს, თუ როგორ აირჩევდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელს.

საგულისხმოა პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებული, ფედერალისტების შემოთავაზებული წესი. ამ საკითხს დამფუძნებელი მამების, ამ შემთხვევაში ფედერალისტებისთვის პოლიტიკურ-ფილოსოფიური წინაპირობა ჰქონდა. უფრო ზუსტად, „თანამედროვე შეხედულებებისგან განსხვავებით, დამფუძნებელი მამების თაობა პირდაპირი დემოკრატიის ჩამოყალიბებას, ერთსულოვნად არ უჭერდა მხარს“.[45] ისინი მე-17 საუკუნის ბრიტანული რესპუბლიკანიზმის მემკვიდრეები იყვნენ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მონარქიას, სამხედრო დიქტატურას და იძულებით მმართველობას, თუმცა ჰქონდათ რწმენა, რომ ხელისუფლების წყარო ხალხია. „დამოუკიდებლობის დეკლარაციის სულისკვეთებისა და დამფუძნებელთა შორის მისი იდეების პოპულარობის მიუხედავად, ისინი ხალხის პირდაპირ მონაწილეობას მმართველობაში სახიფათოდ მიიჩნევდნენ და აუცილებლად თვლიდნენ ამგვარად წარმოშიბილი ძალაუფლების შეზღუდვას. დამფუძნებლები, თომას ჰობსის და ჟან კალვინის მსგავსად, სკეპტიკურად უყურებდნენ ადამიანის ბუნებას და მათ პირადი ინტერესების ატომებს უწოდებნენ“.[46] {...} ეს იმიტომ, რომ ისინი პრაქტიკოსი ადამიანები იყვნენ, რომლებიც ხალხს აკვირდებოდნენ სავაჭრო ადგილებში, საკანონმდებლო დარბაზებში, სასამართლოებში და ბრძოლის ველზე. ამიტომ, ამ გამოცდილებამ ისინი ადამიანთა სისუსტეში დაარწმუნა და სახალხო მმართველობის მიმართ უნდობლობა გაუჩინა.[47] როგორც ალექსანდრე ჰამილტონი თავისი #68 ფედრალისტური წერილის დასაწყვისშივე აღნიშნავს, „წესი, რომლის მიხედვითაც თავის პოსტზე შეერთებული შტატების უმაღლესი თანამდებობის პირი ინიშნება, ალბათ, ერთადერთი ნაწილია სისტემისა, რომელიც მკაცრ დაგმობას გადაურჩა. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ მას ოპონენტთა ოდნავი მოწონებაც კი ერგო

[45] Levin, 2009, p. 3
[46] John F. Bibby, „Governing by Consent“, Congressional Quarterly Inc., Washington D.C., 1992, p. 44
[47] იქვე, p. 44

წილად“.[48] თუმცა, ცალკეული მკვლევარის მოსაზრებით, ჰამილტონის სიტყვები, უშუალოდ კონსტიტუციური კონვენტის სამართლიანი აღწერა ნამდვილად არ არის. კერძოდ, 1787 წელს, ფილადელფიაში მიწვეულმა კონვენტმა, პრეზიდენტის შერჩევის მექანიზმი, მრავალი ფაქტორის დაბალანსების ხარჯზე მიიღო. „ეს ფაქტორები იყო დაპირისპირება დიდ და პატარა შტატებს შორის, ნაციონალიზმისა და ფედერალიზმის წინააღმდეგობა (იგულისხმება შტატები და ფედერალური მთავრობა, ატვ.), დაპირისპირება ჩრდილოეთისა და სამხეთის შტატებს შორის და სხვ.“[49] აქედან გამომდინარე, როგორც ეს კონსტიტუციის უმეტეს პუნქტს ეხება, შეგვიძლია აქაც ვივარაუდოთ, რომ საარჩევნო კოლეგიის სისტემაც, დიდწილად სწორედ კომპრომისებს ემყარებოდა. „თავდაპირველ ეტაპზე, პრეზიდენტის არჩევის საკითხი, ნამდვილად გახდა მწვავე დებატების საგანი. კონვენტმა ხუთჯერ დაუჭირა მხარი პრეზიდენტის კონგრესის მიერ დანიშვნას, ხოლო ერთხელ ამის წინააღმდეგ მისცა ხმა. ერთხელ მიემხრო მის არჩევას შტატის წარმომადგენლების მიერ დანიშნული კოლეგიის წევრების მეშვეობით, ხოლო ორჯერ ამის წინააღმდეგ წავიდა“.[50] {...} ჯეიმს მედისონი პირდაპირი არჩევნების წინააღმდეგი დარჩა, რასაც იმით ხსნიდა, რომ ხალხი მხარს თავისი შტატის წარმომადგენელს დაუჭერდა, რასაც, შესაძლოა, პატარა შტატები წამგებიან მდგომარეობაში დაეტოვებინა.[51] თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ საარჩევნო კოლეგიის თავდაპირველი რედაქციის რაციონალიზაციის საუკეთესო წყარო, სწორედ ალექსანდრე ჰამილტონის #68 ფედერალისტური წერილია. „ჰამილტონის მიერ ჩამოყალიბებულ მოსაზრებებში კარგად ჩანს მისი და სხვა დამფუძნებლების მიდრეკილება ელიტიზმისკენ“.[52] მათთვის მისაღებია, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურის არჩევის მომენტში, გამოცდილმა და გამჭრიახმა ადამიანებმა მიიღონ. ეს იკვეთება ჰამილტონის ფრაზაში - „ასევე სასურველია ისიც, რომ პრეზიდენტს უშუალოდ ის ადამიანები ირჩევდნენ, რომელთაც ყველაზე უფრო ხელეწიფებათ სათანადო

[48] ალექსანდრე ჰამილტონი, ფედერალისტი #68, ხელმისაწვდომია აქ: http://federalistpapers.ge/federali68.php
[49] John Yoo, “A Defense of the Electoral College in the Age of Trump”, Pepperdine Law Review, Vol. 46: 4, 2019, p. 125
[50] Catherine Drinker Bowen, “Miracle at Philadelphia; the story of the Constitutional Convention, May to September, 1787”, Boston, Little, Brown, 1966, p. 189
[51] იქვე, p. 190
[52] Saul Padover, “The Genius of American”, First Edition, “McGraw-Hill Book Company, Inc.”, USA, 1960, p. 50

თვისებების შერჩევა და მდგომარეობისადმი მათი მისადაგება. მათ უნარი შესწევთ განხილვისთვის ხელშემწყობ გარემოებებში იმოქმედონ და გონივრულად შეუხამონ ერთმანეთს სხვადასხვა მიზეზი და მოტივი, რანიც არჩევანის პროცესს მართებულად წარმართავენ. რამდენიმე პირი, რომელსაც თანამოქალაქეები მოსახლეობის ფართო ფენებიდან ირჩევენ, უფრო ადვილად მოიძიებენ ცნობებს და სათანადო გამჭრიახობას გამოიჩენენ, რაც ძალზე საჭიროა ესოდენ რთული გამოძიების საწარმოებლად“.[53] როგორც იგი აღნიშნავს, „განსაკუთრებით ერთ რამეს უნდა ვესწრაფოდეთ. იმას, რომ რამდენადაც შესაძლებელია თავიდან ავიშოროთ შფოთი და არეულობა. მაგრამ ეს როდია ერთადერთი ბოროტება, რომელსაც უნდა ვუფრთხოდეთ ისეთი თანამდებობის პირის არჩევისას, როგორიც შეერთებული შტატების პრეზიდენტია. ის ხომ ესოდენ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის მართვაში! მაგრამ, საბედნიეროდ, შემოთავაზებული სისტემა სიფრთხილის ისეთ ზომებს შეიცავს, რომლებიც საწინდარია იმისა, რომ მსგავსი საფრთხეებისგან საიმედოდ ვიქნებით დაცულნი“.[54] გამოდის, რომ საარჩევნო კოლეგიის ფუნქცია არამხოლოდ სანდო და სიბრძნით გამორჩეული ადამიანების მიერ პრეზიდენტის შერჩევაში მდგომარეობს, არამედ, იგი ერთგვარი სტაბილურობის გარანტია. გარდა ამისა, აშშ-ის პირველი ფინანსთა მდივანი ხაზს უსვამს პოლიტიკოსების შესაძლო არაკეთილსინდისიერ მოქმედებებს და ამბობს, რომ ფედერალისტური პრინციპი არასანდო კანდიდატების გაცხრილვის კარგი საშუალებაა. „შეიძლება, მავანს საკმარისი უნარი აღმოაჩნდეს საიმისოდ, რომ მდაბალ ხრიკებს მიმართოს და ინტრიგები ხლართოს. ამ გზით შესაძლოა, მან პატივიც მოიმკოს და აღზევდეც კიდეც რომელიმე შტატში, მაგრამ საქმე ის არის, რომ მთელი კავშირის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის პატივისცემისა და ნდობის მოსაპოვებლად სხვა ნიჭი და სხვა ღირსეული თვისებებია აუცილებელი.“[55] სწორედ ამ დადებით მხარეს უსვამენ ხაზს თანამედროვე მკვლევარებიც, რომლებიც თვლიან, რომ კონსტიტუციით დადგენილი „კოლეგიის პრინციპი აიძულებს კანდიდატს, რომ ქვეყნის ყველა შტატის ამომრჩევლის ინტერესი გაითვალისწინოს და დაარწმუნოს

[53] ალექსანდრე ჰამილტონი, ფედერალისტი #68, ხელმისაწვდომია აქ: http://federalistpapers.ge/federali68.php
[54] იქვე
[55] იქვე

ისინი, რომ სწორედ ის იქნება მათი ღირსეული წარმომადგენელი“.[56] ეს იმიტომ, რომ „პრეზიდენტის არჩევის ჩარჩოს თავად ფედერალიზმი განსაზღვრავს“.[57] „იმის მიუხედავად, რომ იგი ეროვნულ დონეზე არჩეული ფიგურაა, რომელიც მთელ ქვეყანას წარმოადგენს, ამომრჩეველთა შერჩევის პრინციპს თითოეული შტატის მონაწილეობა განსაზღვრავს“.[58] „კოლეგიის წევრთა შერჩევის პროცესი შტატების ინტერესთა დასაცავად იქნა მიღებული, ისე, რომ თითოეულ შტატს, ცალცალკე მიეღო მონაწილეობა აღმასრულებელი ორგანოს შერჩევაში“.[59] 1787 წლის კონსტიტუციურ კონვენტზე, დამფუძნებელ მამებს შორის არსებობდა შიში, რომ აღმასრულებელი ორგანოს არჩევა, შტატების მნიშვნელოვანი ჩარევის გარეშე მოხდებოდა. ამასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრიც წარმოიშვა, რომელსაც ჯეიმს უილსონი იზიარებდა. იგი ხალხის მიერ პირდაპირი საარჩევნო უფლების საშუალებით პრეზიდენტის არჩევას ემხრობოდა.[60] „იგივე მოსაზრება ჰქონდა დენიელ ქეროლსაც რაც დასაწყისშივე უარყოფილი იქნა“.[61] მათ შემოთავაზებას ეწინააღმდეგებოდა ჯონ დიკინსონი, რომელიც შტატების უფრო მაღალ მონაწილეობას უჭერდა მხარს პრეზიდენტის შერჩევის პროცესში. დიკინსონის აზრით, „პირდაპირი საარჩევნო უფლების დადგენის შემთხვევაში, შტატების დამოუკიდებელი მთავრობების ზოგად პრინციპს შეიძლებოდა შექმნოდა საფრთხე“.[62] ამასთან, დამფუძნებლებმა უარი თქვეს პრეზიდენტის არჩევაზე კონგრესის მიერ, რადგან მათ არ სურდათ იგი საკანონმდებლო ორგანოს მსახური გამხდარიყო (Subservient of Congress) და მისი ინტერესები გაეტარებინა. ამ განსხვავებული მკვლევარების მოსაზრებები აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის არჩევის წესთან დაკავშირებით, ვფიქრობ ზედმიწევნით გვიჩნევებს თუ როგორ გამოიხატა პირდაპირი დემოკრატიისა და შტატების თანამონაწილეობის ბალანსი შერჩევის პროცესში. აღნიშნული

[56] Tara Ross, “The Electoral College: Enlightened Democracy”, The Heritage Foundation, 2004, ხელმისავწდომია აქ: https://www.heritage.org/the-constitution/report/the-electoral-college-enlightened-democracy
[57] Derek Muller, „Invisible Federalism and the Electoral College,” Arizona State Law Journal, Vol 44, (2012), p. 1251
[58] Herbert Wechsler, „The Political Safeguards of Federalism: The Role of the States in the Composition and Selection of the National Government,” 54 Columbia Law Review, (1954), p 543
[59] Muller, 2012, p. 1251
[60] Matt Riffe, „James Wilson, Popular Sovereignty, and the Electoral College“, https://constitutioncenter.org/blog/james-wilson-popular-sovereignty-and-the-electoral-college
[61] Merril Jensen, “The Making of the American Constitution,” Robert E. Krieger Publishing Company, Malabar, Florida, 1958, p. 107
[62] Max Farrand, „The Records of the Federal Convention of 1787, vol. 1”, p. 2, ხელმისაწვდომია აქ: https://oll.libertyfund.org/titles/farrand-the-records-of-the-federal-convention-of-1787-vol-1

არგუმენტები და გამოხატულებაა იმისა, თუ რა სახის დაპირისპირება და იდეათა ბრძოლა გაიარეს შტატებმა პრეზიდენტის ინსტიტუტზე მნიშვნელოვანი კონტროლის მოსაპოვებლად. მათი ძირითადი ამოსავალი ხომ ის იყო, რომ შედარებით მრავალრიცხოვანი მოქალაქეებით დასახლებულ შტატებს, დანარჩენი შტატებისთვის თავიანთი კანდიდატის თავს მოხვევის საშუალება არ ჰქონოდათ? როგორც სტივენ ფორბსმა ბრძნულად შენიშვნა, „სწორედ ეს არის ამერიკული სისტემის გამორჩეული მახასიათებელი პრეზიდენტის არჩევის ნაწილში, რამეთუ მისი პროპონენტები, შტატთა შორის ბალანსს უპირატესად თვლიან, ვიდრე მოქალაქეთა ხმების საერთო რაოდენობას. პრეზიდენტის პირდაპირი პოპულარული არჩევა მიწასთან გაასწორებდა ამ პოლიტიკურ ეკოსისტემას, რომელიც უნიკალურადაა მორგებული ამერიკაზე“.[63]

მიუხედავად ცენტრალური მთავრობის საჭიროების ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისა, ვფიქრობ, შეერთებული შტატების სენატი, ფედერალური სისტემის ყველაზე ნიშანდობლივი მახასიათებელია, რომელიც სისტემის ბუნებასთან ერთად ასევე გვიჩვენებს კომპრომისების ხელოვნებასა და კულტურას. პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს მისი არჩევის წესი. კონსტიტუციის მიხედვით, „შეერთებული შტატების სენატი შედგება ორ-ორი სენატორისაგან თითოეული შტატიდან, რომლებსაც ირჩევენ ექვსი წლის ვადით ამ შტატების საკანონმდებლო დაწესებულებები.“[64] თუმცა, ეს უკვე ერთ საუკუნეზე დიდი ხნის წინ, მე-17 შესწორების შედეგად გაუქმებული მუხლია. ვფიქრობ, სენატის არჩევის თავდაპირველი ვარიანტის ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ საარჩევნო კოლეგიის მსგავსად, სახალხო სუვერენიტეტის იდეის მიმართ შიშია. ეს იმიტომ, რომ დამფუძნებელ მამებს სურდათ, სენატის ხელში არსებული ძალაუფლება ისე ყოფილიყო გამოყენებული და განხორციელებული, რომ მისთვის ხელი არ შეეშალა გამუდმებულ წნეხს მასებისგან.[65] ვიდრე ამ საკითხის ფართოდ განხილვაზე გადავალ, დავუბრუნდები სენატის დაკომპლექტების წესს, რა ნაწილშიც, შეუძლებელია არ

[63] სტივ ფორბსი - „როგორ ვუშველოთ აშშ-ის პოლიტიკას“, ხელმისაწვდომია აქ: https://forbes.ge/news/8205/rogor-vuSveloT-aSSis-politikas-?fbclid=IwAR3_b0NLwSDsRu2zLXB8nAIU-GQv9mVReckeJaveJO3ag5moOgswbUzOSJg

[64] ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, პირველი მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება, მთარგმნელები: არჩილ კობალაძე, სანდრო ბარამიძე, თბილისი, 1993

[65] სენატის ციფრული ბიბლიოთეკა, „Direct Election of Senators“, ხელმისაწვდომია აქ: https://www.senate.gov/artandhistory/history/common/briefing/Direct_Election_Senators.htm

ვახსენოთ დიდი კომპრომისი,[66] რაც მოიაზრებდა თითოეული შტატიდან ორ-ორი სენატორის არჩევას და კონგრესის ზედა პალატის ამ ფორმით დაკომპლექტებას. თუმცა, აღნიშნულ შეთანხმებამდე მისვლას ბევრი დრო და ვრცელი დისკუსია დასჭირდა. კონვენტზე შეთავაზებული **ვირჯინიისა** და **ნიუ-ჯერსის** გეგმების დამტკიცება არ მოხერხდა, რომელთაგან პირველი დიდი შტატების მიერ იყო წამოყენებული, ხოლო მეორე პატარა შტატების. „ვირჯინიის გეგმის მიხედვით, სენატი ქვედა პალატის მიერ უნდა დაკომპლექტებულიყო, რაც ხელს შეუწყობდა დიდ შტატებს გავლენა მოეხდინათ სენატზე, რამდენადა, დიდ შტატებს მოსახლეობის პროპორციულად, ბევრი წარმომადგენელი ეყოლებოდათ“.[67] „ამის შესახებ კარგად მოეხსენებოდათ პატარა შტატებს, რომლებიც, ნიუ-ჯერსის გეგმით ცდილობდნენ დაეტოვებინათ კონფედერაციის მუხლების შედეგად მიღებული წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც მონოკამერული, ერთპალატიანი იყო და კომპლექტდებოდა თანაბარი წარმომადგენლობით“.[68] თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, საბოლოოდ დიდ კომპრომისზე გაკეთდა არჩევანი, ხოლო მის შესაბამისად დაკომპლექტებული ქვედა პალატა და თანაბარი წარმომადგენლობის სენატი, აშკარა გარანტია ყველა შტატის უფლების თანაბარი დაცვისა. ის ასევე, წარმოადგენს ერთგვარ შემაკავებენ მექანიზმს დიდი შტატების საწინააღმდეგოდ, რათა მიკერძოებულად არ მიიღონ მხოლოდ მათთვის სასარგებლო ფედერალური კანონმდებლობა. სენატის თანაბარი წარმომადგენლობის აქტიური გამხმოვანებლები და ლობისტები ფედერალისტები, ალექსანდრე ჰამილტონი და ჯეიმს მედისონი იყვნენ. ჯეიმს მედისონის მიხედვით, არავითარ განმარტებას არ საჭიროებს ის, რომ ეს საკითხი მსხვილი და წვრილი შტატების მოთხოვნათა შორის აშკარა კომპრომისის საფუძველზე გადაწყდა. „ქვეყანაში, რომლის ხალხი ერთ ერად არის შეკრული, ყოველი ოლქის წარმომადგენლობა მისი მოსახლეობის პროპორციული უნდა იყოს. რაც შეეხება დამოუკიდებელი და სუვერენული შტატების ლიგას, მასში გაერთიანებული ყველა მონაწილე, მიუხედავად მისი ზომისა, თანაბრად უნდა იყოს წარმოდგენილი საერთო საბჭოებში. თუ ყოველივე ეს სწორია, მაშინ გონივრულია ის, რომ შერეულ რესპუბლიკაში, რომელიც როგორც საერთო – ეროვნულ, ისე

[66] Bibby, 1992, p. 45
[67] Bibby, 1992, p. 45
[68] იქვე, p. 45

ფედერალურ განზომილებებს აერთიანებს, ხელისუფლება პროპორციული და თანაბარი წარმომადგენლობის ნაზავ პრინციპს ეფუძნებოდეს“ [მედისონი 1788].[69] ჯეიმს მედისონი აქვე აღნიშნავს, რომ „შეუძლებელია, წვრილი შტატებისთვის მისაღები სახელისუფლებო სისტემა იმ პრინციპებზე ავაგოთ, რომელნიც უფრო მსხვილი შტატების ინტერესებს ეთანაზომიერებიან.“[70] ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ თითოეული შტატისთვის თანაბარი საარჩევნო ხმის მინიჭება იმ სუვერენიტეტის კონსტიტუციურ აღიარებას მოასწავებს, რომელიც შტატებს ინდივიდუალურად რჩებათ. „იგი, იმავდროულად, ის ინსტრუმენტიცაა, რითაც თითოეული მათგანი ნარჩენ სუვერენიტეტს განიმტკიცებს. ამ თვალსაზრისით, სენატში წარმომადგენლობის მხრივ თანასწორობა მისაღები უნდა იყოს როგორც მსხვილი, ისე წვრილი შტატებისთვის. ეგ იმიტომ, ერთნიც და მეორენიც გაფაციცებით ეძებენ იმ საშუალებას, რომელიც ქვეყანას უნიტარულ რესპუბლიკად ჩამოყალიბებისგან დაიცავდა.“[71] ჯეიმს მედისონის დასაბუთებით გამოდის, რომ სენატის არჩევნების ასეთი მოწესრიგება არამხოლოდ პატარა შტატებისთვისაა კარგი, არამედ ყველასთვის, რამდენადაც, პატარა შტატები დაკმაყოფილდებიან სუვერენიტეტის გარკვეული პორციით, რაც, მათ კავშირში დარჩენის მოტივაციას მისცემს. შესაბამისად, დიდმა შტატებმაც მხარი უნდა დაუჭირონ ასეთ კომპრომისს. „გარდა ამისა, სენატის აგებულება კიდევ ერთი უპირატესობით ხასიათდება: იგი დამატებით დაბრკოლებას ქმნის, რომელმაც თავიდან უნდა აგვაშოროს საკანონმდებლო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. ამიერიდან ნებისმიერი კანონის მიღება, ჯერ ერთი, ხალხის ფართო ფენების თანხმობით მოხდება, და მეორეც, საამისოდ აუცილებელი იქნება შტატების უმრავლესობის თანხმობა. უნდა ვაღიაროთ, რომ საკანონმდებლო ხელისუფლების ამგვარი შეზღუდვა ზოგჯერ იმდენადვე საზიანო იქნება, რამდენადაც სასარგებლოა. ზემოაღნიშნული პრინციპი მოწოდებულია საიმისოდ, რომ წვრილი შტატების განსაკუთრებული ინტერესები დაიცვას.“[72] უნდა ითქვას, რომ ჯეიმს მედისონი აქ იმდენად საყურადღებო საკითხზე საუბრობს, რომ მისი პრაქტიკაში განხორციელება არაერთხელ მომხდარა და დღემდე ერთ-ერთ ძირითად ნაწილს

[69] ჯეიმს მედისონი, ფედერალისტი #62, ხელმისავწდომია აქ: http://www.federalistpapers.ge/federali62.php
[70] Bibby, 1992, p. 45
[71] Bibby, 1992, p. 46
[72] იქვე, p. 46

წარმოადგენს შეერთებული შტატების საკანონმდებლო თუ პოლიტიკურ პროცესში. საქმე ის არის, რომ თუკი დიდი შტატები შეძლებენ და წარმომადგენელთა პალატაში მიღებული უმრავლესობის გამო ფედერალურ კანონს შეიმუშავებენ, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძალაუფლების უზურპაციას უმრავლესობის მხრიდან, უმცირესობათა საწინააღმდეგოდ. სენატი, გარდა შტატების სუვერენულობის გარანტიისა, სწორედ ერთგვარ შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს, რათა თავიდან იქნას აცილებული ძალაუფლების გადაჭარბებისკენ მიმართული კანონმდებლობა. როგორც მედისონი აღნიშნავს, სენატი, რომელიც საკანონმდებლო კრების უმაღლესი პალატაა და ქვედა პალატასთან საზიარო უფლებამოსილებათა გარდა, მისგან განსხვავებული პრეროგატივებითაცაა აღჭურვილი, მოწოდებულია, შემაკავებელი ზემოქმედება იქონიოს ხელისუფლების სხვა უწყებებზე. „უზურპაციის ჩანაფიქრთა ან სხვა რამ მუხანათურ ზრახვათა გასახორციელებლად აუცილებელი იქნება არა ერთი პალატის თანხმობა, {...} არამედ - ორი პალატისა, რომელთაგან თითოეული განსაკუთრებული უფლებამოსილებითაა აღჭურვილი; ამ პირობებში კი ხალხი ორმაგადაა დაცული იმ საფრთხისგან, რასაც ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ჰქვია.“[73] {...} „უამრავი მაგალითი მოწმობს, რომ ერთპალატიანი კრება მყისიერი და მძვინვარე ვნებებისკენ მიდრეკილებით ხასიათდება. ამიტომაც უადვილდებათ მისი ცდუნება ჯგუფურობის სულით შეპყრობილ პოლიტიკურ დაჯგუფებებს, რაც მის მიერ აუწონ-დაუწონავი და დამღუპველი დადგენილებების მიღებაში ვლინდება. ყოველივე ეს კი სენატის აუცილებლობას ადასტურებს.“[74]

გარდა იმისა, რომ სენატი მმართველობის სისტემის სიჯანსაღის შენარჩუნებისთვის ერთ-ერთი ძირითადი სახელისუფლებო ორგანოა, იგი, მედისონის აზრით კავშირის სიმტკიცის წყაროა. მკითვლებს მოეხსენება, რომ ადრეული რესპუბლიკა არ იყო იმდენად მყარი ერთობა, როგორსაც შეერთებული შტატები დღეს წარმოადგენს. მეტიც, სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა თავად ფედერალური კონსტიტუციის რატიფიცირება შტატების შიგნით, რამდენადაც სხვადასხვა მიზეზებით, მისი მიღების მომხრე ყველა შტატი თავდაპირველად არ იყო. მაგალითად, „ვირჯინიის წარმომადგენელთა კრებამ იგი 89-79 შეფარდებით მიიღო,

[73] Bibby, 1992, p. 47
[74] იქვე, გვ. 48

ხოლო ალექსანდრე ჰამილტონის ნიუ-იორკში, სულ რაღაც სამი ხმა გამოდგა გადამწყვეტი და კონსტიტუციის რატიფიცირება 30-27-ზე შეფარდებით მოხდა“ [S. Padover 1960, 90].[75] აქედან გამომდინარე, დღეს რამდენადაც წარმოუდგენლად უნდა ჟღერდეს, ადრეულ ეტაპზე საკმაოდ დიდი იყო რესპუბლიკის კოლაფსის ან ხელისუფლების უზურპაციის საფრთხე. შესაბამისად, დამფუძნებლები, სწორედ ამის თავიდან არიდებაზე მსჯელობდნენ. იმდენად, რამდენადაც სენატი საკანონმდებლო პროცესში ერთ-ერთი ძირითადი რგოლია, შეუძლებელია უზურპაცია მოხდეს სენატის უმრავლესობის ნების გარეშე, რამდენადაც, მას საკმარისად დიდი მაკონტროლებელი ძალაუფლება აქვს. გარდა ამისა, სენატის ცდუნება ყველაზე რთულია, რადგან იქ თანაბარი წარმომადგენლობის გამო იმდენად განსხვავებულია ინტერესები, რომ უზურპაციისა და ტირანიის მსურველებმა ნაკლები შანსია შეძლონ ერთიან აზრზე შეჯერება. ამიტომ, მედისონი აღნიშნავს რომ „რევოლუციის გამოსაწვევად ჯერ თვითონ სენატი უნდა გაიხრწნას; მერე ცალკეული შტატის საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა შეირყვნას; ამის მერე ზნეობრივად უნდა დაეცეს წარმომადგენელთა პალატა და ბოლოს მთელი ხალხი უნდა წახდეს“.[76] {...} „თავისთავად ცხადია, რომ ტირანია ისე ვერ დამყარდება, თუ ჯერ სენატი არ გაიხრწნა. მერე მან ცალკეული შტატის საკანონმდებლო კრება უნდა გარყვნას; თუ ამას არ იზამს, სენატორთა კორპუსის განახლება სახალხო კრებათა შემადგენლობიდან მოხდება, რაკი სენატორები თანამდებობებზე განსაზღვრული ვადით ინიშნებიან.“[77] „მოგეხსენებათ, შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატა სენატის თანაბარუფლებიანი პარტნიორია, ამიტომ თუ მან ხელისუფლების ეს ორგანოც არ გახრწნა, ისე მის მუხანათურ ზრახვებს წარმატება არ უწერია. ამის მერე აუცილებელია თვითონ ხალხი გაირყვნას. მაგრამ თუ სენატმა ამ მიზანს ვერ მიაღწია, ამასობაში ახალი წარმომადგენლები იქნებიან არჩეულნი და პირველადი წესრიგიც აღდგება“.[78] {...} „ყოველი ზემოთ მოყვანილი ფაქტი იმას ადასტურებს, რომ ფედერალური სენატი არასოდეს გადაგვარდება და თანდათანობითი უზურპაციის გზით არასოდეს იქცევა დამოუკიდებელ და არისტოკრატიულ ორგანოდ“ [მედისონი 1788].[79] აქედან

[75] Padover, 1960, p. 90
[76] ჯეიმს მედისონი, ფედერალისტი #63, ხელმისაწვდომია აქ: http://www.federalistpapers.ge/federali63.php
[77] იქვე, ხელმისაწვდომია აქ: http://www.federalistpapers.ge/federali63.php
[78] ჯეიმს მედისონი, ფედერალისტი #63, ხელმისაწვდომია აქ: http://www.federalistpapers.ge/federali63.php
[79] იქვე, ხელმისაწვდომია აქ: http://www.federalistpapers.ge/federali63.php

გამომდინარე, სენატის უპირველესი ფუნქცია დამფუძნებელი მამების აზრით გახლდათ უზურპაციული ქმედებების თავიდან არიდება, რამდენადაც, თუკი დიდ შტატებს შეუძლიათ წარმომადგენელთა პალატის მეშვეობით ფონს გასვლა, სენატში მათ ამის საშუალება, თანაბარი წარმომადგენლობის გამო ვერ მიეცემათ.

აღსანიშნავია სენატის ფუნქცია მაღალი თანამდებობის პირებისა და დიპლომატების დანიშვნის მიმართულებით. კონსტიტუციის ჩანაწერის მიხედვით აშკარაა, რომ დამფუძნებელმა მამებმა სენატს ერთგვარი მრჩევლის და მაკონტროლებლის ფუნქცია მიაკუთვნეს პრეზიდენტისთვის, კაბინეტის და სხვა მაღალი თანამდებობის პირების შერჩევისას. კონსტიტუციის მეორე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულია, რომ პრეზიდენტმა სენატთან რჩევისა და შეთანხმების შემდეგ უნდა დანიშნოს ელჩები, სხვა სრულუფლებიანი წარმომადგენლები და კონსულები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და შეერთებული შტატების ყველა სხვა თანამდებობის პირი.[80] ვფიქრობ, სენატს ასეთი მაკონტროლებელი ფუნქცია სწორედ იმიტომ მიანიჭეს, რომ როგორც უკვე ვთქვით, მასში თანაბრად ერთიანდებიან წარმომადგენლები მთელი შეერთებული შტატებიდან. შესაბამისად, მაღალი თანამდებობის პირებს, დანიშვნის შემთხვევაში გარანტირებული ექნებათ ლეგიტიმურობა და ამასთან, დაზღვეული იქნება შტატების უფლებათა შეზღუდვის რისკები. მაგალითისთვის, ნაკლები შანსია, რომ კონკრეტული შტატების ერთობა შეძლებს ისეთი თანამდებობის პირის დანიშვნას, რომელმაც, შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს სხვა შტატებს. ვფიქრობ, სენატის, როგორც ფედერალური თანამდებობის პირების მაკონტროლებლის კარგი მაგალითია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნა, როდესაც, მათი წარდგენა ხდება პრეზიდენტის ინიციატივით, ხოლო დანიშვნას სენატში უმრავლესობის თანხმობა სჭირდება.

1.2 დიდი პაექრობა - ჰამილტონი ჯეფერსონის წინააღმდეგ

ჰამილტონის შეხედულებებზე უშუალოდ გადასვლამდე მსურს აქცენტი გავაკეთო ზოგადად, განსხვავებული ხედვებისა და მიმართულებების აღმოცენებაზე, რაც კონსტიტუციის მიღების შემდგომ, 1790-იან წლებში მალევე დაიწყო, იმის

[80] ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, მეორე მუხლის მე-2 ნაწილი, მთარგმნელები: არჩილ კობალაძე, სანდრო ბარამიძე, თბილისი, 1993

მიუხედავად, რომ დაფუძნებლების ხედვა პარტიების მსგავსი კერძო ორგანიზაციების შესახებ განსაკუთრებით სანდო და პოზიტიური არ გახლდათ. ამას, ჯეიმს მედისონის მე-10 ფედერალისტური წერილიც კარგად ასაბუთებს, რომელიც, როგორც ვიცით ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე გამოქვეყნდა. კერძოდ, მედისონი წერს, რომ „დაჯგუფებად მივიჩნევ ადამიანთა გარკვეულ რაოდენობას (სულ ერთია, იგი მთელის უმრავლესობას შეადგენს თუ უმცირესობას), რომელთაც ერთად მოქმედების მხურვალე ინტერესი თუ მისწრაფება აერთიანებს და რომლებიც მტრულად არიან განწყობილნი სხვა მოქალაქეთა უფლებებისა და საზოგადოების საერთო ინტერესებისადმი. ჯგუფურობის სენისაგან განკურნების ორი გზა არსებობს: პირველი მისი მიზეზების აღმოფხვრაა, მეორე – მისი შედეგების კონტროლი.“[81] როგორც ვხედავთ, მედისონი ჯგუფურობას სენად მოიხსენიებს.[82] ამის მიუხედავად, 1790-იან წლებში მრავალი განსხვავებული ასოციაცია იქმნებოდა, „დემოკრატების“, „რესპუბლიკელების“ და „დემოკრატი რესპუბლიკელების“ დასახელებით. მათ სხვადასხვა შტატში განსხვავებული გავლენა ჰქონდათ, თუმცა გამოირჩეოდა „პენსილვანიის დემოკრატიული საზოგადოება“, რომელიც უკვე სამას წევრამდე იყო გაზრდილი და საზოგადოების სრულიად განსვხვაებულ სპექტრებს მოიცავდა. როგორც კონსტიტუციის მიღების პერიოდში თუ მე-19 საუკუნის განმავლობაში, განსხვავებული ხედვების წამოშობის ძირითადი მიზეზი იყო ფედერალური მთავრობის გავლენებთან დაკავშირებული მსჯელობა. ამ კუთხით, ძლიერი მთავრობის მომხრეები „ფედერალისტების“ სახელით, საკმაოდ აქტიურობდნენ პრესაში. ფედერალისტური წერილების თანაავტორი, ალექსანდრ ჰამილტონი და აშშ-ის პირველი ხაზინადარი (ფინანსების მდივანი), სათავეში ედგა ამ აქტივობებს.

მათ თავიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ „დემოკრატი რესპუბლიკური“ კლუბები, რომლებიც მთავრობის მეტი პასუხისმგებლობის და ანგარიშვალდებულების შესახებ საუბრობდნენ. ხალხთა უსაფრთხოება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმით რასაც კონსტიტუციური ჩანაწერები გვეუბნება, ან პერიოდული საარჩევნო ხმებით, არამედ, ადმინისტრაციის ყოველ მოქმედებაში მოქალაქეთა მოხალისეობრივი ჯგუფების მონაწილეობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. „ნიუ იორკის დემოკრატიული

[81] ჯეიმს მედისონი, მე-10 ფედერალისტური წერილი, ხელმისავწდომია აქ: http://www.federalistpapers.ge/federali010.php

[82] ჯგუფურობაში იგულისხმება პარტიებისა და ფრაქციების წინარე წარმონაქმნები (ავტ.)

საზოგადოების“ მიმართვაში 1794 წელს ეწერა, რომ „ყველა მოქალაქის ვალია, ფლობდეს სრულყოფილ ცოდნას მთავრობისა და პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირების შესახებ, იმ ადმინისტრაციაზე, რომელშიც, ერთ დღეს თავად შეიტანოს აქტიური წვლილი.“[83] ამდენად, სახალხო სუვერენიტეტის იდეის რწმენა „დემოკრატ რესპუბლიკელებში“ თავიდანვე საკმაოდ მაღალი იყო. ამაზე გავლენას თავისთავად ახდენდა იმ დროისთვის მიმდინარე ალბათ მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, საფრანგეთის რევოლუცია, რომლის იდეალების მხარდაჭერის ფარგლებში, ასეთი საზოგადოებები, ამერიკის მთავრობას მოუწოდებდნენ პატივი ეცა საფრანგეთის მიმართ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებისთვის.

ფედერალისტები ამ მიმართულებით ორჭოფობდნენ. მათი ხედვები, როგორც ბევრი სხვა რამ ადრეულ ამერიკულ პოლიტიკურ აზროვნებაში, ბრიტანულ სენტიმენტებს ატარებდა. ინგლისში, საპარლამენტო სუვერენიტეტი საკმაოდ ძლიერად იყო დაცული არა მხოლოდ მონარქების, არამედ ამომრჩეველთა მიერაც. ამომრჩეველთა უფლება - „მითითებები მიეცათ“ წარმომადგენელთათვის, ბევრისთვის ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. ამასთან, ბრიტანეთის შემთხვევაში არსებული კერძო ასოციაციების შიში შესაძლოა იმანაც წარმოშვა, რომ თემთა პალატა მოქალაქეთა ინტერესებს ბოლომდე არ ასახავდა, ხოლო ასოციაციები ამ უკანასკნელის ლეგიტიმაციას დაუსვამდა კითხვას. ხოლო ამერიკის შემთხვევაში, ფედერალისტების აზრით, კონგრესი წარმომადგენლობით ხასიათს უკვე ატარებდა, ამდენად, კერძო ასოციაციების სივრცე აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ფედერალისტების წინააღმდეგობა ასოციაციების მიმართ კიდევ უფრო გაამწვავა ისეთმა ისტორიუმა მოვლენამ, რომელსაც „ვისკის აჯანყების“ სახელით ვიცნობთ. ეს შემთხვევა 1791 წელს მიღებულ, ჰამილტონის მიერ მხარდაჭერილ ვისკიზე საგადასახადო კანონს მოჰყვა, რაც 1794 წლის მდგომარეობით ფერმერების ერთგვარ შეიარაღებულ ამბოხებაში გადაიზარდა. წესრიგის აღსადგენად, ჯორჯ ვაშინგრონმა პენსილვანიაში ჯარი გაგზავნა. ამ ქმედებას ჰამილტონის ფრთა მოწონებით შევხდა, ხოლო ჯეფერსონმა აჯანყებულებს დაუჭირა მხარი.[84] ვისკის

[83] Michael Schudson, “The Good Citizen”, A History of American Civic Lige, Harvard University Press, Cambridge, Massachusetts, 2002, p. 57
[84] ბარნოვი, მემმარიაშვილი, 2019, გვ. 151

აჯანყება პირველი მოვლენაა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, რომელმაც ოფიციალურად გამოსცადა ახლადშექმნილი კავშირის სიმყარე. საქმე ის იყო რომ, ერთის მხრივ ვისკიზე გადასახადი ფერმერებს უსამართლოდ მოეჩნევათ, ხოლო მეორეს მხრივ, მასზე გადასახადს აგროვებდნენ ფედერალური გადასახადების ამგროვებლები (და არა შტატის, ავტ.) და მეტიც, უკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელი იყო მხოლოდ ფედერალური სასამართლოსთვის მიმართვა, შტატების სასამართლოს ნაცვლად.[85] ამდენად, შტატების უფლებების დამცველებისთვის, ასეთი კანონი სახელმწიფო ძალაუფლების აშკარა სახიფათო ზრდად იქნა მიჩნეული. ამ მოვლენამ არაერთი კითხვა აღძრა, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო პოლიტიკური წინააღმდეგობის ლეგიტიმური, მშვიდობიანი ჩარჩო მთავრობის ქმედებებისადმი, ხოლო ვაშინგტონის კაბინეტში, გაამყარა განსხვავებული ხედვები ალექსანდრე ჰამილტონსა და თომას ჯეფერსონს შორის, რომელთაგან პირველი აშკარად მიიჩნევდა ეროვნული მთავრობის ხელში მძლავრი ძალაუფლების ბერკეტების თავმოყრას, ხოლო მეორე, პირიქით. ამასთან, პირველს სწორად მიაჩნდა კომერციული ექსპანსია და აგრარული წესრიგის გარდაქმნა, ხოლო მეორეს, პირიქით.[86]

ფედერალისტებს ძირითადად ორი რადიკალიზმის მიმართ ჰქონდათ შიში. ესენი იყო ფრანგული წარმომავლობის დიდძალი სოციალურ-ინტელექტუალური ძვრები და მეორე, გამათანაბრებელი აგრარული რესპუბლიკანიზმი, რომელიც მიზნად ისახავდა საადგილმამულო, მემკვიდრეობითი წესრიგის, ეკლესიის ისთაბლიშმენტისა და ყველა სახის არისტოკრატიული ნიშანწყლის გაუქმებას და ეწინააღმდეგებოდა ძლიერი მთავრობის, ცენტრალიზაციის, სახელმწიფო ვალისა და სამხედრო განვითარებას. ფედერალისტებს ქალაქების პარტიის დაფუძნება სურდათ და იცავდნენ კომერციულ, სამრეწველო, კრედიტორთა ინტერესებს. ამის საპირისპიროდ, რესპუბლიკელების ამოცანა მოვალეთა, ფერმერთა და ქალაქების მიღმა მოსახლეობის ინტერესების დაცვა იყო. ჰამილტონი აღნიშნავს „ჩვენ თავისუფლება გადაჭრბებულად და შეუზღუდავად მოვინდომეთ. ჩვენი კონფედერაციის შექმნისას მხოლოდ ამ ვნებამ გვააქტიურა და, როგორც ჩანს, სხვა შეხედულებები არ გვქონდა, გარდა დესპოტიზმისგან თავის დაცვის მცდელობისა. ეს უკანასკნელი სულისკვეთება, რა თქმა უნდა, ღირებული იყო და იმსახურებდა ჩვენს

[85] Schudson, 2002, p. 57
[86] Schudson, 2002, p. 65

უდიდეს ყურადღებას: მაგრამ, მეგობრებო, არის კიდევ ერთი მიზანი თანაბრად მნიშვნელოვანი, რომელიც ჩვენმა ენთუზიაზმმა ნაკლებად შეგვაძლებინა. ვგულისხმობ სიძლიერის და სტაბილურობის პრინციპს ჩვენი ხელისუფლების ორგანიზაციაში და ენერგიულობას მის მოქმედებებში."[87] მისი პოლიტიკური პრინციპები მარტივად ასე აიხსნება: იგი არ ენდებოდა სახალხო და ლოკალურ იმპულსებს და მიიჩნევდა, რომ საყოველთაო გათანაბრებისგან თავის დაღწევა მხოლოდ ძლიერი ეროვნული ძალაუფლების შემთხვევაში შეიძლებოდა. მას მოსწონდა ცენტრალური მთავრობა, ხოლო იმ პირობებში, როცა მისი დროის ამერიკაში იგი სრულიად მიუღებელი იყო, ჰამილტონი მისი ყველაზე აქტიური და ენერგიული დამცველი გახდა.

პირველ თავში განხილული ფედერალური კონსტიტუციის სირთულის ანარეკლები, დამოუკიდებელი ამერიკის ისტორიაში მრავალჯერ გამოიხატა და გამონაკლისი არც რესპუბლიკის ადრეული წლები იყო. თუკი დამფუძნებელ მამათაგან ბევრი შტატების უფლებებს და ადგილობრივ ტრადიციებს ზედმეტად წმინდად აღიქვამდა, ჰამილტონისთვის საერთო პატრიოტიზმს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი ოპონენტები მიიჩნევდნენ, რომ „რამდენადაც ადამიანი თავის ოჯახთან უფროა მიჯაჭვული ვიდრე თემთან, იმავე წარმატებით უფრო ახლოსაა დაკავშირებული ადგილობრივ მთავრობასთან, ცენტრალურ მთავრობასთან შედარებით."[88] ამის მიუხედავად ჰამილტონს ლოკალურობის მიმართ მსგავსი მიდრეკილება პრობლემად მიაჩნდა, რის გამოც, აუცილებლად მიიჩნევდა ძლიერი ნაციონალური არმიის, ფედერალური სასამართლოების, კონგრესის, ტარიფების, ბანკის და სხვა ნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროგრამების შემოღებას.

ჰამილტონის ცენტრალიზაციისა და ძლიერი ინსტიტუტების შექმნის მნიშვნელოვანი მაგალითია ცენტრალური ბანკის დაარსება. როგორც მკითხველს მოეხსენება, პირველი ცენტრალური ბანკი შეერთებულ შტატებში დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, 1792 წელს დაფუძნდა, თუმცა, ჰამილტონს მისი საჭიროებისა და აუცილებლობის შესახებ ჩამოყალიბებული მოსაზრება უკვე 1780 წლისთვის ჰქონდა.

---

[87] New York Ratifying Convention Remarks (Francis Childs's Version), [24 June 1788], ხელმისაწვდომია აქ: https://founders.archives.gov/documents/Hamilton/01-05-02-0012-0023 [გადამოწმების თარიღი: 22/07/2023

[88] Russel Kirk, "The Conservative Mind", Seventh Revised Edition, Regnery Publishing Inc., Washington DC, 2001, p. 77

1780 წლის წერილში რობერტ მორისის მიმართ ალექსანდრე ჰამილტონი მიუთითებს, რომ „მიმაჩნია, რომ ბანკის დაარსება უმნიშვნელოვანესია ჩვენი უსაფრთხოებისა და წარმატებისთვის. სხვა ვერავინ და ვერაფერი შეძლებს მთავრობისთვის ისეთი ოდენობის სესხის მიცემას, რომელიც, ჩვენი შემოსავლების დეფიციტის პირობებში, ფუნქციონირებისათვის გარდაუვალი აუცილებლობისაა.“[89] მოგვიანებით, როდესაც უკვე მისი დაარსების პროექტი მომზადდა, ჰამილტონმა პირდაპირ მიუთითა, რომ „იგი არა უბრალოდ კერძო საკუთრების საკითხია, არამედ პოლიტიკური მანქანაა სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის სასარგებლოდ.“[90] ჯეფერსონის, მედისონის, ტეილორისა და სხვა აგრარული ეკონომიკური მოწყობის მხარდამჭერთათვის ეს ცალსახა სამხილი იყო იმისა, რომ ჰამილტონი მიისწრაფოდა ცენტრალური მთავრობის, ხოლო უფრო ზუსტად კი ფედერალისტური პარტიის კონტროლირებადი ცენტრალური მთავრობის გაძლიერებისაკენ.[91] საბოლოოდ, სწორედ ჯორჯ ვაშინგტონის დახმარებითა და ალექსანდრე ჰამილტონის ძალისხმევით, შეერთებული შტატების ბანკის კანონპროექტი დამტკიცდა და ალბათ ეს ერთ-ერთი თარიღია, როდესაც დაიწყო დაუსრულებელი დისკუსია თუ რომელი სისტემაა უმჯობესი, აგრარული ეკონომიკის ამერიკა, მცირე ცენტრალური მთავრობით, თუ ინდუსტრიული, გაცილებით ძლიერი ცენტრალური მთავრობით. ისტორიის მიმდინარე თავში აღწერილ ეტაპზე, ალექსანდრე ჰამილტონი სწორედ უკანასკნელს განასახიერებდა.

ალბათ ბანკის შექმნის კონტექსტიდანაც კარგად ჩანს, რომ ჰამილტონს ნაკლები ნდობა ჰქონდა ხალხის, ფართო მასების მიმართ.[92] მისი უპირველესი მიზანი იყო შექმნილიყო გაერთიანებული ერი, რომლის ფარგლებშიც იგი იმედოვნებდა, რომ მაქსიმალურად შეზღუდავდა ცალკეულ შტატებს და დააფუძნებდა ძლიერ ცენტრალიზებულ მთავრობას, რომელსაც რადიკალური ძალებისგან გამოწვეული შესაძლო რყევების თავიდან არიდება შეეძლებოდა. თუმცა, მის წინაშე იდგა საზოგადოება, რომელიც რევოლუციური ომების შემდეგ მკვეთრად

[89] Alexander Hamilton Letter to Robert Morris, [30 April 1781], ხელმისაწვდომია აქ: https://founders.archives.gov/documents/Hamilton/01-02-02-1167 [გადამოწმების თარიღი: 22/07/2023]
[90] H. Wayne Morgan „The Origins and Establishment of the First Bank of the United States“, The Business History Review , Dec., 1956, Vol. 30, No. 4 (Dec., 1956), pp. 472-492
[91] იქვე, p. 475
[92] Padover, 1960, p. 79

უპირისპირდებოდა გადამატებულად ძლიერ მთავრობას და მდიდართა თუ არისტოკრატთა მმართველობას. (Padover, 1960, 79) ამიტომ, იგი მიიჩნევდამ რომ „ხალხი ტურბულენტური და ცვალებადია. ისინი სინამდვილეს იშვიათად აანალიზებენ და წყვეტენ. ამდენად, მმართველობის მუდმივი უფლება საზოგადოების პირველ კლასს უნდა მიეცეს, რათა დააბალანსოს არამტკიცე მეორე. ხოლო რამდენადაც ეს მდგომარეობა მათ ვერანაირ მანამდე არარსებულ უპირატესობას ვერ მოუტანს, ისინი მარად კარგ მთავრობად დარჩებიან. შეუძლია კი დემოკრატიულ ასამბლეას, რომელიც ყოველწლიურად მასებისგანაა შტანთქმული, საზოგადოების სასარგებლოდ სიმტკიცე შეინარჩუნოს? მხოლოდ მუდმივმოქმედ სახელისუფლებო ორგანოს შეუძლია დემოკრატიის წინდაუხედაობის შეკავება. მათი ტურბულენტური და უკონტროლო განრვცობა გაწონასწორებას მოითხოვს.“[93] ადამიანური ბუნების მიმართ სწორედ ამ უნდობლობიდან გამომდინარე, ჰამილტონის ფრთას მიაჩნდა, რომ მხოლოდ ძლიერ მთავრობას შეეძლო დაეძლია ადამიანური ბუნების სისუსტის გამოწვევები და მიეღწია ყველაზე დაწინაურებული საზოგადოებისათვის. ამის კარგი მაგალითია აღმასრულებელი ხელისუფლების შტოს იმდენად გაძლიერება, რომ მის მეთაურს კაბინეტის დაკომპლექტების შესაძლებლობა, კონგრესისგან სრულიად დამოუკიდებლად ჰქონოდა. როგორც მან 78-ე ფედერალისტური წერილში აღნიშნა, „მე წესად მიმაჩნია ის, რომ ერთი გამჭრიახი ადამიანი უკეთ შეძლებს ისეთი თვისებების გამორჩევას, რომლებიც ზედგამოჭრილია ამა თუ იმ თანამდებობაზე, ვიდრე ეს ადამიანთა ჯგუფს ხელეწიფება, თუნდაც ეს უკანასკნელი არათუ მსგავსი, არამედ უფრო მეტი გამჭრიახობითაც კი გამოირჩეოდეს.“[94] უნდა ითქვას, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ასევე ემსახურება მთავრობის ეფექტიანობის ზრდასაც, რადგან უფრო მოსახერხებელია კაბინეტის წევრების დანიშვნა ერთ ადამიანს დაევალოს, ვიდრე გარკვეულ კომიტეტს ან რამდენიმე წევრისგან შემდგვარ ორგანოს.

„ამბობენ, რომ წარმომადგენლობით ორგანოში მოქალაქეთა ყველა ფენას თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს, რათა მათი გრძნობები და ინტერესები უკეთ ესმოდეთ და გულთან ახლოს მიჰქონდეთო. მაგრამ როგორც ვნახეთ, ასეთი რამ,

[93] Enclosure: [Objections and Answers Respecting the Administration], [18 August 1792], ხელმისაწვდომია აქ: https://founders.archives.gov/documents/Hamilton/01-12-02-0184-0002#ARHN-01-12-02-0184-0002-fn-0005-ptr [გადამოწმების თარიღი: 22/07/2023]

[94] ალექსანდრე ჰამილტონი, ფედერალისტი #78 ხელმისავწდომია აქ: http://federalistpapers.ge/federali78.php [გადამოწმების თარიღი: 22/07/2023]

ალბათ, არასოდეს მოხდება, ვიდრე პოლიტიკური სისტემა ხალხს თავისუფალი არჩევნის უფლებას ანიჭებს. თუკი იგი მაინც მოხდა, მაშინ წარმომადგენლობით ორგანოში, რომელიც მცირე გამონაკლისის გარდა, ზეგავლენას ვერ ახდენს მთავრობის სულისკვეთებაზე – მიწათმფლობელები, ვაჭრები და სწავლულები უნდა იყვნენ წარმოდგენილნი. მაგრამ სად არის მიმალული ხიფათი იმისა, რომ ეს ადამიანები ვერ ჩასწვდნენ ხალხის გულისნადებს და ვერ იზრუნონ მათი ინტერესების დაცვაზე? მიწისმფლობელს განა ის არ მოეხსენება კარგად და იმას არ გრძნობს, თუ რა შეუწყობს ხელს მიწის საკუთრებას და რა მიაყენებს ზიანს მას? განა მას, საკუთარი ინტრესებიდან გამომდინარე, იქეთკენ არ აქვს მიდრეკილება, რომ წინ აღუდგეს მიწის საკუთრების ყოველგვარი ხელყოფისა და შევიწროების მცდელობას? განა ვაჭარი არ გამოავლენს იმის ნებას, რომ მექანიკოსთა და მეწარმეთა ინტრესები დაიცვას, რომელთა გარეშე ვაჭრობის არსებობაც კი წარმოუდგენელია? განა სწავლულები, რომლებიც ნეიტრალობას ინარჩუნებენ წარმოების სხვადხსხვა შტოებს შორის ქიშპობასთან მიმართებაში, მიუკერძოებელი მსაჯულნი არ იქნებიან მათ შორის ატეხილ დავაში და განა მხარს არ დაუჭერენ მათ იმისდა მიხედვით, თუ რა უფრო სასარგებლო იქნება მთლიანად საზოგადოებისთვის?“[95] ამ წერილის შესაბამისად, როგორც ჰამილტონი ფიქრობდა, იმას უკეთ შეეძლო პოზიციის სწორად გამოხატვა ხალხის სახელით, ვისაც მოგზაურობის, სწავლის შესაძლებლობა ჰქონდა, ანუ სოციალურად უზრუნველყოფილ ფენას ეკუთვნოდა. კიდევ უფრო რომ განვავრცოთ, ჰამილტონური გზა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

მართალია, დამფუძნებელი მამები მთლიანობაში დღემდე განიხილებიან, როგორც დემოკრატიის ერთგვარი ჩემპიონები, თუმცა, როგორც ზემოთ ნაწილობრივ უკვე აღინიშნა, განსაკუთრებით ფედერალისტებს, სახალხო სუვერენიტეტსა და ხალხის მართვის პროცესში თანამონაწილეობას ერთგვარი ეჭვით მოიხსენებდნენ. მაგალითად, ჰამილტონის აზრით, „მთავრობას უნდა ემუშავა ხალხისთვის, თუმცა, მასებისგან დაკომპლექტებული არ უნდა ყოფილიყო.“[96] მათი რწმენით, ჩვეულებრივი ხალხი ძირითად შემთხვევებში პირადი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, რის

[95] ალექსანდრ ჰამილტონი, ფედერალისტი #78, ხელმისავწდომია აქ: http://federalistpapers.ge/federali35.php [გადამოწმების თარიღი: 22/07/2023]
[96] Leonard D. White, „The Federalists: A Study in Administrative History“, New York: The Free Press, 1948, 508-512.

გამოც, საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის ცოტა რამის კეთება შეუძლია. 1814 წელს, ჯონ ადამსის მიერ თომას ჯეფერსონისთვის გაგზავნილ წერილში, ხაზგასმულია ადამიანის ხასიათის, როგორც იდეალურისგან დაშორებულის შესახებ. „ეჭვი არ მეპარება, რომ ის საშინელებები, რაც ჩვენ გამოვიარეთ ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში, საბოლოოდ სამოქალაქო და რელიგიური თავისუფლების წინსვლითა და ადამიანთა მდგომარეობის დაწინაურებით დასრულდება. თუმცა, რამდენადაც მე მჯერა კაცთა საქმეებში სავარაუდო დაწინაურების, იმდენადვე ვერ დავიჯერებ ადამიანის ბუნების სრულყოფილებას.“[97]

სამაგიეროდ, ალექსანდრე ჰამილტონის მოსაზრება, მსგავსად ფედერალისტების უმრავლესობისა, სიმპათიებით იყო სავსე არისტოკრატიის მიმართ. მისი აზრი სოციალურ თუ ეკონომიკურ არისტოკრატიაზე საკმაოდ მაღალი იყო და მას მიაჩნდა, რომ სწორედ იმიტომ, რომ ბრიტანეთს მონარქიულ-არისტოკრატიული სისტემა ჰქონდა, მიტომაც იყო იგი ყველა დროის საუკეთესო მართვის სისტემა.[98] როგორც პირველ თავში აღვნიშნე, პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევნების წესი და ასევე, სენატორთა შტატების წარმომადგენლობითი ორგანოებისგან არჩევის თავისებურება, რაც 1913 წლამდე გრძელდებოდა, სწორედ დემოკრატიის შიშებისა და არისტოკრატიის მიმართ სიმპათიების გამოხატულებაა.

თომას ჯეფერსონის, როგორც პოლიტიკოსისა და მოღვაწის ფიგურა წარუშლელია ამერიკის და ალბათ მსოფლიოს ისტორიისთვისაც. მის სიადიადეზე მის საფლავის ქვაზე აღწერილი ეპიტაფია ალბათ ყველაზე კარგად მეტყველებს, რომელზეც ჯეფერსონი აღწერილია, როგორც დამოუკიდებლობის დეკლარაციის, ვირჯინიის სტატუტის ავტორი რელიგიის თავისუფლებათა შესახებ და ვირჯინიის უნივერსიტეტის დამაარსებელი. არაფერია ნახსენები ქვეყნის მესამე პრეზიდენტობაზე ან პირველი სახელმწიფო მდივანის პოსტზე. ჯეფერსონი, როგორც ადამიანის უფლებებისა და მთავრობის ფუნქციების ერთგვარი რევოლუციური განმმარტებელი, ხალხის მიმართ ოპტიმისტური განწყობით და დემოკრატიის მიმართ რწმენით რადიკალურად განსხვავდებოდა ჰამილტონისგან. შესაბამისად, იმის გამო, რომ მათ შორის ვითარება ჯერ კიდევ ვაშინგტონის კაბინეტში მოღვაწეობისას

[97] John Adams to Thomas Jefferson, Quincy, July 16, 1814, in *The Adams-Jefferson Letters: TheComplete Correspondence Between Thomas Jefferson and Abigail Adams*, ed. Lester J. Cappon (Chapel Hill: University of North Carolina Press, 1959), 435.
[98] Padover, 1960, p. 81

დაიძაბა, რაც უფრო მწვავე ფაზაში ჯონ ადამსის ადმინისტრაციის დროს გადავიდა, ჯეფერსონს ფედერალისტებთან დასაპირისპირებლად განსხვავებული მეთოდების მოძებნა მოუწია.

მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ ჯეფერსონმა თქვა, „თუ სამოთხეში უპარტიოდ ვერ მოვხვდები, მირჩევნია იქ საერთოდ არ შემიშვანო“, მან პოლიტიკური ძალაუფლების წინააღმდეგობის ჩარჩოდ, სწორედ პარტიული ოპოზიცია შეარჩია, რომელსაც, ცოტა ხანში ისეთი წამყვანი დამფუძნებელ მამათაგანი შეუერთდა, როგორიც ჯეიმს მედისონი იყო.[99] მათ, როგორც დემოკრატმა რესპუბლიკელებმა შექმნეს გაზეთი, *National Gazette* ხოლო ჰამილტონის ფედერალისტებმა *Gazette of the United States*, რომელთა მეშვეობითაც მუდმივად ესხმოდნენ ერთმანეთს. როდესაც ჰამილტონის *Gazette of the United States* წერდა, რომ რომ ჯეფერსონი კავშირის დამშლელი იყო, ეს უკანასკნელი ჰამილტონს მონარქისტობას აბრალებდა. „ეს ვირჯინიელი ერს ნანმდვილ სქიზმამდე მიიყვანს. მისი ფრაქციის აქტიურობა თუ დროულად არ შეფერხდა, ქვეყანას ნამდვილი ანარქიის საშინელებებში გახვევს.“[100] თავის მხრივ, ჯეფერსონის *National Gazette* სახელმწიფო მდივანს განადიდებდა და ხაზს უსვამდა, რომ ამ „თავისუფლების კოლოსმა“ დამოუკიდებლად შეძლო და ქვეყანა მონარქიისა და არისტოკრატიის წალეკვისგან იხსნაო.[101]

დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან გამომდინარე, რადგანაც ყველა ადამიანი თანასწორად გაჩნდა და მათი უფლებები და ინსტინქტები თანდაყოფილია, ნიშნავს, რომ თანდაყოლილი, მემკვიდრეობითი არისტოკრატიული საზოგადოება და კასტა ბუნების წინააღმდეგია, რის გამოც, იგი უარყოფილი უნდა იქნას. თუმცა ამ თეორიის მიხედვით მმართველი ვინ უნდა იყოს? ამისთვის, ჯეფერსონი იზიარებს არისტოტელეს ხედვას „ბუნებითი არისტოკრატიის“ შესახებ, რაც გულისხმობს გამორჩეული უნარების ბუნებრივად მიღებას, ნაცვლად საზოგადოებრივი წოდებების და ჩინებისა. ჯეფერსონის აზრით, ბუნება გარკვეული სახის ნიჭს მდიდარსაც ანიჭებს და ღარიბსაც, ხოლო ამ პროცესს სიმდიდრესა თუ სიღარებესთან ან სოციალურ მდგომარეობასთან არავითარი კავშირი არ აქვს. შესაბამისად, იგი უნდა გამოიწრთოს

[99] Schudson, 2002, p. 65
[100] John Miller, “The Federalist Era (1789-1801)”, Harper & Row, Publishers, New York, 1963, p. 92
[101] იქვე, p. 90

და საზოგადოების გამდიდრებისა თუ გაძღოლისთვის უნდა იქნას გამოყენებული.[102] თუმცა, ამის მისაღწევად იგი განათლებას მოიაზრებდა, როგორც უმთავრეს საშუალებას. „თავისუფლება და განათლება“ ორი რამაა, რაც ადამიანის სჭირდება კაცობრიობის საკეთილდღეოდ შედეგიანად შრომისთვის. აქ უნდა დავესესხოთ განათლების როლის მკვლევარს თომას ჯეფერსონის კარიერაში, რომლის მიხედვითაც, „ჯეფერსონმა, რომელმაც პარტია დემოკრატი-რესპუბლიკელები დააფუძნა, ადამიანის ბუნებასა და მაშასადამე მთავრობის მოწყობაზე, განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდა. აქ უნდა დავუბრუნდეთ განათლების მიღების როლს, რისი მეშვეობითაც, ჯეფერსონს სჯეროდა, რომ ყველა ჩვეულებრივ ადამიანს შეეძლო გაკეთილშობილება, სამართლიანობის არჩევა და პირად ინტერესებს მიღმა მოქმედება.[103] თავდაპირველად, მან თავის ახალ პოლიტიკურ ძალას „რესპუბლიკური პარტია“ დაარქვა, რომელსაც პირველად 1992 წლის 23 მაისის წერილში ახსენებს ჯორჯ ვაშინგტონის მიმართ.[104] თუმცა სულ მალე მისი სახელი შეიცვალა „დემოკრატიულ-რესპუბლიკურ პარტიად“, რაც მოგვიანებით უკვე „დემოკრატების პარტიად“ გარდაიქმნება. გარკვეულწილად, სახელი „რესპუბლიკური“ ფრანგი რესპუბლიკელებიდან მოდიოდა, მათ და ფრანგული რევოლუციის მიმართ სენტიმენტების გამო. ჯეფერსონი, როგორც პარტიის დამფუძნებელი სულაც არ იზიარებდა ანტიფედერალისტების სიძულვულს ცენტრალური მთავრობისამდი. თუმცა, მან ბევრი პოლიტიკური ბრძოლა მოიგო კონსტიტუციის საპირწონედ კომპრომისების შექმნაში ფედერალიტების წინააღმდეგ, რაც აგრარული სამხრეთისთვის შტატების ადგილობრივი უფლებების დამკვიდრებასა და პიროვნული უფლებების ჩამოყალიბებაში გამოვლინდა.[105] ჯეფერსონმა ფედერალისტებთან დისკუსიისას ერთგვარი კლასობრივი ხაზი გაავლო, რამაც, პოლიტიკის მეცნიერების მოსაზრებით, პირველი პარტიული სისტემის ფუნდამენტი შექმნა. ფედერალისტებისთვის „მონარქიული ფრაქციის“ დარქმევით იგი ჰამილტონის და სხვების აფილირებას ბრიტანული არისტოკრატიის ჯგუფებთან ცდილობდა. იმავე წერილში ვაშინგტონის მიმართ, ჯეფერსონი იუწყებოდა, რომ

[102] Padover, 1960, p. 59
[103] Peter S. Onuf, “A Scholars’ Jefferson“, The William and Mary Quarterly 50 (1993), pp. 674-681
[104] https://founders.archives.gov/documents/Washington/05-10-02-0268
[105] Jules Witcover - "A History of the Democrats", 1st Edition Random House, The United States, 2003, p. 26

ჰამილტონის მიზანი არსებული რესპუბლიკური მთავრობის მონარქიულად გარდაქმნა იყო, ხოლო მისი ახალი პარტია „ხალხს წარმოადგენდა“.[106]

ჯეფერსონისთვის იმდენად მიუღებელი იყო რაიმე სახის ტირანია ან ოლიგარქიული გამოხატულება, რომ იგი ამბობდა, „ყველაზე ცუდი სახალხო მთავრობაც კი უმჯობესია, ვიდრე უდიადესი ავტოკრატიული სისტემა.“[107] მისი აზრით, თუნდაც მთავრობა ნახევრად უქმე იყოს, იგი მაინც უმჯობესია სხვაზე თუ ადამიანს პირადი უფლებების აქვს შენარჩუნებული. აუტომატურად, ძლიერი მთავრობა გარდაუვლად ცუდია, რადგან ადრე თუ გვიან იგი წყვეტს იყოს მსახური და ცდილობს გახდეს ბატონი იმ მოქალაქეებისა, რომლებმაც იგი შექმნა.[108] სწორედ ამ მომენტის გათვალისწინებით, რესპუბლიკელებმა ზურგი შეაქციეს მთავრობის სიდიდისა და მის მიერ ხალხის გაძღოლის იდეას, საზოგადოებისთვის უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობის შექმნის გზაზე. ჯეფერსონის აზრით, ხალხი თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი საქმიანობის არჩევაში და ამ მიმართულებით მთავრობის როლი ან დამხმარე უნდა იყოს, ან საერთოდ გაეცალოს მას. ეს კონცეფცია კარგად გამოვლინდა თომას ჯეფერსონის 1801 წლის საინაუგურაციო მიმართვაში, სადაც მან წარმოთქვა, რომ „ყველა იმ მადლთან ერთად, რა არის ის აუცილებლობა რაც ჩვენ ბედნიერ და წარმატებულ ხალხად გვაქცევს? სწორედ ის ერთი რამ, ბრძენი და ზომიერი მთავრობა, რომელიც ადამიანებს ერთმანეთის დაზიანების უფლებას არ მისცემს, თუმცა დაუტოვებს მათ ყველა თავისუფალ შესაძლებლობას, დაარეგულირონ თავიანთი მისწრაფებები თვითგანვითარებისათვის და არ წაართმევს შრომით გამომუშავებულ საკვებს.“[109]

უნდა ითქვას, რომ პარიზში ყოფნისას, როდესაც ფილადელფიაში კონსტიტუცია იწერებოდა, მან ფედერალისტური წერილები, მმართველობის შესახებ დაწერილ ერთ-ერთი საუკეთესო ტრაქტატად აღიარა, მაგრამ პრეზიდენტის როლის ზრდა და უფლებათა ბილის არარსებობა, მისთვის აშკარა წინააღმდეგობის საფუძველი გახდა. თომას ჯეფერსონის მცირე და შეზღუდული მთავრობის იდეის გამოვლინება იყო კონსტიტუციაში სწორედ უფლებათა ბილის, პირველი ათი

[106] იქვე, p. 27
[107] Padover, 1960, p. 61
[108] იქვე, p. 62
[109] თომას ჯეფერსონის პირველი საინაუგურაციო მიმართვა, ხელმისაწვდომია აქ: https://avalon.law.yale.edu/19th_century/jefinau1.asp [გადამოწმების თარიღი: 22/07/2023]

შესწორების მიღების მოთხოვნა, რისი რატიფიცირებაც კონგრესმა 1791 წელს შეძლო. ჯეფერსონის იდეებს, რაც შეიძლება მკაფიოდ დაცულიყო შესწორებებში მოცემული უფლებები, დაემატა მე-9 და მე-10 შესწორებები, რომელთაც, როგორც ფილოსოფიური, ასევე ტექნიკურ-ფედერალისტური ხასიათი აქვს. უფრო ზუსტად, მე-9 შესწორების მიხედვით, „კონსტიტუციაში განსაზღვრულ უფლებათა ჩამოთვლა არ უნდა განიმარტებოდეს, როგორც უარყოფა და უგულებელყოფა სხვა უფლებებისა, რომლებიც ხალხს გააჩნია“.[110] ჯეფერსონის მიხედვით, ფედერალური და შტატის მთავრობები იმისთვისაა, რომ დაიცვას როგორც კონსტიტუციაში დასახელებული, ისევე დაუსახელებელი უფლებები, რაც არსებობს კონსტიტუციის მიღმა. ამდენად, ხალხისგან მთავრობისთვის მინიჭებული უფლებები ლიმიტირებულია და არ უნდა გასცდეს ადამიანის უფლებების დაცვის ზღვარს.[111]

იმავე კონტექსტის გაგრძელებაა მე-10 შესწორებაც, რომლის მიხედვითაც, „უფლებამოსილებები, რომლებიც შეერთებულ შტატებს კონსტიტუციით პირდაპირ არ აქვს მინიჭებული, ან კონსტიტუციითვე არ არის ჩამორთმეული შტატებისთვის, გადაეცემა თითოეულ შტატსა და ხალხს.“ აღნიშნული ჩანაწერი ცალსახა გამოხატულებაა ფედერალიზმისა[112] და რესპუბლიკანიზმის პრინციპების, რომელთაც, თომას ჯეფერსონი თავის კარიერის განმავლობაში იცავდა. საქმე ის არის, რომ კონსტიტუციაში არსებობს პირველი მუხლის მე-8 პუნქტი, რომელიც კონგრესს კონკრეტული უფლებების ჩამონათვალს უდგენს, რომლის ფარგლებშიც მან, როგორც ფედერალური მთავრობის ერთ-ერთმა შტომ უნდა იმოქმედოს. ამ შეზღუდული ჩამონათვალის არსებობის მიუხედავად, თომას ჯეფერსონის ფრთამ მაინც მოისურვა კონსტიტუციისთვის მე-9 შესწორების დამატება, რათა, ხელისუფლების რომელიმე შტოს ძალაუფლების უზურპაციისთვის ნაკლები შესაძლეობლობა დარჩენოდა. ერთი სიტყვით, ამ ჩანაწერით ჩამოყალიბდა მთავრობისთვის გადაცემული, ჩამოთვლილი

---

[110] ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-9 შესწორება, თარგმანი: არჩილ კობალაძე, სანდრო ბარამიძე, თბილისი, 1993

[111] Roger Pilon, “American Constitutional Theory and History: Implications for European Constitutionalism”, the Cato Journal of Public Policy Analysis, Fall 2018, p. 12

[112] აქ მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ფედერალისტები, როგორც პოლიტიკური პარტია და ფედერალიზმი. პირველი არის პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც 1787 წლის კონვენტზე მხარს უჭერდა ცენტრალური მთავრობის შექმნას კონსტიტუციის მეშვეობით, რის გამოც, ეს დასახელება მათ საქმიანობაში მე-19 საუკუნის პირველ წლებამდე შემორჩა. რაც შეეხება ფედერალიზმს, იგი ცენტრალურ მთავრობასა და შტატებს შორის უფლებათა განაწილების კონფენციაა აშშ-ის სახელმწიფო სისტემაში, რაც, ადგილობრივ მთავრობებს საკმაოდ მაღალ უფლებამოსილებებს უტოვებს (ავტ).

და რაც მთავარია, ლიმიტირებული უფლებამოსილებები. თუკი უფლებამოსილება ვერ მოიძებნება კონსტიტუციაში, მაშინ ის ან შტატს ეკუთვნის, ან ხალხს. შესაბამისად, არასდროს გადაეცემა ცენტრალური მთავრობის არც ერთ შტოს.[113]

შეზღუდული, მცირე მთავრობის იდეა გამოვლინდა მისი პოლიტიკური ფილოსოფიის სხვა მიმართულებებშიც. როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ალექსანდრ ჰამილტონისგან განსხვავებით, ჯეფერსონი ფერმერებისა, ეკონომიკურად ნაკლებად ძლიერი, მოვალე ფენის ინტერესების გამტარებელი იყო. „თომას ჯეფერსონი და აგრარულობის ფილოსოფია“, ასეთ ქვეთავს უძღვნის ჯონ მილერი ჯეფერსონის მოღვაწეობას, სწორედ ზ/მითითებულ კონტექსტში. როგორც უკვე არაერთხელ ვთქვი, ჰამილტონისგან განსხვავებით, ჯეფერსონი მინიმალური მთავრობის კონცეფციის დამცველი იყო. მეტიც, იგი ადამ სმიტის ნაშრომს, „ხალხთა სიმდიდრის შესახებ“, ეკონომიკაზე დაწერილ ყველაზე დიად ნაშრომად მიიჩნევდა, laissez faire მიდგომას ყველაზე მეტად უჭერდა მხარს და მთავრობის საუკეთესო ქმედებად საზოგადოებრივი კეთილდღეობის საქმეში მიიჩნევდა ინდივიდებისა და ბიზნესისთვის მაქსიმალური დამოუკიდებლობის მინიჭებას. იგი მთავრობის ინდივიდების საქმეში ჩარევას იმდენად უარყოფითად უყურებდა, რომ 1791 წელს, სოფლის მეურნეობისა და ფერმერთა დასახმარებლად მთავრობის მიერ „სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ გააქტიურებასაც კი შეუშალა ხელი. „თუკი ოდესმე მთავრობას მიეცემა საშუალება კორპორაციები ჩამოაყალიბოს“ - იწინასწარმეტყველა მან - „იგი მხოლოდ მიკერძოებული ინტერესებისთვის იქნება გამოყენებული.“[114] რომ შევაჯამოთ, ადრეული რესპუბლიკის პერიოდში ჯეფერსონი იმდენად შეზღუდული ეროვნული მთავრობის მომხრე იყო, რომ იგი სრულიად უარყოფდა მისი მხრიდან საზოგადოებისთვის სიკეთეების მომტან თითქმის ნებისმიერ პოტენციალს.[115] ამის ძირითადი მიზეზი ის გახლდათ, რომ ჯეფერსონს ამერიკული ფერმერების და სოფლის მეურნეობის დიდი და ორგანიზებული ბიზნესის მარწუხებისგან სურდა, რომელიც, მისი აზრით, ყოველთვის ეცდებოდა მთავრობის ქცევას ხალხის მასისგან, განსაკუთრებით ფერმერებისგან ფულის გამომძალველ ინსტრუმენტად. ჯეფერსონს მხურვალედ უყვარდა ფერმერული საქმიანობა, რომელიც, ქალაქს მიჩვეული

[113] Pilon, 2018, p. 11
[114] Miller, 1960, p. 72
[115] იქვე

ფედერალისტებისთვის გაუგებარი იყო. ათასობით აკრი მიწისა და საკმაოდ დიდი რაოდენობით მონების მეპატრონე, მიწაზე მუშაობის მომქანცველი ნაწილისგან თავისუფალი იყო. მისი შეხედულებით, ფერმერობა მხოლოდ მიწაზე მუშაობა კიარა, არამედ ცხოვრების ღვთისგან მონიჭებული წესი, არსებითი და ნამდვილი მადლი. მისთვის არ არსებობდა იმაზე მეტი სიამოვნება, ვიდრე მიმოეხედა თავის მიწაზე და ეთქვა - „ეს მე მეკუთვნის და ჩემს შემდეგ, ჩემი შვილების გახდება."[116] ყველაზე უარესი, რაც ჯეფერსონის აზრით შეიძლებოდა ამერიკას შემთხვეოდა იყო მისი შესვლა ინდუსტრიულ რევოლუციაში, მიწის ნაცვლად, ინდუსტრიაზე უპირატესობის მინიჭება და ქალაქების უკიდეგანოდ ზრდა მისი მოსაზღვრე ტერიტორიების და სოფლების ხარჯზე. მისთვის, ინდუსტრიალიზაცია ამერიკისთვის ერთგვარი სამოთხიდან გამოსვლის ტოლფასი იყო.

უნდა ითქვას, რომ ჯეფერსონის ეს შიშები, ამერიკულ საზოგადოებაში მრავალი მიმართულებით გამართლდა. დღეის მდგომარეობით, ამერიკის შეერთებული შტატები დაყოფა ქალაქებისა და ქალაქებს მიღმა ნაწილებად ზედმეტად საგრძნობია, განსაკუთრებით საარჩევნო გეოგრაფიის დაკვირვებისას. ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი და პოლიტილოგი ვიქტორ დეივის ჰენსონი, თავის ერთ-ერთი ნაშრომში ერთ-ერთი თავს ასათაურებს, როგორც „ორი ამერიკა" და მასში მთელ რიგ განსხვავებებს აღწერს, რომელიც, სწორედ ფერმერებისა და ქალაქების მცხოვრებლების ცხოვრების წესს ადარებს.[117] ამასთან, ერთგვარად წინასწარმეტყველურია ჯეფერსონის მოსაზრებები ფერმერებისა და ორგანიზებული ბიზნესის ინტერაქციაზე, რამდენადაც, სოფლის მეურნეობის კორპორატიზაცია არაერთხელ გამხდარა კრიტიკის ობიექტი როგორც გარემოს დაცვითი, ასევე ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ფრანგი ავტორის, მიშელ უელბეკის მოსაზრებები, რომელიც აღწერილია მის უახლეს ნარაწმოებში, „სოროტონინი", რომელიც, მართალი მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებია, მაგრამ შესანიშნავად აღწერს სოფლის მეურნეობის დიდი კორპორაციების მიერ კერძო ფერმერების შევიწროებას და ამ უკანასკნელთაგან კონკურენციის ვერდაძლევას. აღნიშნულს მივყავართ შემდეგ დასკვნამდე, რომ

[116] A. Whitney Griswold, "The Agrarian Democracy of Thomas Jefferson", American Political Science Review, XL (1946), p. 667
[117] Victor Davis Hanson, "The Case for Trump", Basic Books, New York, 2019, p. 27

ისტორიულმა ლოგიკამ და ადამიანის მისწრაფებამ პროგრესსა და სიმდიდრეზე, თავისი შედეგი გამოიღო, რომელიც, ალბათ შეუქცევადი პროცესი იყო და ვფიქრობ, კიდევ უფრო საგრძნობი შედეგები ჯერ კიდევ წინ არის. ამდენად, ჯეფერსონის იმედი და ერთგვარი ოცნებაც კი, ჰამილტონისეური ურბანიზაციის, დიდი ქალაქებისა და შესაბამისად, სახელმწიფოს გაზრდილი როლით დასრულდა. ასევე, გაქარწყლდა, კერძო, მცირე მწარმოებლებისგან ქარხნების ინდუსტრიული სისტემის დაჯაბნის იმედიც.

და მაინც, რატომ იყო ფერმერთა კლასის დახმარება ჯეფერსონის საზრუნავი იმის გარდა, რომ იგი პირადად იყო მიწათმფლობელი? საქმე იმაშია, რომ იგი მიწათმფლობელებს და ფერმერებს აშშ-ის მომავალს უკავშირებდა, რადგან, მისი აზრით, ფერმერობა, როგორც საქმიანობის ფორმა, ბუნებრივად ქმნიდა ისეთ მოქალაქეებს, რომლების რესპუბლიკური მთავრობის უნარიანობის შესანარჩუნებლად იქნებოდა აუცილებელი.[118] თუკი კანადელ მღვდელსა და მწერალს, რეიმონდ დესუზას[119] დავესესხები, ჩვენი საქმიანობა ქმნის ჩვენსავე ხასიათს. ამდენად, როგორც ჯეფერსონს მიაჩნდა, ფერმერობის საქმიანობის ბუნებაა ისეთი, რომ იგი რესპუბლიკური მმართველობისთვის ყველაზე დაახლოებული ხასიათის ადამიანს აყალიბებს. ამის საპირწონედ, როგორც უკვე აღვნიშნე, მე-18 საუკუნის ბოლოსთვის, აშშ-ში ვითარდებოდა ქალაქების ინსტუსტრიული ზონები და ქალაქები, რომლებშიც მსხვილი კაპიტალის მქონე მდიდარი ფენა და მუშები იყვნენ კონცენტრირებულნი. ჯეფერსონს ეს უკანასკნელნი დემოკრატიისთვის საფრთხედ მიაჩნდა, რადგან იმდროინდელ ინდუსტრიულ საზოგადოებას სიღარიბის აჩრდილი გასდევდა. შესაბამისად, იმისათვის, რომ მწარმოებელს მოგება ენახა, მას მუშების მძიმე პირობებში ექსპლოატაცია უწევდა. სწორედ ეს უკანასკნელი აშინებდათ აგრარული ეკონომიკის მომხრეებს, რადგან არაფერია უფრო მარტივი, ვიდრე სიღარიბესა და გაჭირვებაში მყოფი მუშის მანიპულირება. სწორედ ამიტომ ეშინოდა ჯეფერსონის ფლანგს ინდუსტრიული ზონებისა და შესაბამისად, ექსპლოატაციის ქვეშ მყოფი მუშების ქალაქებში კონცენტრაციის.[120] აქედან გამომდინარე, ჯეფერსონისთვის მიწათმოქმედებას არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური მნიშვნელობაც

[118] Miller, 1960, p. 74
[119] https://fatherdesouza.com/
[120] H. Wayne Morgan „The Origins and Establishment of the First Bank of the United States“, The Business History Review , Dec., 1956, Vol. 30, No. 4 (Dec., 1956), pp. 472-492

ჰქონდა. „ამერიკის დიადი ინტერესი“ მიწათმოქმედება მისი აზრით მიტომ იყო, რომ თუკი ფერმერები პოლიტიკურად თვითორგანიზებას შეძლებდნენ, ვერაფერი, მათ შორის ჰამილტონური ბანკირების, სპეკულანტებისა და ბიზნესმენების ფალანგაც კი ვერ შეძლებდა მათ წინააღმდეგ წასვლას.[121]

აქვე მსურს აქცენტი გავაკეთო კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან პასაჟზე, რასაც ჯეფერონის შრომებსა და ზოგადად, ხედვებში ვხვდებით. მისი აზრით, ცხადია არსებობდა პოლიტიკოსებისა და საზოგადოების მაღალი ფენებისგან ჩვეულებრივი, ფინანსურად დაბალ საფეხურზე მდგარი ადამიანების მოტყუების, შეცდომაში შეყვანისა და მათი თავიანთი მიზნებისთვის გამოყენების საფრთხე, თუმცა, ჯეფერსონის თქმით, უბრალო ხალხის გაუაზრებლობასა და სიბრიყვეს იმასთან მიახლოებული საფრთხის გამოწვევა არ შეუძლია, რაც ბრძენი ოლიგარქების მოქმედებებს. სწორედ აღნიშნულთან თანხვედრაში უნდა აღინიშნოს, რომ ჯეფერსონის აზრით, თუკი ადამიანებს სწორად მიაწვდი ინფორმაციას, ისინი სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებენ, თუნდაც პოლიტიკურ თანამდებობებზე ადამიანების არჩევას ეხებოდეს საქმე. ადამიანის ბუნების მიმართ მსგავსი ოპტიმისტური და იმედიანი ხედვა არაერთხელ ვლინდება ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომ ისტორიაში. განსაკუთრებით, ამას ვხვდებით ვუდრო უილსონთან, რომელიც ფუნდამენტურად იცნობდა როგორც თომას ჯეფერსონს, ასევე აშშ-ის სახელმწიფო სისტემას.

1.3 ფრაქციონიზმისა და პარტიული ორგანიზაციების შიში

ზემოთ მოყვანილი ორი ამერიკული გენიის პოლიტიკურ შეხედულებათა ანალიზის შემდეგ მსურს ნათელი გახდეს, თუ რამდენად უმტკივნეულოდ მოხდა მათი იდეების გარდაქმნა პოლიტიკურ ორგანიზაციებში და მზად იყო თუ არა ადრეული რესპუბლიკის ამერიკის შეერთებული შტატები პარტიების მიღებისათვის. თუკი ჯეიმს მედისონის მე-10 ფედერალისტურ წერილს კვლავ დავესესხებით, იქ გამოთქმული მოსაზრება ჯგუფურობის სენის შესახებ შემთხვევითი არ იყო და მკაფიოდ აისახა პარტიების ჩამოყალიბების პროცესზე. კერძოდ, დამფუძნებელი მამების თაობა, იმის გამო რომ მათ საკმაოდ გაურთულდათ კონსტიტუციის მიღების,

[121] Miller, 1960, p. 75

ხოლო მანამდე, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პროცესი, ძალიან ფრთხილობდა საზოგადოების რაიმეგვარი გაყოფის შესახებ. თავდაპირველად, პარტიების შექმნა მათ სწორედ მსგავსი ხიფათის შემცველ მოვლენად წარმოედგინათ. რიჩარდ ჰოფშტადტერის მიხედვით, პარტიებს პოლიტიკური მოაზროვნეები სამი ძირითადი მიზეზის გამო გმობდნენ. **პირველი,** ერთსულოვნად თუ არა, საზოგადოებას საკუთარი თავი შეთანხმებებით უნდა ემართა და დაფუძნებოდა მიღწეულ კონსესუსებს. ადრეული რესპუბლიკის დროინდელი კონვენციური მიდგომით, პარტიების არსებობას შეეძლო ისეთი სოციალური კონფლიქტების წახალისება, რასაც სხვა შემთხვევაში ვერ მიიღებდნენ, ან, ისეთი კონფლიქტების გაუარესება, რაც ნორმალურ საზოგადოებებს ჩვეულებრივ ახასიათებდათ. ის მიიჩნეოდა ტურბულენტობის პირველწყაროდ, რასაც უწესრიგობა და ანარქია შეეძლო მოეტანა.[122] მეორე, არსებობდა მაღალი შანსი, რომ პარტია ან ფრაქცია გამხდარიყო ინსტრუმენტი პატარა, ვიწრო ჯგუფის ხელში, რომელსაც შეეძლო თავისი სურვილები მთელი საზოგადოებისთვის მოეხვია და ემოქმედა ტირანების სასარგებლოდ. ტირანია და ანარქია ერთად ანაცვლებენ წესრიგს, კვებავენ ერთმანეთს და ქმნიან არასტაბილურ პოლიტიკურ სისტემას.[123] მესამე, პარტია უფრო მეტად ასოცირდებოდა ერთი პოლიტიკური გაერთიანების და არა საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინტერესთა ერთგულ მსახურად. ასეთი სახის პარტიულ ერთგულებას, შესაძლოა, გამოეწვია ნაკლები ინტერესი საერთო საზოგადოებრივი სიკეთის მიმართ, რასაც, ღირსეული მოქალაქეების მხრიდან, პარტიების არარსებობის პირობებში ჩვეულებრივ უნდა ჰქონოდა ადგილი. ადრეული რესპუბლიკის ამერიკული აზროვნება კი, კარგ და ღირსეულ ადამიანს განიხილავდა როგორც თავისუფალს ყოველივე ამდაგვარი მიკერძოებებისაგან.[124] შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო, რომ მედისონის გარდა, პარტიებსა და ფრაქციებს ეჭვით უყურებდა თავად ჯორჯ ვაშინგტონიც. „სახალხო ინტერესებისათვის“, ამბობდა ვაშინგტონი, „პარტიული ბუნება არ უნდა წახალისდეს, იგი ცეცხლია, რომელიც არ უნდა გავრცელდეს და საჭიროა ერთობლივი სიფხიზლე, რათა არ გადაიქცეს ალად.“[125] ამერიკელი პოლიტიკის მეცნიერის, **ელმერ**

[122] Richard Hofstadter, „The Idea of a Party System“, University of California Press, 1969, p. 12
[123] იქვე, p. 13
[124] იქვე, p. 13
[125] James Reichley, “The Life of the Parties: A History of American Political Parties”, The Free Press, N.Y., 1992, p. 17

შეტშნაიდერის მიხედვით, სხვა დამფუძნებლებიც სრულად იზიარებდნენ ვაშინგტონის უნდობლობას პარტიების მიმართ - სულ ცოტა მანამდე, სანამ თავად გახდებოდნენ პარტიების ლიდერები. ჰამილტონი პარტიებთან აკავშირებდა „ამბიციებს, სიხარბეს და პერსონალურ დაპირისპირებებს“, ჯონ ადამსი კი შიშით ძრწოდა „რესპუბლიკის ორ დიდ პარტიად გაყოფის შესახებ, რომლებიც თავიანთი ლიდერების ქვეშ უნდა განვითარებულიყვნენ და ერთმანეთის წინააღმდეგ მრავალგვარ დაპირისპირებაში ჩაბმულიყვნენ.“[126] ასეთ დამოკიდებულებას დამფუძნებელ მამებში მე-18 საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებული პოლიტიკის ღრმა ანალიზი უძღოდა წინ და ძირითადად ინგლისელ მოაზროვნეებს ეფუძნებოდა. საბოლოო ჯამში, მე-18 საუკუნის ამერიკული საზოგადოება პოლიტიკური პარტიებისთვის ბოლომდე მზად არ იყო და ამის შესახებ, ჩამბული იყო სხვადასხვა დისკუსიებში. ჰოფშდადტერის მიხედვით, პარტიათა ავკარგიანობის შესახებ მე-18 საუკუნის ბოლოს, ამერიკაში სამი ძირითადი ხედვა არსებობდა. **პირველი,** როგორც ორთოდოქსული ხედვა, ინგლისელ გრაფ ბოლინგბროკს უკავშირდება, რომელიც ამერიკაში ცნობილი იყო, როგორც *ჰამილტონური ხედვა.* ამის მიხედვით, „პარტიები ბოროტების წარმომქმნელია და აუცილებელია მათი აკრძალვა და ამოძირკვა“.[127] შეხედულება, რომ პარტიები კერძო, სპეციალური ინტერესებისათვის დაფუძნებული ორგანიზაციებია, რომლებიც საზოგადოებრივი კეთილდღეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ, საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. 1788 წელს, კონსტიტუციის რატიფიცირების ნიუ იორკის კონვენტზე ჰამილტონმა თქვა, რომ „ჩვენ ამ კონსტიტუციით ვცდილობთ ავკრძალოთ ფრაქციები და გავაერთიანოთ ყველა პარტია საზოგადო კეთილდღეობის მიზნით.“[128] თავად ზ/ხსენებული ბოლინგბროკი პარტიების წინააღმდეგობის ამ ვრცელ გზაზე სხვადასხვა საგულისხმო არგუმენტებს ეყრდნობოდა, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში, ინგლისში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურ პროცესებს დაეფუძნა. ბოლინგბროკი თავის შრომებში მიზნად ისახავდა საზოგადოებაში არსებული ორგანიზებული კონფლიქტების არიდებას და ეროვნული ერთიანობის მიღწევას გონებამახვილობისა და ხელისუფლების მიუკერძოებელი მმართველობის მეშვეობით. მან იმავე ინგლისის ისტიურიული გამოცდილების

[126] Elmer E. Schattschneider, “Party Government”, Rinehart, New York, 1942, p. 1
[127] Hofstadter, 1969, p. 16
[128] იქვე, p. 17

გამოყენებით, როგორც უკვე ვთქვით, გავლენა მოახდინა ისეთ ამერიკელ დამფუძნებლებზე, როგორებიც იყვნენ მედისონი, ადამსი, ჯეფერსონი და თავისთავად, ალექსანდრ ჰამილტონი. თავის მხრივ, ეს არაა გასაკვირი, რადგან, მკვლევარების მიხედვით, ისეთი მოაზროვნეებიც კი, როგორებიც შარლ ლუი დე მონტესკიე და დევიდ იუმი იყვნენ, რიგ საკითხებში მნიშვნელოვნად ეყრდნობოდნენ ბოლინგბროკს.[129]

მისი ძირითადი ანტიპარტიული მოტივაცია წარმოიქმნა ინგლისურ პოლიტიკურ სისტემაში არსებული დაძაბულობის გამო, როდესაც იგი პრემიერ-მინისტრ რობერტ უოლპოლს ვიგების პარტიიდან უპირისპირდებოდა და მონარქის ხელისუფლებას, კორუფციაში ამხელდა. ბოლინგბროკის აზრით, მონარქი არ უნდა გამხდარიყო რომელიმე კონკრეტული ფრაქციის ინტერესების გამტარებელი.[130] მისთვის, უოლპოლის რეჟიმი იყო ფრაქციული უპირატესობისა და ტირანიის გამოხატულება, რაც, მონარქს, თავისი სიბრძნის და პოლიტიკური მოქნილობის წყალობით, თავიდან უნდა აერიდებინა.[131]

მეორე, ცნობილია როგორც ამერიკაში მედისონის, ხოლო ინგლისში, იუმის ხედვად. ამის მიხედვით, პარტიები საზოგადოების საუკეთესო სახე ნამდვილად არაა, თუმცა მათი არსებობა გარდაუვალია თავისუფალი სახელმწიფოებისათვის და ამდენად, ყველამ უნდა შეძლოს მათ მიმართ ტოლერანტობა, ვისთვისაც თავისუფლებას ფასი აქვს. ცხადია, დასაშვებია პარტიათა ძალაუფლების შეზღუდვა, თუმცა მათი გაქრობა - წარმოუდგენელი. თუკი ჯეიმს მედისონი მე-10 ფედერალისტური წერილის ერთ ნაწილში სწორედ ფრაქციების და ჯგუფურობის სენის შესახებ გვაძლევს მაგალითებს, მეორე ნაწილში მის გარდაუვალობასა და აუცილებლობასაც კი ასაბუთებს. „ჯგუფურობის სენისაგან განკურნების ორი გზა არსებობს: პირველი მისი მიზეზების აღმოფხვრაა, მეორე – მისი შედეგების კონტროლი. მისი მიზეზების აღმოფხვრის ასევე ორი საშუალება არსებობს. პირველი გულისხმობს თავისუფლების, როგორც ჯგუფური ურთიერთდაპირისპირების აუცილებელი წინაპირობის გაუქმებას. მეორე იმას მოასწავებს, რომ თითოეულ

[129] Max Skjonsberg, "Lord Bolingbroke's Theory of Party and Opposition", The Historical Journal, Vol. 59, No. 4 (December 2016), pp. 947-973, ხელმისაწვდომია აქ: https://www.jstor.org/stable/26343345 გადამოწმებული: 25/09/2024

[130] შენიშვნა: ამ შემთხვევაში ბოლინგბროკი მოიაზრებდა უოლპოლის ვიგების პარტიას

[131] Hofstadter, 1969, p. 20

მოქალაქეს ერთი და იგივე აზრი, ვნება და ინტერესი ჩაუნერგო. ეგოდენი სიმართლე არაფერზე თქმულა, რაოდენიც წამლობის პირველ საშუალებაზე ითქვა. ამგვარი წამალი თვით სნეულებაზეც უარესი იქნებოდა. ჯგუფური ურთიერთდაპირისპირებისთვის თავისუფლება იგივეა, რაც ჰაერი – ცეცხლისათვის. თავისუფლებაა მისი საზრდო, ურომლისოდ იგი წამშივე დაივსებოდა. თავისუფლება ელემენტია პოლიტიკური ცხოვრებისა. მართალია, იგი ჯგუფური ურთიერთდაპირისპირების საზრდოცაა, მაგრამ ამის გამო მისი გაუქმება ისეთივე სისულელე იქნებოდა, როგორც ჰაერის, როგორც ცეცხლის სასიცოცხლო ელემენტის აღკვეთა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აღაგზნებს მას და ყოვლის ჩამნთქმელ ძალას ანიჭებს."[132] მედისონის თქმით ფრაქციების არსებობის ფუნდამენტური მიზეზი კიდევ უფრო ღრმად, ადამიანის ბუნებაში უნდა ვეძებოთ. „ისე ძალუმია მიდრეკილება ურთიერთმტრობისადმი, რომ სულაც არ არის აუცილებელი რაიმე არსებითი საბაბი. არადმისაჩნევი და ახირებული სხვაობანიც კი საკმარისია, რათა აღიგზნოს მათი მოქიშპე ვნებები და გაჩაღდეს მათი ყველაზე მძვინვარე კონფლიქტები."[133] იგი ჯერ კიდევ 1788 წელს აღწერს საკუთრებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და ხაზს უსვამს, რომ „ურთიერთწაკიდების საერთო და ყველაზე მტკიცე საფუძველი მაინც საკუთრების უთანაბრო და უთანასწორო განაწილებაა. საზოგადოებაში ყოველთვის ურთიერთდაპირისპირებული ინტერესებით გამოდიოდნენ ისინი, ვისაც საკუთრება აქვს და ვისაც იგი არა აქვს. იგივე ითქმის მევალეებსა და მოვალეებზე. ცივილიზებულ ერთა თანამედროვე მდგომარეობას უშვია მიწასთან დაკავშირებული ინტერესები; ამ ინტერესებს გაუხლიჩავთ კიდეც იგივე ერები კლასებად და პარტიებად, რომლებთაც ურთიერთგამომრიცხავი გრძნობები და შეხედულებები გასჩენიათ." სწორედ იქიდან გამომდინარე რომ აქ მოყვანილი და სხვა მიზეზების გამო ადამიანები ბუნებრივად მიდრეკილნი არიან აზრთა და უფლებათა შეპირისპირებისკენ, მედისონის მიერ განხილული პრობლემის გადაწყვეტის მეთოდი არა ზ/მოყვანილ თავისუფლების ჩახშობაში მდგომარეობს, არამედ კანონმდებლობის ისეთი სახის მოწესრიგებაში, რომ „ეს ეგზომ განსხვავებული და ურთიერთშემაბრკოლებელი ინტერესები და პარტიულ-

[132] ფედერალისტი #10, ხელმისაწვდომია აქ: http://www.federalistpapers.ge/federali010.php, [გადამოწმებულია 24/09/2024]
[133] ფედერალისტი #10, ხელმისაწვდომია აქ: http://www.federalistpapers.ge/federali010.php, [გადამოწმებულია 24/09/2024]

ჯგუფური სულისკვეთება ხელისუფლების აუცილებელსა და ყოველდღიურ საქმიანობაში ჩააბას."[134] შესაბამისად, მედისონის მოსაზრებებში უკვე გამოკვეთილია პოლიტიკური განსხვავებულობის პოლიტიკურ პარტიებში ასახვის აუცილებლობა, რადგან, იგი ადამიანთა შორის აზრთა სხვადასხვაობის ბუნებრივ შედეგად იქნა მიჩნეული.

რაც შეეხება **მესამე** ხედვას, მას მიაკუთვნებენ ინგლისელ მოაზროვნესა და ცნობილ პოლიტიკოსს, ედმუნდ ბერკს ვიგების პარტიიდან. ბერკის მიხედვით, „პარტიული დაყოფა, ემსახურება იგი კარგს თუ ცუდ მიზანს, განუყოფელია თავისუფალი მმართველობისგან." „პარტია ადამიანთა ერთობაა", წერს იგი, „რომელიც მიზნად ისახავს თავიანთი საერთო ხედვების ფარგლებში ეროვნული ინტერესების მხარდაჭერას." ამ მხრივ, ედმუნდ ბერკის შეხედულება პარტიის შესახებ მედისონისგან ოდნავ განსხვავდება და უფრო მეტად პოზიტივისტურია. თუკი მედისონი ფრაქციონიზმსა და ჯგუფურობას სენად მოიხსენიებს, ედმუნდ ბერკისთვის პარტიები ეროვნული მიზნებისა და ინტერესებისთვის მხარდაჭერის შესაძლებლობაა. შეიძლება ითქვას, რომ ბერკი ერთ-ერთი პიონერია, ვინც პარტიებს, როგორც მმართველობის პროცესისთვის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებს და დემოკრატიული მმართველობისთვის ერთგვარ ბუნებრივ შემადგენლად მიაჩნია. რიჩარდ ჰოფშტადტერის აზრით, პარტიების შესახებ ედმუნდ ბერკის აზრი აშკარად უსწრებდა დროს და ერთგვარად წინასწარმეტყველურიც იყო, რადგან, იგი თავის თანამედროვე მწერლებსა და პოლიტიკურ მოაზროვნეებზე ბევრად შორს წავიდა.[135] ბერკის თქმით, ცხადია პარტიები შესაძლოა დაკნინდნენ ისეთი სახის ვიწრო ჯგუფებად, რომელთაც მხოლოდ შუღლი და უთანხმოება აერთიანებთ, თუმცა, იმავე წარმატებით, ნაკლი შეიძლება ვუპოვოთ ნებისმიერ ინსტიტუტს, იქნება ეს ჯარი თუ სამღვდელოება, რაც თავის მხრივ, ამ ინსტიტუტების ზოგად არსებობას ეჭვქვეშ ვერ დააყენებს. იმავეს თქმა შეიძლება პარტიებზე, რომელთა პოლიტიკაში მონაწილეობა საზოგადოებრივი სიკეთის შექმნისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია.[136]

საბოლოო ჯამში, როგორც პოლიტიკურმა პროცესმა აჩვენა, პარტიები არათუ საზოგადოების გამყოფ, არამედ ერთიანობის შემნარჩუნებელ და კიდევ ერთ

[134] იქვე
[135] Hofstadter, 1969, p. 33
[136] იქვე, p. 32

დამაბალანსებელ საშუალებადაც იქცა. უკვე მე-18 საუკუნის ბოლოსთვის აღნიშნული კარგად გააცნობიერეს ფედერალისტებმაც, რომელთა ერთ-ერთმა ლიდერმა, რობერტ გუდლო ჰარპერმა წარმომადგენლობით პალატაში განაცხადა, რომ პარტიები არათუ გარდაუვალი, არამედ აუცილებელია. მისი თქმით, „საზოგადოება მსაჯულივითაა, ორი პარტია კი ორი დაპირისპირებული მხარე. პარტია, რომელიც ძალაუფლებას ფლობს მას ჯეროვნად უნდა მოეკიდოს, ბრძნულად გამოიყენოს თუ საზოგადოების მხარდაჭერის შენარჩუნება და ძალაუფლებაში დარჩენა სურს. ამ წინააღმდეგობაში, რომელშიც ორი პარტია ორ განსხვავებულ ხედვას გვთავაზობს, საზოგადოებისთვის სასარგებლო შედეგი მიიღება, რადგან იგი ორივე მათგანისგან იძენს კომპრომისულ, თავისთვის მისაღებ კურსს.“[137] თავად ჰამილტონიც კი, თავის 70-ე ფედერალისტურ წერილში წერს, რომ „ხელისუფლების საკანონმდებლო დეპარტამენტში ჩვეულებრივი ამბავია აზრთა სხვადასხვაობა და პარტიებს შორის მეტოქეობა, თუმცა ზოგჯერ ეს ზიანს აყენებს სასარგებლო გადაწყვეტილებათა მიღების საქმეს. მაგრამ ამგვარი ვითარება უფრო ხშირად ხელს უწყობს აწონილ – დაწონილი გადაწყვეტილებებისა და წინდახედული ზომების მიღებას. ამასთანავე, იგი უმრავლესობის მოთოკვაში გვეხმარება, რათა მან უკიდურესი ქმედებები არ ჩაიდინოს.“[138] საბოლოო ჯამში, მე-18 საუკუნის ამერიკაში პარტიების მიმართ სკეპტიციზმი ალბათ უფრო გამოცდილების ნაკლებობას და იმ ფაქტებს ემყარებოდა, რომ იმ დროისათვის, უბრალოდ არ არსებობდა წარმატებით მოქმედი პარტიების ბევრი მაგალითი. ვფიქრობ, დამფუძნებელი მამების გადმოსახედიდან ეს აბსოლუტურად გასაგები მიდგომაა რამდენადაც, როგორც ნაშრომში არაერთხელ აღვნიშნე, მათი გადაწყვეტილებები და მიდგომები ძირითადად, სწორედ ისტორიულ გამოცდილებათა ღრმა შესწავლასა და ანალიზს ეფუძნებოდა. ყოველივე ეს არგუმენტი გახდა წინაპირობა თომას ჯეფერსონისა და ალექსანდრ ჰამილტონის იდეების პოლიტიკურ ჯგუფებად გარდაქმნისათვის, რამაც, შემდგომში საფუძველი დაუდო უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან ამერიკული პოლიტიკურ პარტიებს.

ამ დებატებიდან გაივლის ერთ საუკუნეზე მეტი და 31-ე პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი იტყვის, რომ „პოლიტიკურ პარტიებს, იმყოფებიან თუ არა ისინი

[137] იქვე, p. 37

[138] ფედერალისტი #70, ხელმისაწვდომია აქ: http://www.federalistpapers.ge/federali70.php, [გადამოწმებულია 30/09/2024]

ხელისუფლებაში, უდიდესი ვალდებულება აქვთ სახელმწიფოს წინაშე. ჩვენს მთავრობას არაერთი ფუნდამენტური მახასიათებელი თუ დაცვითი მექანიზმი აქვს, რომლებიც არც ერთი კონკრეტული პარტიის საკუთრება არაა. ისინი მთელი საზოგადოების საერთო საჭიროებაა. ისინი მტკიცე ბმაში არიან კონსტიტუციასთან; კანონის ასრულებასთან ადამიანის ინტერესების სასარგებლოდ; ხალხში არსებული ნდობის გამართლებასთან ხარჯების შეკვეცისა და ადეკვატური შემოსავლების გათვალისწინების მეშვეობით; მთავრობის მაღალი ღირსებისა და ერთსულოვნების გამოვლინებასთან მისი ვალდებულებების მიმართ; მსოფლიო მშვიდობის მხარდაჭერასთან; თავდაცვისათვის ადეკვატურ მზადყოფნასთან; ჩვენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში შემოჭრილი გადაცდომების განკურნებასთან; ჩვენი ოჯახებისა და საცხოვრებელი სივრცის უსაფრთხოებასთან; ინდივიდებისა და ინსტიტების თანაბარი შესაძლებლობების თუ პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებასთან და ბოლოს, ჩვენი ინტელექტუალური, მორალური და სულიერი ცხოვრების ნებისმიერი სახით წახალისებასთან."[139] ჰუვერის ეს მრავლისმთმელი სიტყვა ალბათ იმაზე მიუთითებს, თუ რაოდენ სწორად იქნა გააზრებული პარტიების განვითარების აუცილებლობა ადრეული რესპუბლიკის პერიოდში, მიუხედავად მათ მიმართ მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში არსებული შიშისა. შესაძლოა თავდაპირველად ჰუვერის მიერ ჩამოთვლილი პასუხისმგებლობების გადაცემა არათუ პარტიების, არამედ არც ერთი სამთავრობო შტოსთვისაც კი არ მოიაზრებოდა, თუმცა, ახალმა გამოწვევებმა 1930-იან წლებში, სულ სხვა საჭიროებები გააჩინა. ამდენად, ეს კიდევ ერთი მაჩვენებელია იმის, რომ პარტიების განვითარების გზა აბსოლუტურად გარდაუვალი იყო, რასაც, ნაშრომის შემდგომ თავში უფრო ვრცლად შევეხები.

[139] The American Presidency Project, „ჰერბერტ ჰუვერის წერილი ეროვნული რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მიმართ რესპუბლიკური პარტიის როლის თაობაზე", 1933 წლის 27 თებერვალი, ხელმისავწდომია აქ: https://www.presidency.ucsb.edu/documents/letter-the-chairman-the-republican-national-committee-the-role-the-republican-party [გადამოწმებულია 10/07/2024]

თავი II: ადრეული რესპუბლიკის იდეათა გამოძახილი მე-20 საუკუნის ამერიკაში

როგორც ვიხილეთ, მე-18 საუკუნის ბოლოსათვის, ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად შეერთებულ შტატებში პარტიული ორი მიმართულება დაფუძნდა, რომელთაგან პირველი, ფედერალისტების პარტია, 1800 წლამდე ძალაუფლებაში იყო, პრეზიდენტ ჯონ ადამსის ხელმძღვანელობით. 1800 წლის არჩევნებმა კი, გზა გაუხსნა დემოკრატიული-რესპუბლიკელების მმართველობას, რომელსაც უკვე თომას ჯეფერსონი ედგა სათავეში და რომლის აქტიური პოლიტიკური აქტივიზმი, საბოლოო ჯამში სახელმწიფოს ხელმძღვანელობაშიც გადაიზარდა. ფედერალისტების ძველი გვარდიის გადმოსახედიდან ყველაზე ცუდი რამ მოხდა: პრეზიდენტად „იაკობინელი“ აირჩიეს, ხოლო ქვეყანა ვირჯინიისა და მისი სატელიტების ფეხქვეშ გაეგო. „ფედერალიზმის მზე ჩაესვენა“, ჩიოდნენ ახალი ინგლისის შტატებში, „მხოლოდ ისღა გვაქვს სანუგეშოდ, რომ ღმერთი მეფობს.“[140] ვირჯინიელი ჯეფერსონის გაპრეზიდენტებაში ახალ ინგლისელები საფრთხეს იმის გამო ხედავდნენ, რომ როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ვირჯინია მსხვილი მიწათმფლობელების და ფერმერების შტატი იყო, რის გამოც, პრეზიდენტი ამ უკანასკნელთა ინტერესებს უფრო მეტად გაითვალისწინებდა და მეტ თავისუფლებას გადასცემდა შტატებსაც. აღნიშნული წინასწარმეტყველება გამართლდა, 1800 წლის შემდეგ ფედერალისტური პარტიის არც ერთ კანდიდატს აღარ მოუპოვებია რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება

[140] Miller, 1960, p. 273

არჩევნებში. მეტიც, სრული დომინაცია შეძლო ვირჯინია-ნიუ იორკის ღერძმა, რომლის ფარგლებშიც ე.წ. „ვირჯინიის დინასტიის“ პრეზიდენტები, 1824 წლამდე დარჩნენ ძალაუფლებაში. 1824 წელი კი იყო მომენტი, როდესაც ჯონ ადამსის შვილმა, დიპლომატმა ჯონ ქუინზი ადამსმა დაამარცხა რა ენდრიუ ჯექსონი, ერთი ვადით მოიპოვა ძალაუფლება, თუმცა, როგორც მკვლევარები ამბობენ, იმის მიუხედავად, რომ მან პირველმა დაამკვირდა ოფიციალურ სამოსში თანამედროვე სტილის შარვლები, სრულიად ამოვარდნილი იყო ჯექსონური ამერიკის აღზევებადი სულისკვეთებიდან.[141] 1828 წლის არჩევნების პოლიტიკურ ლანდშაფტში კი უკვე გამოკვეთილი იყო ჯონ ქუინზი ადამსი, როგორც ყოფილი ფედერალისტი და ჯონ ადამსის პოლიტიკური მემკვიდრე, რომელიც მონარქიისა და ძლიერი ცენტრალური მთავრობის მხარდამჭერი ჯგუფის იარლიყს ატარებდა. ამდენად, დემოკრატების პარტიის დამფუძნებელს, ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ პრეზიდენტს, ენდრიუ ჯექსონს, მისი დამარცხება მეორე მცდელობაზე უკვე აღარ გასჭირვებია.[142]

აქედან გამომდინარე, ფედერალისტების ელიტისტური ხედვა, რაც ფართო მასების მიმართ უნდობლობაში, ხოლო მეორეს მხრივ ბრძენი, მდიდარი და წარჩინებული საზოგადოებისთვის უპირატესობის მინიჭებაში გამოიხატებოდა, ამერიკულ პოლიტიკურ წრეებში საბოლოოდ დავიწყებას მიეცა.[143] ამის მიუხედავად, ფედერალისტებმა ამერიკას დაუტოვეს **კავშირის მთლიანობის მიმართ ერთგულების,** კერძო საკუთრების უფლების მხარდაჭერისა და ისეთი ხალხის მიმართ უნდობლობის პოლიტიკური ტრადიცია, რომლებიც, ძალიან მცირე დროში იძლევიან ზედმეტად ბევრი პრობლემის მოგვარების დაპირებას.[144] კონტექსტურად ეს უკანასკნელი ცვლილებების მოსურნე ისეთ ჯგუფებად უნდა აღვიქვათ, რომლებიც, გამოცდილებისა და დეტალური გააზრების გარეშე გასცემენ ისეთ დაპირებებს, რითაც შესაძლებელია მანიპულაცია ფართო მასებზე და საზოგადოების სტაბილურობაში საფრთხის შეტანა. როგორც წინა თავებში ვნახეთ, ჰამილტონი დიდ ყურადღებას უთმობდა ასეთი ჯგუფების კრიტიკას და მათი ბალანსის საშუალებებს, ძლიერ ცენტრალურ მთავრობაში ხედავდა.

---

[141] Bradford Perkins, „The Cambridge History of American Foreign Relations, The Creation of a Republican Empire“, Volume I, Cambridge University Press, NY, 1993, p. 3
[142] Jules Witcover - "A history of the Democrats", 1st Edition Random House, The United States, 2003, p. 136
[143] Miller, 1960, p. 276
[144] იქვე, p. 277

საბოლოო ჯამში ენდრიუ ჯექსონის დემოკრატების პარტიამ, რომელიც როგორც უკვე აღინიშნა, ჯეფერსონიანიზმის გაგრძელება იყო, სამოქალაქო ომის როგორც შესავალ, ისე დასასრულ ფაზამდე შეინარჩუნა შტატების სუვერენიტეტისა და აგრარული ეკონომიკისთვის უპირატესობის მინიჭების იდეა. უნდა ითქვას, რომ იგივე გაგრძელდა მთელი მე-19 საუკუნის ბოლომდე და მე-20 საუკუნის პირველი ათწლეულის განმავლობაშიც. ამ პერიოდში, ნიუ ინგლენდისა და ჩრდილოეთის სხვა შტატებმა ინდუსტრიული უპირატესობისა და ფინანსური კაპიტალის აკუმულირების ხარჯზე ერთგვარი უპირატესობა მოიპოვეს შეერთებული შტატების დანარჩენ ნაწილებზე და ფაქტობრივად, რესპუბლიკური პარტიის მხარდაჭერის პირობებში, ბევრ სხვადასხვა თავიანთთვის სასიკეთო საკანონმდებლო და პოლიტიკურ ვითარებას აყალიბებდნენ. ამის ნათელი მაგალითი 1900 წლის არჩევნები იყო, რომელმაც, რესპუბლიკელი უილიამ მაკკინლის გამარჯვებით ასახა დიდი ბიზნესის, დიდი ქალაქების, საშუალო ფენის იდეოლოგიისა და ფინანსური კონსერვატიზმის ინტერესები. მეორეს მხრივ კი, აჩვენა ფერმერების, მათი სულ უფრო შემცირებული რაოდენობისა და კაპიტალის მარცხი.[145] პრეზიდენტ მაკკინლის მეორე ვადამ დიდხანს ვერ გასტანა, რადგან 1901 წლის 14 სექტემბერს იგი ნიუ იორკს შტატში ერთ-ერთი შეხვერდის დროს მთავრობის მოწინააღმდეგე ანარქისტმა სასიკვდილოდ დაჭრა, მზარდ ამერიკულ იმპერიას კი, ახალგაზრდა თუმცა კი ძალზედ ენერგიული, თეოდორ რუზველტის ხელში მოუწია გადასვლა.[146]

2.1 ამერიკული ინდივიდუალიზმი და ნელი სვლა „ახალ კურსამდე“

როცა რუზველტი ძალაუფლებაში მოვიდა აშშ-ს 1890-იანი წლების მძიმე პერიოდი უკვე გადალახული ჰქონდა და უკვე ტკბებოდა კიდეც კეთილდღეობით. 1901 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ 20 მილიარდს მიაღწია. თუმცა, ამ საერთო სიმდიდრის მიუხედავად, მე-20 საუკუნე მაინც სერიოზული სოციალური უთანასწორობით ხასიათდებოდა.[147] რუზველტს ამ პროცესში მშვენივრად ესმოდა დიდი ბიზნესის მნიშვნელობა და როლი, თუმცა ისიც კარგად

[145] ვასილ კაჭარავა, დემოკრატიის გაკვეთილები: ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია 1877-2008“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018, გვ. 72
[146] John D. Hicks, “The American Nation, A History of the United States from 1865 to Present“, The Riverside Press, Cambridge, Massachusetts, 1949, p. 339
[147] Lewis L. Gould, „A history of The Republicans”, 1st Edition, Random House, The United States, 2003, p. 137

დაინახა, რომ ქვეყნის და მათ შორის, თავად დიდი ბიზნესის ინტერესებში იყო მისი უპირობო და თავაშვებული მბრძანებლობის მოთოკვა.[148] რუზველტს მიაჩნდა, რომ მონოპოლისტური გაერთიანებები მეტისმეტად მომძლავდრნენ და თავიანთი უსაზღვრო ფინანსური შესაძლებლობების მეშვეობით მეტისმეტად დიდ გავლენას ახდენდნენ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაზე. ამ საკითხზე იგი თავის ერთ-ერთ თანამბრძოლს უილიამ ტეფტს წერდა, „მე არ მომწონს თანამედროვე სოციალური ვითარება და რომ არსებული დარღვევები, კორუფცია და სხვა ზრდიან სოციალისტური პროპაგანდის შესაძლებლობას.“[149] რუზველტი რომ ამაში არ ცდებოდა დასტურდება მისი ერთ-ერთი თანამედროვის, იუჯინ დებსის არაერთი გამოსვლით, განსაკუთრებით კი 1908 წლის სიტყვით პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენასთან დავაკშირებით. მართალია აღნიშნულ არჩევნებში დებსმა სულ რაღაც 420 980 ხმა მოაგროვა, მაგრამ მის მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრის გზები ზედმეტად სცდებოდა ამერიკულ ხედვასა და გამოცდილებას და ამართლებდა რუზველტის შიშს, სოციალისტური პროპაგანდის თაობაზე. დებსი საარჩევნო დაპირებებისას ამბობდა - „მომავლის საზოგადოებაში ჩვენ ერთი მატერიალური ინტერესი გვექნება. იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთს მხეცებივით ვებრძოლოთ და აღვაზევოთ არსებობისთვის ბრძოლის მხეცური კანონი, ჩვენი მატერიალური ინტერესები საზიარო უნდა გახდეს. ჩვენ ერთად უნდა დავეუფლოთ ზემოხსენებულ გიგანტურ დანადგარებს, ერთობლივი ძალებით ვმართოთ ისინი, როგორც პარტნიორებმა, ხოლო მიღებული ნაწარმი თანაბრად გავინაწილოთ.“[150] იგი ამაზე არ გაჩერებულა და გამოსვლის ბოლოს დაამატა, რომ „ყველაფერი ერთი მუჭა ხალხის ხელშია თავმოყრილი. მათ ხალხი მშრალზე დატოვეს! ჩვენ კი, თუ ქვეყნის სათავეში მოვექეცით, სწორედ მათ დავტოვებთ მშრალზე.“[151] ამდენად რადიკალური სოციალისტური რიტორიკა ამერიკული საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისში ძალიან არაბუნებრივი იყო, რადგან საკუთრების უფლება ჯერ კიდევ 100 წლის წინ, მფუძნებლების თაობის ზემოთ მოყვანილი ორივე ფრთის მხრიდან უმნიშვნელოვანესი ღირებულება იყო. ამასთან, ამერიკული

[148] კაჭარავა, 2018, გვ. 89
[149] კაჭარავა, 2018, გვ. 90
[150] შვაიკარტი, დოქერტი, 2014, გვ. 383
[151] იქვე, გვ. 386

ინდივიდუალიზმის ხასიათი, რომელიც ჯერ კიდევ ადრეული კოლონებიდან მოდიოდა და შემდგომ დასავლეთის ათვისების მთელ პროცესს გასდევდა, შორს იყო კოლექტიური ცნობიერებისა და სახელმწიფოს მაღალი როლის გამოვლინებებისგან. ამის შესახებ თავის ესსეში „ფრონტირის მნიშვნელობა ამერიკის ისტორია“ ფრედერიკ ჯექსონ ტარნერი ამბობდა - „როგორც მივანიშნე, ფრონტირი ინდივიდუალიზმის წარმომქმნელია. როცა საზოგადოებას ველურ ბუნებასთან მოუწია შერკინება შედარებით პრიმიტიული სახე მიიღო და ოჯახურ ერთობას დაეფუძნა, რამაც ანტისოციალური ტენდენციები გამოიწვია. შედეგად მივიღეთ ყოველგვარი მაკონტროლებელი მექანიზმის მიმართ ანტიპათია, რამაც გადასახადების ამკრეფი, ხალხის თვალში ჩაგვრის/რეპრესიულობის გამოვლინებად აქცია.“[152] სწორედ დასავლეთის ათვისების სასაზღვრო ზოლზე, რომელიც მუდამ წინ მიიწევდა, ჩამოყალიბდა ჭეშმარიტად ამერიკული ფასეულობანი და ამერიკული ხასიათი.[153] არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფრონტირის, ანუ საზღვრის ფენომენი ამერიკაში მხოლოდ ტარნერის ეპოქას არ უკავშირდებოდა, არამედ მოდიოდა ჯერ კიდევ კოლონიებიდან და ამერიკის ათვისების ადრეული პერიოდიდან. აქედან გამომდინარე, საერთო საკუთრების, საერთო სიმდიდრისა და მთავრობის მეშვეობით კერძო ქონების განკარგვის იდეა, ალბათ ლოგიკურია რომ ვერ იქნებოდა დიდად პოპულარული. თუმცა, ეს იმას ნამდვილად არ ნიშნავდა, რომ რუზველტს არ უნდა გაეთვალისწინებინა აშშ-ში არსებული მუშათა მზარდი უკმაყოფილება, ხოლო ინდუსტრიალისტების მზარდი, მონოპოლისტური კონტროლი როგორც უშუალოდ საწარმოებზე, ასევე მიწასა და რკინიგზაზე. ამას გარდა დიდ გამოწვევა იყო სამუშაო პირობებთან დაკავშირებული მსხვერპლი, რომელიც, ზოგჯერ წელიწადში 20 ათასს აღწევდა, რომ აღარაფერი ვთქვათ დაახლოებით ნახევარ მილიონ დაშავებულზე, რომელთაც, დაზღვევა და სამედიცინო დახმარება თითქმის არ ჰქონდათ. კვალიფიციურ მუშებს ხელოსანთა პროფკავშირებიდან გარკვეული ხელშეწყობა ჰქონდათ, თუმცა, არაკვალიფიციურებს დამსაქმებლის მოწყალების იმედად უწევდათ ყოფნა. ძალაუფლება ძირითადად კორპორაციებისა და ბანკების ხელში გადავიდა,

[152] Frederick Jackson Turner, and John Mack Faragher, “The Significance of the Frontier in American History” and Other Essays. Yale University Press, 1994, p. 53, https://books.google.ge/books?id=2ZKYAGdo32AC&pg=PA31&source=gbs_toc_r&cad=2#v=onepage&q&f=false

[153] ვასილ კაჭარავა, ამერიკა 1920-იან წლებში, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2008, გვ. 45

რომლებიც ეკონომიკაზე დომინირებდნენ. ანტიტრესტული კანონები გარდაიქმნა ძალის არმქონე აქტებად, ხოლო მთავრობის მხრიდან ბიზნესის კონტროლის ძალაუფლება, კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.[154] 1905 წლისთვის ბევრი საშუალო კლასის ამერიკელი ღელავდა საზოგადოებაში თავიანთი ადგილისა და კეთილდღეობის შესახებ. ფაქტი, რომ დიდი კორპორაციები წარმოების საშუალებებს დიდწილად აკონტროლებდნენ და დიდ გავლენას ახდენდნენ პოლიტიკაზე უფრო და უფრო შემაშფოთებელი და სახიფათო ხდებოდა ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის. ამიტომ, სულ უფრო მეტი ფიქრობდა, რატომ არაფერს აკეთებდა მთავრობა, ფედერალურ თუ შტატის დონეზე, ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.[155] სწორედ ამიტომ, აღნიშნული საკითხების გარშემო რუზველტმა საკმაოდ აქტიური პოლიტიკის წარმოება დაიწყო. პრეზიდენტის ანტიმონიპოლისტური ქმედებების ერთ-ერთი პირველი და საკმაოდ მოულოდნელი გამოვლინება იყო 1902 წელს კომპანია Northern Security-ს წინააღმდეგ, რომელიც უმსხვილესი სარგინიგზო ტრესტი იყო, აგრესიული ნაბიჯების გადადგმა. რუზველტის წინამორბედებს აზრასაც არ მოუვიდოდათ მსგავსი ქმედება და ამ კომპანიის მფლობელის, ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი და უდიდესი გავლენის მქონე ჯონ პირპონტ მორგანის განაწყენება.[156] ამას დაემატა პენსილვანიის შახტის მუშების გაფიცვის მხარდაჭერა, რა დროსაც, რუზველტმა შახტის მფლობელები და პროფკავშირების ლიდერები ერთად დაიბარა თეთრ სახლში, რამაც, ვითარება შედარებით განმუხტა. ამ ქმედებათა ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი გახლდათ პრეზიდენტის მხრიდან შრომის უფლებათა ფართოდ აღიარება, რამაც, პრეზიდენტის დიდი პოპულარობა მოუტანა. „არც ამერიკელი და არც სხვა თავისუფლების მოყვარე ხალხი მუდმივად არ აიტანს სიმდიდრით გამაგრებული ფართო ძალაუფლების გამოყენებას და ეცდება მხარი დაუჭიროს მათზე უფრო მაღალი სამთავროვო ძალაუფლების შექმნას, იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც არამხოლოდ პირად ან ვიწრო ჯგუფის ინტერესებს ემსახურებიან, არამედ ხალხისა და საზოგადოების საწინააღმდეგოდაც მოქმედებენ“,[157] განაცხადა რუზველტმა 1905 წელს

[154] Gould, 2003, p. 138
[155] Gould, 2003, p. 157
[156] კაჭარავა, 2018, გვ. 90
[157] გაერთიანებული ლიგის 42-ე წლისთავზე წარმოთმული სიტყვა ფილადელფიაში, 1903 წლის 30 იანვარი, ხელმისავწდომია აქ: https://www.presidency.ucsb.edu/documents/remarks-the-forty-second-anniversary-banquet-the-union-league-club-philadelphia [გადამოწმებულია 09/07/2024]

ფილადელფიაში, რათა დიდი ბიზნესის საპირწონედ, საპრეზიდენტო ძალაუფლების ზემოქმედება გაერმათლებინა მუშების, საშუალო ფენისა და მცირე ბიზნესის დასაცავად.

რუზველტის სამართლიანი კურსით (Square Deal), როგორც თავად ეძახდა, შეიცვალა პოპულარული იდეა, რომ „რესპუბლიკური პარტია მუდამ მდიდრებს ეხმარება, ხოლო ღარიბებს ჩაგრავს.“[158] რუზველტი თანამედროვე კეთილდღეობის სახელმწიფოზე ცხადია, არაფერს ამბობდა, არამედ თავის სამართლიან კურსში აყალიბებდა მთავრობის უფლებების გამოყენების იდეას, ეკონომიკური კონკურენციისა და ბალანსის დაცვის მიზნით. **მისი ფუნდამენტური კითხვა იყო, ტრადიციულ რესპუბლიკურ დოქტრინაში, რომელიც მთავრობის ქმედებების გამოყენებით ეკონომიკურ ზრდას გულისხმობს, შეიძლებოდა თუარა რეგულაციების დაწესების ფუნქციის შეტანა აღმასრულებელი ხელისუფლების მეშვეობით.** 1906 წლისთვის, რუზლევტის რეფორმები მოიცავდა სხვადასხვა ზომების გატარებას ეროვნული მთავრობის ძალაუფლების გასაფართოებლად. ამ დროს, თეთრმა სახლმა მხარი დაუჭირა სოფლის მეურნეობის განაწილების კანონში ცვლილებების შეტანას, უფრო მკაცრი ხორცის ინსპექტირების წესების მისაღებად. ამ და სხვა რეგულაციებს და სტანდარტებს, რუზველტმა უწოდა „ღირსშესანიშნავი წინსვლა ფედერალური ზედამხედველობისა და კორპორაციების კონტროლის საქმეში“.[159] რუზველტისთვის რესპუბლიკელები *კონსტრუქციული ნაციონალიზმის* პარტია იყო და პრეზიდენტს სჯეროდა, რომ მთავრობის ძალაუფლების გამოყენება ზრდადი ეკონომიკის ყველა მოქალაქეზე განაწილებისათვის, დასაშვები იყო. ამიტომ, მისი აზრით, ეკონომიკის მთავრობის მიერ რეგულირება აუცილებელი იყო. ამ დროს, დემოკრატების პარტია შტატების უფლებების სადაჯაროზე იდგა და ისინი რუზველტის კონსტრუქციული სამუშაოსთვის აქტიურად აპირებდნენ ხელის შეშლას.[160] შესაბამისად, პრაქტიკურად, რუზველტი მხარს უჭერდა ისეთი სახის პროგრამებს, რომლებიც ახასიათებს თანამედროვე კეთილდღეობის სახელმწიფოს. მან ისეთ პროგრესულ რეფორმებს დაუჭირა მხარი, როგორებიც არის კორპორაციების ძალაუფლების ლიმიტირება პოლიტიკაში, დიდი ბიზნესის რეგულირება სამთავრობო სააგენტოების მეშვეობით,

[158] Gould, 2003, p. 143
[159] Gould, 2003, p. 158
[160] იქვე, p. 139

ბავშვთა შრომის აკრძალვა, მინიმალური ხელფასის შეთავაზება და უმუშევრობის კომპენსაცია. ასეთი ტიპის რესპუბლიკანიზმი ბევრად უფრო მეტად იხრებოდა სამთავრობო აქტივიზმისკენ, ვიდრე ეს პარტიის შიგნით სურდათ. რუზველტი ცდილობდა ნაციონალიზმის, რომელიც მუდამ პარტიის მთავარი სავიზიტო ბარათი იყო, რეგულირების ძალაუფლების რწმენასთან შერევას, რაც *დიადი ძველი პარტიის* ბიზნეს ორიენტაციასთან ნამდვილად წინააღმდეგობაში მოდიოდა. თუმცა კი რუზველტი ეცადა კონსერვატორების წინააღმდეგობის იგნორირებას, პარტიის მიმართულების დრამატული ცვლილების ინიციატივა მაინც უდავო იყო.[161] ამგვარად, თუკი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის *ძველი დიადი პარტია* დიდი ბიზნესის ინტერესების მხარდამჭერი იყო ხელისუფლების ყველა შტოში, ამჯერად ტედი რუზველტის წყალობით, ინტერესთა დამბალანსებლად და ე.წ. „ტრესტების დამმსხვრევადაც“ კი იქცა მე-20 საუკუნის დასაწყისში. პოპულარობის ზენიტის მიუხედავად, რუზველტმა უარი თქვა 1908 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე, რადგან მას მოუწევდა ამერიკული ტრადიციის დარღვევა რომელიც ჯორჯ ვაშინგტონიდან მოდიოდა და პრეზიდენტს მხოლოდ ორი ვადით აძლევდა ძალაუფლებაში მოსვლის შესაძლებლობას. თუმცა, მოგვიანებით კვლავ გაუჩნდა პოლიტიკაში ჩართვის სურვილი. იმის გამო, რომ რესპუბლიკური პარტიის კონსერვატორმა ფრთამ რუზველტი მეტისმეტად პროგრესივისტად ჩათვალა და მათთვის ზედმეტად მემარცხენე პოზიციებზე გადასვლა დაუწუნა, მან ახალი, „პროგრესული პარტია“ დააარსა.[162] ამ პარტიის ხედვა კი თეორიულ ასპექტშიც წარმოადგინა 1910 წლის აგვისტოში, როცა მან კანზასის შტატში სიტყვა „ახალი ნაციონალიზმის“ შესახებ წარმოთქვა. „ჩვენ სრულფასოვანი კომპენსაციის კანონები გვჭირდება როგორც შტატების ისე ეროვნულ დონეზე“, თქვა რუზველტმა, „რაც ძალიან მნიშვნელოვანია, გვჭირდება არამხოლოდ თეორიული განათლება, არამედ პრაქტიკული გადამზადება სკოლებში ყოველდღიური ცხოვრებისა და სამსახურისთვის მოსამზადებლად.“[163] „შეუძლებელია ადამიანი იყოს კარგი მოქალაქე თუ მისი ანაზღაურება ელემენტარულ ცხოვრების პირობებს ვერ აკმაყოფილებს და

[161] იქვე, p. 180
[162] კაჭარავა, 2018, გვ. 103
[163] The New Nationalism, ხელმისავწდომია აქ: https://teachingamericanhistory.org/document/the-new-nationalism/ , გადამოწმებულია, 30/09/2024

იმდენი ხნით მუშაობს, რომ დღის ბოლოს ენერგია გამოცლილია, რომ გარე სამყაროს, საზოგადოებასაც დაუთმოს დრო.“ ვფიქრობ ეს მიდგომები წააგავს თომას ჯეფერონის დემოკრატიზმსა და განათლების საყოველთაობას, თუმცა, ინდუსტრიული პერიოდიდან გამომდინარე, ტედი რუზველტს რამდენიმე განსხვავებული დეტალით აქვს ისინი შევსებული. თავის სიტყვაში რუზველტმა ასევე დასძინა, რომ „თავად მუშების ინტერესებშია, რომ მკაცრი რეაქცია გვქონდეს ბრბოს ყოველგვარ ძალადობაზე, ისევე, როგორც კორპორაციების სიხარბეზე. არ შევეგუოთ ძალადობას, უსამართლობასა და უკანონო მოქმედებებს მუშათა მხრიდან და პარალელურად, დავჯაბნოთ ჯიუტი და კანონისთვის თავის ამრიდებელი, ხარბი დამსაქმებლები.“[164] სწორედ ასეთი იყო რუზველტის დოქტრინაც, რომლითაც იგი ჯერ როგორც პრეზიდენტი, ხოლო შემდგომში როგორც ახალი პარტიის ლიდერი შეეცადა ბალანსის დაცვას გამძაფრებულ მუშათა პრობლემებსა და ზედმეტად გაზრდილ და გაძლიერებულ ამერიკელ ინდუსტრიალისტებს შორის. თეოდორ რუზველტის თანამედროვე და პროგრესივიზმის მოძრაობის ერთ-ერთი ინტელექტუალური ლიდერი, ჰერბერტ კროლი წერდა: „ამერიკულ პოლიტიკურ აზროვნებაში ორი ძირითადი მიმართულება არსებობს, რომლებიც ხასიათდება, როგორც ჰამილტონური და ჯეფერსონული. საზოგადოების გონებაში პირველი ჩაბეჭდილია, როგორც ძლიერი მთავრობის მომხრე, არისტოკრატიული და პრივილეგიებზე დაფუძნებული, ხოლო მეორე აღიქმება, როგორც სუსტი მთავრობის მხარდამჭერი, დემოკრატიაზე ორიენტირებული და თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების გარანტორი.“[165] კროლის აზრით, იმის გამო, რომ ინდუსტრიალიზაციამ სრულიად ახალი გამოწვევები გააჩინა, საჭირო იყო ჰამილტონური საშუალებების გამოყენება, ჯეფერსონული მიზნების მისაღწევად. მართლაც, ტედი რუზველტი გამოდგა პირველი პრეზიდენტი, რომელმაც ინდუსტრიალისტებთან შეძლო და გაბედა დაპირისპირება, რითაც, შესაძლოა მართლაც აარიდა მზარდ სოციალურ პროპაგანდასა და მასობრივ მღელვარებას ამერიკა. ტედი რუზველტმა სწორედ დამფუძნებლების მსგავსად შენიშნა გავეშებული ბრბოს მხრიდან ამერიკულ სისტემაზე იერიშის მიტანის საფრთხე და როგორც დამფუძნებელმა მამებმა მისი განეიტრალება ძლიერი

[164] The New Nationalism, ხელმისავწდომია აქ: https://teachingamericanhistory.org/document/the-new-nationalism/ , გადამოწმებულია, 30/09/2024
[165] Melvin I. Urofsky, Basic Readings in US Democracy, United States Information Agency, 1994, p. 196

ცენტრალური მთავრობის მეშვეობით მოახერხეს, ისე რუზველტმა, ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტის გამოყენებით შეძლო უკვე ახალი გამოწვევის, დიდ ბიზნესსა და მუშებს შორის შემრიგებლად ჩადგომა. პოლიტიკის ისტორიაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მსგავსი გამდეობაობის ქონა და თანაც დასახული შედეგის მიღწევა ნამდვილად არ ხვდა ბევრს წილად. სწორედ ამიტომ, რუზველტი ამერიკის პრეზიდენტთაგან ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია და დამსახურებული ადგილიც უჭირავს რაშმორის მთაზე.

1912 წლის არჩევნებამდე, რესპუბლიკელებს შიგნით განხეთქილებამ გაამარტივა დემოკრატებისთვის, უფრო ზუსტად, ვუდრო უილსონისთვის მათი დამარცხება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ერის პრიორიტეტების ცვლა გახდა მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის. შეერთებული შტატები მე-19 საუკუნის აგრარულიდან, ინდუსტრიალიზებული, ურბანიზებული საზოგადოებისკენ მიდიოდა. ქვეყანას ეს პროცესი ჯერ კიდევ არ დაესრულებინა, როცა დიდი ბიზნესის დომინირება, იმიგრაციის წამლეკავი ნაკადები და არაურბანული ტერიტორიებიდან ქალაქებში გადასვლა უკვე შეუქცევადი ჩანდა. ახალ გამოწვევებთან დაპირისპირება რესპუბლიკელებს და დემოკრატებს თანაბრად მოუწევდათ, ხოლო მმართველობის ძველ ფილოსოფიებს მძიმე გამოცდა ელოდათ ახალი საჭიროებების გათვალისწინებით. 1905 წლისთვის, განგრძობადმა საიმიგრაციო ტალღებმა ამერიკის მოსახლეობა 84 მილიონამდე აიყვანა. ახალი მობინადრეების ¾ ამერიკაში, ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპიდან ჩავიდნენ. თავიანთი შრომით, ისინი მძლავრ და ზრდად ეკონომიკას დაეხმარნენ და 1890-იანი წლების დეპრესია უნდა მოიტოვეს. ამის მიუხედავად, ბევრი ძირძველი ამერიკელი რესპუბლიკელი ემიგრანტებს მაინც ეჭვითა და უნდობლობით ეპყრობოდა. სხვები კი, მათ პარტიის მმართველ კოალიციაში ინტეგრირებას მოიაზრებდნენ.[166]

ჩამოთვლილ გამოწვევებზე პასუხის გაცემა ამერიკის ისტორიაში ერთადერთ დოქტორის ხარისხის მქონე პრეზიდენტს, მანამდე პრინსტონის უნივერსიტეტის პრეზიდენტს, ვუდრო უილსონს მოუწია. შეიძლება ითქვას, რომ უილსონმა ტედი რუზველტის პროგრესივისტული ხედვებიდან არაერთი რამ გაიზიარა, რაც

[166] Gould, 2003, p. 155

განსაკუთრებით გამოვლინდა საპრეზიდენტო ძალაუფლების გაზრდის მიმართულებით. იგი ცდილობდა მაქსიმალურად გაეძლიერებინა პრეზიდენტის ხელისუფლება და აქტიური თანამშრომლობის მეშვეობით „მოერჯულებინა“ კონგრესი. მან დაარღია ასწლოვანი ტრადიცია, როცა წერილობით კი არ გაუგზავნა კონგრესს პრეზიდენტის ყოველწლიური მიმართვა, არამედ თავად ესტუმრა საკანონმდებლო ორგანოს და თავადვე წაიკითხა თავისი მიმართვის ტექსტი.[167] ისტორიკოსი ართურ ლინკი „ახალ თავისუფლებებს“ აღწერს როგორც ამბიციურ პროგრამას, რომელბაც ეკონომიკური შესაძლებლობები გააფართოა და ხორცი შეასხა უილსონის სურვილს შემოსავლების გადანაწილებისა და კორპორაციული ძალაუფლების შეზღუდვის მიმართულებით. ლინკის მიხედვით, პროგრესული გადასახადი არამხოლოდ ეკონომიკური დემოკრატიის მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი რეფორმა იყო, არამედ დასაწყისი ფედერალური ფისკალური პოლიტიკის მოქმედებისა, რომელსაც ასე დაჟინებით ითხოვდნენ შუა დასავლეთში. უილსონი და კონგრესის დემოკრატები მოქნილი სარეზერვო სისტემის შექმნას ცდილობდნენ, რომელიც უოლ სტრიტზე კონცენტრირებულ ფინანსებს დააბალანსებდა და ქვეყნის სხვა ნაწილებს მოთხოვნის შესაბამის ელასტიურ ფინანსურ შესაძლებლობებს მისცემდა.[168] მსგავს საბანკო სარეზერვო სისტემაზე შეერთებულ შტატებში ადრეულ პერიოდშიც იყო ცხარე დისკუსია, თუმცა მაშინ, კერძოდ, ენდრიუ ჯექსონის ადმინისტრაციის დროს ვეტო დაედო კანონპროექტს, რომელიც ამ ბანკის საქმიანობის ვადის გაგრძელებას ითვალისწინებდა. ეს ჯექსონური დემოკრატიის კიდევ ერთი გამოხატულება იყო, რადგან, აღნიშნული ბანკი უპირატესად ჩრდილო-აღმოსავლეთ შტატების ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ფინანსური და სამრეწველო მონოპოლიების ინტერესებს გამოხატავდა.[169] ამერიკული სახელმწიფოს ადრეულ პერიოდში ცენტრალური ბანკის მიმართ შიში, მისი მეშვეობით ფინანსური ძალაუფლების ჩრდილოეთში კონცენტრაციით აიხსნებოდა. უილსონის პერიოდში გამოწვევები სხვაგვარი გახდა, ამდენად მან 2 ძირითადი პრინციპი განავითარა. პირველის მიხედვით, ახალი ცენტრალური ბანკის სისტემის

[167] კაჭარავა, 2018, გვ. 108
[168] W. Elliot Brownlee, „The New Freedom and its Evolution“, *A Companion to Woodrow Wilson*, edited by Ross A. Kennedy, A John Wiley & Sons, Ltd, Chichester, UK, 2013, p. 107
[169] მეძმარიაშვილი, ბარნოვი, 2019, გვ. 218

დეცენტრალიზება ისე უნდა მომხდარიყო, რომ ნიუ იორკელ ბანკირებს მისი კონტროლის შესაძლებლობა არ მისცემოდათ და შესაბამისად, უოლ სტრიტის ფინანსური გავლენებიც შემცირებულიყო, რაც გაზრდიდა კაპიტალზე წვდომას სამხრეთელი და დასავლეთელი მსესხებლებისთვის. ხოლო მეორე პრინციპი მდგომარეობდა ფედერალური მთავრობის მაღალ ჩართულობასა და როლში ცენტრალური ბანკის მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი მიზანი ცენტრალური ბანკის მეშვეობით ფინანსური სისტემის დემოკრატიზაცია იყო.[170] უილსონის მიხედვით, „ამ ქვეყანაში არსებული მონოპოლიის ძირითადი წყარო, კრედიტებზე მონოპოლიაა. რაც უფრო დიდხანს იარსებებს იგი, მით უფრო დიდი საფრთხე ემუქრება ჩვენს თავისუფლებათა მრავალფეორვნებას და ინდივიდუალურ ენერგიას.“[171] როგორც ვიხილეთ, ბანკთან დაკავშირებული საკითხები პირდაპირ ბმაშია ზემოთ განხილული ფედერალიზმის პრინციპიდან გამომდინარე სირთულეებთან. იგი ემსახურებოდა ქვეყნის რომელიმე სექციის, ან შტატთა ერთობის დომინაციის პრევენციას, დანარჩენ შეერთებულ შტატებზე. მოყვანილ შემთხვევაში, მთელ მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში არსებობდა ჩრდილოეთის, ე.წ. ნიუ ინგლენდის შტატების ეკონომიკური დომინაციის საფრთხე სამხრეთსა და დასავლეთზე. ამდენად, როგორც ენდრიუ ჯექსონის, ისე ვუდრო უილსონის ქმედებები სწორედ შტატთა შორის ბალანსის დაცვას უნდა დავუკავშიროთ, თუმცა, ეპოქათა გამოწვევებიდან გამომდინარე, მათ აღნიშნული პრობლემის გადაჭრა, სრულიად საპირისპირო ორი ქმედებით მოუწიათ.

საპრეზიდენტო ძალაუფლების გამოყენებით, რუზველტის მსგავსად უილსონიც დაუპირისპირდა მონოპოლიებსა და ტრესტებს. ჯერ კიდევ 1902 წელს იგი თავისი „ამერიკელი ხალხის ისტორიის“ ხუთტომეულის ბოლო თავში წერდა რკინის მომპოვებლების, მწარმოებლების, ქარხნების, რკინიგზის და სანავიგაციო გზების კონსოლიდაციას ერთი კომპანიის - „კარნეგის ფოლადის“ ხელში. გონიერი ადამიანები ხედავდნენ რომ კაპიტალის ასეთი სახის გაერთიანება, რაც ერთი ტრესტის ხელში მთელი ინდუსტრიული პროცესების გადასვლას გულისხმობდა, საფრთხის შემცველი იყო მილიონობით ადამიანისთვის, რასაც შედეგად საზოგადოების მუდმივი

[170] Brownlee, 2013, p. 116
[171] Brownlee,2013,, p. 115

დემორალიზაცია შეიძლება მოჰყოლოდა, მათ შორის მთავრობისაც, რომელიც, სინამდვილეში საზოგადოების ხელში არსებული ინსტრუმენტი უნდა ყოფილიყო მისი საერთო ინტერესების დასაცავად.[172] უილსონს სჯეროდა რომ ამერიკული ტრესტები, რომლებიც მონოპოლიის მოპოვებისთვის შეიქმნა, კონგრესს არწმუნებდნენ უცხოური საქონლისთვის ტარიფების დაწესების აუცილებლობაში, რათა შიდა წარმოებისთვის, გარე კონკურენცია ჩანასახშივე მოესპოთ. ამის საპირისპიროდ, უილსონს თავისუფალი ვაჭრობის სჯეროდა. 1909 წელს მან ღიად დააკავშირა მაღალი ტარიფები და ინდუსტრიის მონოპოლიზაცია ერთმანეთთან და აღნიშნა რომ ამით რესპუბლიკის ინსტიტუტები მძიმე საფრთხის წინაშე იდგნენ. სპეციალური პრივილეგიების ბიზნეს ორგანიზაციების ხელში მოქცევით, მათ კონტროლქვეშ გადადიოდა ძალაუფლების ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც მთავრობაზე გავლენის მოხდენის საშუალებას იძლეოდა.[173] აქედან გამომდინარე, მან ჯერ კიდევ წინასაარჩევნოდ გასცა დაპირება ტარიფების დაწევის შესახებ და 1913 წელს ეს მოახერხა კიდეც. ამ ცვლილების მიხედვით, იმპორტირებულ საქონელზე ყველაზე დაბალი ტარიფები დაწესდა 1860 წლის შემდეგ. მეორეს მხრივ, შემოსავლების დასაბალანსებლად კონგრესმა ფედერალური საშემოსავლო გადასახადი დააწესა, რისი უფლებაც მას კონსტიტუციის მე-16 შესწორებამ მისცა, რომელიც ასევე 1913 წელს შევიდა ძალაში.[174] საინტერესოა თუკი ტარიფების შესახებ დებატებს გარკვეულ დროს დავუთმობთ იმაში გასარკვევად, თუ ამერიკის რომელი ნაწილისთვის იყო იგი უფრო მისაღები და იყო თუ არა საჭირო მის გარშემო დადგენილი პოლიტიკის გადახედვა. ალბათ საჭიროა აღინიშნოს, რომ ტარიფები სამოქალაქო ომის დაწყების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც კი იყო და მისი დაწევის მოთხოვნით, სამხრეთ შტატებმა ცენტრალურ მთავრობას არაერთხელ მიმართეს. საქმე ის იყო, რომ ჩრდილოეთის შტატები, რომელთა ძალისხმევითაც 1860 წელს პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი აირჩიეს, ჩრდილოეთში არსებული ინდუსტრიის ინტერესების დასაცავად, აქტიურად ლობირებდნენ მაღალ საგარეო ტარიფებს, რამდენადაც ეს მომგებიანი იყო ადგილობრივი ამერიკული ბიზნესისათვის. მეორეს მხრივ, ეს აზარალებდა სამხრეთს, რადგან მათ მომსახურებისა და საქონლის იმპორტი

[172] იქვე, p. 110
[173] Brownlee, 2013, p. 111
[174] კაჭარავა, 2018, გვ. 109

უფრო დაბალ ფასად შეეძლოთ ევროპიდან, ვიდრე ჩრდილოეთის ინდუსტრიული ზონებიდან. სწორედ ამაზე საუბრობდა აქტიურად ჯორჯიელი სენატორი რობერთ ტუმბსი თავის 1860 წლის გამოსვლაში სეცესიის შესახებ, რასაც იგი გულმოდგინედ უჭერდა მხარს. თუმბსმა ჯერ კიდევ კონსტიტუციაზე ხელმოწერის მაგალითი მოიყვანა და თქვა, რომ მართალია ყველა შტატი თავდაპირველად მოხარული იყო ერთიანი კავშირის შექმნით, „მაგრამ მთავრობის ჩამოყალიბებისთანავე, კონგრესის პირველივე სხდომაზე, ჩრდილოეთის შტატებმა ერთხმად გამოავლინეს სურვილი და მიზანი - ფედერალური მთავრობა საკუთარი ინტერესების სასარეგებლოდ გამოეყენებინათ და მისი ძალაუფლება თავიანთი ადგილობრივი ინტერესების სამსახურში ჩაეყენებინათ.“[175] მისი მტკიცებით, ამისათვის ისინი ტარიფების სისტემას შემდეგნაირად იყენებდნენ - „მათ გემთმშენებლობის სფეროში მონოპოლია მოითხოვეს და უცხოური გემების შეერთებული შტატების მოქალაქეებზე გაყიდვა აკრძალეს. ეს აკრძალვა დღემდე არსებობს. მათ მოითხოვეს მონოპოლია კაბოტაჟურ ვაჭრობაზე იმიტომ, რომ ტვირთის საზღვაო გზით გადატანისთვის იმაზე მეტი საფასური აეღოთ, ვიდრე ამას მსოფლიოს სხვა ტვირთგადამზიდავებთან ღია კონკურენციის პირობებში შეძლებდნენ. დღესაც, თუ უცხოურმა ხომალდმა პორტ სავანაში ბრინჯის, ხორბლის ან ხე-ტყის გადაზიდვა ნიუ იორკში ან ამერიკის ნებისმიერ სხვა პორტში უფასოდ შემოგთავაზათ, თქვენივე კანონები აგიკრძალავთ ამას იმის გამო, რომ ჩრდილოეთის შტატების გემთმფლებელებმა მეტი მოიგონ. ამრიგად, ჩრდილოეთმა ხაზინა ქერის ორმოდ აქცია; თავის სასარგებლოდ, თავისი წარმოების სასარგებლოდ იყენებს მას, სისხლს გვწოვს და ჩვენს მიწევს აუდაბურებს.“[176] ასეთი სახის უკმაყოფილება სამხრეთ და დასავლეთ შტატებში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში არ წყდებოდა, თუმცა, სამოქალაქო ომში დამარცხებული მხარის ინტერესებს ათლწულების განმავლობაში ფედერალური მთავრობაც შედარებით ნაკლებად ითვალისწინებდა. სწორედ ეს შეიცვალა როგორც რუზველტის, ასევე ვუდრო უილსონის პრეზიდენტობის დროს. ორიოდ სიტყვით უნდა აღინიშნოს ისეთი კონსტიტუციური ცვლილებების შესახებაც, როგორებიც იყო სენატის არჩევის წესი და ქალთათვის ეროვნული მასშტაბით საარჩევნო უფლების

[175] შვაიკარტი, დოქერტი, 2014, გვ. 278
[176] იქვე, გვ. 278

გადაცემა. ორივე შემთხვევაში ცალსახაა სახალხო სუვერენიტეტის ჯეფერსონული პრინციპის მე-20 საუკუნეში გაგრძელება, რადგან შტატებში სენატორების არჩევა პირდაპირი გახდა, ხოლო ქალთა არჩევნებში მონაწილეობამ, ერთი ორად გაზარდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა. მაგალისთვის, 1916 წლის არჩევნებში საერთო მონაწილეთა რაოდენობა 18 მილიონამდე იყო, ხოლო 1920 წლის არჩევნებისთვის, 25 მილიონს გადააჭარბა. პროცენტულად, ორ არჩევნებს შორის ამომრჩევლის მსგავსად მასშტაბური ზრდა მხოლოდ 1824 და 1828 წლებში დაფიქსირდა, როცა, წინა არჩევნებთან შედარებით, 1828 წელს დაახლოებით 4-ჯერ მეტმა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა. ალბათ გასაკვირი არ არის, რომ სწორედ 1828 წელია პრეზიდენტ ენდრიუ ჯექსონის პირველი ვადით არჩევის თარიღი.[177]

1920-იან წლებში მმართველობის ორი ფილოსოფია ცხადია, კვლავ პაექრობაში იყო ერთმანეთთან, თუმცა, რუზველტის დაწყებული და ვუდრო უილსონის გაგრძელებული პროგრესივიზმი შედარებით შენელდა და გზა კვლავ გაეხსნა დიდი ბიზნესის დომინირებას, რასაც მხარს უჭერდნენ ამერიკის პრეზიდენტები 1920-დან 1932 წლამდე. ამ დროში, შეერთებულ შტატებს 3 რესპუბლიკელი პრეზიდენტი ჰყავდა, რომელთა ფონზე ამერიკამ მიაღწია ხანას, რომელსაც „აყვავების“ (Prosperity) სახელით ვიცნობთ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპოქის შემოქმედი ამერიკული კონსერვატიზმისა და ინდივიდუალიზმის მებაირახტრე, ჰერბერტ ჰუვერი იყო, რომელსაც, 1928 წლამდეც, თავის წინა ადმინისტრაციებში საკმაოდ მაღალი პოლიტიკური პოზიციები ჰქონდა დაკავებული. თუმცა, „აყვავება“ საბოლოო ჯამში დიდი დეპრესიით დასრულდა, რისი თავიდან არიდებაც, ჰერბერტ ჰუვერმა ვერ შეძლო. ჰუვერის იდეოლოგიური საყრდენი გახლდათ „ამერიკული ინდივიდუალიზმი“, რომლის შესახებაც პრეზიდენტმა თხელყდიანი ტრაქტატიც დაწერა. ამ ტრაქტატში იგი საუბრობს არამხოლოდ მთავრობის ფუნქციებზე ზოგადად, არამედ ამერიკულ ხასიათზე, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ნებისმიერი სამთავრობო გადაწყვეტილება. უნდა ითქვას, რომ ჰუვერის მიერ ჩამოყალიბებული ინდივიდუალიზმი საკმაოდ განსხვავდება ფრედერიკ ჯექსონ ტარნერის *„ფრონტირის“* ესსეი აღწერილი ინდივიდუალიზმისგან, რომელიც, უფრო მეტად

[177] US History, 1828 წლის არჩევნები, https://www.u-s-history.com/pages/h325.html, გადამოწმებულია 10/07/2024

ასოციალურია და ინდივიდს მიჯნავს როგორც სამთავრობო ინსტიტუტებისგან, ასევე გარშემო სოციუმისგან. 1922 წელს გამოცემულ ნაშრომში, ჰუვერი გაცილებით სხვაგვარად აყალიბებს ახალი ტიპის ამერიკული ინდივიდუალიზმის არსს. მისი აზრით, „ჩვენი ინდივიდუალიზმი განსხვავდება ყველა სხვისგან და ხოტბას ასხამს შემდეგ იდეალებს, რომ როცა ჩვენ, საზოგადოებას ინდივიდთა მიღწევებზე ვაგებთ, პარალელურად ვიცავთ ყველა სხვა დანარჩენი ინდივიდის შესაძლებლობათა თანასწორობას, რომლის მიხედვითაც, ინდივიდი თავისი ინტელექტის, ხასიათის, შესაძლებლობებისა და ამბიციების შესაბამისად დაიკავებს პოზიციას სოციუმში; გვექნება ჩაკეტილი კლასობრივი სისტემისგან თავისუფალი პრობლემების გადაწყვეტის გზები; ხელს შევუწყობთ ყველა ინდივიდს წინსვლის გზაზე და პასუხისმგებლობითა და სოლიდარობით დავეხმარებით მას ამ მიღწევებში, ხოლო იგი, სანაცვლოდ გულმოდგინედ დაადგება კონკურენციის მბრუნავ ბორბალს.“[178] იმავე ნაშრომში ჰუვერი ჩვენ მიერ განხილული მონოპოლიებისა და დიდი ბიზნესის აღმავლობის საკითხებსაც ეხება - „ჩვენმა ინდივიდუალიზმმა დიდი ხანია გადაუხვია მე-18 საუკუნის laissez faire პრინციპს, სადაც "every man for himself and the devil take the hindmost." ჩვენს ეს ჯერ კიდევ ლინკოლნის დროს დავივიწყეთ, როცა შევიმეცნეთ შესაძლებლობათა თანასწორობის შესახებ და ეს იმიტომ რომ ვისწავლეთ, სოციალური უსამართლობა თავად სამართლიანობის ნგრევას ნიშნავს. ჩვენ ასევე შევიმეცნეთ, რომ წარმოების აღორძინება მხოლოდ პროდუქციის სამართლიანი დანაწილებითაა შესაძლებელი, ხოლო სამართლიანი დანაწილების შენარჩუნება მხოლოდ ძლიერისა და დომინანტის მიმართ გაკრვეული შეზღუდვებით შეიძლება.“[179] აქ ჰუვერი ჯერ კიდევ თეორიული მოსაზრებით ამჟღავნებს პროგრესივიზმის ფარგლებში, რუზველტისა და უილსონის მიმართ მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვებზე მხარდამჭერ დამოკიდებულებას. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მის მიმართ მძიმე კრიტიკისა, რაც ძირითადად გამოწვეულია დიდი დეპრესიის დაწყებით, ჰუვერი ნამდვილად იყო როგორც ვაჭრობის მინისტრის, ისე პრეზიდენტის პოზიციიდან ჩვეულებრივი ხალხის, დაქირავებული მშრომელების სამსახურში. როგორც არაერთხელ შევნიშნე, სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდი აშშ-ში

[178] Herbert Hoover, „American Individualism“, Doubleday, Page & Company, Garden City, New York, 1922, p. 9
[179] იქვე, p. 11

ინდუსტრიალიზაციის ეპოქის დასაწყისია, რამაც მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოქმნა დაქირავებულთა და დამქირავებელთა შორის, რაც იუჯინ ბედის მოყვანილ გამოსვლაშიც კარგად გამოჩნდა. საზოგადოდ, მკვლევარების აზრით, დასაქმებულთა პრობლემა, „ეპოქის ყველაზე დიდი სოციალური პრობლემა იყო“, რადგან რკინიგზამ და ქარხნებმა გარდამტეხი ცვლილებები შეიტანა ამერიკის ცხოვრებაში, პატარა სოფლები ქალაქებად გარდაქმნა, რომლებშიც ცხოვრებამ დუღილი დაიწყო. დასაქმებულთა უფლებების შესახებ დებატებმა ჯერ კიდევ მაშინ მიიქცია ყურადღება, როცა მონობისა და კავშირის ერთიანობის საკითხებს ყველა სხვა პრობლემა გადაფარული ჰქონდა.[180] როგორც ვიხილეთ, სასწორი შედარებით დასაქმებულთა მხარეს გადაიხარა პროგრესივიზმის პირობებში, რასაც, ამერიკის პირველ მსოფლიო ომში ჩაბმამაც შეუწყო ხელი. იმის გამო, რომ ომის პირობებში ეროვნული ინტერესები მაღალ შიდა კონსოლიდაციას მოითხოვდა, დამსაქმებლები და დასაქმებულები ერთგვარად შერიგდნენ, რაშიც მთავრობამაც მიიღო მონაწილეობა და მოუწოდა მწარმოებლებს ურთიერთობა დაეთბოთ როგორც დასაქმებულებთან, ისე პროფესიულ კავშირებთანაც. თუმცა, როგორც ომის დასრულებამ ცხადყო ორ მხარეს შორის კონფლიქტი ომმა უბრალოდ დროებით გადადო.[181] 1920 წლიდან რესპუბლიკელების აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსვლას მოჰყვა დაბრუნება ე.წ. „უკან ნორმალურობაში“. ეს სიტყვები პირველად უორენ ჰარდინგმა გამოიყენა, რასაც თავისი სიტყვით გამოსვლების მწერალს, არტურ ვანდენბერგს უნდა უმადლოვდეს. პროფესორ ვასილ კაჭარავას განმარტებით, „უკან ნორმალურობისკენ“ დაბრუნებას ამერიკელები უწოდებდნენ კვლავ ანტი-ეტატისტურ პოზიციებზე გადანაცვლებას, რასაც შეებრძოლა ჯერ თეოდორ რუზველტის, შემდგომში კი ვილსონისეული პროგრესივიზმი. თავის მხრივ, ეტატიზმის აღორძინების გამოწვევი გახდა კაპიტალის კონცენტრაციის სწრაფი ზრდა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე მონოპოლიების გავლენა, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა თავისუფალი კონკურენციის ეპოქის ღირებულებები და საშიშროება შეუქმნა ინდივიდის უფლებებსა და თანაბარ შესაძლებლობათა ჯერ კიდევ შენარჩუნებულ ინსტიტუტებს.[182] თუმცა, 20-იანი წლები როდი იყო ბოლომდე ნორმალურობა. მას თან გასდევდა მზარდი სოციალური,

[180] Robert H. Zieger, „Republicans and Labor: 1919-1929“, University of Kentucky Press, Lexington, 1969, p. 2
[181] Zieger, 1969, p. 8
[182] კაჭარავა, 2008, გვ. 47

ეკონომიკური და კულტურული დაპირისპირებები,[183] რაშიც დიდ ნაწილს ნამდვილად იკავებდა დასაქმებულთა პრობლემატიკა. რობერტ ზიგერის აზრით კი, ამ „ნორმალურობამ“ პასუხი არათუ ვერ გასცა მოცემულ პრობლემას, არამედ ვერც ძირითადი მიდგომები, პროგრამები და პოლიტიკური მიმართებები ჩამოაყალიბა ჯეროვნად.[184] არადა, 1920-იანი წლები ერთ-ერთი ყველაზე მწვავე ინდუსტრიული კრიზისების ეპოქა იყო. მაგალითისთვის, 1922 წელს დაახლოებით მილიონი ქვანახშირისა და კრინიგზის პროფკავშირის წევრი გაიფიცა, რაზეც რესპუბლიკელებს სხვადასხვაგვარად მოუწიათ რეაგირება. *ძველი დიადი პარტია* ცდილობდა დასაქმებულთა უფლებების პრობლემატიკის გარშემო ისეთი ინტერეს-ჯგუფები გაეერთიანებინა როგორებიც იყვნენ ბიზნესმენები, ფერმერები, პროგრესივისტები, სხვადასხვა სამოქალაქო ასოციაციის წევრები, აკადემიის წარმომადგენლები და პროფესიული კავშირები წევრები. შედეგად, მაგალითისთვის, პრეზიდენტ კელვინ კულიჯის პერიოდი (1923-1929) მშვიდობიანი და შედარებით წარმატებული იყო ამერიკელი მუშათა კლასისთვის. ხელფასებმა აიწია, ხოლო უმუშევრობის დონემ დაიკლო ომის წინარე პერიოდის მაჩვენებლებზე. კორპორაციების სოციალური პროგრამებიც გააქტიურდა წინა წლების მსგავსი დაპირისპირებული რიტორიკაც იშვიათი გახდა. გაფიცვების რიცხვმაც ბევრად დაიკლო და თუკი 1919 წლისთვის ყოველი მეხუთე დასაქმებული სამუშაო ადგილს დამსაქმებელთან დავის გამო ტოვებდა, 1925 წელს უკვე მაჩვენებელი ყოველ ორმოცდამეათეზე ავიდა, 1925-28 წლებში კი, კიდევ უფრო შემცირდა.[185] ამის მაგალითია ამერიკული მრეწველობის ტიტანის, ჰენრი ფორდის მიდგომა თავის წარმოებაში დასაქმებულებთან. 1926 წლისთვის, ფორდმა 6 დღიანი, 48 საათიანი სამუშაო კვირა 5 დღიანი, 50 საათიანით შეცვალა, ხოლო თავისი მუშებისა და მათი შვილებისათვის სკოლებიც კი გახსნა და სხვა შეღავათებიც დააწესა. {...} მას მიაჩნდა, რომ კარგად დაფასებული მუშა ნაკლებად დაიწყებდა სხვა სამუშაოს ძებნას და თავის მოსაწყენ სამუშაოს კონვეიერთან უფრო დიდი ენთუზიაზმით შეასრულებდა.[186] ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, რესპუბლიკური ადმინისტრაციების საქმიანობის შედეგად, ჰერბერტ ჰუვერის 1928

[183] Reichley, 1992, p. 242
[184] Zieger, 1969, p. 9

[185] Zieger, 1969, p. 249
[186] კაჭარავა, 2008, გვ. 139

წლის საარჩევნო კამპანია იყო პირველი 1912 წლის შემდგომ, როცა მუშათა გაერთიანებებთან რესპუბლიკურ პარტიას გართულებები არ შექმნია. მათი პრობლემები ჩამცხრალი და მოგვარებული ჩანდა, ხოლო ადმინისტრაციების მიმართ ისმოდა ქება, რომ *„ძველმა დიადმა პარტიამ* ქვეყანა ღრმა კრიზისიდან აყვავების დონეზე გადაიყვანა და „დაამყარა ჰარმონიული ურთიერთობა დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის."[187] დიდი დეპრესიის მძიმე წლები მოახლოებამდე, არც ჰუვერის პრეზიდენტობის დროს შეცვლილა მიდგომები ამ მიმართულებით და როგორც უკვე აღვნიშნე, ეს უკანასკნელი, ვაჭრობის მინისტრის პოზიციიდან საკმაოდ აქტიურად იყო ჩაბმული ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მხედველობაში ვიღებ რა ჰერბერტ ჰუვერის როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ საქმიანობას მიმაჩნია, რომ ნაწილობრივ ჰუვერმაც გაითვალისწინა მისი წინამორბედების მეთოდები და ტედი რუზველტისა და ვუდრო უილსონის მსგავსად ეცადა სახელმწიფოს როლის ზრდას ბიზნესთან ურთიერთობის მოწესრიგების მიმართულებით. მეტიც, როგორც ვიხილეთ, გარკვეულწილად, ჰუვერს ზოგიერთი რამ უკეთაც კი გამოუვიდა. პროფესორ ვასილ კაჭარავას მიხედვით, იმის მიუხედავად, რომ ჰერბერტ ჰუვერი კონსერვატიზმის მთავარ ბურჯად მიიჩნეოდა და დღესაც ასე ითვლება, სინამდვილეში არც ისეთი ხისტი კონსერვატორი იყო. ეს ჯერ კიდევ მაშინ გამოიკვეთა, როდესაც ვაჭრობის მინისტრის პოზიციაზე მუშაობისას იგი აქტიურად უწყობდა ხელს მთავრობისა და კერძო ბიზნესის თანამშრომლობას.[188] ამდენად, ვფიქრობ, რომ 1920-ანი წლებისათვის, ფრედერიკ ჯექსონ ტარნერის ფრონტირის პრინციპზე აგებული ამერიკა, რომელშიც სახელმწიფოს მხოლოდ „ღამის დარაჯის" ფუნქცია ჰქონდა, შედარებით დავიწყებას მიეცა, რამაც გამოიწვია პოლიტიკოსებისა და პარტიების მხრიდან შესაბამისი, ვითარებაზე მორგებული ნაბიჯების გადადგმა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჰერბერტ ჰუვერის ასეთი აქტიურობის მიუხედავად, მისი სამთავრობო აქტივიზმის ფრანკლინ რუზველტთან შედარება ნამდვილად ზედმეტია, რადგან, ამ უკანასკნელმა სამუდამოდ დაარწმუნა ამერიკული პუბლიკა ცენტრალური მთავრობის როლის გარდაქმნის აუცილებლობაში. სწორედ ეს გახდა ჰერბერტ ჰუვერის მთავარი შეცდომა „დიდი დეპრესიის" დაძლევის მცდელობისას. ჰუვერი

[187] Zieger, 1969, p. 271

[188] ვასილ კაჭარავა, "ამერიკა 1950-იან წლებში", გამომცემლობა "კლიო", თბილისი, 2011, გვ. 45

სოციალური პროგრამების ამოქმედებას კი მართებულად მიიჩნევდა, თუმცა ეს შტატების მხრიდან უნდა განხორციელებული დამოუკიდებლად, მაშინ, როცა შტატები ფინანსური სიმწირის გამო მოქმედებებში ძალზედ შეზღუდულები იყვნენ. რუზველტმა კი, ეს საკითხი შტატებს გარეთ ღიად გამოიტანა და ფედერალურ მთავრობას ფინანსების არათუ მიწოდება, არამედ ლოკალურ დონეზე ადმინისტრირებაც კი დაევალა. ამდენად, ფედერალურმა მთავრობამ ადგილობრივ სამეზობლოებშიც კი შეაღწია, რაც მანამდე წარმოუდგენელიც კი ჩანდა. {...} ფედერალურ მთავრობაში დასაქმებულთა რიცხვიც უსაზღვროდ გაიზარდა და ისინი უკვე პირდაპირ ახდენდნენ მილიონობით ადამიანზე გავლენას. მსგავსი ფაქტები ამერიკის ისტორიაში მანამდე არასდროს მომხდარა.[189] ჰუვერისგან განსხვავებით რუზველტს მიაჩნდა, რომ „ჯობია, გულმოწყალების სულისკვეთებით მყოფი მთავრობის შეცდომები, ვიდრე მთავრობის მუდმივი უმოქმედობა, რომელიც საკუთარი გულგრილობის ყინულში გაიყინა.“[190] „გონივრულია“ - ამბობდა ასევე ის, - „რაიმე მეთოდით სცადო მდგომარეობის გამოსწორება. თუ მან არ იმუშავა, სჯობს ამის აღიარება და სხვა რამის ცდა. ყოველივე ეს, უმოქმედობაზე ბევრად უკეთესია.“[191] პროფესორ ვასილ კაჭარავას მიხედვით, ზოგიერთი ავტორი „ახალ კურსს“ რუზველტის რევოლუციისაც კი უწოდებდა. დიდი დეპრესიის წლებს ამერიკელი ისტორისები ამერიკის ისტორიის მხოლოდ ისეთ უმძიმეს პრიოდებს ადარებდნენ, როგორებიც იყო ომი დამოუკიდებლობისთვის და სამოქალაქო ომი. ისიც ცნობილია, რომ ეს კრიზისი, რომელიც მსოფლიოს ყველა განვირებულ ქვეყანას შეეხო, ყველაზე მძიმედ სწორედ შეერთებულ შტატებში წარიმართა და ყველაზე დიდხანს სწორედ იქ გაგრძელდა. ქვეყანა კი დიდი და რადიკალური ცვლილებების მოლოდინში იყო. როგორც რუზველტმა ხაზგასმით აღნიშნა თავის საინაუგურაციო გამოსვლაში - „ეს ერი მოითხოვს მოქმედებას და მოქმედებას დაუყოვნებლივ.“ შესაბამისად, საკმაოდ კონსერვატიული კონგრესი იმდენად იყო დაშინებული, რომ სრული კარტ ბლანში მისცა რუზველტს და მისი მმართველობის პირველი ასი დღის მრავალ და რადიკალურ საკანონმდებლო ინიციატივებს თითქმის სრულად დაეთანხმა.[192] „ახალი

[189] Frank Kingdon, „Architects of the Republic“, Alliance Publishing co. New York, 1947, p. 260
[190] კაჭარავა, 2018, გვ. 210
[191] Richard Hofstadter, “The Age of Reform: From Bryan to F.D.R”, Fifteenth Printing, Alfred A. Knopf, Inc., New York, 1989, p. 305
[192] კაჭარავა, 2018, გვ. 210

კურსის“ იმ ნაწილის მიმართ, რომელიც სამთავრობო აქტივიზმს გულისხმობდა, საგრძნობი იერიში რესპუბლიკელების მხრიდან უფრო მეტად 1934 წლისთვის გააქტიურდა. ანტისამთავრობო განგაში პარტიის რამდენიმე ძირითადმა ფიგურამ მოაწყო. ყოფილმა ფინანსთა მდივანმა ოდგენ მილსმა რუზველტის ხელში არნახული ძალაუფლების კონცენტრაცია გააკრიტიკა და მთავრობის მხრიდან ეკონომიკის კონტროლის ზრდას არაკონსტიტუციური უწოდა. თეოდორ რუზველტ ჯუნიორის თქმით კი, ახალი კურსი რეაქციული და არაამერიკული იყო, რადგან მისი მიმდინარეობის ლოგიკური დასასრული გარკვეული ტიპის აუტოკრატიულ მმართველობას მოიტანდა.[193]

საერთოდ, ახალი კურსი სრულიად ახალი მოვლენა იყო ამერიკის ისტორიასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მკვლევარები თანხმდებიან, რომ „ფრანკლინ რუზველტის მიერ დაწყებული პოლიტიკური რევოლუციის განსაკუთრებული ნიშანი იმაში კიარ მდგომარეობს რომ იგი თომას ჯეფერსონისა და ენდრიუ ჯექსონის პოლიტიკურ ბრძოლებს წააგავს, არამედ იმაში, რომ იგი წარსულის განგრძობადობისგან უცაბედი გადახვევაა.“[194] ისტორიაში პულიცერის პრემიის მფლობელი, ზემოთ უკვე ნახსენები რიჩარდ ჰოფშტადტერი თავის ერთ-ერთ წიგნში აღნიშნავს, რომ ახალი კურსი ყველაფრისგან განსხვავდებოდა, რაც მანამდე შეერთებული შტატების ისტორიაში მომხდარა. განსხვავდებოდა, რადგან მის წინაშე მდგარი გამოწვევები პროგრესივიზმის გარშემო არსებულ პრობლემებს არ ჰგავდა. იგი სულ სხვა იყო იდეებით, არსითა და ტექნიკით. ხალხი, ვინც პროგრესივიზმის პერიოდში იცხოვრა, არამხოლოდ აღიარებდა მის განგრძობად ხასიათს ამერიკულ ტრადიციებთან, არამედ მათ აღდგენადაც კი თვილდა. თუმცა, რაც შეეხება „ახალ კურსს“ ეს იყო ყოველგვარი ცნობილისგან და აღიარებულისგან სრული გადახვევა.[195] უნდა ითქვას, რომ ამ ცვლილებას თავისი მრავალმხრივი მიზეზები ჰქონდა, რადგან ეს იყო ისეთი რეფორმების მოძრაობა, რომელიც, წინა შემთხვევებისგან განსხვავებით უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის პერიოდში დაიწყო, ხოლო სხვა ძირითადმა რეფორმატორებმა, ჯეფერსონმა, ჯექსონმა, რუზველტმა და უილსონმა, ქვეყანა

[193] Robert Mason - "The Republican Party and American Politics from Hoover to Reagan" Cambridge University Press, New York, 2012, p. 45
[194] Hofstadter, 1989, p. 301
[195] იქვე, p. 302

ნორმალური ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში ჩაიბარეს. ისტორიულად, მთავრობის ჯეფერსონული და ჯექსონული ხედვა, პროგრესივიზმის მიმდევართა უმეტესობასთან ერთად იყო, რომ საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში, ბაზარს მხოლოდ იმ დონეზე სჭირდებოდა ჩარევა და ინტერვენცია, რამდენადაც ეს დამწყები და მცირე ბიზნესის დახმარებისთვის იყო საჭირო. ძალიან იშვიათად ისინი მთავრობის მიერ ძალიან მინიმალური *პოზიტიური* ფუნქციის განხორციელებასაც განიხილავდნენ, თუმცა, მაქსიმალურად ცდილობდნენ ამ ფუნქციების შტატებისთვის დატოვებას, ცენტრალური ხელისუფლების ნაცვლად. ჯეფერსონისა და ჯექსონის დროს მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის მთავარ მეთოდად განიხილებოდა გადაჭარბებული ხარჯებისა და გადასახადების თავიდან არიდება, რათა ეს ფინანსები პრივილეგირებული კლასის ხელში არ მოქცეულიყო. მოგვიანებით, ინდუსტრიულ ეპოქაში მთავრობის მთავარ ფუნქციად გარდაიქმნა რკინიგზისა და მონოპოლიების შეზღუდვა, ამორალური და გაუგონარი ქმედებების შეკავებისა და რეგულირების მიზნით. მარტივად რომ ვთქვათ, პროგრესივიზმის მიმდევრები დაუპირისპირდნენ ფინანსური იმპერიების ბოსებს და სცადებს ჩვეულებრივი ხალხის ძალაუფლების აღდგენა. „ახალ კურსს“ მსგავსი არაფერი გაუკეთებია. მეტიც, ფრანკლინ რუზველტმა მთელი ეს პრობლემა არაფრად ჩააგდო და მისი აზრით უფრო დიადი და გადაუდებელი ეროვნული ინტერესების გამო, თანამშრომლობაც კი დაიწყო მათთან.[196]

როგორ ახერხებდა ფრანკლინ რუზველტი თავისი ასეთი პასუხებისა და პრობლემათა გადაწყვეტის გზების გამართლებას? თუკი არისტოტელეს დავესესხებით, ქალაქში, ადგილობრივ მთავრობაზე უფრო დიდი მმართველობა ეფექტიანი ვერ იქნება, რადგან იქ ყველა მოქალაქეს შეუძლია შეიკრიბოს და მოისმინოს ანგარიში, თუ როგორ ართმევენ მოვალეობას თავს ქალაქის მსახურები. თუმცა მაშინ, როცა ფრანკლინ რუზველტმა პირველი საინაუგურაციო სიტყვით ხალხს მიმართა, ამერიკა უკვე ჰგავდა ერთ ქალაქს, რომლის ლიდერის ხმაც, უკვე ყველა სახლში, ყველა მოქალაქეს ესმოდა.[197] ეს ნიშნავს, რომ ამერიკა უკვე გადაეწყო მოდერნული სამყაროს მახასიათებლებზე, რომლის ნაწილიც გახდა რადიო და ტელეკომუნიკაცია. 1930-იან წლებში ფრანკლინ რუზველტის „საუბარი ბუხართან“ სწორედ ამის გამოვლინება გახლდათ. რუზველტის დროს, დემოკრატების პარტია,

[196] Hofstadter, 1989, p. 308
[197] Kingdon, 1947, p. 252

მუშათა უმეტესობისთვის თავიანთ პარტიად იქცა, ხოლო ორგანიზებული შრომის საკითხები დემოკრატების პარტიის ძირითად პრიორიტეტად. მრეწველობის მუშათა უმეტესი ნაწილი დემოკრატებს აძლევდა ხმას. უფრო ცხადად ეს 1936 წელს გამოჩნდა, როცა, „მეორე ახალი კურსის“ შედეგები მეტად საგრძნობი გახდა. ამ პერიოდის ამერიკული მუშათა კლასი მხოლოდ პროფესიული კავშირებით კი აღარ ხასიათდებოდა, არამედ გარდაიქმნა სოციალურ და კულტურულ ჯგუფად, რომელიც ახალი კურსის კოალიციაში აერთიანებდა კათოლიკეებს, ებრაელებსა და ამერიკაში ემიგრანტებულებს (Foreign Born).[198] 1936 წლის არჩევნებში დემოკრატების ტრიუმფალურმა გამარჯვებამ ცხადყო, რომ სამთავრობო დახმარებებმა ფრანკლინ რუზველტის სასარგებლოდ აქტიურად იმუშვა, თუმცა ეს გადამწყვეტი ფაქტორი არ ყოფილა. დახმარების მიმღებებს არჩევნებში შეუერთდნენ ფერადკანიანები, მუშები და შექმნეს 10 მილიონიანი სხვაობა რესპუბლიკელ კანდიდატთან შედარებით. შედეგად, მისმა მოწინააღმდეგეებმა „ახალი კურსის“ ელექტორალური ძალა ღიად გამოსცადეს.[199] იმის მიუხედავად, რომ რესპუბლიკელების უმეტესობა მონდომებით იყო ჩართული დიდი დეპრესიის თანმდევი ეკონომიკური და ჰუმანური პრობლემების გასამკლავებლად, ისინი რუზველტის ადმინისტრაციას არ ეთანხმებოდნენ მთავრობის როლის ზრდის აუცილებლობაში. მათი აზრით, ახალი კურსის ფორმულა არაეფექტური, არაკონსტიტუციური და სახიფათო იყო ინდივიდუალური თავისუფლებებისთვის.[200] ხედავდნენ რა ახალ კურსში მნიშვნელოვან საფრთხეებს, მიაჩნდათ, რომ ადმინისტრაციის ინიციატივები, ინდივიდუალურ თავისუფლებებზე ზემოქმედებდნენ და პრეზიდენტის ძალაუფლება არაკონსტიტუციურად სცილდებოდა დემოკრატიული სტრუქტურებისათვის დადგენილ ზღვარს. ამ ყველაფერმა ბევრი იქამდეც მიიყვანა, რომ „ახალ კურსში“ სოციალიზმთან დაახლოების საფრთხეს ხედავდნენ, ხოლო რუზველტში, მომავალ დიქტატორს.[201] ასეთმა ანტისამთავრობო[202] დღის წესრიგმა ამერიკელების მხოლოდ უმცირესობაში ჰპოვა მხარდაჭერა მაშინ, როდესაც

[198] John M. Allswang, "The New Deal and American Politics: A Study in Political Change", Indiana University, 1978, p. 41
[199] Mason - 2012, p. 49
[200] იქვე, p. 42

[201] იქვე, p. 43
[202] იგულისხმება მთავრობის ფართო ძალაუფლება

დემოკრატებმა გასაოცარი კოალიცია შექმნეს. მენის სენატორ უოლას უაითის თქმით, რესპუბლიკელებს სიფრთხილე მართებდათ, რადგან ფრანკლინ რუზველტის პოპულარობამ ძალიან იმატა - „ვფიქრობ წინდახედულობა გვავალდებულებს, რომ არ გავცუროთ მდინარის დინების საწინააღმდეგოდ.“[203]

„ახალი კურსის“ იდეების გამარჯვება მხოლოდ ფრანკლინ რუზველტის მიგნებას და მის ახირებას არ წარმოადგენდა. ამ სოციალურ გარდაქმნას ბევრად უფრო ღრმა ფესვები აქვს ამერიკულ საზოგადოებასა და ისტორიაში. ყოველივე ამას მოკლე მიმოხილვა რომ გავუკეთოთ, უნდა ითქვას, რომ 1800-იან წლებში, ფერმერები და ახალმოსახლეები საშუალო კლასის ჩვეულებრივ ხალხს ეკუთვნოდნენ, როცა, დიდი პლანტატორები, ვაჭრები და ბანკირები უკვე ქმნიდნენ მაღალ სოციალურ ფენას. მოგვიანებით, 1900-იან წლებში, ახალმა მიგრაციამ და ინდუსტრიალიზაციამ შექმნა ახალი სახის საშუალო და დაბალი საშუალო კლასი, რომლებიც იყვნენ ინდუსტრიაში დასაქმებულები. მიუხედავად 1920-იან წლებში ზემოთ ნახსენები „აყვავებისა“, რესპუბლიკელები რამდენიმე საკითხში შეცდნენ. პირველი ის იყო რომ, დეპრესიამდე, აშშ-ში მომხდარმა გასაოცარმა ეკონომიკურმა ზრდამ თითქმის მთლიანად უგულებელყო ისეთი ჯგუფები, როგორებიც იყვნენ შახტის მუშები და ფერმერების უმეტესობა. ამის გარდა, როცა მუშათა ხელფასებმა ძირითადად მოიმატა, დოვლათის გადანაწილება მაინც არასაკმარისად მიმდინარეობდა. ამდენად, პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების კუთხით ინდუსტრიალიზაციამ და ახალმა მიგრაციამ ბევრი ახალი კითხვაც გააჩინა. შესაბამისად, უფრო ფართო გაგებით, ფრანკლინ რუზველტის მთავარი წვლილი სწორედ ეკონომიკური უფლებების დამკვირდებაა, რაც არსით დაახლოებით უტოლდება თომას ჯეფერსონის მიერ, თავის ეპოქაში პოლიტიკური უფლებების დამკვირდებას.[204] სწორედ ამიტომ, ისტორიული ფიგურა, რომელსაც ფრანკლინ რუზველტი საკუთარ თავს ადარებდა ჯეფერსონი იყო. ეს პარალელი მათი ოჯახური გარემოს შედარებიდანაც კი იწყება. ჯეფერსონი ვირჯინიელი პლანტატორის შვილი იყო, ხოლო რუზველტი ჰადსონთან მცხოვრები წარჩინებულების. არც ერთი მათგანისთვის პრივილეგირებული მდგომარეობა და სიმდიდრე ბავშვობაში უცხო არ ყოფილა. საბოლოოდ კი, ორივემ პოლიტიკური

[203] Mason, 2012, p. 44
[204] Kingdon, 1947, p. 270

კარიერა დემოკრატიის საზღვრების გაფართოებასა და პრივილეგიების შეზღუდვას მიუძღვნა.[205] თუმცა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, რუზველტის მხრიდან საკუთარი თავის ჯეფერსონთან აფილირების შემთხვევა ძალზედ საინტერესოა, რადგან, ინსტიტუციურად იგი ჰამილტონს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჯეფერსონს. განზრახვა, რომ მთავრობის ძალაუფლება ხალხის საჭიროებებისთვის გამოეყენებინა, ჯეფერსონულ ბუნებას ატარებს. თუმცა, ის ორგანიზაციული მიზანი და ფორმა, რომ ძლიერ ფედერალურ მთავრობამ თავის ხელში აეღო მანამდე შტატებისთვის დატოვებული დისკრეცია და ძალაუფლება, აშკარად ჰამილტონური გამოვლინებაა. ამ მხრივ, რუზველტის „ახალ კურსში“ ჩვენ ვხედავთ ამერიკის პოლიტიკური ისტორიის ორი დიდი ანტაგონისტის გადაკვეთის წერტილს.[206]

2.2. „დიადი საზოგადოება“ და „რეიგანის რევოლუცია“, როგორც ორი განსხვავებული კონცეფცია

„ახალი კურსის“ პირობებში გატარებულმა რეფორმებმა და დამატებით მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობამ, დემოკრატების პარტიას დიდი ხნით გაუხანგრძლივა ძალაუფლებაში ყოფნა. ისინი თეთრ სახლში ფრანკლინ რუზველტის არჩევიდან, ჰარი თრუმენის მეორე ვადის დასასრულამდე, 1952 წლამდე დარჩნენ. მათ ამ დროის განმავლობაში საკმაოდ გაიმაგრეს პოზიციები და მნიშვნელოვანი ეტატისტური ხასიათის ინსტიტუტციონალური ცვლილებებიც დაამკვიდრეს, თუმცა, შეცდომებიც მრავლად დაუგროვდათ.[207] ვასილ კაჭარავას მიხედვით, 1952 წლისთვის ქვეყანა უკვე აშკარად კვლავ კონსერვატიზმისკენ იხრებოდა. ამერიკული საზოგადოება და განსაკუთრებით კი ომის დროს სასწაულად გამდიდრებული ამერიკული ბიზნესი გადაიღალა ჯერ „ახალი კურსის“, შემდეგ კი საგანგებო ზომებისგან, რომელიც ომის თანმდევი იყო და ფედერალური მთავრობის უფლებამოსილებას უსაზღვროს ზრდიდა. ეს კი ამერიკის წმინდათაწმინდას, ამერიკული ბიზნესის თავისუფლებას ზღუდავდა. Laissez-fair და ხელისუფლების დეცენტრალიზაცია კვლავ მოდაში შემოვიდა. თუმცა ყველას და მათ შორის რესპუბლიკელებს მშვენივრად ესმოდათ, რომ

[205] იქვე, p. 22

[206] Kingdon, 1947, p. 261

[207] კაჭარავა, 2011, გვ. 47

1920-იანი წლებისკენ დაბრუნება შეუძლებელი იყო და ომგამოვლილი ამერიკაც და ამერიკელებიც შეიცვალნენ. ახალი დრო, ახალ კონსერვატიზმს მოითხოვდა.[208] მართალია, რომ პოლიტიკაში და მის გარეთ მყოფი დემოკრატები ცდილობდნენ, რომ ფრანკლინ რუზველტის პროგრამები და მიზნები, რომლებიც *ახალი კურსის* აღზევებასა და ფედერალური მთავრობის ძალაუფლების გაფართოებას მოჰყვა, სამუდამოდ ქცეულიყო ამერიკული ცხოვრების ნაწილად, მაგრამ ამ ხედვას 1940 და 1950-იან წლებში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. სწორედ ასეთები იყვნენ კონსერვატორები. მათი ნაწილი საშემოსავლო გადასახადს ეროვნული დაკნინების გამოხატულებად მიიჩნევდა, ზოგი კი რასობრივ ინტეგრაციას თვლიდა დიდი მთავრობის მტრულ განძრახვად. კონსერვატიზმმა ასევე განაგრძო ძლევამოსილი ეროვნული მთავრობის გრძელვადიანი წინააღმდეგობა, რომელიც, ჯერ კიდევ ენდრიუ ჯექსონისა და თომას ჯეფერსონის მმართველობას მოგვაგონებდა.[209] ჰარი თრუმენმა თავისი პრეზიდენტობის პერიოდში, „ახალი კურსის“ იდეების გაგრძელების მიზნით, შეიმუშავა „ახალი კურსის“ სულისკვეთებით გაჟღენთილი პროგრამა, რომელიც ისტორიაში „სამართლიანი კურსის“ სახელითაა ცნობილი. 1946 წლის თებერვალში მიიღეს კანონი დასაქამების შესახებ, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტი და მთავრობა, ამჯერად უკვე არამარტო საგანგებო ვითარების დროს, არამედ მუდმივად იღებდნენ პასუხისმგებლობას ქვეყნის ეკონომიკაზე. პრეზიდენტი ვალდებული იყო, მიეღო ზომები დასაქმების სტიმულირებისათვის, ხელი შეეწყო ადამიანური და მატერიალური რესურსების მაქსიმალური გამოყენებისათვის. ამ კანონით შეიქმნა პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩეველთა საბჭრო, რომელსაც ყოველწლიურად უნდა წარედგინა კონგრესისთვის ქვეყნის მეურნეობის მდგომარეობის ანალიზი.[210] მაგრამ, მთლიანობაში, ტრუმენის პოლიტიკამ ვერ მიიღო შესაბამისი მხარდაჭერა. ქვეყანაში მზარდი კონსერვატიული სულისკვეთება 1946 წლის კონგრესის არჩევნებშიც გამოიხატა, როდესაც, წარმომადგენელთა პალატაშიც და სენატშიც, რესპუბლიკელებმა უმრავლესობა მიიღეს.[211] ნებრასკას რესპუბლიკელი სენატორის, ჰიუ ბატლერის აზრით „სამართლიანი კურსი“ გამიზნულად

[208] იქვე, გვ. 48
[209] Gould, 2003, p. 341
[210] კაჭარავა, 2018, გვ. 265
[211] იქვე გვ. 266

სოციალისტური იყო ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკასთან მისი მსგავსების გამო. უფრო ვრცლად, ისინი შეშფოთებულები იყვნენ მათი ოპონენტების მხრიდან უცხოური სოციალიზმის და ზოგიერთ შემთხვევაში, კომუნიზმის მიმართ სიმპათიით. ტაფტმა 1952 წელს ახალ კურსს პირდაპირ უწოდა ევროპიდან იმპორტირებული პროგრამა. ჟურნალისტი უილიამ ბრედფორდი სამხრეთელებს *დიადი ძველი პარტიის* მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა და აფრთხილებდა, რომ რუზველტისა და ტრუმენის „რუსების მეხოტბე“ ადმინისტრაციებმა ბევრი იშრომეს ამერიკის მონოლითურ, ერთპარტიულ სოციალისტურ ქვეყანად ქცევისათვის და მისი შეყვანისათვის ისეთ მსოფლიო ორგანიზაციაში, რომელშიც სხვა მონოლითური, ერთპარტიული სოციალისტური სახელმწიფოები შედიან.[212] ასეთმა კრიტიკამ გარკვეული შედეგი გამოიღო დემოკრატების პარტიის ლიბერალური ტრაექტორიის შებოჭვის მიმართულებით. რესპუბლიკელებმა და კონსერვატორმა დემოკრატებმა არაერთი „სამართლიანი კურსის“ პროგრამა მოხსნეს დღის წესრიგიდან, ამდენად, ტრუმენის დროს „ახალი კურსის“ განსაკუთრებული ფორმით გაფართოებას ადგილი აღარ ჰქონია. რადგანაც „სამართლიანი კურსი“ ნამდვილ საკანონმდებლო ციებცხელებაში გადაიზარდა და რესპუბლიკელებმა დააზიანეს დემოკრატების რეპუტაცია, ამ უკანასკნელთა მიდგომებიც უფრო ზომიერი გახდა. მეტიც, თრუმენმა გარკვეულ ეპიზოდებში რესპუბლიკელთა ინიციატივების მიღებაც კი გადაწყვიტა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიც შრომითი ურთიერთობები, ხელფასები, ფასის კონტროლი, ფედერალური ბიუჯეტი და ანტიკომუნიზმია.[213]

პოლიტიკური ბატალიები სახელმწიფოს როლის ზრდის გარშემო გაგრძელდა 1950-იან წლებშიც, როდესაც საპრეზიდენტო სავარძელი დვაით აიზენჰაუერმა დაიკავა. მან თავიდანვე დაისახა მიზნად რესპუბლიკელებისთვის დამახასიათებელი გადასახადების დაკლება და ბიუჯეტის დეფიციტისა თუ ეროვნული ვალის შემცირება, რაც დიდწილად შესრულდა კიდეც. მისი უშუალო მოღვაწეობა ასევე შეიცავდა ეტატისტიკურ „ახალი კურსის“ მემკვიდრეობის გაგრძელებას, თუმცა რესპუბლიკელების კონსერვატიული მიდგომების მისადაგებით. მეტიც, მან არამც თუ შეამცირა, არამედ განავრცო კიდეც „ახალი კურსის“ უდიდესი მიღწევა - სოციალური

[212] Mason, 2012, p. 112
[213] Mason, 2012, p. 113

დაზღვევის სისტემა, და უფრო მეტი ადამიანი მოაქცია მისი მოქმედების არეალში.[214] ამასთან, ადმინისტრაცია აპირებდა მნიშვნელოვანი ფედერალური პროგრამის შექმნას 65 წელს გადაცილებული იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ შეეძლოთ თავიანთი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება. მაგრამ ამ პროგრამების შემოღებისას აიზენჰაუერი ცდილობდა, რესპუბლიკელთათვის ესოდენ მნიშვნელოვანი დეცენტრალიზაციის პრინციპი დაეცვა. ეს მან 1956 წლის 26 იანვარს, კონგრესისადმი მიმართვისას აღნიშვნა და ხაზი გაუსვა, რომ ფედერალური დახმარება არ უნდა გადაზრდილიყო ცალკეული მოქალაქის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და შტატის პასუხისმგებლობის საქმეებში ჩარევაში.[215] პრეზიდენტმა აიზენჰაუერმა უარი თქვა იმ დროისათვის რესპუბლიკელებისთვის დამახასიათებელ პასიურ მოლოდინებზე და ერთგვარად გაიმეორა ფრანკლინ რუზველტის სიტყვები მაშინ, როდესაც 1954 წელს ეკონომიკის მაჩვენებლებმა დაიკლო და უმუშევრობის დონეც შედარებით შემცირდა. მან თქვა, რომ „არაფრის კეთებიდან გამომდინარე საფრთხე გაცილებით მეტია, ვიდრე მეტისმეტის კეთებიდან.“[216] პროფესორ ვასილ კაჭარავას მიხედვით, აიზენჰაუერის მმართველობის დასასრულს ფედერალური მთავრობა გაცილებით უფრო აქტიურად იყო ჩართული ამერიკელთა ცხოვრებაში, ვიდრე მის მოსვლამდე. შეიძლება ითქვას, რომ მისი ე.წ. ზომიერი კონსერვატიზმი ეტატიზმის მეტად მნიშვნელოვან გამოვლენას განიცდიდა და იგი ხშირად აშკარად ზეპარტიულ პოზიციაზე იდგა. აიზენჰაუერმა თითქმის შეუძლებელი შეძლო და მინიმალური დანაკარგით დაუბრუნა ამერიკას პოლიტიკური სტაბილურობა, შეინარჩუნა „ახალი კურსის“ საუკეთესო მონაპოვარი და ამავე დროს, ქვეყნის კონსერვატიული იდეოლოგიაც ააღოზღინა.[217] ყველა შემთხვევაში, როგორი მეხოტბეც უნდა ყოფილიყო იგი ჯეფერსონული მცირე მთავრობის და შტატების უფლებებისა, ახალი დროის გამოწვევები თავისთავად მოითხოვდა მთავრობის როლის ზრდასაც, ხოლო მეორეს მხრივ, „ახალი კურსის“ დროს გადაცემული უფლებებისა და ბენეფიტების უკან წაღების იდეა, ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის უკვე დამღუპველი ჩანდა. ამ დროს პოპულარობას იკრეფდა *დიადი ძველი პარტიის* პირველი ვადით არჩეული სენატორი არიზონადან, ბერი

[214] კაჭარავა, 2018, გვ. 291
[215] იქვე, გვ. 292
[216] კაჭარავა, 2018, გვ. 292
[217] იქვე, გვ. 293

გოლდოუტერი. აიზენჰაუერის ბიუჯეტის ნახვის შემდგომ მან პრეზიდენტი გადაჭარბებულ ხარჯვაში დაადანაშაულა და თქვა, რომ ასეთი ფაქტები ადასტურებს თუ როგორაა მოხიბლული იგი სოციალიზმის ცდუნებებით. გოლდუოტერი *ახალი კურსის* პროგრამების მხარდაჭერაზეც უარს ამბობდა, როცა აიზენჰაუერი აგრძელებდა მას. 1960 წლის არჩევნებში ნიქსონის დამარცხებამ აჩვენა, რომ მანამდე აღმოსავლეთში მტკიცედ დაფუძნებული პარტიის გრავიტაციის ცენტრმა სამხრეთსა და დასავლეთში გადაინაცვლა. თეთრკანიანებს, რომლებიც კალიფორნიასა და არიზონაში გადაბარგდნენ, ასევე ძველ კონფედერატებს სძულდათ კომუნიზმი, არ ენდობოდნენ ფედერალურ მთავრობას, საზოგადოებაში თავიანთი წონის შენარჩუნება სურდათ და ერის მორალურ მომავალზე ღელავდნენ. შავკანიანებისა და ლათინოსების მიმართ წინააღმდეგობას კი ხელს უწყობდა კონსერვატორების მხრიდან შტატების უფლებებისა და ლიმიტირებული, მცირე მთავრობის მხარდაჭერა.[218] ყოველივე ეს აისახა 1960-იანი წლების დასაწყისში, სენატორ ბერი გოლდუოტერის კამპანიის დროსაც, რომელმაც, თავის პოლიტიკურ ტრაქტატში, „კონსერვატორის ცნობიერება“ აღწერა ყოველივე ნეგატიური მხარე რაც ცენტრალური მთავრობის როლის ზრდას ჰქონდა და ის მოსალოდნელი მძიმე შედეგები, რაც მისი ვარაუდით, ამერიკას ელოდა ფრანკლინ რუზველტის ეპოქაში დაწყებული პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში. „ფრანკლინ რუზველტის სწრაფი გარდასახვა კონსტიტუციონალიზმიდან შეუზღუდავი მთავრობის დოქტრინაში უკვე ძველ ამბად ითვლება“ - წერდა იგი. „თუმცა, აქ მე დემოკრატების პარტიის სოციალისტების ხელში გადასვლაზე კიარ ვაკეთებ აქცენტს, არამედ ვწუხვარ, რომ რესპუბლიკურ პარტიაშიც იმავე ტენდენციებს ვხედავ. შედეგად, დღეის მდგომარეობით არც ერთ პარტიაში აღარაა შენარჩუნებული მოვალეობის ის გრძნობა, რომელიც შტატების უფლებებს დაიცავს. ამდენად, ჩვენი რესპუბლიკის ქვაკუთხედი, ჩვენი ძირითადი საყრდენი ინდივიდუალური უფლებებისა დიდი მთავრობის საწინააღმდეგოდ, თვალსა და ხელს შუა უჩინარდება.“[219] „ჩვენთვის ნათელია“, - აღნიშნავდა გოლდუოტერი, „რომ დიდი მთავრობის იდეა წინააღმდეგობაშია ჩვენსკონსტიტუციასთან, რომელიც პირველ რიგში არის მთავრობის ფუნქციათა ლიმიტირების საშუალება და იგი დღეს

[218] Gould, 2003, p. 353
[219] Barry Goldwater, “The Conscience of a Conservative”, Victor Publishing Company, Inc., Shepherdsville, Kentucky, 1960, p. 25

ისეთივე მოქმედი უნდა იყოს, როგორც ადრე, დაწერის შემდგომ პერიოდში.“ {...} „დამფუძნებელ მამებს გონივრულად მიაჩნდათ შეზღუდული მთავრობის პრინციპის მხარდაჭერა. სინამდვილეში ეს გონივრულობა მარტივია და კონსერვატიული ფილოსოფიის ცენტრში დგას. ისტორიის განმავლობაში, მთავრობებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის ძირითადი ინსტრუმენტები არიან. მთავრობა ადამიანთა ხელში გამოხატავს ძალაუფლებას, რომლის მეშვეობითაც სხვა დანარჩენების ცხოვრების რეგულირება და კონტროლია შესაძლებელი. ხოლო ძალაუფლება, როგორც ლორდმა ექტონმა თქვა, რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება კი რყვნის აბსოლუტურად.“[220] თავის მხრივ, გოლდოუტერი არ იყო მთავრობის ხელში ნებისმიერი სახის ძალაუფლების კონცენტრაციის მოწინააღმდეგე. მას მიაჩნდა, რომ „მთავრობის ლეგიტიმური ფუნქციები თანხვედრაშია თავისუფლებასთან. შიდა წესრიგის შენარჩუნება, საგარეო მტრების შეკავება, სამართლის აღსრულება, საქონლის გადაადგილებისთვის დაბრკოლებების მოშლა - ყოველივე ამ საკითხების მთავრობის მიერ მოწესრიგება ადამიანებს თავისუფლების ძიების გზაზე მაქსიმალურ გასაქანს აძლევს. თუმცა ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ძალაუფლების ის ინსტრუმენტები, რომლებიც თავისუფლების მოპოვებისთვის გამოიყენება, *შეიძლება* ძალაუფლების შემზღუდველიც აღმოჩნდეს. ეს *შესაძლებლობა* აუცილებლად გარდაიქმნება *ქმედებაში,* თუკი ძალაუფლებაში არსებულ პიროვნებებს გაუკონტროლებლად დავტოვებთ. ეს იმიტომ ხდება, რომ ძალაუფლებას გარყვნის ხიფათი ახლავს და უფრო დიდი ძალაუფლების მოპოვების სურვილში გადადის.“[221] აქედან გამომდინარე, „დამფუძნებელმა მამებმა ეს გაკვეთილი ისწავლეს, რადგან ისინი არამხოლოდ ისტორიის შეგირდები, არამედ მსხვერპლებიც იყვნენ. მათ მკაფიო, პირადი მაგალითები ჰქონდათ, რომ თავისუფლების შენარჩუნება დამოკიდებულია მისი ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ხელში გადასვლისგან თავის არიდებაზე.“[222] გოლდუოტერი იქვე ერთგვარად იმეორებს ფედერალისტური წერილების არსებულ მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ მთავრობის შეზღუდვის მართებული სტრატეგიაა ძალაუფლების გადანაწილება არამხოლოდ ხელისუფლების შტოებს, არამედ ვერტიკალურად, სხვადასხვა დონეებს შორისაც, რაც შეერთებული შტატების

[220] იქვე, p. 17
[221] Goldwater, 1960, p. 17
[222] იქვე, p. 18

შემთხვევაში, როგორც ფართოდ განვიხილეთ, ცენტრალური მთავრობისა და შტატების უფლებებში ვლინდება. ამდენად, გოლდოუტერს, 1960 წლის ვითარებიდან გამომდინარე მიაჩნდა, რომ „ფედერალური მთავრობა შეიჭრა ყველა ისეთ არეალში, სადაც მას მიაჩნია რომ საჭიროა. შტატების მთავრობები ან გამოთიშეს თავიანთი კანონიერი ფუნქციების შესრულებას, ან აკეთებენ მხოლოდ იმას, რის ნებასაც ფედერალური მთავრობა რთავთ. ფედერალური მთავრობის ორივე, აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოები საკამდო შორს გაიჭრნენ თავიანთი კონსტიტუციური საზღვრებისგან. შედეგად, ჩვენ მივიღეთ „ლევიათანი“, ვრცელი ეროვნული მთავრობა, რომელიც დაშორებულია ხალხის კონტროლისა და ნებისგან.“[223] ბერი გოლდოუტერის 1964 წლის კამპანიას შეუერთდა შემდგომში კალიფორნიის ორგზის გუბერნატორი და ასევე ორი ვადით პრეზიდენტი, რონალდ რეიგანიც. რეიგანი როგორც ყოველთვის, გოლდოუტერის კამპანიის დროსაც აკვირვებდა მსმენელს თავისი ორატორობით და ფაქტობრივად სრულად იზიარებდა პრეზიდენტობის კანდიდატის იდეებს დამფუძნებელი მამების ფილოსოფიაზე და მათ უგულებელყოფაზე როგორც დემოკრატი, ასევე რესპუბლიკელი პოლიტიკოსების ნაწილისაგან. თავის ცნობილ გამოსვლაში, „არჩევანის დრო“, რეიგანმა აღნიშნა, რომ „ამ არჩევნებში უნდა დამტკიცდეს გვჯერა ამერიკული რევოლუციის იდეების, რომლებიც მდგომარეობს თვითრწმენაში, რომ საკუთარი თავის მართვა ჩვენც შეგვიძლია თუ უკან ვტოვებთ ამ იდეას და ვაღიარებთ, რომ მცირე ინტელექტუალთა ჯგუფს, რომლებიც ჩვენგან შორის, დედაქალაქში მოკალათებულან, ჩვენზე უკეთ შეუძლიათ ჩვენი ცხოვრების დაგეგმვა.“[224] მთავრობის როლთან დაკავშირებით იგი ამბობდა შემდეგს - „ცენტრალური მთავრობის სრული ძალაუფლება იყო ის, რის თავიდან არიდებასაც დამფუძნებელი მამები ყველაზე მეტად ეცადნენ. მათ იცოდნენ, რომ მთავრობა ეკონომიკას ვერ გააკონტროლებდა ხალხის კონტროლის გარეშე. და როცა მთავრობა ამას გადაწყვეტდა, იძულების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება მოუწევდა.“[225] ამდენად, რეიგანი ეკონომიკაში ხისტი ჩარევის წინააღმდეგ გამოდიოდა, რადგანაც იგი ავტომატურად მოახდენდა გავლენას ინდივიდუალურ უფლებებზეც. იმავე

[223] იქვე, p. 20
[224] Ronald Reagan, „A Time for Choosing”, ხელმისაწვდომია აქ:https://www.youtube.com/watch?v=qXBswFfh6AY&t=220s გადამოწმების თარიღი: 30/09/2024
[225] იქვე

სიტყვაში, რეიგანი გამოვიდა საყოველთაო კეთილდღეობის პროგრამების საწინააღმდეგოდ და მიუთითა, რომ უმჯობესია სახელმწიფო ჯეროვნად დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებიან. სხვა შემთხვევაში, ბიუჯეტის მგეგმავებს სახელმწიფო თანხების გაფლანგვასა და არაჯეროვნად გამოყენებაში დასდო ბრალი.

საკითხები, რის მიმართ რესპუბლიკელებს ასეთი წინააღმდეგობა ჰქონდათ მსოფლხმედველობის თვალსაზრისით ჰგავდა თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში განვითარებული წინააღმდეგობებს, თუმცა 1960-იანი წლებიდან სამთავრობო აქტივიზმი მართლაც ახალ დონეზე გადავიდა. ამერიკის ჯერ კიდევ ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტმა, ჯონ კენედიმ თავის სიცოცხლეში მოასწრო ისეთი ინიციატივების ცხოვრებაში გატარება, როგორიც იყო უმუშევრობის გამო დახმარების გახანგრძლივება, მინიმალური საათობრივი ანაზღაურების 1-დან 1,25 დოლარამდე გაზრდა, მუდმივი დეპრესიის რაიონებისა და ფერმერებისთვის დამატებითი თანხების გამოყოფა, მშრომელთა პროფესიული გადამზადების შესახებ ვალდებულების კანონით აღიარება და სხვ.[226] პრეზიდენტმა კენედიმ არ ყველაფრის დაპირება ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დროს გასცა და მას „ახალი საზღვრები“ უწოდა. ჯონ კენედის მიდგომებს, შებრძოლებოდა ყველა სახის სიღარიბეს, დაესტიმულირებინა ეკონომიკა და მოეშალა შავკანიანი ამერიკელების წინააღმდეგ დისკრიმინაცია, მისი მკვლელობის შემდეგ, ლინდონ ჯონსონიც მიჰყვა, რომელსაც, უნდა ითქვას, რომ ბოლომდე სჯეროდა კიდეც ამ იდეების. კენედის სიკვდილის შემდეგ ლინდონ ჯონსონმა *ძველი დიადი პარტია* ერთგვარ თავდაცვით პოზიციაში ჩააყენა, როცა თვითონ ამბიციური სამოქალაქო უფლებების, გადასახადების შემცირებისა და სიღარიბესთან ომის პროგრამების განხორციელებას შეუდგა.[227] ჯონსონის გადასახადების პოლიტიკა შეეხო როგორც დიდ, ისე საშუალო ბიზნესს, რისი მეშვეობითაც, მან 1964 წლისთვის თავის ამომრჩეველთა რაოდენობა ცალსახად გაზარდა. ცხადია, იმ დროისათვის ცენტრალურ პრობლემად კვლავ „სამოქალაქო უფლებების აქტის“ მიღება რჩებოდა. ჯონსონმა გასცა დაპირება, რომ „ყველა ღონეს იხმარდა, რათა შავკანიან ამერიკელებს სამართლიანობის მოპოვებაში

[226] კაჭარავა, 2018, გვ. 349
[227] Gould, 2003, p. 358

დახმარებოდა.“[228] ამ პროცესში ჯონსონმა ჯონ კენედის მკვლელობის შედეგად გაჩენილ სენტიმენტებს სენატში თავისი კავშირები დაუმატა და მიანიშნა სამხრეთელ დემოკრატებს, რომ საკითხის შესახებ კომპრომისებს არ განიხილავდა. 1964 წლის იანვარში პრეზიდენტმა „უპირობო ომი“ გამოუცხადა სიღარიბეს. მისი პროგრამა დიდწილად შეიცავდა კენედის ხედვებს და აქცენტს აკეთებდა ასაკოვან, დაავადებულ, ასევე უმუშევარ და გადაუმზადებელ ადამიანებზე, რომლებიც დიდწილად აპალაჩებსა და მეჩხრად დასახლებულ უბნებში ცხოვრობდნენ. მან მხარი დაუჭირა 750 მილიონიან „ეკონომიკური შესაძლებლობების კანონს“, სწორედ სიღარიბის აღმოფხვრისა და შიდა სოციალური სერვისებისათვის.[229] ლინდონ ჯონსონის წარმატების ფორმულა ყველა იმ აქტების მიღების პროცესში, რომელსაც შემდეგ „დიადი საზოგადოება“ ეწოდა, შეძლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების კონსოლიდაცია და ყველა მათგანისთვის სასურველი პოლიტიკის განხორციელება. რომ აღარაფერი ვთქვათ სამხრეთში მცხოვრებ შვკანიანებზე, მისმა სიღარიბის აღმოფხვრის პროგრამებმა აღმოსავლეთ სანაპიროებზე არსებული ლიბერალების ყურადღება მიიპყრო. მათ დაემატნენ შედარებით კონსერვატორი დემოკრატები და დიდი ბიზნესი, რომლებიც მეტისმეტად მოიხიბლნენ გადასახადების შემცირებით, რადგან აშკარად იყო ეკონომიკური ბუმი და აყვავება. სწორედ ამიტომ, კმაყოფილი კორპორაციები კომპრომისზე წავიდნენ და მონაწილეობაც მიიღეს სოციალური პროგრამების ამოქმედებაში.[230] ლინდონ კონსონის „დიადი საზოგადოების“ წარმატება პირდაპირ აისახა მის შედეგზე არჩევნებშიც. როგორც განვიხილეთ, 1964 წლის ნოემბერში, დემოკრატების მხარეს იყო კანდიდატი, რომელმაც საკმაოდ გაზარდა როგორც მთავრობის ფუნქცია და ხარჯები, ისე ცენტრალური მთავრობის ჩარევა შტატების უფლებებში. ხოლო რესპუბლიკელებს წარმოადგენდა პოლიტიკოსი, რომელმაც მხარი დაუჭირა შტატების უფლებებსა და ხალხის შესაძლებლობას დაეკანონებინათ სეგრეგაცია სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთში, რადგან, მას სჯეროდა რომ ამ თავისუფლებებს უფრო დიდი ღირებულება ჰქონდა, ვიდრე შავკანიანთა თანასწორობის უფლებებს.[231] ამ უკანასკნელმა 50 შტატიდან მხოლოდ

[228] John Morton Blum, „The Progressive Presidents: Roosevelt, Wilson, Roosevelt, Johnson“, Norton & Company, Inc., N.Y., 1980, p.169168
[229] იქვე, p.169
[230] Blum, 1980, p.170
[231] Gould, 2003, p. 354

ექვს შტატში შეძლო გამარჯვება, აქედან ხუთი ე.წ. ღრმა სახმრეთის, ხოლო ერთი თავისი მშობლიური არიზონა იყო. ვფიქრობ, 1964 წლის არჩევნები კარგი მაგალითია ფრანკლინ რუზველტისა და დუაით აიზენჰაუერის მიერ ნათქვამი სიტყვებისა, მოქმედების აუცილებლობის შესახებ. გოლდუოტერმა, მაგალითად მოჰყავდა რა კონსტიტუციის ტექსტი, უარი თქვა როგორც ადამიანების თანასწორობის უფლებების დაცვაზე, ისე რიგი სოციალური საკითხების გადაწყვეტაზე, მზარდი მთავრობის შიშის გამო. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა რესპუბლიკური პარტიის ტრადიციის გაგრძელება, როდესაც, ჰუვერის მსგავსად, შესაძლოა გოლდუოტერიც უჭერდა მხარს თანასწორობასა და სიღარიბის აღმოფხვრას, თუმცა, ამის გადაწყვეტა მათ შტატების დონეზე მიაჩნდათ მართებულად. თუმცა, როგორც ჩანს, შტატებს არც 1960-იანი წლების შემთხვევაში ჰქონდათ პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის შესაძლებლობა. არჩევნების შედეგებით რესპუბლიკელების სასოწარკვეთას ვფიქრობ კარგად აღწერს სენატორი მორტონის მოსაზრება თავიანთი შეცდომების შესახებ. „რა გაკეთდა შეცდომით?“ - წერდა ის - „ვფიქრობ მთელი კაცობრიობისთვის საერთო ემოცია შიშია, რომელიც პოლიტიკური ისტორიის განმავლობაში ყველაზე ხშირად გამოუყენებიათ ხოლმე პოლიტიკური მიზნებისთვის. ამის ცალსახა მაგალითი 1964 წელი იყო. ოპოზიციამ ძალიან ჭკვიანური და მწყობრი კამპანია აწარმოა, რასაც, მომდევნო წლები კიდევ უფრო უკეთ გამოავლენს. მათ შეძლეს და დანერგეს შიში ამომრჩეველთა გონებაში - შიში, რომ ჩვენ ატომურ ომში ჩავერთვებოდით; შიში, რომ გავაუქმებდით სოციალურ უზრუნველყოფას; შიში, რომ დავხურავდით სამუშაოს ძიებაში დახმარების პროგრამას და შიში, რომ აღარ იარსებებდა პროგრამები ფერმერებისთვის. შიში, რომ არ მივიღებდით „სამოქალაქო უფლებების აქტს“, რომლის მიღებაშიც, 1964 წელს, რესპუბლიკელებმა დიდი წვლილი შეიტანეს. {...} ბევრგან გამიგია, რომ პარტიას ვერ ავაშენებთ სამხრეთში, თუკი არ დავთმობთ პოზიციებს სადმე სხვაგან. თუმცა, თუკი ნამდვილად გვსურს ეროვნული პარტიის მშენებლობა, ჩვენ უნდა შევძლოთ სამხრეთში ფეხის მოკიდება, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს რასისტული მიდგომებით.“[232]

დასახული მიზნის, ნამდვილი ეროვნული პარტიის მშენებლობა მალე, .ე.წ

[232] Remarks By Kentucky Senator Thruston B. Morton on the 1964 Elections, Roosvelt Institute of American Studies, Papers of the Republican Party, 1911-1980, Reel 8, Series B, 0513

„კონსერვატიული რევოლუციის“ დროს, უკვე რონალდ რეიგანმა მოახერხა. მან თავის კოალიციაში შეძლო ხისტი კონსერვატორების, ზომიერი კონსერვატორების, თეთრკანიანი საშუალო კლასისა და რეიგანის მხარდამჭერი დემოკრატების შემოკრება.[233] თუმცა, ამ ჩამოსათვლელად მარტივ კოალიციას, მძიმე პოლიტიკური ბრძოლა უძღოდა წინ. პროფესორ ვასილ კაჭარავას მიხედვით, რონალდ რეიგანი 1980-იან წლებში, სახელმწიფოს მართვას 1920-იანი წლების რეცეპტებით რომ აპირებდა, ეს მის კაბინეტში დაკიდებული პრეზიდენტ კელვინ კულიჯის პორტრეტითაც ნათლად აისახა.[234] და მართლაც, ორივე პრეზიდენტი გადასახადების უპრეცედენტო შემცირების ჩემპიონი იყო და დიდი ბიზნესის ერთგული მოკავშირე. ისინი, კლასიკური რესპუბლიკანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ვაშინგტონის ბიუროკრატიის რაოდენობის და გავლენის შემცირებისა და შტატების და ადგილობრივი ხელისუფლების გააქტიურების მომხრე იყვნენ.[235] არც ერთი პრეზიდენტი 1920-იანი წლების შემდეგ არ იყო ბიზნესის ისეთი მხარდამჭერი, როგორც რონალდ რეიგანი.[236] ამდენად, ეკონომიკის აღორძინების მისი პროგრამა, რომელიც „რეიგანომიკის“ სახელით იყო ცნობილი, დიდწილად გადასახადების შემცირებას და დერეგულაციას გულისხმობდა. თეორიაში ასეთ მოდელს მიწოდების ეკონომიკადაც მოიხსენიებენ. სწორედ ასეთი ეკონომიკის მოდელი გახლდათ რეიგანის კოალიციის შექმნის ერთ-ერთი წინაპირობაც, რამდენადაც იგი კონსერვატორების ყველა სეგმენტისთვის მისაღები აღმოჩნდა. თავისუფალი ბაზრის ფლაგმანი კონსერვატორებისთვის, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ითხოვნდნენ რეგულაციებისა და გადასახადების შემცირებას, მიწოდების ეკონომიკამ ახალი თეორიული მსჯელობის შესაძლებლობა გააჩინა. კონსერვატორების ბანაკში შედარებით ახლადგადასულებს იგი კეთილდღეობის დაპირებას იძლეოდა მნიშვნელოვანი სამთავრობო პროგრამების შეკვეცის გარეშე, ხოლო ქრისტიან კონსერვატორებს ეძლეოდათ მორალური საფუძველი გადასახადების შემცირებისა დერეგულაციისათვის. ამდენად, რესპუბლიკელებმა მათ ერთხმად, გულმოდგინედ

[233] Giorgi Labadze, „Rebuilding the Reagan Coalition is a Tall Order”, ხელმისავწდომია აქ: https://conservatives.global/rebuilding-the-reagan-coalition-is-a-tall-order/ გადამოწმებულია: 30/09/2024
[234] ვასილ კაჭარავა, „რონალდ რეიგანი და მისი ათწლეული: ამერიკა 1980-იან წლებში“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2022, გვ. 119
[235] იქვე, გვ. 122
[236] კაჭარავა, 2022, გვ. 123

დაუჭირეს მხარი.[237] რეიგანს და მის მომხრეებს ღრმად სწამდათ, რომ დაბალი გადასახადები, საბოლოო ჯამში, უფრო მეტ ფულს დაუტოვებდა ბიზნესს და მეტ შემოსავალს ნიშნავდა, რომელსაც ბიზნესი ეკონომიკის განვითარებაში დააბანდებდა და, შესაბამისად, გამოაცოცხლებდა მას. გადასახადების შემცირებიდან გამომდინარე ეკონომიკის აღმავლობა კი, თავად შეავსებდა ამ შემცირებისგან დაკარგულ თანხებს.[238] მართალია ამ მოსაზრებას მაშინაც და დღესაც ბევრი კრიტიკოსი ჰყავს, მაგრამ, რეიგანის მმართველობის დროს 20 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. 1980 წელს არსებული 13,5%-იანი ინფლაცია 1988 წელს 4,1%-მდე შემცირდა, უმუშევრობა კი - 7,6-დან 5,5%-მდე.[239]

რონალდ რეიგანი საკმაოდ სკეპტიკურად იყო განწყობილი ფედერალური სოციალური პროგრამების მიმართ. წინამდებარე თავში უკვე ნახსენები მისი 1964 წლის სიტყვით გამოსვლა, ამის აშკარა გამოვლინებაა. ფაქტობრივად, პრეზიდენტობამდე სულ ცოტა 20 წლის განმავლობაში, იგი არასამართლიანად მიიჩნევდა სახელმწიფო რესურსების არაეფექტიან ხარჯვას და მიაჩნდა, რომ სოციალური პროგრამების მიმღებთა რიცხვი უკეთ უნდა გაკონტროლებულიყო და აუცილებელი საჭიროების მიხედვით უნდა დადგენილიყო. სწორედ ასე მიუდგა იგი ამ საკითხს კალიფორნიის გუბერნატორობის დროსაც. „1960 წლიდან 1970 წლამდე კალიფორნიაში იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის ჩეკებს იღებდნენ, ოთხჯერ გაიზარდა.“ - წერდა რეიგანი თავის ავტობიოგრაფიაში. „შრომისუნარიან ხალხსაც უკვე მუქთი დახმარება ერჩია. ასე თუ გაგრძელდებოდა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები ამგვარი სისწრაფით გაიზრდებოდა, შტატს მალე გაკოტრება ემუქრებოდა. სპეციალური კომისია, რომელიც სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში ფლანგვის და თაღლითობის აღმოსაფხვრელად და დასახმარებელი ხალხის შესამცირებლად შევქმენი, აგურის კედელს შეეხაჯა: უკანასკნელი, რაც პროგრამაში მომუშავე ხალხს უნდოდა, ეს მომხმარებელთა შემცირება იყო, რადგან თვითონ სამსახურის დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდათ. ისევ და ისევ, ბიუროკრატიის მთავარი მიზანი ბიუროკრატიის დაცვა აღმოჩნდა. მაშინ

[237] John Ehrman and Michael W. Flamm, "Debating the Reagan Presidency", Rowman & Littlefield Publishers, Inc., Lanham, Maryland, 2009, p. 12
[238] კაჭარავა, 2022, გვ. 125
[239] იქვე, გვ. 127

დავრწმუნდი, რომ პროგრამა ძირეულად უნდა შეცვლილიყო. კომპიუტერში ჯვარედინი შემოწმებით დავადგინე, რომ ბევრი ადამიანი სოციალური უზრუნველყოფის ჩეკებსაც იღებდა და მუშაობდა კიდეც. იყვნენ ისეთებიც, ვისაც უზრუნველყოფა არ სჭირდებოდათ. მაგალითად, ერთი ცოლ-ქმარი წელიწადში ასი ათას დოლარზე მეტს გამოიმუშავებდა, მაგრამ მათი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილის მომვლელის ხარჯებს სახელმწიფო იხდიდა. ამდენად, ლიბერალ-დემოკრატებს შევთავაზე, გვერდზე გადაგვედო პირადი გრძნობები და ერთად გადაგვეჭრა ეს პრობლემა. ვაშინგტონისგან ნებართვა მივიღეთ, ექსპერიმენტი ჩაგვეტარებინა. შრომისუნარიანი ხალხი, სოციალური უზრუნველყოფის გრანტების ნაცვლად, სამუშაოთი უზრუნველვყავით. 1973-1974 წლებში 77 ათასი ადამიანი დავასაქმეთ, რომლებიც შემდეგში უამრავ წერილს გვწერდნენ, მადლობას გვიხდიდნენ და აღნიშნავდნენ, რომ როგორც იქნა, მიეცათ საშუალება, საკუთარი შრომით ეაყამათ."[240] რეიგანმა ეფექტიან ხარჯვაზე ზრუნვა და არასასურველი დანახარჯების შემცირება პრეზიდენტის სავარძლიდანაც განაგრძო. ვასილ კაჭარავას მიხედვით, ღარიბთა პროგრამებს თავისი არსებობის აუცილებლობა უნდა დაემტკიცებინათ. ეს იყო კეთილდღეობის პროგრამები, საკვები ჩეკები, ბავშვთა კვება და სხვა მსგავსი. ყველაზე მეტად შეიკვეცა 10 ათას დოლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ოჯახების დახმარება, რადგან, მათ მუშაობა შეეძლოთ, მაგრამ, ადმინისტრაციის აზრით ისინი გულმოდგინედ არ ეძებდნენ სამუშაოს.[241] თუმცა, როგორც ცხოვრებამ აჩვენა, რეიგანი სულაც არ აპირებდა საშუალე ფენისათვის განკუთვნილ ისეთი პროგრამებს, როგორიც იყო „მედიქეირი". როგორც მან თავის დღიურებში აღნიშნა, მისი მიზანი იყო პრეზიდენტ ჯონსონის „დიადი საზოგადოების" უზომო ხარჯების შემცირება და არა ფრანკლინ რუზველტის „ახალი კურსის" მონაპოვრის გაუქმება.[242] როგორც თანამედროვე ამერიკელი მკვლევარი აღნიშნავს, რეიგანი ამერიკის „ახალ კურსამდე" პერიოდში დაბრუნების წინააღმდეგი იყო, რადგან მაგ დროს, ადამიანის სამსახურიდან გაგდება მხოლოდ პროფესიული კავშირებისთვის შეერთების გამოც შეიძლებოდა, ხოლო უსამსახუროდ დარჩენილს კი, ხურდა ფულის გარეშე უწევდა

[240] რონალდ რეიგანი, „ამერიკული ცხოვრება", ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2011, გვ. 114
[241] კაჭარავა, 2022, გვ. 134
[242] იქვე, გვ. 143

ყოფნა.[243] რეიგანს მაგალითად მოჰყავდა ჯეიმს მედისონის 51-ე ფედერალისტურ წერილში მოყვანილი ფრაზა, „ადამიანები რომ ანგელოზები იყვნენ, მთავრობა სულაც არ იქნებოდა საჭირო“. ამდენად ყოველთვის მიაჩნდა, რომ მთავრობას აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც ლეგიტიმაცია იმოქმედოს, რათა ყველა ამერიკელს შეუქმნას საჭირო მატერიალური პირობები და მისცეს შესაძლებლობები. ამ იდეას მიჰყვებოდა „ახალი კურსიც“, რომ არც ამერიკული ტრადიცია და არც კონსტიტუციის ტექსტი არ უკრძალავდა მთავრობის არც ერთ დონეს, ეზრუნა ადამიანის ზემოთ ხსენებულ საჭიროებებზე. ჰენრი ოლსენის აზრით, სწორედ ამ იდეის უარყოფა და კრიტიკა დაეფუძნა ამერიკულ კონსერვატიზმს დაწყებული ჰუვერიდან, რეიგანამდე პერიოდში. [244] ზოგადად, რეიგანს ამერიკელი მუშათა კლასის და ე.წ. საშუალო ამერიკელების მიმართ, განსაკუთრებული სიმპათიებით იყო განწყობილი, რადგან მიაჩნდა, რომ ამერიკის ნამდვილი ხასიათი სწორედ მათში იყო და მეორეს მხრივ, მათი მხარდაჭერის გარეშე პოლიტიკურ წარმატებას ვერასდროს მიაღწევდა. ოლსენის მიხედვით, მთელი კარიერის განმავლობაში საშუალო ამერიკელებს იგი „გმირებს“ უწოდებდა, ხოლო პირველ საინაუგურაციო მიმართვაში აღნიშნა კიდეც, რომ „დავიწყებული ამერიკელების“ ინტერესები სწორედ მას უნდა დაეცვა.[245] მან ნორმანდიის სანაპიროზე ამერიკული დესანტის გადასმის აღსანიშნავ დღეზეც კი, იმ ამერიკელ გმირებზე ისაუბრა, რომლებიც საშუალო კლასს ეკუთვნოდნენ. „სწორედ მათ, თქვა რეიგანმა, „მიანიჭეს კონტინენტს თავისუფლება, ამ გმირებმა მიიყვანეს ომი დასასრულამდე.“[246] სწორედ ჩვეულებრივი ამერიკელების მეშვეობით ცდილობდა რეიგანი პარტიის გაძლიერებას და საარჩევნო წარმატებას. „ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ხალხზე, რომლებიც ბიზნესმენები და მწარმოებლები არ არიან, არამედ მუშაობენ ქარხნებში, ფერმებში, იცავენ საჯარო წესრიგს. თუმცა, თუ გვსურს ასეთმა მუშათა კლასმა ჩვენ დაგვიჭიროს მხარი, არათუ ადგილი უნდა დავუთმოთ პარტიაში, არამედ გავითვალისწინოთ მათი ინტერესებიც.“[247] ალბათ ამის გაგრძელება იყო რეიგანის საკუთარი პერიფრაზი ცნობილ გამოთქმაზე - „რაც კარგია ჯენერალ მოტორსისთვის,

[243] Henry Olsen, “The Working-Class Republican: Ronald Reagan and the Return of Blue-Collar Conservatism”, Broadside Books, New York, 2017, p. 258
[244] იქვე, 86
[245] Olsen, 2017, p. 207
[246] President Reagan's Inspiring Speech at Pointe du Hoc on the 40th Anniversary of D-Day, ხელმისაწვდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=CENbdxQcUZc გადამოწმებულია: 30/09/2024
[247] Olsen, 2017, 155

ის კარგია ამერიკისთვის“ შემდეგნაირად გადასწორება - „რაც კარგია ამერიკელი მუშისთვის (მშრომელისთვის), ის კარგია ამერიკისთვის.“[248] ასეთი დამოკიდებულება, რეიგანს განსაკუთრებით დაეხმარა 1984 წლის არჩევნებში, როცა მან ძალიან დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა უოლტერ მონდეილის წინააღმდეგ. ზოგადად, რეიგანს სურდა ჯერ კიდევ ახლად ინდუსტრიალიზებული ამერიკის პერიოდიდან მოყოლებული ფიქციის დამსხვრევა, რომ რესპუბლიკური პარტია დიდი ბიზნესის ინტერესებს ემსახურება. ამიტომ, მან ერთგულება გამოუცხადა „ახალი კურსს“ და ჩვეულებრივი ამერიკელებიც მიიმხრო ისეთი საკითხებისადმი თანამოაზრეობის გამო როგორებიც იყო კანონისა და წესრიგის უზენაესობა, აბორტი, რასობრივი ინტეგრაცია და სხვა. ამ პროცესში, მან ამერიკელი ხალხის უმრავლესობის, რიგითი ადამიანების სიმპათია დაიმსახურა და კვლავ აგრძნობინა მათ, რომ პოლიტიკოსები არა მხოლოდ დედაქალაქში მოკალათებული ელიტების მოსაზრებების მიხედვით მოქმედებენ, არამედ უსმენენ ჩვეულებრივ ხალხსაც.

კიდევ ერთი საკითხი, რომელშიც რეიგანმა ნაწილობრივ გაითვალისწინა რესპუბლიკური პარტიის მემკვიდრეობა, სწორედ შტატების ადგილობრივი უფლებები იყო, თუმცა, აქაც თავისი წინამორბედების შეცდომების გამოსწორებას ეცადა. ეს ალბათ, პირველ რიგში მაინც ჰერბერტ ჰუვერსა და ბერი გოლდუოტერს ეხებათ. მათგან განსხვავებით, რეიგანმა შტატები თავიანთი ბედის ანაბარად კი არ დატოვა, ინდივიდუალური უფლებების დაცვის მოტივით, არამედ დაეხმარა მათ, გაეზარდათ ფინანსური დამოუკიდებლობა. რეიგანი აღიარებდა, რომ მრავალი ფედერალური მოსამსახურე ვაშინგტონში წესიერი და თავდადებული მუშაკი იყო, მაგრამ ისინი არ იცნობდნენ ამერიკელ ხალხს ადგილობრივ დონეზე ისე, როგორც კონგრესმენები თუ მერები, საგრაფოს თუ ადგილობრივი თვითმმართველობის წევრები. ამიტომ, პრეზიდენტი ხვდებოდა შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა მათთან იმ ფედერალურ თანხებზე ესაუბრა, რომლებიც შტატებს შეიძლებოდა გადასცემოდა ამა თუ იმ ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის თავიანთ ნებაზე გადასაწყვეტად.[249] შედეგად, ფედერალური ბიუჯეტიდან გამოიყო გარკვეული თანხები შტატებისა და

[248] კაჭარავა, 2022, გვ. 145
[249] კაჭარავა, 2022, გვ. 155

ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. ასევე, ვაშინგტონი ახალი წესით უკან უბრუნებდა გარკვეულ თანხებს ადგილობრივ ხელისუფლებას, ქალაქებს, საგრაფოებს. რეიგანის აზრით, ეს ფული ვაშინგტონის კარნახით კიარ უნდა დახარჯულიყო, არამედ ისე, როგორც ადგილობრივი ხელისუფლება გადაწყვეტდა.[250] მართალია, ასეთი მიდგომა მისი წინამორბედი რესპუბლიკელებისგან განსხვავებით ბევრად უფრო სამართლიანი და ლოგიკურია, თუმცა, მას ასევე დიდი კომუნიკატორის ხელწერაც აშკარად თან სდევს. „ახალი კურის“ დროს, რესპუბლიკელების ერთ-ერთი მთავარი წინააღმდეგობა სწორედ ის იყო, რომ ცენტრიდან დახმარების მეშვეობით დემოკრატების პარტიამ გაინაღდა რიგი შტატებიდან მისაღები ხმები. ერთი შეხედვით, ცენტრიდან შტატებისკენ ფინანსების გადატანისას მსგავსად მოიქცა რეიგანიც, თუმცა, თავისი პოლიტიკური ალღოს მეშვეობით, იგი ეცადა მსგავსი დასკვნების გაქარწყლებას და ამისათვის ფინანსების დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა შტატებს დაუტოვა. შედეგად, ტრიუმფალურ გამარჯვებებსაც მიაღწია და ისტორიაში, როგორც შტატების უფლებების ჩემპიონი, სამუდამოდ დარჩა.

და ბოლოს, ალბათ საინტერესოა, რას ფიქრობდა რეიგანი დამფუძნებელი მამების მართვის ფილოსოფიის გამოყენებაზე თავისი დროის ამერიკაში? როდესაც საუბარი იყო მცირე ზომის მთავრობასა და ხალხისთვის ძალაუფლების დატოვებაზე, ცხადია წინამდებარე ნაშრომის მკითხველს პირველ რიგში ჯეფერსონი გაახსენდება. ამიტომ, რეიგანს მიაჩნდა, რომ დემოკრატები თავიანთი პარტიის იდეოლოგიურ მამას ზურგს აქცევდნენ, როცა ითხოვდნენ უფლებას დაერეგულირებინათ და დაეგეგმათ მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება.[251] ამდენად, ორი საუკუნის განმავლობაში, შეერთებული შტატების დამფუძნებელი მამებიდან მოყოლებული რეიგანამდე, აშკარად ჰქონდა ადგილი იდეოლოგიურ შემობრუნებას. თუკი თავდაპირველად შტატების უფლებებისა და ნაკლებად ინტერვენციული ცენტრალური მთავრობის მომხრეები დემოკრატები იყვნენ, 1980-იანი წლების ამერიკაში უკვე პირიქით, რესპუბლიკელებს ჰქონდათ აღებული ეს მიმართულება. თუმცა, დემოკრატები, ფედერალური მთავრობის როლის ზრდას, თითქმის ყველა ჯერზე ასაბუთებდნენ ჩვეულებრივი ხალხისთვის კეთილდღეობის შექმნისა და

[250] იქვე, გვ. 156
[251] Olsen, 2017, p. 15

სხვადასხვა სოციალური ჯგუფების სოციუმში აქტიური ინტეგრაციის მიზნებით. მსგავსი ტენდენციები თანამედროვე შეერთებულ შტატებში დღემდე გრძელდება, რის შესახებაც, მომდევნო თავი დეტალურად მოგითხრობთ.

თავი III: დამოუკიდებელი საქართველოს პარტიები და მათი ურთიერთობები შეერთებული შტატების პოლიტიკურ წრეებთან

დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს უკანასკნელ სამ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, საკმაოდ მრავალფეროვანი ისტორია აქვს. თუმცა უშუალოთ მათზე მსჯელობის დაწყებამდე, ვფიქრობ საინტერესო იქნება მოვიყვანოთ თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების მამების შეხედულებები პარტიების შესახებ. განსაკუთრებით მაშინ, როცა პარტიების ავკარგიანობის თაობაზე მათი არგუმენტები, დიდწილად წააგავს ამერიკელი დამფუძნებელი მამების ხედვებსაც. პარტიული დებატები ქართველი ერის რეალობაში უკვე მე-19 საუკუნის ფენომენია. სწორედ ამ დროს გახდა აქტუალური, თუ რამდენად მართებული იყო ქართული საზოგადოების განსხვავებული იდეების მატარებელ ჯგუფებად დაყოფა. როგორც მრავალ სხვა საკითხზე, ამაზე დებატები

წარიმართა ილია ჭავჭავაძეს და ნიკო ნიკოლაძეს შორის, რომელთაც, მოგვიანებით შეურთდა ნოე ჟორდანიაც. მიგვაჩნია, რომ ნაშრომის კონტექსტში მათი მოსაზრებები საკმაოდ საინტერესო ხედვებს გვთავაზობს. თავდაპირველად, საკითხზე ყურადღება გაამახვილა ნიკო ნიკოლაძემ, წამოჭრა რა პოლიტიკური მწერლობის უფრო მეტად განვითარების აუცილებლობა. მისი აზრით, რადგანაც „უმეტესი ნაწილი ჩვენის არათუ ერისა, არამედ თვით წარჩინებული საზოგადოებისა, ყოველგვარ ზნეობრივ, გონებრივ და საპოლიტიკო ხელმძღვანელობას მოკლებულია,“[252] აუცილებელია, მათ პოლიტიკური მწერლობის ნაწილში მაინც გაამრავალფეროვნონ მოსაზრებები. ნიკოლაძე ამბობდა, რომ „ზოგი გაზეთი პარტიულია. მისი დანიშნულება და შინაარსი, მისი სიკეთე და ძალა ის არის რომ ის ერთ და ერთ მოქმედ პარტიის აზრის გამომთქმელია ყოველგვარ საგანსა და მოვლენაზე, რომელიც კი ქვეყნის თვალწინ მოხდება. ამგვარი გაზეთი თავისი პარტიის პროგრამასა და მოქმედებს იცავს და წინააღმდეგ პარტიების საქციელს და აზრს ებრძვის. თვითეულ პარტიას თავისი გაზეთი, თავისი ორგანო აქვს, რომელშიც მტერი და მოყვარე ეძებს და პოულობს ამ პარტიის შეხედულებას ყველა საზოგადო საქმეზე თუ მოვლენაზე. ამგვარ პარტიულ ორგანოების არსებობა დიდად საჭირო, დიდად სასარგებლოა ქვეყნის ზრდისა და წარმატებისათვის, რადგანაც საზოგადოება ამ აზრების შეხლა-შეტაკებით ეჩვევა ჭეშმარიტების გამოკვლევასა და სწორე გზის არჩევას.“[253] ნიკოლაძეს მაგალითად მოჰყავს ევროპაში მოქმედი პოლიტიკური პრესის სიჭრელე და იქვე გამოთქვამს წუხილს საქართველოში მსგავსი ანალოგიების არარსებობის გამო. „ვერავინ იტყვის, რომ პარტიები არ გვყავდეს, გამწარებით თუ დაუზოგველად მებრძოლენი ერთი მეორის წინააღმდეგ. მაგრამ მიბრძანეთ რომელი ორგანო გაგვაჩნია მათის პროგრამების, მათის განზრახვის, მსჯელობის, აზრის, კრიტიკის გამომთქმელი? შინაურ საქმეებში ჩვენი მწერლობა ნიადაგ და ერთიანად მუნჯია და სულ ხმას არ იღებს ჩვენს საზოგადო გარემოებასა და უთანხმოებაზე. ოცის წლის შემდეგ რომ ვინმე ჩვენს ეხლანდელ გაზეთებს ჩაუჯდეს, ჩვენის პარტიების ბრძოლის გამოსაკვლევად, მის ნიშანსაც ვერ იპოვის ჩვენს გაზეთებში. არც ერთი საზოგადო კითხვა, არც ერთი საგანი ჩვენის ვითომ პარტიების უთანხმოებისა თუ შეტაკებისა არ ისინჯება ჩვენს

[252] ნიკო ნიკოლაძე, „შინაური მიმოხილვა - ქართული მწერლობა“, „მოამბე“ N1, 1895 წლის იანვარი, გვ 91, ხელმისავწდომია: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/155546
[253] ნიკოლაძე, 1895, გვ. 96

მწერლობაში, არ ირჩევა, არ ხდება მის მსჯელობის საგნად, ისე რომ ხალხი ბრძოლას კი ჰხედავს, კენჭის რახა-რუხს კი ესწრება, მაგრამ მის საგანს ვერ ჰხედავს, ვერ იგნებს, ვერ ითვისებს. ამის გამო არც ამ ბრძოლას, არც საზოგადოდ, ჩვენის შინაურის საქმეების მსვლელობას არა აქვს მასზე არავითარი გამწრვთნელი და ამაღორძინებელი გავლენა. მისთვის ეს ბრძოლა გონებისა და პოლიტიკის სკოლად კი არა, უბრალო სეირად არის გადაქცეული, როგორც უწინ კრივი, ჭიდაობა და ჯირითი იყო." ნიკოლაძის აზრით, ასეთი პარტიული ბრძოლები გაზეთების ფურცლებზე სავალდებულოც კია პასუხისმგებლობიანი პარტიებისთვის - „რადგანაც პარტიები გვყავს, რადგანაც მათ შორის ბრძოლა გაჩაღებულია კენჭის ყრის დროს, მათი პირდაპირი მოვალეობაა, მათი პატიოსანი ვალია, მწერლობაშიც იქონიონ ღირსეული ორგანოები თავიანთ მიმართულების და შეხედულების დამცველად და გამომთქმელად. თვით ამ პარტიებისთვისაა სამარცხვინო გარემოება, რომ მწერლობაში აზრების რიგიანი და პატიოსანი ბრძოლის მაგიერ სადავო საგნებზე, ბავშვური კინკლაობა ან მდაბიო ლანძღვა ჰპოულობს ხოლმე ადგილს." აქ იგი მიუთითებს შედარებით დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე და მსგავსი პოლიტიკური მწერლობა, ვითარების გამოსწორების ერთ-ერთ საშუალებადაც მიაჩნია. „პარტიულ ბრძოლაშიაც იღრვება მელანი", - წერს იგი - „პოლემიკა იმართება, პასუხისათვის პასუხი იწერება, მოისმის დაცინვა, შემუსვრა, იქნება მკვახე სიტყვაც, იქნება ლანძღვაც, მაგრამ ეს ბრძოლას საგნიანია, აზრ-მოსილი ნათელსა ჰფენს ქვეყანაში, სწორ გზას აჩენს, საზოგადო აზრსა ზრდის და აძლიერებს, ერთობას აფუძნებს."[254] მოყვანილი მოსაზრებები გვაფიქრებინებს, რომ პარტიული პოლიტიკისა და იდეოლოგიების განვითარებას 1890-იანი წლებში, ნიკო ნიკოლაძე მიიჩნევდა ხალხის პოლიტიკური გათვითცნობიერებისა თუ განათლების ძირითად და აუცილებელ პირობად. საინტერესოა, რომ სწორედ ამ აზრის საწინააღმდეგოდ განეწყო ილია ჭავჭავაძე გაზეთ „მოამბეს" გაცნობის შემდეგ. იგი ნიკოლაძის პასუხად წერილში მიუთითებს, რომ ქართული პოლიტიკური მწერლობის გასაჭირი უეჭველი ჭეშმარიტებაა. მისი აზრით, აუცილებელი და ბუნებრივიცაა განსხვავებულ პარტიებს თავიანთი ორგანიზაციები ჰქონდეთ. იგი საფრანგეთის მაგალითზე მსჯელობს, თუ რამდენად სხვადასხვაგვარია პარტიების ხედვა და რამდენად აუცილებელია მათთვის განსხვავებული ორგანოების

[254] ნიკოლაძე, 1895, გვ. 98

ქონა, რადგან „მათ შორის ისეთი სხვაობაა, რომ ერთ კალაპოტში მათი მოთავსება ყოფლად შეუძლებელია.“[255] თუმცა, ჭავჭავაძის აზრით, „საქართველოს საუკეთესო მწერლებმა ამ 25-30 წლის წინ აღძრეს ერთი დიდი საგანი: **ეროვნული თვითცნობიერება, ეროვნული თვითდაცვა და განვითარება ერისა ევროპიულ სწავლა-მეცნიერების** საშუალებით. დღეს დროთა ვითარების გამო ჩვენ ყველანი შევადგენთ ერთს პარტიას ერთის აზრით გამსჭვალულს. საშუალებაცა და სახსარიც ერთი და იგივე გვაქვს ამ აზრის განსახორციელებლად. მაგრამ თუ ვინმე ახალს რომელსამე საშუალებას დაგვისახელებს, დავეთანხმებით, ოღონდ-კი საშუალება არ ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს აზრსა და არ არღვევდეს ჩვენის ერის საჭირო ერთობას. ზემოხსენებული აზრი ჩვენი უპირველესი წადილია და უახლობელესი საფეხური, ეტაპი, რომელსაც უნდა მივაღწიოთ. ხოლო როდესაც ამ საფეხურს ავაღწევთ, მაშინ თვით ცხოვრება მოითხოვს ჩვენს დანაწილებას სხვადასხვა მიმართულებებად.“[256] ამ შემთხვევაში, ჭავჭავაძე პარტიულ პრესას, რომელსაც შესაძლოა დაეყო საზოგადოება, ღიად ეწინააღმდეგება, რადგან, მისი აზრით ის შეიძლება უფრო დიადი, ეროვნული განვითარების მიზნისკენ სწრაფვას დამუქრებოდა. „ჩვენ ის კიარ გვინდა ვსთქვათ“, - წერდა ილია „რომ ჩვენში ერთის ან ორის გაზეთის მეტი ვერ იხეირებდეს და საჭირო არ იყოს. არა, ჟურნალ-გაზეთობა რაც უფრო იმრავლებს, ისა სჯობია. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ეს გაზეთები არ იქნება ისეთ პარტიულ ორგანოებად, როგორაც ჰსურს ბატონ ნიკოლაძეს. ადვილად შესაძლებელია, რომ ამ გაზეთებს სხვადასხვაფერობა დაეტყოთ; ერთი განსაკუთრებით შეუდგება მაგალითად ერის შესწავლას ეკონომიურის მხრით, მეორე მიზანში უფრო ისტორიას ამოიღებს, მესამე სწავლა-განათლების საქმეს და სხვა და სხვა, მაგრამ ყველას კი თვალწინ ექმნება ჩვენი უმახლობელესი აზრი, რომელიც გვაერთებს და გვასულდგმულებს.“[257] ჭავჭავაძის მიხედვით ეს აზრი ნამდვილი პოლიტიკური უფლებების მოპოვებაა. იგი წერილში კვლავ უბრუნდება საფრანგეთს და მაგალითად მოჰყავს, რომ ცალკეულ ფრანგი სოციალისტებიც კი მრავალ ქვეორგანოსა და ჯგუფს შეადგენენ, რადგან „ასეთი მდგომარეობა ნორმალური დრო-ჟამის თვისებაა. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ

[255] ილია ჭავჭავაძე, ივერია N15, 21 იანვარი 1895, ხელმისაწვდომია: https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/60266
[256] იქვე
[257] ილია ჭავჭავაძე, ივერია N15, 21 იანვარი 1895

საფრანგეთის ყველა არასოციალისტთა პარტია შეერთდა და შეჰკრეს პირობა საერთო ბრძოლისა იმ დრომდე, სანამ არ წაართმევენ სოციალისტებს პოლიტიკურ უფლებებს; მაშინვე - ამას დამტკიცებაც არა სჭირია - ჯგუფთა ეს მცირე განსხვავებაც მოისპობა და სოციალისტები შეერთდებიან და მხოლოდ ერთი საგანი-ღა ექმნებათ: პოლიტიკურის უფლებების დაცვა. ისევეა ჩვენი საქმეც: თუ გარეგანი გარემოება ცოტაოდენად მაინც გვაძლებს სულის ამოთქმის ნებას, ამ დროს რომ ჯგუფებად ვიყვნეთ დანაწილებულნი და ყოველს ჯგუფს თავისი ორგანოცა ჰქონდეს ეს კი არას დააშავებს, არამედ გააკეთებს კიდეც საქმეს. მაგრამ, თუ გარეგანი გარემოება ხელს არ გვიწყობს მაშინ ერთობა გვჭირია მწერლობაშიაც და არა ხელოვნურად დაყოფა პარტიებად, რომელთა არსებობა ჩვენის ცხოვრების ბუნებრივს მოთხოვნილებას *არ* შეადგენს."[258] ილია ჭავჭავაძის შეხედულება თითქმის ზედმიწევნით ჰგავს ამერიკის დამფუძნებელი მამების შეხედულებებს, რომლებიც, 1790-იანი წლების ბოლომდე, ვიდრე უშულოდ არ გახდნენ პარტიების ლიდერები, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ პარტიების დაარსებას. რომ არ განვმეორდეთ, მხოლოდ იმის აღნიშვნაც საკმარისი იქნება, რომ ილიას მსგავსად, ვაშინგტონი, ჯეფერსონი, ჰამილტონი, მედისონი თუ ადამსი, პარტიების განვითარებას სწორედ საზოგადოების გახლეჩის შიშიდან გამომდინარე ეწინააღმდეგებიან. მსგავსად ამერიკელი დამფუძნებლებისა, პარტიულ პროცესებს ჭავჭავაძეც საერთო ეროვნული ინტერესებისთვის ზიანის მიმყენებლად მიიჩნევდა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გამოვლინდა, ასეთი ორგანიზაციების დაარსება როგორც დიდ ამერიკაში, ისევე პატარა საქართველოში, გარდაუვალი აღმოჩნდა. ამას უსვამდა ხაზს კიდევ ერთი ქართველი მოღვაწე და პოლიტიკოსი ნოე ჟორდანიაც, რომელიც, პირდაპირ გამოექომაგა ნიკო ნიკოლაძეს ზემოთ მოყვანილ დებატებში და აღნიშნა, რომ „დასები ვერ დაიბადება და ვერ მოისპოვა თითო ოროლას სურვილით, ხელოვნურათ. ისინი ცხოვრების განვითარების მიერ უნდა იქმნენ წარმოშობილნი და ფესვებ-გამაგრებულნი."[259] მან არაერთი ევროპული ერების მაგალითებიც მოიყვანა, რომლებიც ისტორიის სხვადასხვა ეპიზოდში თავისუფალნი სულაც არ იყვნენ, მაგრამ მაინც განავითარებას პარტიული მწერლობაც და ორგანოებიც. ჟორდანიას აზრით ასეთები იყვნენ რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია, ინგილისი და აღმოსავლეთ ევროპის

[258] იქვე
[259] ნოე ჟორდანია, „ახალი გზით", გამოცემა N2, „ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობა", 1920, გვ. 76

არაერთი ერი. „შეიძლება მოვლენა სულაც არ იყოს სასურველი, მაგრამ ისეთი ნიადაგი მომზადდეს, რომ მისი აღმოუცენლობა შეუძლებელი გახდეს“[260] - წერდა ჭავჭავაძის პასუხად ჟორდანია.

მართლაც, საქართველოში პოლიტიკური პარტიები ამ პოლემიკიდან მალევე თავისი ყველა მახასიათებლით განვითარდა და თან საკმაოდ წარმატებულადაც. მათ შორის, როგორც ამერიკელი დამფუძნებლები, ილია ჭავჭავაძეც გახდა ერთ-ერთი მათგანის ლიდერი, თუმცა რამდენადაც ეს ნაშრომის მიზნებს სცდება საქართველოს გასაბჭოების წინარე პერიოდის პოლიტიკაზე აქ შევწყვეტთ საუბარს. საინტერესო ის არის, რომ როგორც ნიკო ნიკოლაძე ამტკიცებდა, უკვე ჩვენი დროის პარტიებმაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე, პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებამდე საბჭოთა კავშირის შიგნით დაიწყეს ჩამოყალიბება არაფორმალურ ორგანიზაციებად. რამდენად წარმატებულად გაგრძელდა მათი საქმიანობა დამოუკიდებელ საქართველოში ეს მეორე საკითხია, თუმცა, ნაშრომის დანარჩენ ნაწილში, უშუალოდ თანამედროვეობის ქართულ პარტიათა პლატფორმებსა და იდეებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. იმის გამო, რომ კვლევის ძირითადი მიზანი ცალკეულ ქართული პოლიტიკური პარტიების საფუძვლიანი შესწავლა არაა, მიმდინარე თავში ყველა მასშტაბის პარტიების შესახებ არ დავწვრილმანდებით. არამედ, წარმოვაჩენთ იმ ძირითადი ორგანიზაციების პლატფორმებს, რომლებმაც რაიმე სახის გავლენა მოახდინეს პოლიტიკურ პროცესზე და რაც მთავარია, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იყო ან არის ამერიკის შეერთებული შტატების პარტიებთან, მათ იდეებთან და პლატფორმებთან.

3.1 ქართულ-ამერიკული ურთიერთობების სათავეებთან - საერთო ეროვნული თუ პარტიული კონტექსტი?

1990-იან წლებში პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე მრავალჯერ დადასტურდა, რომ ქართული საზოგადოება პოლიტიკური კულტურის ნაწილში მოწოდების სიმაღლეზე არ იმყოფება და მრავალმხრივ განვითარებას საჭიროებს. ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო

[260] იქვე, გვ. 76

წლებში, ქვეყანაში არაერთი პოლიტიკური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა და თავისი სამართლებრივი ფორმებიც შეიძინა. ისინი ერთგვარად წარმოადგენდნენ კიდეც რუსეთის იმპერიაში მოქცეულ საქართველოში არსებული პარტიების მემკვიდრეობათა გაგრძელებას. ისტორიკოს დიმიტრი შველიძის მიხედვით, „ჩვენში მრავალპარტიული სისტეტემა მკვიდრდება უკვე 1900-იანი წლებიდან, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების, სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალ-დემოკრატების და სხვათა მაგალითზე. თუმცა მას ბოლო მოეღო 1923 წლისთვის, როცა უკანასკნელი ოპოზიციური პარტიის, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების თვითსალიკვიცადიო ყრილობა შედგა და ეს პარტიაც გაუქმდა, რასაც მოჰყვა საბჭოთა კავშირში ერთპარტიული დიქტატურის დამყარება. შემდგომში, 1980-იანი წლებიდან ვხედავთ რესტავრაციის სურათს, როცა 1987 წელს დააარსდა არაფორმალური პარტია, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ და მას მოჰყვა ათეულობით სხვა პარტიის დაარსება, ხოლო სამართლებრივი ფორმები ამ პარტიებმა მიიღეს გამსახურდიას მმართველობის დროს, როცა გამოქვეყნდა კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. თუმცა, ამ დროს იმდენად ბევრი პარტია შეიქმნა, რომ იგი გადაიზარდა პარტიათა ატომისტურ ნაირსახეობაში, თავისი მრავალრიცხოვნებიდან გამომდინარე.“[261] ამ პერიოდში შექმნილ პარტიათა შორის, „ყველაზე ხანდაზმული პარტია არის რესპუბლიკური პარტია, რომელიც შეიქმნა 1978 წელს, არაფორმალურ მდგომარეობაში, რასაც თან ახლავდა რეპრესიები.“[262] სწორედ „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი პირველი თანადამფუძნებლის, ვახტანგ ძაბირაძის მიხედვით, პარტიების ზოგადი საქმიანობა დიდწილადაა დამოკიდებული საზოგადოების მენტალობასა და პოლიტიკურ კულტურაზე. ამდენად, ეს პროცესი მთელი ამ ათწლეულების განმავლობაში მტკივნეულად ვითარდებოდა, თუმცა, საბჭოთა სისტემაში არსებულმა უსამართლობამ, შესაძლებლობის გაჩენისთანავე, საზოგადოებრივი ჯგუფების სიმრავლე თავისთავად გამოიწვია. „როცა ვიწყებდით ამ არალეგალურ ჯგუფების შექმნას,“ - ამბობს ვახტანგ ძაბირაძე - „ჰელსინკის კავშირი უკვე არსებობდა, თუმცა მან უკვე ამოწურა თავისი თავი, რადგან ასეთი ფორმით საქმიანობისას დისიდენტებსღიად აპატიმრებდნენ, სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ

[261] ინტერვიუ დიმიტრი შველიძესთან, ჩაწერილი გიორგი ლაბაძის მიერ, 04/08/2024
[262] ინტერვიუ ვახტანგ ძაბირაძესთან, ჩაწერილი გიორგი ლაბაძის მიერ, 05/08/2024

არალეგალური ჯგუფი შეგვექმნა და შევქმენით პარტია. ჩვენს შემთხვევაში, დღის წერიგში იდგა პარტიის ორი სახელი, რესპუბლიკური და დემოკრატიული. საბოლოოდ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ რადგან საქართველო უნდა ყოფილიყო რესპუბლიკა, ჩვენც უნდა ვყოფილიყავით რესპუბლიკური პარტია. გავლენა რა თქმა უნდა იყო ამერიკული, ეს გავაკეთეთ ამერიკის ანალოგზე. მაშინ დასავლეთის პოლიტიკურ სისტემებზე დიდი წარმოდგენა არ გვქონდა, რადგან ინფორმაციას ვიღებდით მხოლოდ ქართულ-რუსული წყაროებით. შემდეგ, როდესაც ეროვნული მოძრაობა დაიწყო და „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ შეიქმნა, ხაზს ვუსვამ, საზოგადოება და არა პარტია, ამ საზოგადოების პირველი პროგრამა ღიად არ საუბრობდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, არამედ უფრო გაგრძელება იყო ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ძალიან მალე შეიქმნა „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „მწვანეთა პარტია“ და სხვები. ამდენად, ჩვენც უკვე აღვადგინეთ „რესპუბლიკური“ პარტია. ეს ყველაფერი მაინც ხდებოდა იმის მიბაძვით, თუ რა ხდებოდა დასავლეთში. ჩვენ ერთპარტიულ ქვეყანაში ვცხოვრობდით და პროდასავლურობის გამოვლინებად მიგვაჩნდა ბევრი სხვადასხვა პარტიის შექმნა. თუმცა, დასახელებებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რამდენად მრავალპარტიული იყო პოლიტიკური სპექტი და ეროვნული მოძრაობა, ეს კიდევ ცალკე თემაა. იდეოლოგიურად, ეს პარტიები ერთმანეთისგან ძალიან არც მაშინ განსხვავდებოდნენ და არც ახლა. ჩვენ მოვდიოდით სოციალიზმიდან, ამიტომ, ძირითადად ყველანი ვიძახით, რომ ვართ კონსერვატორები და მემარჯვენე ტიპის პარტიები. ეს ნელნელა გადაიხედა, გაჩნდა მემარცხენე ტიპის პარტიები, გაჩნდა ცენტრისტული და დღეს თუ სახელებს დააკვირდებით შეიძლება ჰგავდეს მემარჯვენეს, მაგრამ კამპანიის კუთხით იყოს რადიკალურად მემარჯვენე. ამდენად, დასავლურმა ფილოსოფიამ თუ რაიმე გავლენა მოახდინა ქართულ რეალობაზე, ეს ძირითადად იყო მრავალპარტიული პოლიტიკური სპექტრის წარმოშობა.“ არსებითად, ვახტანგ ძაბირაძის, როგორც პოლიტიკურ პროცესებში უშუალოდ მონაწილე პირის გამოცდილებით, ქართულ პარტიებს რაიმე დასავლური გავლენა ნაკლებად ემჩნეოდათ და ჰქონდათ. ამის მიუხედავად, პოლიტიკური ჯგუფების ნაწილი ცდილობდა თავიანთი დასავლელი კოლეგებისთვის მიმსგავსებას. გარდა ამისა, ტოტალიტარული საბჭოური სისტემიდან, დემოკრატიულ მრავალპარტიულ,

თავისუფალ სისტემაზე გადასვლით, მათ უკვე გაიზიარეს ამერიკული ფილოსოფიის ერთი მხარე, რაც პლურალიზმსა და გამოხატვის თავისუფლებას გულისხმობს. ისტორიკოს დიმიტრი შველიძის მიხედვით, 1989 წლის მეორე ნახევრისთვის საქართველოში ორმოცდაათამდე პოლიტიკური ორგანიზაცია თუ არაფორმალური დაჯგუფება ფუნქციონირებდა.[263] ისინი უკვე იყოფოდნენ როგორც მემარცხენე, ცენტრისტულ, ისე მემარჯვენე ბანაკებად, თუმცა, ავტორისავე აზრით, მოსახლეობის ხელმძღვანელობის საპატიო მისია კიდევ სხვა პოლიტიკურ ჯგუფებს გადასცა, რომლებიც იყვნენ რადიკალური ბანაკის წევრები.[264]

პარტიათა მშენებლობის ამ პროცესში გამოიკვეთა პლატფორმები, რომლებიც უფრო მეტად წააგავდა დასავლურ ანალოგიებზე, ვიდრე სხვები. მაგალითად, „სახალხო ფრონტის“ მიერ მოსახლეობის საშუალო ფენებზე ორიენტირება, აშკარად დასავლური გამოძახილია, რაც გაგვახსენებს ზემოთ მოყვანილ რონალდ რეიგანის მოწოდებებს, საშუალო ამერიკელებისა და ჩვეულებრივი ხალხის ინტერესეთა გათვალისწინების თაობაზე. „პატიოსანი და მშრომლები ადამიანები, ნამდვილი მეცნიერები და ბეჯითი სტუდენტობა, კულტურის მოღვაწენი, საქმიანი სამეურნეო მუშაკები, გონებაგახსნილი ეკონომისტები, ნამუსიანი ბიზნესმენები... ყველა ამ წერისიერი პროფესიონალი და მაოზროვნე ხალხის ინტერესებს პოლიტიკურ სარბიელზე დაიცავენ ნამდვილად ცენტრისტული პოლიტიკური ორგანიზაციები, მათ შორის, საქართველოს სახალხო ფრონტი“.[265] უფრო მეტად მემარჯვენე, 1990 წელს დაარსებული „ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის“ წესდებაში მითითებული იყო, რომ მისი პრიორიტეტები „ღია საბაზრო ეკონომიკა, სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა, მიწაზე შეუზღუდავი კერძო საკუთრება და გამოკვეთილი პროდასავლური ორიენტაცია“. პარტიას და მის ლიდერს ფედერალური მოწყობა მიაჩნდათ არამხოლოდ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემის საუკეთესო ფორმად, არამედ ეთნოკონფლიქტების აცილების გარანტიად.[266] ალბათ, ამ პარტიის მაგალითზე მკითხველისთვის ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა აშკარაა როგორც ეკონომიკური მოწყობის, ისე ფედერალური სისტემის ნაწილში. ვფიქრობ

[263] დიმიტრი შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში: 1987-1992“, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2021, გვ. 26
[264] იქვე, გვ. 39
[265] იქვე, გვ. 34
[266] შველიძე, 2021, გვ. 36

მნიშვნელოვანია „საქართველოს მწვანეთა პარტიის“ მაგალითიც, რომლებიც, ზურაბ ჟვანიას, გიორგი ბარამიძისა და გიორგი გაჩეჩილაძის თაოსნობით თავიდანვე ასაბუთებდა ევროგაერთიანებაში ინტეგრაციის აუცილებლობას. ამასთან, ისინი არამარტო „მოსახლეობის საარსებო გარემოს დაცვას, არამედ სოციალური სამართლიანობის პრინციპების მაქსიმალურ რეალიზაციას“ უსვამდნენ ხაზს.[267] მწვანეთა პარტიის მაგალითზე, ამერიკელი დემოკრატებისთვის თავიანთი პლატფორმის მიმსგავსებაც ალბათ სამართლიან მითითებად ჩაითვლება, განსაკუთრებით, სოციალური სამართლიანობის პრინციპების რეალიზების ნაწილში.

აქედან გამომდინარე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გარიჟრაჟზე, პოლიტიკურ პარტიებს, შესაძლოა არა საფუძვლიანი, თუმცა, გარკვეული ინფორმაცია ამერიკული პარტიული სისტემის თაობაზე აშკარად ჰქონდათ და ცალსახაა, რომ პროგრამული თვალსაზრისით ცდილობდნენ მათ ქართულ რეალობაში გაჟღერებას. ამასთან, აღსანიშნავია საქართველოსა და ამერიკას შორის ურთიერთობათა დამყარების წინაპირობები და მცდელობებიც. უფრო ადრეული პერიოდიდან რომ მოვყვეთ, ქართველი დისიდენტების საქმიანობზე შეერთებული შტატების აქტიური საგარეო პოლიტიკა ჯერ კიდევ 1975 წელს მიღებული ჰელსინკის დასკვნითი აქტით აისახა, რომელიც მოსკოვსა თუ სხვა კომუნისტურ მთავრობებს მართალია სრულად ვერ ავალდებულებდა, მაგრამ დისიდენტების ლეგიტიმაციისა და დაცვის რაღაც დონეს მაინც უზრუნველყოფდა. ჯენტლესონის მიხედვით, სწორედ ამ დისიდენტებმა დათესეს 1989 წლის ანტიკომუნისტური რევოლუციის მარცვლები.[268] ადამიანის უფლებათა დარღვევის, მათ შორის დისიდენტების მდგომარეობის შესახებ პირდაპირ შენიშნა რონალდ რეიგანმა 1988 წლის 30 მაისს, მოსკოვში, შეერთებული შტატების საელჩოში სიტყვით გამოსვლისას.[269] ამის მიუხედავად, 1980-იანი წლების ბოლოსთვის და 1990-იანების დასაწყისისთვის, ცალკეულ ქართულ-ამერიკული ურთიერთობების აღქმა არ არსებობდა, რადგან ამერიკელები მას ჯერ მოიაზრებდნენ ჯერ საბჭოურ, ხოლო შემდეგ, რუსულ

[267] იქვე, გვ. 30
[268] ბრუს ჯენტლესონი, „ამერიკის საგარეო პოლიტიკა: არჩევნის დინამიკა 21-ე საუკუნეში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015, გვ. 208
[269] Remarks to Soviet Dissidents at Spaso House in Moscow, ხელმისავწდომია აქ: https://www.reaganlibrary.gov/archives/speech/remarks-soviet-dissidents-spaso-house-moscow გადამოწმებულია, 1/10/2024

კონტექსტში. თუმცა, შეიძლება ითქვას, ყინული პირველად დაიძრა და შანსი გაჩნდა 1991 წელს, როცა 15 მარტს, ზვიად გამსახურდია მოსკოვში, ამერიკის ელჩის, ჯეკ მეტლოკის რეზიდენციაში შეხვდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს. საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრის მიერ 1991 წლის 18 მარტს გავრცელებულ განცხადებაში, რომლის მიხედვითაც ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ "ამერიკის შეერთებული შტატები ის ქვეყანაა, რომელმაც დედამიწის ზურგზე მოსპო მონობა, დაიცვა პიროვნების უფლებანი და თავისუფლებანი, დღეს კი მას უდიდესი მისია აკისრია - მან უნდა მოსპოს ხალხთა მონობა, უნდა იხსნას დამონებული ერები და ხელი უნდა შეუწყოს მათ განთავისუფლებას".[270] შეიძლება ვთქვათ, რომ ამით, გამსახურდია პირდაპირ ეცადა ამერიკელებზე შთაბეჭდილების მოხდენას და ურთიერთობის დაწყების ინიცირებას. იმავე პერიოდში, შეერთებულ შტატებს ეწვია საქართველოს უზენაესი საბჭოს დელეგაცია აკაკი ასათიანის, თედო პაატაშვილის, მერაბ ურიდიასა და თამაზ გამყრელიძის მონაწილეობით, რომელთაც შეხვედრები გამართეს 50-ზე მეტ სენატორთან საქართველოში დამოუკიდებლობის რეფერენდუმისა და სხვა საკითხების შესახებ.[271] ამ ფაქტის ლოგიკური და უმნიშვნელოვანესი გაგრძელება იყო ამერიკის 37-ე პრეზიდენტის, რიჩარდ ნიქსონის ვიზიტი საქართველოში, რომელიც დამოუკიდებლობისათვის რეფერენდუმის დღეს, 31 მარტს დაემთხვა. ისტორიკოს დიმიტრი შველიძის მიხედვით, ნიქსონის ჩამოსვლით ამერიკა მიანიშნებდა მოსკოვს, რომ იგი პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა საქართველოს მოსახლეობის გადაწყვეტილებას ქვეყნის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ.[272] ზოგადად, რიჩარდ ნიქსონის ფიგურას მისი გადადგომის შემდეგაც შეერთებული შტატების მმართველ წრეებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აღიარებული იყო, როგორც საგარეო პოლიტიკის უბადლო მცოდნე. ნიქსონის პროგნოზებისა და დამოკიდებულებათა სისწორე პოსტ-საბჭოთა სივრცის მიმართ პოლიტიკის შესახებ დრო და დრო უფრო მეტად ნათელი ხდება, რომელსაც, სამწუხაროდ, არც თუ ისე ხშირად ითვალისწინებდნენ, თუმცა, ეს ალბათ უფრო სხვა ტიპის ნაშრომში განსახილველი თემაა. ზვიად გამსახურდიასა და რიჩარდ ნიქსონის

---

[270] ნიქსონი, გამსახურდია და დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, ხელისაწვდომია აქ:https://shorturl.at/kDGB4 გადამოწმებულია 1/10/2024

[271] აკაკი ასათიანი „საქართველოს დაბადება“, ხელმისაწვდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=3jOipOR6irg&t=1s გადამოწმებულია 1/10/2024

[272] შველიძე, 2021, გვ. 329

შეხვედრის ამსახველი პრესრელიზის მიხედვით, გამსახურდიამ აღნიშნა, „რომ მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი გარემოებისა, საქართველოს დიდი ხანია აქვს აშშ-თან პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის სურვილი“,[273] რაზეც ნიქსონის პასუხი იყო, რომ „ამერიკას ყოველთვის მიაჩნდა, რომ ყოველმა ხალხმა, მის მიერ არჩეულმა მთავრობამ, თვითონ უნდა განაგოს თავისი ბედი“. აქვე, პოლიტიკურ ბრძოლათა და საერთაშორისო საქმეთა უბადლო მცოდნე ნიქსონმა ხაზი გაუსვა იმას, რომ „ამერიკელი ხალხი და მთავრობა დიდ პატივს სცემენ ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას და იმედი გამოთქვა, რომ გარდამავალი პერიოდი საქართველოში უსისხლოდ დამთავრდება.“[274] სამწუხაროდ, ეს სიტყვები ერთგვარი წინასწარმეტყველება გამოდგა, რისი თანმდევი მოვლენების შესახებ მკითხველს კარგად მოეხსენება, თუმცა, მათ დადგომამდე, გამსახურდიას აშშ-სთან ურთიერთობათა ჩამოყალიბება არც ნიქსონის წასვლის შემდეგ შეუწყვეტია. ამაზე მოწმობს 1991 წლის 6 ივლისს მის მიერ გაგზავნილი წერილი ჯორჯ ბუშის მიმართ, შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღის მისალოცად, რომელშიც იგი დასძენს - „იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ საქართველო მალე მიაღწევს სრულ დამოუკიდებლობას, მსოფლიო ერთა თანამეგობრობის, დემოკრატიული წრეების, პირველ რიგში აშშ-ისა და პირადად თქვენი მხარდაჭერით, ბატონო პრეზიდენტო”.[275] პირველი პრეზიდენტის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის ჩამოყალიბების სურვილს ადასტურებს 1991 წლის ზაფხულის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) დოკუმენტი, რომელიც დეკლასიფიცირებულ იქნა 2010 წლის 27 ივლისს. დოკუმენტის მიხედვით, ***„გამსახურდიასა და მის გარემოცვას შეერთებულ შტატებში მოგზაურობისა და პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრის იმედი ჰქონდა ივნისის მიწურილისათვის. უახლესი ანგარიშებით, ისინი იმედოვნებენ, რომ ვაშინგტონში შემოდგომისთვის მაინც შეძლებენ ჩამოსვლას.“***[276] საინტერესოა, რომ იმავე დოკუმენტი ღიად და ცალსახად მიუთითებს, რომ ***„მისი ოპონენტები შეერთებულ შტატებში შესაძლო ვიზიტის გეგმებით აღშფოთებულნი არიან.“***[277]

---

[273] იქვე, გვ. 330

[274] ნიქსონი, გამსახურდია და დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, ხელისაწვდომია აქ:https://shorturl.at/kDGB4 გადამოწმებულია 1/10/2024

[275] მითები ზვიად გამსახურდიას შესახებ, ხელმისავწდომია აქ: https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-giorgi-arkania-mitebi-zviad-gamvakhurdiaze/28400373.html

[276] CIA Documents, ხელმისავწდომია აქ: https://idfi.ge/en/documents_from_cia

[277] იქვე

ვფიქრობ, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები თუ წყაროები სავსებით ნათელს ხდის გარემოებას, რომ პრეზიდენტი გამსახურდია თავის უახლოეს გეგმებში განხილავდა შეერთებულ შტატებთან რაც შეიძლება დროულ დაახლოებას და მისგან მხარდაჭერის მიღების მცდელობას. სამწუხაროდ, ამ გარემოებებს ხელი არ შეუშლია დამოუკიდებლობისათვის უკომპრომისოდ მებრძოლი პრეზიდენტისთვის, ერთგვარად გაეკრიტიკებინა დასავლეთის კოლექტიური მიდგომა საბჭოთა კავშირში განვითარებული პროცესისადმი და გაენაწყენებინა კიდეც ჯორჯ ბუში.

1991 წლის პირველ აგვისტოს, პრეზიდენტმა ბუშმა კიევში ვიზიტისას, უკრაინის რადაში სიტყვით გამოვიდა და საბჭოთა კავშირში განვითარებულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესზე ისაუბრა. იგი შეეხო გორბაჩოვის რეფორმებს და აშკარა მხარდაჭერა გამოუცხადა მოსკოვს, მათი გატარების გზაზე. ბუშის სიტყვაში ცალსახა იყო, რომ იგი არ აპირებდა ცალკეული რესპუბლიკებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას, ცენტრის ხარჯზე. ჩანდა, რომ შეერთებული შტატების თვალსაწიერიდან, საბჭოთა კავშირის დაშლისა და ნაციონალიზმის აღზევების დრო ჯერ არ დამდგარიყო. გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ მიხედვით, „უკრაინის ოპოზიცია არც თუ ისე კმაყოფილია ბუშის გამოსვლით. როგორც მოძრაობა „რუხის“ ლიდერმა ი. დრაჩმა განაცხადა, ამერიკის პრეზიდენტმა ვერ გაიგო ტოტალიტარული მმართველობის წინააღმდეგ მათი ბრძოლის არსი და უკრაინაში ჩავიდა, როგორც გორბაჩოვის კურიერი“,[278] ხოლო გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა იუწყებოდა ლვოვის ოლქიდან უკრაინის პარლამენტის დეპუტატის სიტყვებს, რომლის აზრითაც „შეერთებული შტატების არაბალანსირებული პოლიტიკა რესპუბლიკების მიმართ, დღესაც გრძელდება“.[279] ჯორჯ ბუშის ამ გამოსვლას მხოლოდ უკრაინელი ნაციონალისტებისა და ოპოზიციის წარომადგენლების გულისწყრომა არ გამოუწვევია. მან ყველას გასაგონად განაცხადა, რომ „ამერიკელები მხარს არ დაუჭერენ მათი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, ვისაც სურთ შორიდან თავსმოხვეული ტირანია ჩაანაცვლონ ადგილობრივი დესპოტიზმით. ისინი არ დაეხმარებიან მათ, ვინც აღვივებს ეთნიკურ სიძულვიზე დაფუძნებულ თვითმკვლელ

[278] გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, N90, 3 აგვისტო, 1991, ხელმისაწვდომია აქ: https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/300424/1/Axalgazrda_Iverieli_1991_N90.pdf

[279] გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, N152, 3 აგვისტო, 1991, ხელმისავწდომია აქ: https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/8108/1/SakartvelosRespublika_1991_N152.pdf

ნაციონალიზმს.“ იქვე ბუშმა აღნიშნა, რომ „უკრაინაში, რუსეთში, ბალტიისპირეთსა და სომხეთში, თავისუფლების სული ყვავის“.[280] პროფესორ დიმიტრი შველიძის აზრით, საქართველოდა მისი ხელისუფლება ამერიკის პრეზიდენტს შემთხვევით არ გამოუტოვებია და სავარაუდოა, რომ ზემოთ მოყვანილი დახასიათებაც, სწორედ საქართველოსა და მისი პრეზიდენტისკენ იყო მიმართული.[281] ამას ადასტურებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დეკლასიფიცირებული კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც 1991 წლის 12 ივლისითაა დათარიღებული და აღნიშნავს გამსახურდიას მოღვაწეობის სხვადასხვა ეპიზოდს. ესენია:

- გამსახურდიამ მცირედი ტოლერანტობა გამოიჩინა როგორც პოლიტიკური ოპონენტების, ისე ეთნიკური უმცირესობების მიმართ;
- დაიმორჩილა მედია და დაუქვემდებარა სამთავრობო კონტროლს;
- დაამკვირდა ისეთი თვითმმართველობის სისტემა, რომელშიც თავის მიერ დანიშნულ ადგილობრივ პრეფექტებს განუზომებული ძალაუფლება მიანიჭა.

ამავე დოკუმენტში ხაზია გასმული გამსახურდიას ბრძანებაზე, მისი პრესკონფერენცია დაეტოვებინათ ამერიკის მთავრობის დაფინანსებით მოქმედი „რადიო თავისუფლების“, ასევე, Wall Street Journal-ის რეპორტიორებს, რომელთაც „კრემლის ინსტრუმენტებიც“ უწოდა.[282] ცხადია, ჯორჯ ბუში ამ ინფორმაციას ფლობდა და თავის დასკვნებსა თუ საჯარო გამოსავლებშიც, ამით ხელმძღვანელობდა. აქედან გამომდინარე, მდგომარეობა რთული გახლდათ, მაგრამ არა კატასტროფული. შველიძის აზრით, ანგარიშგასაწევი დიპლომატიური ეთიკა დაცული იყო ჯერჯერობით, ჯორჯ ბუშს თავის განცხადებაში კონკრეტულად არ დაუსახელებია საქართველო და მისი პრეზიდენტი. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას დროს აძლევდნენ ადეკვატური პასუხის მოსაძებნად.[283] თუმცა, პრეზიდენტ გამსახურდიას ვითარების განმუხტვა ამ კუთხით აშკარად არ უცდია და მეტიც, თავისი პასუხით მან კიდევ უფრო დაძაბა ორ ლიდერს შორის ურთიერთობა. 1991 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს მთავრობის სახელით (რომლის მეთაურიც

[280] Remarks to the Supreme Soviet of the Republic of the Ukraine in Kiev, Soviet Union, ხელმისაწვდომია აქ: https://bush41library.tamu.edu/archives/public-papers/3267
[281] შველიძე, 2021, გვ. 339
[282] CIA Documents, ხელმისაწვდომია აქ: https://idfi.ge/en/documents_from_cia
[283] შველიძე, 2021, გვ. 342

ზვიად გამსახურდია იყო) გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისამდი, რომელშიც, უარყოფითადაა შეფასებული ბოლო პერიოდში, აშშ-ის მმართველ ელიტებში გავრცელებული პოზიცია, რომ დასავლეთის ინტერესებშია საბჭოთა კავშირის ერთიან სახელმწიფოდ შენარჩუნება. წერილში ასევე დაგმობილი იქნა აშშ-ის მხარდაჭერა, რესპუბლიკებს ხელი მოეწერათ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებისათვის, რაზეც, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, საქართველო, სომხეთი და მოლდოვა აცხადებდნენ უარს. „ბატონი ბუშის ვიზიტმა კიევში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამერიკის პრეზიდენტი, ვაშინგტონის, ჯეფერსონის, ლინკოლნისა და სხვათა მემკვიდრე ჩამოდის იმპერიაში და აგიტაციას უწევს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, მოუწოდებს დამონებულ ქვეყნებს, ნებით გაჰყონ თავი იმპერიის ყულფში, ხელი მოაწერონ მარადიულ მონობაზე, უარი თქვან თავიანთ წმინდათაწმინდა, თავისუფლების უფლებაზე. {...} პრეზიდენტი მიესალმა იმპერიულ ცენტრს, რომელსაც, რეალურად არავითარი პროგრესული რეფორმა არ გაუტარებია, რომელიც დროდადრო სისხლში ახშობს თავისუფლების მოყვარე ხალხთა გამოსვლებს. {...} განა არ აცხადებდა ბატონი ბუში, რომ მისი ქვეყანა იბრძვის პატარა ქუვეითის განთავისუფლებისათვის მაღალი პრინციპების დასაცავად? რატომ არ მოუწოდებდა იგი ქუვეითს ხელი მოეწერა ერაყთან სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე? ბოლოს და ბოლოს ხომ ხომ ბევრად მეტი საერთო აქვთ ერაყელებს და ქუვეითელებს, ვიდრე ლიტველებს, ქართველებს, რუსებსა და ყირგიზებს?“[284] ვფიქრობ, იმდროინდელი საქართველოს მმართველი წრეების გულისწყრომა და პროტესტი გასაგებია, თუმცა, ალბათ საჭირო იყო ვითარების სხვაგვარი შეფასება და მათთვის კარგად ცნობილი, იმპერიული მიზნების მქონე მოსკოვის საპირწონედ, პოზიტიურად განწყობილი მოკავშირეების შენარჩუნება თუ ძიება. ყველა შემთხვევაში, მსგავსი განცხადებებით საქართველოს მთავრობამ ვერც დასავლეთთან მიმართებით მოიგო რაიმე, მოსკოვთან მარტოდ დარჩენით კი, დამპყრობელს კიდევ უფრო გაუმარტივდა საქმე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული განცხადების თარგმანი ამერიკულ მედიაში 4-5 დღის განმავლობაში საკმაოდ ფართოდ გავრცელდა. ქართველი მეცნიერი და პოლიტიკოსი ბაკურ გულუა

[284] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N157, 9 აგვისტო, 1991, ხელმისაწვდომია აქ: https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/8122/1/SakartvelosRespublika_1991_N157.pdf

მოვლენას გამსახურდიას აშკარა შეცდომად აფასებს და მიიჩნევს, რომ შეერთებულმა შტატებმა კიევში გაცხადებული მოსაზრებით დააფიქსირა თავისი პოზიცია საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესის შესახებ მოუმზადებლობასთან დაკავშირებით, რაც საქართველოში ადეკვატურად უნდა აღქმულიყო. მართალია, ამერიკის, როგორც თავისუფლების და დემოკრატიისთვის მებრძოლი ქვეყნის პრეზიდენტისგან უკრაინელი ნაციონალისტების მიმართ მსგავსი ნარატივი ერთი შეხედვით შეუსაბამო იყო, მაგრამ, ეს ვითარებიდან და მომენტიდან გამომდინარე გახდა ასე საჭირო. შესაბამისად, გულუას აზრით, რადგან „ჩვენ ისედაც ხიშტების ქვეშ ვიყავით“, ბუშის განცხადებაზე ასეთი სახის გამოხმარეუბა არ იყო საჭირო.[285]

ყოველივე ამას უკვე თბილისსა და მოსკოვში განვირებული დაძაბულობაც დაერთო, რომელიც აგვისტოს პუტჩის სახელითაა ცნობილი. ეს საკმაოდ მრავალწახნაგოვანი მოვლენაა, რომლის ფართო ანალიზით, ნაშრომი მიზანს აშკარად დაშორდება, თუმცა, აღსანიშნავია მისი კვალი ქართულ პოლიტიკურ პროცესზე და დასავლეთის მხრიდან საქართველოს მიმართ გაჟღერებულ დამოკიდებულებაზე. ცნობილია, რომ 18 აგვისტოს ფოროსის აგარაკზე მ. გორბაჩოვთან გამოცხადდნენ მაშინდელი სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირები. დელეგაციამ გორბაჩოვს უჩვენა მომავალი საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობა და მოსთხოვა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ ბრძანებულების ხელმოწერა. გორბაჩოვმა კატეგორიული უარი განაცხადა ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის სამართლებრივი რეჟიმის დაწესებაზე, რაც ინიციატორებს შეთქმულებად და არალეგიტიმურ დაჯგუფებად აქცევდა. მოსკოვში დაბრუნებისთანავე მათ პრეზიდენტი არაქმედუნარიანად გამოაცხადეს და ჩამოაყალიბეს საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი, როგორც საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში სსრკ-ის მართვის მთავარი ორგანო.[286] 1991წ. 19 აგვისტოს გამოქვეყნდა საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის #1 ბრძანებულება, რომელშიც პუტჩისტები აცხადებდნენ მათ მიერ განხორციელებული აქციის კანონიერებისა და მართლზომიერების შესახებ, ასევე ღიად აფიქსირებდნენ სახელმწიფო

[285] ბაკურ გულუა, საქართველოს დაბადება, ხელმისავწდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=agAYRnZFZTg&t=6705s

[286] დაზმირ ჯოჯუა „1991 წლის აგვისტოს პუტჩი და საქართველო“, ხელმისაწვდომია აქ: https://shorturl.at/3lxIZ

გადატრიალების მიზეზებს – ქვეყნის სუვერენიტეტისათვის დამღუპველი პოლიტიკის შეჩერება და სსრკ-ს ერთიანობის შენარჩუნება. ჩვენს მიერ დასმული პრობლემის კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალურია საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის #1 ბრძანებულების მე-2 და მე-4 პუნქტები: „2. დაუყოვნებლივ გაუქმდეს სსრკ კონსტიტუციისა და კანონების საწინააღმდეგოდ მოქმედი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, გასამხედროებული ფორმირებანი“; „4. შეწყდეს იმ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მასობრივი მოძრაობების მოღვაწეობა, რომლებიც ხელს უშლიან ვითარების ნორმალიზაციას.“[287] სწორედ ამ პროცესის მიმდინარეობისას, 19 აგვისტოს თბილისში საგანგებო მისიით ჩამოვიდა სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილე, არმიის გენერალი შურავლიოვი, რომელსაც სპეციალური ინსტრუქციები ჰქონდა. ეს ინსტრუქციები ითვალისწინებდა საქართველოს ხელისუფლების დაშინებას სამხედრო ძალის მუქარით და ამის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე სმსკ-ის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის უზრუნველყოფას. ვ. შურავლიოვმა წამოაყენა რამდენიმე ულტიმატუმი, რომელთა შორის განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოს ეროვნული გვარდიის გაუქმების მოთხოვნა. საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის #1 ბრძანებულების მე-2 პუნქტის ფონზე ეს მოთხოვნა იყო კატეგორიული და იმპერატიული.[288] შეხვედრაზე გენ. ვ. შურავლიოვმა პირდაპირ გამოაცხადა, რომ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საბჭოთა ჯარის ნაწილებს მიცემული აქვთ ბრძანება საქართველოს ეროვნული გვარდიის განადგურების შესახებ. ვ. შურავლიოვის აღნიშნული მუქარის და საქართველოზე პირდაპირი სამხედრო დარტყმის საშიშროების საფუძვლიანობას ნათელყოფენ სხვა დოკუმენტებიც. მაგალითად, 1991 წლის 19 აგვისტოს დილის 4 საათსა და 30 წუთზე სსრკ-ს თავდაცვის მინისტრმა, სსრკ-ს ჯარების სახეობათა მთავარსარდლებსა და გენერალურ შტაბებს, ფლოტებისა და ოლქების (მათ შორის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის) სარდლებს გაუგზავნა საიდუმლო დაშიფრული ტელეგრამა #8825. შიფროგრამაში იყო სამხედრო მზადყოფნაში („მზადყოფნა #1“) ჯარების მოყვანისა და მათი სიტუაციის შესაბამისად ამოქმედების ბრძანება. მაშასადამე, 19 აგვისტოსთვის საქართველოში

[287] იქვე
[288] იქვე

დისლოცირებული საბჭოთა არმიის ყველა შენაერთი და ნაწილი იმყოფებოდა #1 მზადყოფნის საგანგებო რეჟიმში.[289] ისტორიკოს გიორგი არქანიას მიხედვით, „ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის გარნიზონის ნაწილებმა კონტროლი დააწესეს თბილისის აეროპორტსა და რკინიგზის სადგურზე, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა სამხედრო ბაზები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. შურავლიოვი შეხვდა გამსახურდიას და კატეგორიულად მოსთხოვა ეროვნული გვარდიის გაუქმება, წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა ჯარი ქართულ გვარდიას გაანადგურებდა“.[290] ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე, გამსახურდიას მხრიდან შურავლიოვის მოთხოვნისამებრ ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციასა და მის შინაგან საქმეთა სამინისტროში ინტეგრირებას იმ დროისათვის გონივრულ, კომპრომისულ ნაბიჯად მიიჩნევს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში „დიდი შანსი იყო იმავე დღეს თბილისის თავზე სამხედრო ვერტმფრენები და თვითმფრინავები გამოჩენილიყო, ან საქართველოში დისლოცირებულ საბჭოთა ჯარს დაეწყო სამხედრო მოქმედებები. ამდენად, ეს იყო უაღრესად გონიერი და პრეზიდენტის პასუხისმგებლობიანი საქციელი.“[291]

საინტერესო და მნიშვნელოვანია დასავლეთის რეაქციის ანალიზი „პუტჩის“ მცდელობაზე. 1991 წლის 19 აგვისტოს, პრეზიდენტი ბუში მენის შტატში მდებარე თავის აგარაკზე ისვენებდა, როცა მოსკოვში გადატრიალების მცდელობის შესახებ შეიტყო. როგორც დავრწმუნდით, ბუში საბჭოთა კავშირის რეფორმირებას და მიხეილ გორბაჩოვის მხადაჭერას საკმაოდ დიდ ენერგიას უთმობდა, ამიტომ, მას აღელვების საფუძველი ნამდვილად ჰქონდა, რაც მის დაუგეგმავ და უცაბედ მედიისთვის მიცემულ კომენტარშიც აისახა. პირველივე წინადადებაში პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ „ეს ქმედებები ექსტრაკონსტიტუციურია და კონსტიტუციის ჩარჩოთი დადგენილ მთავრობის ცვლილების ნომრებს ცალსახად სცდება. ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ძალიან შემზარავ პროცესთან, რამაც, შესაძლოა, როგორც საბჭოთა კავშირის საზოგადოება, ასევე მისი ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან, მათ შორის შეერთებულ შტატებთან, ძლიერ დააზიანოს.“ ბუშმა ღიად დაუჭირა მხარი მიხეილ გორბაჩოვს,

[289] დაზმირ ჯოჯუა „1991 წლის აგვისტოს პუტჩი და საქართველო“, ხელმისაწვდომია აქ: https://shorturl.at/3lxIZ

[290] როგორ (ვერ) გადავიტანეთ „აგვისტოს პუტჩი“, ხელმისაწვდომია აქ: https://shorturl.at/WNWuN

[291] ზვიადი, "თაობათა ბრძოლა" ეროვნულ მოძრაობაში, აგვისტოს პუტჩი და მრავალი სხვა, ხელმისაწვდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=iB1a0YfzOSQ

ხაზი გაუსვა მის როლს საბჭოთა კავშირში მიმდინარე ცვლიელებისა და პროგრესისთვის და აღნიშნა, რომ „ამერიკას არ სურს ამ მხრივ რაიმე შეიცვალოს“.[292] მსგავსი იყო მთლიანად დასავლეთის, მათ შორის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ლიდერების რეაქციებიც.[293] იმავე დღეებში, თავისი პოზიცია გამოხატავა პრეზიდენტმა გამსახურდიამაც. 1991 წლის 20 აგვისტოს ზვიად გამსახურდიამ სპეციალური მიმართვა გაუგზავნა დასავლეთის ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს: „პოლიტიკური შეფასება მომხდარი გადატრიალებისა“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა, – „ძალიან რთულია, ვინაიდან ჯერჯერობით არ არის ნათელი ნამდვილი გადატრიალებაა ეს, თუ მხოლოდ ***გარიგება*** ან შოუ, რომლისგანაც პოლიტიკური დივიდენდების მიღებას მიელტვიან ცალკეული სახელმწიფო ლიდერები“. ქართველი მკვლევარების მიხედვით, ზვიად გამსახურდიამ აგვისტოს მოვლენები შეაფასა როგორც გადატრიალება. თუმცა, მან ირიბად მიანიშნა, რომ ეს იყო არა „ნამდვილი გადატრიალება“, ანუ რეალური დაპირისპირება რეაქციულ-ტოტალიტარულ და ლიბერალურ-დემოკრატიულ ძალებს შორის, არამედ ე.წ. „სასახლის გადატრიალება“, ნომენკლატურული პუტჩი, რომლის არსებითი დანიშნულება იმპერიულ ცენტრში ელიტების ჩანაცვლებაში მდგომარეობდა.[294] აგვისტოს მოვლენების იმ დროისათვის ასეთი არაკონვენციური თუ არაპოპულარული დეფიციინია, რადგანაც იგი არადიპლომატიური პირდაპირობით გამოირჩებოდა, როგორც მოსკოვის, ისე დასავლეთის ქვეყნებისა და მათი ლიდერებისათვის გამაღიზიანებელი აღმოჩნდა, რასაც, მათი მხრიდან უარყოფითი რეაქციები მოჰყვა. როგორც ჩანს, იმ დროისთვის, დასავლეთის ურთიერთობა გორბაჩოვთან იმდენად მნიშვნელოვანი და საჭირო იყო, რომ ამ უკანასკნელის არაკონსტიტუციური პუტჩის შესაძლო თანაავტორად მოხსენიება, არ შეიძლებოდა შესულიყო მათ გეგმებში. სწორედ ეს გამოიხატა ბუშის კომენტარში გამსახურდიას წერილის პასუხად, რომელიც, აშშ-ის პრეზიდენტმა 21 აგვისტოს, თავის აგარაკზე ყოფნისას მედიას მისცა. ბუშმა შესავლით დაიწყო, რომ იგი ესაუბრა გორბაჩოვს,

[292] First Statement on Soviet Coup, ხელმისაწვდომია აქ: https://www.c-span.org/video/?20705-1/statement-soviet-coup

[293] World reacts with shock to Gorbachev ouster, ხელმისავწდომია აქ: https://www.upi.com/Archives/1991/08/19/World-reacts-with-shock-to-Gorbachev-ouster/5234533009911/

[294] დაზმირ ჯოჯუა „1991 წლის აგვისტოს პუტჩი და საქართველო“, ხელმისაწვდომია აქ: https://shorturl.at/3lxIZ

რომელიც ჯერ კიდევ ყირიმზე იყო, თუმცა მალე აპირებდა მოსკოვში დაბრუნებას და აღნიშნავდა, რომ ყველაფერი კონტროლის ქვეშ იყო. აშშ-ს პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ გორბაჩოვის აზრით, კონსტიტუციური წესრიგი აღდგენილია და დემოკრატიამ, თავისუფლებამ და რეფორმებმა გაიმარჯვა. ამ საკმაოდ ცნობილ კომენტარში, რომელსაც ქართულ საზოგადოებაში სხვადასხვა დროს განსხვავებული ინტერპრეტაცია მიეცა, ჟურნალისტი პრეზიდენტს ბუშს ასეთი კითხვით მიმართავს: „სულ ახლახანს CNN-ზე გავიდა სიახლე, რომ საქართველოს პრეზიდენტი ყველაფერ ამის მოწყობაში გორბაჩოვს ადანაშაულებს.“ ჯორჯ ბუშმა მას კითხვა ბოლომდე არც დაასრულებინა და ისე უპასუხა: „მას ცოტა არ იყოს სამუშაო აქვს იმის თაობაზე, თუ რა სახის განცხადებებს აკეთებს. ეს სასაცილოა. ეს ის კაცია, რომელიც, ჩემი აზრით აშკარად მდინარის დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს. მას უფრო მეტი დაფიქრება და კარგად გააზრება მართებს, თუ რა მოვლენები ვითარდება მსოფლიოში.“ აქვე ჯორჯ ბუშმა დაამატა, რომ პრეზიდენტი გორბაჩოვი ასეთი სახის გადატრიალების მცდელობით საბჭოთა და მსოფლიოს ხალხებს ასეთ მძიმე ტრავმას არ მიაყენებდა.[295] როგორც აღმოჩნდა, ზვიად გამსახურდიას მიერ აგვისტოს თქვეში გაკეთებული ორი განცხადება მას და დასავლელ ლიდერებს შორის ურთიერთობის ჭრილში გადამწყვეტი და საბედისწერო აღმოჩნდა. ზოგადად, აგვისტოს გადატრიალების მცდელობამ საქართველოს შიდა პოლიტიკური მოვლენები ძალიან მალე რადიკალურად შეცვალა. ეროვნული გვარდიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფად გარდაქმნამ თავდაცვის მინისტ კიტოვანის პროტესტი და პრეზიდენტთან აშკარა კონფრონტაციაში შესვლა გამოიწვია, რასაც, 1991 წლის ბოლომდე უმძიმესი კრიზისი და კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობაც მოჰყვა თან. სამწუხაროდ, ამ პროცესში, რომელიც არაერთი კომენტატორისა თუ მოვლენების უშუალოდ მონაწილის მოსაზრებით უშუალოდ კრემლის მხრიდან იყო ინსცენირებული, ზვიად გამსახურდიას, დასავლეთისა და შეერთებული შტატების მხარდაჭერა აღარ ჰქონია. როგორც ჩანს, ზემოთ მოყვანილმა მოვლენებმა მძიმე დაღი დაასვა ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებს, რის გამოც, 1991 წლის განმავლობაში რაიმე სახის ხელშესახები კომუნიკაცია, ქვეყნის ლიდერებს შორის აღარ მომხდარა.

[295] Failed Coup in the Soviet Union, ხელმისაწვდომია აქ: https://www.c-span.org/video/?20779-1/failed-coup-soviet-union

სამაგიეროდ, იმავე დეკლასიფიცირებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 1991 წლის 7-8 სექტემბერს, თბილისში, ჩამოვიდა შეერთებული სტატების კონგრესის დელეგაცია კონგრესმენ ჰოიერის (Steny Hoyer) ხელმძღვანელობით, რომელმაც ოფიციალური სადილიც გამართა გამსახურდიასთან და ოპოზიციის წარმომადგენლებსაც შეხვდა.[296] დოკუმენტის მიხედვით, დელეგაციამ გამსახურდიას მოუწოდა ოპოზიციური გამოცემებისთვის მოეხსნა შეზღუდვები, გადაეცა მეტი საეთერო დრო ადგილობრივ ტელევიზიებში და დაეჩქარებინა პრივატიზაციის პროცესი. დოკუმენტი ასევე დეტალურად აღწერს, რომ ოპოზიციის ლიდერები და გამსახურდიას მთავრობის ყოფილი წევრები, კერძოდ, თენგიზ სიგუა და გიორგი ხოშტარია, სხვადასხვა არგუმენტებით არწმუნებდნენ დელეგაციას, რომ გამსახურდია აგვისტოს პუტჩის დროს ამბოხებულებს მიემხრო და მეტიც, ითანამშრომლა კიდეც მათთან.[297] მართალია, კონგრესის დელეგაციამ ოპოზიციის მიერ აღნიშნული მედია შეზღუდვებისა და პრესის თავისუფლებათა დარღვევების გარკვეული არგუმენტები გაიზიარა, მაგრამ, როგორც დოკუმენტი ცხადყოფს, „ოპოზიციის ლიდერებმა ძალიან მწირი დასაბუთება წარმოადგინეს, განსაკუთრებით გამსახურდიას თანამშრომლობის შესახებ პუტჩის „საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტთან“, კერძოდ გენადი ინაიევთან.“[298] ამდენად, წყაროს მიხედვით, სახელმწიფო დეპარტამენტისა და დელეგაცისთვის, გამსახურდიასა და მოსკოვის პუტჩის ლიდერებს შორის თანამშრომლობის ბრალდება აშკარად არ იყო სარწმუნო. ამას ასევე ცხადყოფს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს 1991 წლის 12 სექტემბრის ანგარიში გამსახურდიას შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ: „ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებების მიუხედავად, გამსახურდიას მხარი არ დაუჭერია 19-21 აგვისტოს, მოსკოვში მომხდარი გადატრიალების მცდელობისთვის, თუმცა ასევე საეჭვო დუმილი გამოიჩინა მისი დაგმობის კუთხითაც. დიდი ალბათობით, ეს დუმილი უნდა დავაბრალოთ „საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის“ მხრიდან საქართველოს მთავრობაზე ძალის გამოყენების თავიდან არიდებას.[299] ამდენად,

---

[296] IDFI არქივი, ხელმისავწდომია აქ: https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/achieves/Agenda_1991.PDF

[297] IDFI არქივი, p. 6 ხელმისავწდომია აქ: https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/achieves/Gamsakhurdia_12_Sep_1991.PDF

[298] იქვე, p. 7

[299] IDFI არქივი, ხელმისაწვდომია აქ: https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/achieves/CIA_1991.pdf p. 8

სახელმწიფო დეპარტამენტისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლები აშკარად გაგებით ეკიდებოდნენ გამსახურდიას სიფრთხილეს „კომიტეტის“ მიმართ და არ იზიარებდნენ ოპოზიციის რწმუნებას, რომ პრეზიდენტის მიდგომა „პუტჩისთვის“ მხარდამჭერ პოზიციად უნდა ჩათვლილიყო. თუმცა, ყველაფერ ამას ხელი არ შეუშლია ოპოზიციისთვის საერთაშორისო არენაზე გაეგრძელებინათ გამსახურდიას მწვავე კრიტიკა.

დღეის მდგომარეობით, მკლევარებისთვის ხელმისაწვდომია 1991 წლის 12 დეკემბრის ზვიად გამსახურდიას წერილი ჯეიმს ბეიკერის მიმართ. იგი დაწერილია „შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დემარშის პასუხად საქართველოს ზოგადი პოლიტიკური და სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარების თაობაზე“. წერილში მითითებულია, რომ საქართველოში მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა და აღწერილია ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენები, რომელსაც, საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება მოიხსენიებს, როგორც პოლიტიკურ და არა ეთნიკურ დაპირისპირებას. აქ წერილის შინაარსი ცხადყოფს, რომ საქართველოს მთავრობას აქვს ინფორმაცია შეერთებულ შტატებსა და ქართულ ოპოზიციას შორის დამყარებული ურთიერთობის შესახებ. ამაზე, გამსახურდიას მხარე მიუთითებს, „როგორც ყველა დემოკრატიულ ერს, საქართველოშიც არსებობს კანონიერი საპარლამენტო ოპოზიცია, რომელთაც საკანონმდებლო ორგანოშიც და მედიაშიც თავისუფლად შეუძლიათ აზრის გამოთქმა. თუმცა, კრიმინალთა იმ ჯგუფს, რომელიც შეიარაღებულია, არ აღიარებს რესპუბლიკის კონსტიტუციას და არც პოლიტიკურ გაერთიანებად რეგისტრირდება, ოპოზიციას ვერ მივაკუთვნებთ.“ იქვე წერილი ხაზს უსვამს ორი პიროვნების (გოგა ხაინდრავა, გია ჭანტურია) დაკავების ფაქტსაც, რომლებსაც არა პოლიტიკური შეხედულების, არამედ მასობრივი არეულობისა და შეიარაღებული შეტაკების ორგანიზებაში ედებათ ბრალი. საბოლოოდ, საქართველოს მთავრობა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს თუ სხვა ოფიციალურ წარმომადგენლებს თანამშრომლობას სთავაზობს ნებისმიერი პრობლემის განსახილველად, თუმცა, მანამდე მიუთითებს, რომ „მათი მოთხოვნები საქართველოს ობიექტურ რეალობასთან მიმართებით არაადეკვატურია და იდენტურია ე.წ. დემოკრატიული რუსეთისა, რომელსაც დასათმობად არ ემეტება

იმპერიული ამბიციები.[300] ჯერჯერობით, ამ პერიოდის სხვა კონფიდენციალური დოკუმენტების დეკლასიფიცირება არ მომხდარა, რაც დაუდგენელს ტოვებს ამერიკელების რეაქციას ამ საკმაოდ ხისტ მიმართვაზე, თუმცა ფაქტი, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესების გადარჩენა შეუძლებელი გახდა და გამსახურდიას მთავრობასაც დასავლეთიდან აღარავინ დახმარებია, უკვე ბევრზე მეტყველებს. გამსახურდიას პრეზიდენტობის ტრაგიკური დასასრულის დასაწყისი 1991 წლის 22 დეკემბერია, როდესაც ანტისამთავრობო, შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ პირდაპირი იერიში მიიტანეს და ქვეყნის მართვის ჩვეულებრივი პროცესი ჯერ შეაფერხეს, შემდგომში კი, საერთოდაც ჩიხში შეიყვანეს. ამიტომ, პრეზიდენტ გამსახურდიას, 1991 წლის 25 დეკემბერს, შეერთებული შტატების პრეზიდენტ, ჯორჯ ბუშის საშობაო მიმართვის[301] მოსმენა, რომელშიც სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობასაც აღიარებდა, მთავრობის სახლის სასადილოში (და არა ბუნკერში) მოუწია. იმავე გამოსვლაში, ბუშმა განაცხადა, რომ საქართველოსა და სხვა ხუთ სახელმწიფოსთან დიპლომატიურ ურთიერთობებს მას შემდეგ დაამყარებდა, რაც ისინი დამაკმაყოფილებელ უსაფრთხოების პოლიტიკასა და დემოკრატიულ პრიციპებს აღასრულებდნენ.

ამდენად, სწორედ იმ დღეებში, როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მზეს ერთი შეხედვით ამოსვლა უნდა დაეწყო, იგი პირიქით, უკან ჩასვენებისკენ იღებდა გეზს. სწორედ ამიტომ, როგორც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 27 დეკემბრის გამოცემა მოქალაქეებს ამცნობდა, პრეზიდენტმა „პარლამენტის დამცველებს“ მიულოცა ეს გამარჯვება და მოკლე სიტყვით მიმართა მათ.[302] ეს მომენტი ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ბოლო ეპიზოდია ზვიად გამსახურდიას საქართველოში ყოფნის პირობებში. მოვლენათა ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს შიდა საქმეები დიდწილად იყო დამოკიდებული გარე ფაქტორებზე, რის გამოც, ვფიქრობ, პირველ პრეზიდენტს განსაკუთრებული სიფრთხილე და

[300] The Letter of President of Georgia Zviad Gamsakhurdia to United States Secretary of State James Baker, ხელმისავწდომია აქ: https://idfi.ge/en/the_letter_of_president_of_georgia_zviad_gamsakhurdia_to_us_secretary_of_state_james_baker

[301] Address on Gorbachev Resignation, ხელმისავწდომია აქ: https://www.c-span.org/video/?23549-1/address-gorbachev-resignation

[302] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N253, 27 დეკემბერი, 1991, ხელმისავწდომია აქ: https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/8308/1/SakartvelosRespublika_1991_N253.pdf

დიპლომატიური ალღო მართებდა. ერთის მხრივ, პრეზიდენტ გამსახურდიას მოტივაცია გასაგები იყო, რადგანაც, სამწუხაროდ, შეერთებული შტატები საქართველოსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების საქმეებს უფრო მეტად გლობალურ, ამერიკულ-საბჭოურ კონტექსტში პასუხობდა და არა ლოკალური, დამორჩილებული ერების ნაციონალისტური მისწრაფებებიდან გამომდინარე. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის მონაწილეობამ და მათი მხრიდან ძალის აშკარა დემონსტრირებამ მოსკოვი კუთხეში მოიმწყვდია, რამაც, საქართველო ჯერ მრავალპარტიულ არჩევნებამდე, პრესის თავისუფლებამდე, შემდეგ კი, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მიიყვანა. მიმაჩნია, რომ ეს პროცესი შედარებით უფრო კომპლექსურ შეფასებასა და მოვლენების განვითარებისათვის უფრო ფრთხილ დაკვირვებას იმსახურებდა, რაც, შედეგობრივად ალბათ მეტ სარგებელს მოიტანდა საქართველოსთვის. ცხადია, ეს მოსაზრება არ ემსახურება შეერთებული შტატების იმდროინდელ ქმედებათა გამართლებას და ამ მეთოდით პროცესების ცალმხრივ აღქმას. მეტიც, კვლევის პროცესი ცხადყოფს, რომ ცივი ომის ბოლოსთვის, შეერთებულმა შტატებმა თავისი გლობალური ინტერესების ბოლომდე წარმატებულად განხორციელების საპირწონედ სსრკ-ში მოქცეული, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ხალხების ეროვნული მიზნების ასრულება დროებით გადადო. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად რთული პროცესი იყო ცივი ომი, რომელმაც კაცობრიობა არაერთხელ დააყენა ბირთვული აპოკალიფსის ზღვარზე, მისი დასრულებისთვის დამახასიათებელი მტკივნეული პროცესებიც რელევანტურად უნდა ყოფილიყო აღქმული. ამ და სხვა შეცდომებმა, რომელსაც თან კერძო ინტერესებისთვის მოქმედი შიდა თუ გარე აქტორების საქმიანობა დაერთო, საბოლოო ჯამში ქვეყნის ქაოსში გახვევა და 1992 წლის მარტისთვის, საქართველოში ედუარდ შევარდნაძის მოხმობა გამოიწვია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამერიკის პოლიტიკური ელიტისთვის ედუარდ შევარდნაძე უცხო ნამდვილად არ იყო, ამდენად, აღნიშვნად ნამდვილად ღირს, რომ მისი როლი აშშ-სა და საქართველოს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებაში საგულისხმო და მნიშვნელოვანია. ნიშანდობლივია, რომ 7 მარტიდან დაახლოებით ორ კვირაში, 24 მარტს, ჯორჯ ბუშის პრეს-მდივანმა, ფიცუოთერმა პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესახებ, დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებულიყო აშშ-სა

და საქართველოს შორის, პრესისათვის განცხადება გააკეთა. განცხადებაში ვკითხულობთ: „პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, შეერთებული შტატები დაუყოვნებლივ გადადგამს ნაბიჯებს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად. ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 25 დეკემბერს ვაღიარეთ. მიმდინარე კვირაში, საქართველოს ახალმა მთავრობამ გადადგა ნაბიჯები საჯარო წესრიგის აღდგენისა და ეროვნული შერიგების მიმართულებით, ასევე, მათ დადეს პირობა მიმდინარე წლის ოქტომბერში არჩევნების ჩატარების თაობაზე. ამ ქმედებათა გათვალისწინებით, რომელსაც ემატება სახელმწიფო მდივან ბეიკერსა და საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ლიდერ შევარდნაძეს შორის მიმდინარე დიალოგი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების პრინციპების შესახებ, პრეზიდენტს მიაჩნია, რომ შეერთებული შტატების ინტერესები საუკეთესოდ აღსრულდება საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით.[303] ცხადია, აღნიშნული ედუარდ შევარდნაძეს როგორც საშინაო, ისე საგარეო ლეგიტიმაციისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი და ალბათ გადამწყვეტი ფაქტიც იყო. ამაზე მეტყველებს დიპლომატ გელა ჩარკვიანის მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, „სამხედრო საბჭოს, რომელიც აღიქმებოდა როგორც შეთქმულთა ხუნტა, არ შეიძლებოდა რაიმე საგრძნობი საერთაშორისო ავტორიტეტი ჰქონოდა. ამიტომ მსოფლიოს მიერ უგულებელყოფილი ახალი საქართველოს მასობრივი აღიარების კამპანია მხოლოდ 1992 წლის მარტში, შევარდნაძის თბილისში დაბრუნების შემდეგ დაიწყო.“[304] ამას მოჰყვა იმავე წლის 23 აპრილს შეერთებული შტატების საელჩოს დაარსება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მაისის თვეში, სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერის თბილისში სტუმრობა. 1992 წლის 21 მაისს ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი საქართველოს ესტუმრებოდა. აშკარა იყო ვაშინგტონის დაინტერესება თბილისთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებით. შტატები მზად იყო საქართველოს თავისუფალი ბაზრისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დაარსებასა და გაძლიერებაში აქტიურად დახმარებოდა.[305] საქართველოში ვიზიტისას ბეიკერმა

[303] Statement by Press Secretary Fitzwater on Diplomatic Relations With the Republic of Georgia, ხელმისავწდომია აქ: https://bush41library.tamu.edu/archieves/public-papers/4104

[304] გელა ჩარკვიანი, „ნაცნობ ქიმერთა ფერხული“, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2016, გვ. 11

[305] ანა მოსაშვილი, „ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები: 1992-2002“, დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020, გვ. 44

განაცხადა, რომ აშშ-ის მიზანი იყო ახალი საქართველოს მშენებლობაში წვლილის შეტანა. სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა, ისევე როგორც სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა, საკმაოდ მცირე დროში აღიარა. ბეიკერის აზრით, ორი საუკუნის მანძილზე ამერიკა მყარად იცავდა დემოკრატიისა და თავისუფლების პრინციპებს, ამიტომაც მისთვის ამ ღირებულებებისადმი სხვა ქვეყნების დამოკიდებულება სულერთი არ იყო.[306] შევარდნაძისთვის ამ ვიზიტის მნიშვნელობა პიროვნულკადაც განუზომლად დიდი იყო, რის შესახებაც მან მემუარებშიც პირდაპირ აღწერა: „დიახ, ბეიკერმა მართლაც იცოდა როდის ჩამოსულიყო. მე ყოველთვის მაღალ შეფასებას ვაძლევდი მის ინტუიციასა და ვაჟკაცობას, მაგრამ ამჯერად ეს უბრალოდ აღტაცებას იწვევდა. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ასეთ მომენტში იგი თბილისში იმყოფებოდა. მომენტი კი, ყველაფერთან ერთად მნიშვნელოვანი გახლდათ: 1992 წლის 26 მაისს საქართველო თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის 74-ე წლისთავს დღესასწაულობდა.“[307] ამერიკელები, სულ მალე სიტყვებიდან საქმეზე გადავიდნენ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად გავერანებული და ყოველგვარ მინიმალურ ცხოვრების პირობებს მოკლებული საქართველოს დასახმარებლად. პირველად ეს გაცხადდა ედუარდ შევარდნაძესა და ჯორჯ ბუშს შორის შეხვედრისას „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის“ სამიტზე, ქალაქ ჰელსინკიში. გელა ჩარკვიანის მიხედვით, „იმ დროისათვის ეს იყო ყველაზე წარმომადგენლობითი ფორუმი, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელობა ოდესმე დასწრებია. ვიზიტის ორი მთავარი კომპონენტი იყო სახელმწიფოს დე ფაქტო მეთაურის სიტყვა და ორმხრივი შეხვედრები, კერძოდ, შეხვედრა შეერთებული შტატების პრეზიდენტთან, ჯორჯ ბუშ-უფროსთან“.[308] შევარდნაძეს შეხვედრის დაწყებიდან მალევე თავისთვის დამახასიათებელი ექსტრავაგანტულობით ბუშისთვის უთქვამს: „ჯორჯ, ვიცი ახლა შენთან ვინც მოდის, ყველა რაღაცას გთხოვს. იცოდე, მე იმისთვის მოვედი შენთან, რომ არაფერი გთხოვო.“ იმ პერიოდისთვის, საქართველოსთვის საერთო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ხორბლის მარაგების

[306] იქვე, გვ. 45
[307] ედუარდ შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე: მემუარები“, მეორე გამოცემა, თბილისი, გვ. 301
[308] ჩარკვიანი, 2016, გვ. 25

კრიზისი ამწვავდებდა, ამდენად, შევარდნაძის უმთავრესი სათხოვარიც ეს გახლდათ. როგორც ჩარკვიანი იხსენებს, „ეუთოს სამიტის სხდომა კარგად ხნის დაწყებული იყო როცა შევნიშნე, რომ ჯეიმს ბეიკერი ადგილიდან წამოდგა და იქით გამოემართა, სადაც ჩვენი დელეგაცია იჯდა. როცა მოგვიახლოვდა, შემამჩნია, რომ ვუყურებ და თითით თავისკენ მომიხმო. დააწყნარე ედუარდი, 30 ათასი ტონა ხორბლით დატვირთული გემი უკვე შავ ზღვაშია და საქართველოსკენ მოემართება.“[309] ამდენად, 1992 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან გაკეთებული ოფიციალური განცხადებების საფუძველზე ცხადი გახდა საქართველოსთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობებით ამერიკული მხარის დაინტერესება. ის გამოხატავდა მზადყოფნას დახმარებოდა საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობაში, დემოკრატიის განმტკიცებასა და არჩევნების სამართლიანად ჩატარებაში. აშკარა იყო, რომ შტატები ცდილობდა ქართულ მხარესთან საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას, რაც საერთო უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საწინდარი იქნებოდა.[310] ამ მოსაზრების მართებულობა მოვლენების შემდგომმა განვითარებამაც ცხადყო, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ორ ქვეყანას შორის აქტიური ურთიერთობები შეერთებულ შტატებში ადმინისტრაციის ცვლილების შემდეგაც გაგრძელდა. როგორც დიპლომატი თედო ჯაფარიძე იხსენებს, „როცა მე 1994 წელს ჩავედი ვაშინგტონში, პრეზიდენტი იყო ბილ კლინტონი დემოკრატების პარტიიდან, რომელმაც ემოციური ცერემონიალის შემდეგ მითხრა, რომ ჩვენ საქართველო უნდა ამოვქაჩოთ (“We shall pull Georgia out“). ამ დღიდან დაწყებული, ჩვენ ვაყალიბებდით ამ ურთიერთობებს, რაც ზოგჯერ იყო ძალიან რთული და უკიდურესად დამღლელი, რადგან უნდა დაგვერწმუნებინე ამერიკელები, რომლებიც, ძირითადად იმ პერიოდში პოსტ-საბჭოთა ქვეყნების საკითხებს ხედავდნენ რუსეთის კონტექტში. ეს ხდებოდა არა იმიტომ, რომ რუსეთზე გიჟდებოდნენ, არამედ სსრკ-ს დაშლის შემდეგ ახალ სახელმწიფოებში სტაბილურობის შენარჩუნების გამო.“ თედო ჯაფარიძეს, ამერიკელების რეგიონალურ ინტერესებზე საქართველოსთან მიმართებით ამბობს: „როდესაც მე უკვე ყოფილ სახელმწიფო მდივანს, ჯეიმს ბეიკერს ვკითხე თუ რატომ აინტერესებს აშშ-ს

[309] ჩარკვიანი, 2016, გვ. 28
[310] მოსაშვილი, 2020, გვ. 43

საქართველოს მხარდაჭერა, მან მიპასუხა რომ „ამერიკის ინტერესებშია მხარი დავუჭიროთ რაც შეიძლება ბევრ დემოკრატიისა და სტაბილურობის კლასტერებს. ამით ჩვენ, ჩვენს საკუთარ ქვეყანასაც ვეხმარებით.“[311] აქედან გამომდინარე, 1992 წლიდან მოყოლებული, საქართველო დარჩა რეგიონში შეერთებული შტატების დასაყრდენ და სამაგალითო პარტნიორად წლების განმავლობაში. საქართველოს ამ წლების განმავლობაში, ფეხზე დასადგომად მრავალი სახის დახმარება სჭირდებოდა, რაც, დიდწილად მიიღო კიდეც როგორც ჰუმანიტარული, ისე სტრატეგიული და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კონტექსტში. დღეის მდგომარეობით უკვე დოკუმენტურად დადასტურებულ ექვს მილიარდზე მეტ დახმარებას, რომელიც უშუალოდ სახელმწიფო დაფინანსებაა, ემატება არაერთი სამთავრობო თუ არასამთავრობო ფონდის ძალისხმევა, რომელიც, დეტალურად დათვლილი ჯერაც არ არის. როგორც 1995-2000 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი იხსენებს, რომ „სწორედ ამერიკული ფონდები ინახავდა საქართველოს.“[312] მისი თქმით, ამერიკული განაწილებით საქართველო იღებდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სასურსათო პროდუქტებს, რისი ნაკლებობაც, 1990-იან წლებში საქართველოში მცხოვრებმა ადამიანებმა ყველამ თავიანთ თავზე გამოსცადეს.

ამ კრიზისების დასაძლევად, ედუარდ შევარდნაძის პერიოდში ქართულ რეალობაში განხორციელდა ეკონომიკური გაჯანსაღების ისეთი მცდელობა, რომლის არსიც კარგადაა ცნობილი ამერიკული სისტემისთვის და ზემოთ ნახსენები რეიგანომიკის მახასიათებლებსაც შეიცავს. ცხადია, ამ ეკონომიკური მოდელის ქართულ რეალობაში უცვლელად იმპელემტაცია როგორც არათუ შეუძლებელი იქნებოდა, არამედ ასცდებოდა დროსა და სივრცეში მოქმედებას, თუმცა, სულ ცოტა იგი ითვალისწინებდა თავისუფალი ბაზრის პრინციპის ქვეყანაში სრულყოფილი დამკვიდრების მცდელობას. თავისთავად ცხადია, საბჭოთა ეკონომიკაზე გადაჯაჭვულ სახელმწიფოს, სისტემის ნგრევის შემდეგ რაიმე ახლის მოფიქრება მოუწევდა. ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, არჩევანი გაკეთდა დასავლეთ გერმანიასა და პოლონეთში განხორციელებულ „შოკური თერაპიის“ გამოცდილებაზე, რაც, პოლონელი ეკონომისტის, ლეჩეკ ბალცეროვიჩის იდეებს უნდა

[311] ინტერვიუ თედო ჯაფარიძესთან, ჩაიწერა გიორგი ლაბაძემ, 03/08/2024

[312] ბაკურ გულუას ისტორია - ნაწილი II - საქართველოს დაბადება, ხელმისავწდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=agAYRnZFZTg&t=1s

დაფუძნებოდა. თავისუფალი ბაზრის პრინციპზე გადასვლის მის მტკივნეულ რეცეპტებს საქართველოში მხარდამჭერები როგორც ჟურნალისტურ, ისეა აკადემიურ სფეროებში გამოუჩნდა. დეტალებში ძალიან რომ არ შევიდეთ, მისი რეფორმების ძირითადი იდეა ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა შემცირებისა და წამგებიან საწარმოთა დოტირებაზე უარის თქმაში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შეკვეცაში, საგადასახადო სისტემის მოწესრიგებასა და საწარმოთა საქმიანობაში სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ჩარევაზე უარის თქმაში გამოიხატებოდა.[313] ეკონომისტ ვლადიმერ პაპავას მიხედვით, ის ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ლიდერის, ლუდვიგ ფონ მიზესის, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატების: ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკისა და მილტონ ფრიდმენის ეკონომიკური მსოფლმხედველობითი ტრადიციების გამგრძელებელი იყო, რომელთა აშკარად მიმდევარიც, როგორც ვნახეთ, რონალდ რეიგანი იყო. რეფორმების ასეთ მცდელობას ქართულ პუბლიცისტურ სივრცეშიც გამოუჩნდა მხარდამჭერები, რისი მაგალითიც ჟურნალისტ დავით გამცემლიძის მოსაზრებებია, რომლის მიხედვითაც, პოსტ-საბჭოთა საქართველოში აუცილებელი იყო გარისკვა და „შოკური თერაპიის“ მეშვეობით სოციალისტური ეკონომიკის მარწუხებიდან თავის დაღწევა.[314] ამ მიზნით, პროფესორი ლეშეკ ბალცეროვიჩი საქართველოში პირველად 1995 წელს ჩამოვიდა და მიმდინარე რეფორმების მცდელობებს გაეცნო, შემდგომში კი, პრეზიდენტის პირადი მრჩეველის რანგში იქნა მიწვეული. თუმცა, პაპავას მიხედვით, რადგანაც "შოკური თერაპიის" მეთოდის რეალიზება სახელმწიფო ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო ინსტიტუტების მიზანმიმართულ გამოყენებას მოითხოვს, ამგვარი ინსტიტუტების არარსებობის პირობებში "შოკური თერაპიის" მეთოდის სრულფასოვანი გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა და ყოველგვარი მცდელობა პრინციპში წარუმატებლობისათვის იყო განწირული.

ამის მიუხედავად, როგორც ვნახეთ ამერიკული სისტემისთვის სახასიათო, თავისუფალი ეკონომიკის პრინციპების დანერგვისა და ეკონომიკური გაჯანსაღების მცდელობას აშკარად ჰქონდა ადგილი. თუმცა, შევარდნაძის მთავრობაში, ამისთვის საკმარისი პოლიტიკური ნება, ალბათ ჯერ კიდევ არ არსებობდა, რადგან ასეთ

[313] ლეშეკ ბალცეროვიჩი და საქართველო, ხელმისავწდომია აქ: https://geoeconomics.ge/?p=598
[314] ლეშეკ ბალცეროვიჩი და ქართული ეკონომიკური „ჩვეულებრიობა“, ხელმისაწვდომია აქ: https://shorturl.at/lq7L6

რელსებზე დადგომა პირველ რიგში ალბათ ჩრდილოვანი ეკონომიკიდან ქვეყნის გამოყვანას და ეკონომიკური ურთიერთობების ლეგალიზებას მოითხოვდა, რაც საქართველოს მეორე პრეზიდენტის სავიზიტო ბარათი ნამდვილად არ ყოფილა.

არ შეიძლება არ აღვინიშნოთ 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთება და მისი 69-ე მუხლი, რომელიც აყალიბებდა მმართველობის საპრეზიდენტო ფორმას. კონსტიტუციონალისტების მიხედვით, საპრეზიდენტო მართვა-გამგეობის ფორმა ჩამოყალიბდა აშშ-ის საპრეზიდენტო რესპუბლიკასთან მიმსგავსებულად.[315] მართალია საქართველოს კონსტიტუცია ნამდვილად შორს იყო ამერიკული სისტემის იმ უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებისგან, რასაც ხელისუფლების დანაწილება და ძალაუფლების ბალანსის სისტემა ჰქვია, თუმცა, ეს მცდელობა აშშ-ს პოლიტიკური სისტემის მიმართ სიმპათიებზე უკვე გარკვევით მიუთითებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოთ მოყვანილი გამოცდილებიდან ნათლად ჩანს, რომ შეერთებული შტატები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული უმნიშვნელოვანესი აქტორი იყო ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე და მას კვლავ შეუძლია შეასრულოს კიდევ უფრო საგულისხმო როლი როგორც ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარების, ასევე უსაფრთხოების მიმართულებით. აშშ-სთან ურთიერთობების კუთხით როგორც ვნახეთ აქტიურობდნენ არამხოლოდ მმართველი, არამედ ოპოზიციური პარტიები და ისინი სხვადასხვა მეთოდებით ცდილობდნენ მხარდაჭერის მიღებას. შემთხვევითი არ იყო მათი მითითება საქართველოში დემოკრატიის გამოწვევებსა და პრესის თავისუფლების პრინციპებზე, რადგან ისინი აანალიზებდნენ აშშ-სთვის ამ საკითხების მნიშვნელობას. ეს იმას ნიშნავდა, რომ მათთან პოზიტიური ურთიერთობების დასამყარებლად, რიგი ღირებულებითი თანხვედრა ცალსახად იყო საჭირო. ამასთან, ურთიერთობების გარიჟრაჟზე და როგორც მალე ვიხილავთ მოგვიანებითაც, არ გამოკვეთილა რაიმე შიდა უთანხმოება საქართველოსთან დამოკიდებულების შესახებ და ხედვები თუ მოსაზრებები ყოველთვის იყო ორპარტიული. თუმცა, რიგ შემთხვევებში, ნამდვილად გამოიკვეთა რამდენიმე

[315] ავთანდილ დემეტრაშვილი, გოგიაშვილი გ, „კონსტიტუციური სამართალი“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2016, გვ. 80

პოლიტიკური ლიდერი, რომლებიც გამორჩეულ ყურადღებას უთმობდნენ საქართველოს მნიშვნელობას, რის გამოც, მათ განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრეს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების განვითარებაში.

3.2 ამერიკული პარტიების პლატფორმები XXI საუკუნეში - ცვლილება თუ ტრადიციის გაგრძელება?

თანამედროვე ამერიკული პარტიების კვლევისათვის, მიმდინარე ნაშრომის პირველი ორი თავი ვფიქრობ დაგვეხმარება ანალიზში, თუ რა ვითარებაში ჩამოყალიბდნენ ისინი და რა მიმართულებებით დაიწყეს განვითარება მსოფლიო ომების შემდეგ. მას ასევე შეუძლია პასუხები გაგვცეს, თუ როგორი ტიპის საზოგადოების აშენებას ცდილობენ შეერთებულ შტატებში და როგორ მიაღწიეს სტაბილური სოციალური ფენების ჩამოყალიბებამდე. მიმაჩნია, რომ ქართულმა პარტიებმა არაერთი მაგალითი უნდა აიღონ ნაშრომში მოყვანილი პოლიტიკური პროცესებიდან, რათა მივაღწიოთ როგორც ჯანსაღ ეკონომიკურ, ისე ეფექტურ სოციალურ-პოლიტიკურ ნიშნულს. დღეის მდგომარეობით, შეერთებულ შტატებში კვლავ გრძელდება ორი ძირითადი პარტიის დომინირება, რომელთაგან დემოკრატები, კვლავ აგრძელებენ ძლიერი ცენტრალური მთავრობის მეშვეობით ფედერალური პროგრამების სახელმწიფოს მასშტაბით სრულ გავრცელებას, ცხადია ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის გაუმჯობესების მოტივით, როცა რესპუბლიკელები კვლავ რჩებიან შტატებისა და ინდივიდუალურ უფლებათა უზენაესობის მხარეს. ამას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი 2024 წლის საარჩევნო კამპანიის დროს, როცა დემოკრატების პარტიის ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატმა, ტიმ უოლცმა თქვა: „როცა რესპუბლიკელები სიტყვა თავისუფლებას იყენებენ ისინი გულისხმობენ მთავრობის უფლებას შეიჭრან თქვენი ექიმის კაბინეტში (გულისხმობს აბორტის აკრძალვას), კორპორაციების უფლებას დააბინძურონ ჰაერი და წყალი, ბანკების უფლებას ფინანსური მოგება ნახონ კლიენტებისგან. მაგრამ როცა ჩვენ, დემოკრატები ვსაუბრობთ თავისუფლებაზე, ვგულისხმობთ თქვენთვის და თქვენი საყვარელი ადამიანებისთვის უკეთესი ცხოვრების შეთავაზებას, ჯანდაცვის საკითხების დამოუკიდებლას გადაწყვეტისა და თქვენი შვილების სკოლაში

უსაფრთხოდ მიმოსვლის უფლებას.“[316] აღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ საერთო სურათი რეიგანის პერიოდიდან მოყოლებული არ შეცვლილა, თუმცა, შეიცვალა მასშტაბები. ბოლო პერიოდში, ამ ყველაფრის მთავარი განმახორციელებელი, ამერიკის 44-ე პრეზიდენტი, ბარაქ ობამა იყო. ობამაზე, როგორც პირველ აფრო-ამერიკელ პრეზიდენტსა და აშკარა ექსტრავაგანტულ ფიგურაზე მრავალჯერ დაწერილა და ამაზე არ შევრჩებით, რადგან უფრო მეტად, მის მიერ განხორციელებული საშინაო და საგარეო პოლიტიკაა ჩვენთვის საინტერესო. საერთოდ, ობამა წინასაარჩევნო კამპანიიდან მოყოლებული ამერიკელ ხალხს მნიშვნელოვან ცვლილებებს პირდებოდა, რაც, მასსა და ჯონ მაკკეინს შორის გამართულ საპრეზიდენტო დებატებში ნათლად აისახა. ობამამ დებატების შესავალშივე აღნიშნა, რომ ქვეყანა კრიზისამდე მიიყვანა ჯორჯ ბუშის მხარდაჭერილმა ეკონომიკურმა მიდგომებმა, რომელთათვისაც, დღევანდელი რეალობა საბოლოო ვერდიქტია. ბუშის მიდგომებში იგი გულისხმობდა რეგულაციებისა და მომხმარებელთა უფლებების დამცავი მექანიზმების მაქსიმალურ შემცირებას, რასაც საერთო კეთილდღეობაზე დადებითად უნდა ემოქმედა. პირველი საპრეზიდენტო დებატებიდან აშკარად ჩანდა, რომ დემოკრატების პარტიის კანდიდატი კვლავ აგრძელებდა თავისი პარტიის წინა საუკუნის გამოცდილებას და ბევრს საუბრობდა საშუალო ამერიკელებსა და საშუალო კლასზე, რომლებმაც, 2007-2008 წლების ეკონომიკური კრიზისის შედეგად ყველაზე მეტად იზარალეს, განსხვავებით უოლ-სტრიტისგან. ხოლო რესპუბლიკური პარტიის კანდიდატის გამოსვლას ემჩნეოდა, რომ მის პარტიას აშკარად გადახვეული ჰქონდა რეიგანისეული საშუალო კლასის მხარდაჭერის პოლიტიკისგან და ამერიკელი მუშების მდგომარეობისათვის გულმოდგინე მუშაობისგან. მაკკეინმა თავადვე აღნიშნა, რომ „ჩვენ რესპუბლიეკელები ძალაუფლებაში მთავრობის როლის შესაცვლელად მოვედით, მაგრამ თავად მთავრობამ შეგვცვალა ჩვენ.“[317] ერთგვარად, ეს რესპუბლიკელების ძალაუფლების ხიბლში შესვლის აღიარებაც იყო, რასაც,

[316] Defining ‘Freedom’ Down at the DNC, ხელმისავწდომია აქ: https://www.wsj.com/opinion/democrats-freedom-tim-walz-dnc-kamala-harris-joe-biden-fdr-chicago-a41978be?mod=panda_wsj_author_alert&fbclid=IwY2xjawFrURJleHRuA2FlbQIxMQABHbGHTyuty8OA2J_iItq6cCleftsWiUxmk6iO_0_WIbYot4XkQlfD227SLA_aem_CuHltqMvHuVz6EODk3WfHQ

[317] McCain vs. Obama: The first 2008 presidential debate, ხელმისავწდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=4b7NfEZWBzw&t=1s

მაკკეინისავე სიტყვები მოწმობს, გაზრდილი სამთავრობო ბიუროკრატიის შესახებ. საგულისხმოა ისიც, რომ ობამა 2007-2008 წლების ეკონომიკური კრიზისის დადგომაში მთლიანად ბუშის ადმინისტრაციის დერეგულირების პოლიტიკას ადანაშაულებდა, რაც, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ 1920-იანი წლებიდან რესპუბლიკელების სავიზიტო ბარათი იყო. „მაკკეინი და ბუში ბოლო 8 წლის განმავლობაში მხარს უჭერდნენ ეკონომიკის ისეთ მოდელს რაც ეფუძნება რეგულაციების მოხსნა, მომსახმარებელთა უსაფრთხოების მოშლას, ბაზრის აღორძინებას, რაც, მათი აზრით გამოიწვევდა ყველა ჩვენგანზე კეთილდღეობის გავრცელებას. როცა ბუში მოვიდა ჩვენ რამდენჯერმე ბიუჯეტის პროფიციტი გვქონდა, დღეს კი, ნახევარი ტრილიონის ყოველწლიური დეფიციტი გვაქვს“ - გააჟღერა მან მეორე საპრეზიდენტო დებატებისას.[318] ცხადია, ტრადიციულად, კანდიდატები შეეხნენ გადასახადებს და დემოკრატების კანდიდატისგან ალბათ ნაკლებად იყო გასაკვირი ერთგვარი იერიში დიდ ბიზნესზე, რომელთა მიმართ საგადასახადო ტვირთის ხარჯზე, გადასახადები საშუალო კლასის, მშრომელთა ოჯახებისთვის უნდა შემცირებულიყო. „ვთანხმებით, რომ მთავრობის ხარჯებმა გადაჭარმებულად მოიმატა, თუმცა თუ როგორ ვაპირებთ ამ ხარჯების შემცირებას, ამაში ჩვენ შორის დიდი სხვაობაა. მაკკეინის 300 მილიარდ დოლარიანი გადასახადების შემცირება ყველაზე მდიდარი კორპორაციებისთვის. მის გეგმაში 500 კომპანიის დირექტორისთვის შემცირებულ გადასახადებს აშკარად ნახავთ, თუმცა იქ ვერაფერს იპოვით 100 მილიონ ამერიკელზე. ჩემი გეგმაა საგადასახადო შეღავათების დაწესება მშრომელთა ოჯახების 95%-სთვის, რაც ნიშნავს, ჩვეულებრივ ამერიკელს, რომელსაც მრავალი ფინანსური გამოწვევა აქვს, საწვავის შევსებით დაწყებული, შვილისთვის კომპიუტერის შეძენით გაგრძელებული. ხაზგასით ვამბობ, ჩავკეტავ კორპორაციების საგადასახადო ლუპოლებს, არ შევუმცირებ გადასახადებს კომპანიებს, რომლებსაც assets ქვეყნის გარეთ გააქვთ და ხალხს უმუშევრად ტოვებენ და ვიზრუნებ ისეთი ჯანდაცვის სისტემის შექმნაზე, რომელიც ყველას დაუფარავს პირველად მოთხოვნებს მაინც.“[319] - განაცხადა ობამამ პირველი დებატებისას. თავის მხრივ, მაკკეინის მიდგომა დიდი ბიზნესისა და კომპანიების მდიდარი

[318] McCain vs. Obama: The second 2008 presidential debate, ხელმისავწდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=V0ppjZvvgDU&t=4241s
[319] McCain vs. Obama: The first 2008 presidential debate, ხელმისავწდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=4b7NfEZWBzw&t=1s

აღმასრულებლების მიმართ ამდენად კრიტიკული არ იყო, რამდენადაც იგი ამბობდა, რომ გადასახადი უნდა შემცირებულიყო განურჩევლად ყველასთვის. შიდა პოლიტიკური საკითხები მოკლედ რომ შევაჯამოთ, დებატებმა ამერიკელ საშუალო კლასზე ობამამ ნამდვილად მოახდინა მაკკეინზე უკეთესი შთაბეჭდილება როგორც თავისი დამაჯერებლობით, ისე ობამას ხისტი და პირდაპირი მითითებით, რომ ეკონომიკური კრიზისი სწორედ მაკკეინის პარტიის მმართველობის დროს დაიწყო და სენატორს, პრეზიდენტ ბუშის არაერთი კანონისა თუ პროგრამისთვის ჰქონდა მხარი დაჭერილი.

ძალზეც საინტერესოა კანდიდატებს შორის გამართულ დებატებში საგარეო პოლიტიკური ასპექტების ნაწილი, რომელშიც, 2008 წლის აგვისტოს ომი გამო საქართველო ცალსახა ყურადღების ცენტრში იყო. ზოგადად, როგორც სხვა საკითხებში, ბარაქ ობამა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კამპანიის დაწყებისთვისაც აკრიტიკებდა და მიაჩნდა, რომ ამერიკისთვის იგი ზედმეტად დიდ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. „ჩვენ თვეში 10 მილიარდს ვხარჯავთ ერაყში ომის გაგრძელებისათვის, რასაც მაკკეინი აპირებს, როცა ეს 10 მილიარდი სახლში გვჭირდება, რათა ხალხი სამსახურებში დავაბრუნოთ“ - ამბობდა ობამა, რითაც, პირდაპირ ემიჯნებოდა ერაყის კამპანიას და ვფიქრობ, ზოგადად შეერთებული შტატების ინტერვენციულ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში, რისი ნაწილიც, საქართველოს აქტიური დახმარების გაგრძელებაც იყო. ალბათ ამაზე მიუთითებს დიპლომატ თედო ჯაფარიძის მოსაზრებაც ჯორჯ ბუშის საქართველოს მიმართ დამოკიდებულების თაობაზე. ჯაფარიძის მიხედვით, „ამერიკელები განსაკუთრებით დახმარებას უწევდნენ პრეზიდენტ სააკაშვილს, რადგან, მაშინ საქართველო მოიაზრებოდა მაშინდელი ადმინისტრაციის და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დემოკრატიის განვრცობის სტრატეგიის ნაწილად. ამ ფარგლებში, ვარდების რევოლუცია განხილული იყო, როგორც ბუშის პოლიტიკური წარმატების გამოხატულება და მისი დღის წესრიგის გამარჯვება.“ ამას ადასტურებს ლინკოლნ მიტჩელის ნაშრომში მოყვანილი, დიპლომატ ჯონ ტეფტის მოსაზრებაც, რომელმაც სენატში განაცხადა, რომ „საქართველოს პრეზიდენტ ბუშის დემოკრატიულ დღის წესრიგში წამყვანი პოზიცია უჭირავს.“ როგორც ავტორი თავადაც დასძენს, მართალია ეს განცხადება ცოტათი გაზვიადებულია, მაგრამ, შეერთებული შტატების

ცენტრალურ როლზე რეგიონულ ძვრებში მაინც მიუთითებს.[320] ცხადია, ობამას ასეთი რიტორიკის პირობებში, ბუშის მემკვიდრეობისა და რესპუბლიკელების დამარცხებით, ამ მიზანს იმავე ტემპებით გაგრძელება აღარ ელოდებოდა. მართალია ობამამ ღიად და მკაცრად დაგმო რუსეთის ფედერაციის საქართველოში შემოჭრის ფაქტი, მაგრამ, მაკკეინისგან განსხვავებით, მას მომავალი სტრატეგიული პარტნიორის მიმართ ხელშეწყობის გეგმა არ გაუჟღერებია. ამ უკანასკნელმა, ეს ერთგვარი წინასწარმეტყველური ფრაზები პირველი დებატებისას გააჟღერა: „სენატორ ობამას მოსმენისას ვფიქრობ მას არ ესმის აგრესიის მასშტაბი, რომელიც რუსეთმა საქართველოს მიმართ ჩაიდინა. მე ვფიქრობ რომ ცივი ომის მდგომარეობაში გადასვლის საფუძველი არ არსებობს, მაგრამ მჯერა, რომ ჩვენ ჩვენი მეგობრები და მოკავშირეები მეტად უნდა გავაძლიეროთ. შემთხვევითი არ ყოფილა ლატვიის, ლიეტუვას, ესტონეთის, პოლონეთისა და უკრაინის პრეზიდენტების ვიზიტი თბილისში. ისინი თანაუგრძნობენ საქართველოს, თუმცა მათ ასევე შიში აქვთ, რომ რუსეთი თავის ძველ იმპერიულ სტატუსს აღიდგენს. ასევე დააკვირდით უკრაინას. ამ ყველაფერს ბევრი საერთო აქვს უკრაინასა და ყირიმთან, სადაც რუსეთის სამხედრო ფლოტია განთავსებული. ჩვენ მათაც უნდა მივახვედროთ, რომ მეგობრები და მოკავშირეები ვართ.“[321] ბარაქ ობამას რაიმე არსებითი და ხელშესახები გეგმა საქართველოსთან დაკავშირებით არც მეორე დებატებისას გამოუთქვამს, სამაგიეროდ, მაკკეინი კვლავ მტკიცედ არწმუნებდა ამერიკელ პუბლიკას მოქმედებასა და საქართველოსთვის ყურადღების მიპყრობაში. „მე დიდი ხნის წინ ვაფრთხილებდი ყველას პუტინის შესახებ, რომელიც გარშემორტყმულია კგბ-ს „აპარატჩიკებით“ - ამბობდა მაკკეინი - „მან ყველაზე მძიმე აგრესიული ქმედებები საქართველოში გამოავლინა და ახლა პუტინის სამიზნე უკრაინაც გახდა. ჩვენ ახლა საქართველოს მორალური მხარდაჭერა უნდა გამოვუცხადოთ და იგივე უნდა გავაკეთოთ უკრაინის მიმართაც. ჩვენ ასევე მხარი უნდა დავუჭიროთ მათ ნატო-ში მიღებას. ამით რუსებს უნდა მივახვედროთ, რომ მათ ქმედებებს ჩვენგან პასუხები მოჰყვება და იმედი მაქვს

[320] Lincoln A. Mitchell, „Uncertain Democracy: US Foreign Policy and Georgia’s Rose Revolution“, University of Pennsylvania Press, Philadelphia, 2009, p. 113

[321] McCain vs. Obama: The first 2008 presidential debate, ხელმისაწვდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=4b7NfEZWBzw&t=1s

ამისათვის ჩვენ გამოვიყენებთ ეკონომიკურ, დიპლომატიურ ბერკეტებს ჩვენს მოკავშირეებთან ერთად.“[322]

ვფიქრობ მკითხველისთვის ცალსახაა, რომ ორპარტიული მხარდაჭერის მიუხედავად, მაკკეინისა და ბუშის სახით ნამდვილად არსებობდნენ ისეთი ფიგურები, რომლებიც ყველა სხვა ეტაპთან შედარებით განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ რეგიონში საქართველოს როლის გაზრდას. ამ შემთხვევაში, ისინი რესპუბლიკურ პარტიას ეკუთვნოდნენ. რთული სათქმელი და საკმაოდ სპეკულაციურია თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა მაკკეინის გამარჯვებას საქართველოსთვის, თუმცა, ის რაზეც მან დებატების დროს ბევრი ისაუბრა, ფაქტია, რომ მისი ოპონენტის პრეზიდენტობისას აღარ მომხდარა. ამ შემთხვევაში იგულისხმება საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრირებისთვის შესაბამისი დახმარების გაწევა და რუსეთის ფედერაციის ქმედებების საერთაშორისო ტრიბუნებიდან მკაცრი დაგმობა. ზოგადად, ობამას პრეზიდენტობა მხოლოდ ამ მიმართულებით არ ყოფილა ურთიერთსაწინააღმდეგო, არამედ მან არაერთი თავსატეხი გაუჩინა მკვლევარებს შიდა საქმეების თვალსაზრისითაც. უნდა ითქვას, რომ კამპანიის პროცესში, ობამა ამერიკულ საზოგადოებას გაერთიანებასა და საერთო ენის გამონახვაში დახმარებას პირდებოდა, რაც, მეცნიერების აზრით, მისი ორი ვადის პირობებში სრულიად საპირისპიროდ მოხდა. პროფესორ გრეტა ოლსონის მიხედვით, „ობამას არჩევა იყო ერთგვარი იმედი ახალი, შერიგების პერიოდის დადგომისა მას შემდეგ, რაც ორი ათწლეულის განმავლობაში ამერიკა მწვავე პოლიტიკურ დაყოფას განიცდიდა. 1990-იანი წლებისა და ჯორჯ ბუშ უმცრობის პერიოდის ე.წ. კულტურულმა ომებმა ამერიკა ორ პოლარიზებულ მხარედ დაყო ისეთი საკითხების გარშემო, როგორებიცაა აბორტი, იარაღის კონტროლი, ემიგრაცია. ამომრჩეველთათვის გართულდა ორპარტიული, საერთო შეთანხმებების მიღწევა. ამიტომ, ობამას მთავარი დაპირებაც ამ დაყოფილი მდგომარეობის ცვლილება და მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს, წითელ და ლურჯ შტატებსა და მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრულის ამოვსება იყო.“[323] თუკი არჩევნების შედეგებს შევხედავთ დავრწმუნდებით, რომ ამერიკელი ამომრჩეველი ამ საკითხში მართლაც მიენდო

[322] McCain vs. Obama: The second 2008 presidential debate, ხელმისაწვდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=V0ppjZvvgDU&t=4241s

[323] Birte Christ, Greta Olson, „Obama and Paradigm Shift: Measuring Change“, University Heidelberg, 2012, p. 19

ობამას, რადგან 2008 წლის არჩევნებში მიღებულ 52.9% ერთი კანდიდატისთვის, დღემდე ყველაზე მაღალი შედეგია 1988 წლის შემდეგ. ეს ნიშნავს, რომ ობამამ ბევრი „დამოუკიდებელი“ ამომრჩევლის ხმა მოაგროვა, სწორედ რადიკალიზაციისა და პოლიტიკური მიკერძოების ტენდენციის არიდების იმედით. ფალკე აღნიშნავს, რომ „დაწყებული ჯანდაცვის რეფორმითა და დასრულებული სამართლიანი საგადასახადო სისტემის ფორმირებით, ობამას მრავალი დაპირება ჰქონდა, თუმცა ძირითადი, მაინც პოლიტიკური დაყოფის აღმოფხვრის პირობა იყო. ამის მიუხედავად, მისმა მთავარმა ინიციატივებმა და საკანონმდებლო მიღწევებმა ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის, ეკონომიკის სტიმულირების, ფინანსური რეგულირების რეფორმის მიმართულებებით, ვერ მოიპოვა მხარდაჭერა ამერიკული საზოგადოების ფართო სეგმენტების, განსაკუთრებით „დამოუკიდებლების“ მხრიდან. ასეთმა ვითარებამ ეჭვქვეშ დააყენა მისი პრეტენზია ორპარტიული და ტრანსფორმაცული ლიდერობის შესახებ.“[324] ობამას ამ დაპირებას ამერიკის საზოგადოებაში არსებული მნიშვნელოვანი, სტრუქტურული და იდეოლოგიურ დაპირისპირენაზე დაფუძნებული პოლარიზაცია უძღოდა. იგივე ფალკე აღნიშნავს, რომ ეს პროცესი 1960-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ყველაზე კონსერვატიულმა, სამხრეთის რეგიონიმა პარტიული აფილირება შეიცვალა და რესპუბლიკელების მხარდამჭერი გახდა. შედარებით მცირედი მასშტაბის ცვლილება მოხდა 1980-იანი წლებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთში, სადაც ლიბერალი რესპუბლიკელების დომინაცია, დემოკრატებმა ჩაანავლეს. პოლარიზაცია კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც აბორტი, რელიგია და ერთსქესიანთა ქორწინება ოფიციალურად გახდა პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი. ასეთი სოციალური საკითხები ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო არაურბანიზებული ზონებისა და პატარა ქალაქების მკვიდრთათვის, ასევე, დიდ ქალაქებში მცხოვრები კათოლიკეებისთვის. ასეთი ადამიანები ადრე „ახალი კურსის დემოკრატების კოალიციას“ ქმნიდნენ. ამდენად, ახალი გეოგრაფიული და რეგიონული დაყოფა ერთგვარი პოლიტიკური დაპირისპირების წინაპირობა აღმოჩნდა ურბანიზებული და არაურბანიზებული, ხოლო მეორეს მხრივ სეკულარული და რელიგიური ამომრჩვლისთვის.[325] ავტორი

[324] Birte Christ, Greta Olson, 2012, p. 141
[325] იქვე, p. 145

დასძენს, რომ ობამამ ვერ შეძლო ორი დაპირისპირებული პოლიტიკური სპექტრისთვის რაიმე ისეთი საერთო წერტილის მონახვა, რაც ვითარებას განმუხტავდა. მართალია მან რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამა აამოქმედა, თუმცა მისი მიღწევები ვერ დაიკვეხნიან ფართო საზოგადოებრივი აღიარებით, რაც საკანონმდებლო ცვლილებებს სჭირდებათ ხოლმე, ხანგრძლივი მდგრადობის შესანარჩუნებლად.[326] თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსი, ჰუვერის ინსტიტუტის მკვლევარი ვიქტორ დევის ჰენსონი უფრო შორს მიდის და ობამას ამერიკული საზოგადოების კიდევ უფრო დაყოფას და მასში უფსკრულის აღმართვას აწერს. იმის მიზეზი, რომ ობამას 2008 წლის არჩევნებში ბევრმა „დამოუკიდებელმა“ და საშუალო კლასის წარმომადგენელმა დაუჭირა მხარი, მისი დაბალანსებული საარჩევნო კამპანიის შედეგი იყო. ჰენსონის თქმით, ობამა თავს წარმოადგენდა როგორც ცენტრისტი დემოკრატი კანდიდატი. იგი ეწინააღმდეგებოდა ერთსქესიანთან ქორწინებას, ღია საზღვრების პოლიტიკასა, არალეგალურ ემიიგრაციას და ყველა ემიგრანტს ინგლისურის სწავლისკენ მოუწოდებდა. მკვლევარის აზრით, ობამა 1992 და 1996 წლების კლინტონს მოგვაგონებდა.[327] თუმცა, ობამა რომ ცენტრისტი და თანხმობის კანდიდატი არ იყო, სულ მალე Obamacare-ის მიღებისას გამოჩნდა, როცა მას კონგრესში მხოლოდ დემოკრატებმა დაუჭირეს მხარი. ამას მალე მოჰყვა იდენტობის პოლიტიკისა და სიმდიდრის პროგრესული განაწილებისკენ მოწოდებები და რიტორიკა. ზოგადად, 1960 და 1970-იან წლებში გააქტიურებული პროგრამების შემდეგ, რომლებიც მინიმალურ ხელფასებს, უმუშევრობის დაზღვევას, პოზიტიურ დისკრიმინაციას და გულუხვ სოციალურ დაცვას გულისხმობდა, „რეიგანის რევოლუციის“ ავტორებს უჩენდა კითხვას, თუ რა დამატებითი პროგრამები იყო საჭირო სიმდიდრის განაწილებისთვის. თუმცა, ობამას მიაჩნდა, რომ თანასწორობის მიღწევა მხოლოდ ჰუმანური, ვრცელი ძალაუფლების მქონე ცენტრალური მთავრობის მეშვეობით შეიძლებოდა. ჰენსონი ამტკიცებს, რომ ობამას მიზანი არა შესაძლებლობების თანასწორობის ამერიკული პრინციპის, არამედ შედეგობრივი, საყოველთაო თანასწორობის მიღწევა იყო ძლიერი მთავრობის მეშვეობით, რაც წარსულში ჩადენილი რასიზმისა და პრივილეგიების ცოდვეს გამოისყიდვის

[326] Birte Christ, Greta Olson, 2012, p. 162
[327] Hanson, 2019, p. 132

საშუალება იქნებოდა.[328] იგი ასევე დასძენს, რომ ობამამ თავისი იდენტობის პოლიტიკით, რადიკალური ენვირონმენტალიზმით, სიმდიდრის გადანაწილებაში ჩარევის სხვადასხვა მეთოდებით ამერიკული საზოგადოების პოლარიზება არათუ აღმოფხვრა, ის კიდევ უფრო გაამძაფრა, რადგან თავისი რიტორიკით, იგი დაუპირისპირდა „წითელ შტატებს“, იარაღისა და საწვავის უხვად მომხმარებელ საშუალო კლასის მოქალაქეებს.[329]

მაკკეინის მსგავსად, გადასახადების საზოგადოების ყველა სეგმენტისთვის შემცირებას ემხრობოდა პრეზიდენტობის კანდიდატი რესპუბლიკური პარტიიდან, მით რომნი, რომელიც ობამასთან 2012 წლის არჩევნებში დამარცხდა. რომნის წინასაარჩევნო კამპანიის ხედვები ასახულია მის 2010 წელს გამოცემულ ავტობიოგრაფიაში, რომელშიც საინტერესოდაა აღწერილი მთავრობის როლისა და ამერიკული შრომის ეთიკის ურთიერთქმედება. მით რომნი, რეიგანისეული მიდგომით ხოტბას ასხამს მშრომელ ამერიკელებს, თუმცა, ათწლეულების განმავლობაში სამთავრობო დახმარებების ზრდამ, ეს ეთიკა ერთგვარად შეცვალა. საერთოდ, მით რომნის მიაჩნდა, რომ ამერიკის სიდიადე სწორედ კულტურაში გამჯდარი დისციპლინისა და თავდაუზოგავი შრომის დამსახურება იყო. ჩვენმა კოლექტიურმა უნარმა საათობით ვფოკუსირებულიყავით ჭკვიანურ და ხარისხიან სამუშაო რეჟიმზე, დიდი როლი ითამაშა ჩვენს პროდუქტიულობაზე. საუკუნეების განმავლობაში ამ მახასიათებლებმა შექმნეს ამერიკის ლიდერობა წარმოებაში, ცხოვრების მაღალ ხარისხსა და ეროვნულ სიმდიდრეში. ჩვენ დღემდე ვაგრძელებთ ამას, როცა საშუალოდ ჯერ კიდევ 25%-ით მეტს ვმუშაობთ გერმანელებზე, 15%-ით ფრანგებზე და მცირედით მეტს ჩინებულად ინდუსტრიალიზებულ იაპონიაზეც კი.[330] რომნი იმ შემთხვევებში, როდესაც ამერიკულმა შრომის კულტურამ იკლო, წინდაუხედავ სამთავობო პროგრამებს ადანაშაულებს და მიიჩნევს, რომ გარკვეული სახელმწიფო დახმარების მიღება, სამსახურის ძიების პროცესის სრულ შეწყვეტად არ უნდა ნიშნავდეს. „თუ ჯერ კიდევ გვსურს მსოფლიოს ლიდერებად დავრჩეთ“, - წერს რომნი, „ეროვნული შრომის ეთიკა ხელახლა უნდა გავაძლიეროთ. სამთავრობო პროგრამები კი ისე უნდა მოვაწესრიგოთ, რომ ბეჯითად მშრომელი ადამიანები

[328] იქვე, 2019, p. 135
[329] Hanson, 2019, p. 135
[330] Mitt Romney, „No Apology: The Case for American Greatness“, St. Martin’s Press, New York, p. 250

მთავრობისგან დამატებით ბენეფიტს იღებდნენ. ასე შევძლებთ ყველა ადამიანისთვის დახმარებას, იქცნენ პროდუქტიულ მოქალაქეებად."[331] ვფიქრობ ეს სიტყვები არც ისე უცნაურად უნდა მოგვეჩვენოს იმ პოლიტიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატისგან, რომლის ერთ-ერთ ლიდერს მიაჩნდა, რომ „ყველაზე უკეთესი სოციალური პროგრამა სამსახურია." ამის მიუხედავად, რეიგანის კამპანიისთვის წინასაარჩევნო პროგრამის მიმსგავსება ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ალბათ ყველაზე უკეთ დონალდ ტრამპმა შეძლო, რის გამოც, იგი აირჩიეს კიდეც 2016 წელს პრეზიდენტად რესპუბლიკური პარტიიდან. ამის მტკიცებას მთავარი ყურადღება დაუთმო თანამედროვე ამერიკელმა ავტორმა, ჰენრი ოლსენმა თავის ზემოთ უკვე ნახსენებ წიგნში, „რეიგანი და ლურჯფეროვანი კონსერვატიზმის დაბრუნება". ოლსენი იმის გარდა, რომ რონალდ რეიგანის განსხვავებას აღწერს მე-20 საუკუნის სხვა რესპუბლიკელ ლიდერებთან, იგი აღმოაჩენს ტრამპის რიტორიკისა და კამპანიის მსგავსებას რონალდ რეიგანთან. სწორედ ამით ხსნის იგი 2016 წელს მიღწეულ საარჩევნო წარმატებას, რაც, მართალია პირდაპირი საარჩევნო ხმებში გამარჯვებით არ ასახულა, თუმცა, საარჩევნო კოლეგიის პირობებში გაიმარჯვა ისეთ გადამწყვეტ შტატებში, როგორებიც არის პენსილვანია, აიოვა, ფლორიდა, უისკონსინი და სხვები. ყველაფერი რაც ტრამპმა თქვა და გააკეთა 2015 წლის ზაფხულში საარჩევნო კამპანიაში ჩაბმის შემდეგ, მუსიკასავით ჩაესმა ყურში თეთრკანიანი მშრომელთა კლასის წარმომადგენელთა ყურებს, წერს ოლსენი. მან იერიში მიიტანა ემიგრაციის ეკონომიკურ და კულტურულ გავლენაზე; დაგმო თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები და აღნიშნა, რომ ჩინეთი და მექსიკა ამერიკელების ლანჩს მიირთმევენ და მათ სამსახურებს იპარავენ. მან ამომრჩევლებს შეახსენა ყოველი ამ პრობლემის განვითარების შესახებ წლების განმავლობაში და მმართველი ელიტების ინერტულობა მათი გადაწყვეტის შესახებ.[332] ტრამპი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საშუალო კლასის დაკარგულ სამუშაო ადგილებს და აკრიტიკებდა ყველა საშინაო თუ საგარეო აქტორს, რომლებიც, მისი აზრით ამაზე იყვნენ პასუხისმგებლები. სწორედ ამ თემასთან იყო და დღემდეა კავშირში ჩინეთის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლის კრიტიკასაც ტრამპის კამპანია და შემდგომ ადმინისტრაცია,

[331] იქვე, p. 255
[332] Hanson, 2019, p. 251

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. ხალხი უკმაყოფილო იყო, რომ ჩინეთის მიერ ეროვნული ვალუტის მანიპულირა და ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა, ამერიკელებს სამსახურის დაკარგვის ფასად უჯდებოდათ.[333] ტრამპის კამპანიის კიდევ ერთი სწორი სტრატეგიული გათვლა იყო, რეიგანის მსგავსად, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესებზე მორგება და ერთგვარი კოალიციის შექმნა გამარჯვებისათვის. ამიტომ, როგორც კი კამპანიაში ჩაერთო იგი სოციალურ კონსერვატორებს უზენაეს სასამართლოში მათი მოსაწონი კანდიდატების წარდგენას, ბიზნეს-კოსერვატორებს დერეგულაციას, ხოლო ანტისამთავრობო კონსერვატორებს საგადასახადო განაკვეთების მსუყე შემცირებას დაპირდა.[334] და მაინც რატომ ჰგავდა რეიგანისა და ტრამპის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა ფუნდამენტურად ერთმანეთს? საქმე ის იყო, რომ პარტიის შიგნით წარმოქმნილი გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, მას სოციალური შემწეობისა და მედიქეირის შეკვეცის პირობა არ დაუდია. მეტიც, მან განაცხადა, რომ პრეზიდენტობის შემთხვევაში არც ერთის გაუქმებას არ აპირებდა.[335] აქ ალბათ მკითხველს გაახსენდება რონალდ რეიგანის მიდგომა სოციალურ დახმარებასთან, როცა იგი საშუალო კლასის მედიქეირის პროგრამებს არ შეხებია და მხოლოდ მცირეშემოსავლიანთა დახმარებების შეკვეცის პოლიტიკას მიემხრო, მათი სამუშაო ადგილებზე დაბრუნების მოტივით. მსგავსი მიდგომა იკვეთება ტრამპის შემთხვევაშიც. ამის გარდა, რეიგანს არასდროს ჰქონია პრობლემა ეთქვა, რომ საზოგადოების ვალია მხარი დაუჭიროს მის უმწეო წევრებს და არასდროს ყოფილა უარზე აღენიშნა თავისუფალი ვაჭრობის ორივე მხარე და გაესვა ხაზი მთავრობის როლისთვის ამერიკული სამუშაო ადგილების დასაცავად, უსამართლო კონკურენციის პირობებში; სწორედ რეიგანთან ამ მსგავსებებს მიაწერს ჰენრი ოლსენი დონალდ ტრამპის 2016 წლის ტრიუმფს.

ამდენად, 21-ე საუკუნეში ამერიკული პარტიების პლატფორმები დიდწილად წააგავდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისას და იზიარებდა პირველი ნახევრის არაერთ ხედვასაც კი. ერთი რამ, რაც 21-ე საუკუნის პოლიტიკურ მიმართულებებს ცალსახად ახასიათებს, არის პოლარიზაციის აშკარა მატება და საერთო წერტილების პოვნის სირთულე ამომრჩევლებსა და მათ წარმომადგენლებს შორის. ამას ადასტურებს ის,

[333] იქვე, p. 253
[334] Hanson, 2019, p. 254
[335] იქვე, p. 252

რომ თუკი გასულ საუკუნეში პრეზიდენტების ე.წ. „ლენდსლაიდი“, ანუ ეროვნულ დონეზე დამაჯერებელი გამარჯვება საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო, ეს მიმდინარე საუკუნეს, ფაქტობრივად არ ახასიათებს. მაგალითისთვის, ისეთმა პრეზიდენტებმა, როგორებიც იყვნენ ტედი რუზველტი, ჰერბერტ ჰუვერი, ფრანკლინ რუზველტი, დვაით აიზენჰაუერი, ლინდონ ჯონსონი, რიჩარდ ნიქსონი, რონალდ რეიგანი, ცალსახად დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვეს. ჯერჯერობით, მსგავსი არაფერი მომხდარა 21-ე საუკუნეში. როგორც განვიხილეთ, ობამამ სცადა ყოფილიყო თანხმობის კანდიდატი 2008 წლის არჩევნების წინ, თუმცა, მის შემთხვევაშიც, წინა საუკუნის ჩამოთვლილი პრეზიდენტების მსგავსი სხვაობა, არც პირდაპირი და არც საარჩევნო კოლეგიის ხმათა მიმართულებით, მას არ დაუფიქსირებია.[336]

3.3 გზა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების თანამედროვე გამოწვევებისკენ და პარტიების როლი მათი გადაწყვეტის პროცესში.

წინა თავებში განხილული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისა და ჯეიმს ბეიკერის საქართველოში სტუმრების შემდეგ, ქართულ-ამერიკული ურთიერთობები მრავალმხრივ განვითარდა. განსაკუთრებით საგულისხმო იყო სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობა და დახმარება სახელმწიფოს ინსტიტუტების აღმშენებლობისათვის. ამ პროცესის კულმინაცია, ალბათ მაინც 2005 წლის მაისში, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტი იყო. თუმცა ეს მხოლოდ ამ ურთიერთობების გაძლიერების გამოხატულება იყო და არა პირიქით. აქედან გამომდინარე, ოფიციალურმა ვიზიტებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ, მას შემდეგ საკმაოდ ხშირი, ყოველწლიური ხასიათი შეიძინა. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რამაც ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გაღრმავება დოკუმენტურად დაადასტურა, მოხდა 2009 წლის 9 იანვარს, როდესაც სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაშაძემ ხელი მოაწერეს აშშ-საქართველოს ქარტიას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ.[337] ქარტიის ტექსტი გვამცნობს, რომ შეერთებული შტატები ზედმიწევნით იცნობდა ქართულ რეალობას და სურდა მის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა. ქარტიის პრეამბულაში

[336] Historical Presidential Elections, ხელმისაწვდომია აქ: https://www.270towin.com/historical-presidential-elections/

[337] United States-Georgia Charter on Strategic Partnership, ხელმისაწვდომია აქ: https://www.state.gov/united-states-georgia-charter-on-strategic-partnership/

აღნიშნულია, რომ „საერთო ინტერესები მოიცავს დემოკრატიისა და ეკონომიკური თავისუფლების განვრცობას, უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, კანონის უზენაესობის გაძლიერებასა და ადამიანის უფლებების პატივისცემას, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირების ღირსეულ, უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლებას, ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების მხარდაჭერას და ევრაზიის ენერგო უსაფრთხოების გაძლიერებას.“[338] ალბათ მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ქარტიის მიღების თარიღი, 2009 წლის 9 იანვარი, შეიძლება მიგვანიშნებდეს იმასაც, რომ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებს თავიანთი მმართველობის ბოლო დღეებში, საქართველოსთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადაყვანის მოსწრება სურდათ. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მოსაზრება ამ საკითხზე მეცნიერებს არ გამოუთქვამთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რესპუბლიკელებს ან თავიანთ საგარეო პოლიტიკურ მიღწევად სურდათ აღნიშნული ქარტიის წარმოჩენა, ან კიდევ, მათ არ ჰქონდათ მოლოდინი, რომ ობამას ადმინისტრაცია მათ შემდეგ მსგავსი შინაარსის ხელშეკრულებას გააფორმებდა.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ჯონ მაკკეინის და რესპუბლიკელების განსაკუთრებული ყურადღებისა, საქართველოში რეფორმების მხარდაჭერისგან არც დემოკრატების ადმინისტრაციის დროს გადაუხვევიათ. როგორც დიპლომატმა თედო ჯაფარიძემ აღნიშნა, „კლინტონიდან დაწყებული, შემდეგ გაგრძელებული ბუშით და სხვებით, საქართველოს მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის ორპარტიული იყო და მიკერძოებული დამოკიდებულება ნაკლებად ჰქონდა. ძირითად შემთხვევებში, ვინც ხელისუფლებაში იყო, ყველას მიაჩნდა, რომ ამერიკა არის ის ძალა, რომელზეც გადაწყობაა საჭირო, რათა გავუმკლავდეთ რეგიონში არსებულ გამოწვევებს. აქედან გამომდინარე, ეს პოლიტიკა არა პარტიული, არამედ უფრო სახელმწიფოებრივი გამოდიოდა.“ სწორედ ამის გამოხატულება გახლდათ ამერიკელი პოლიტიკოსების მხრიდან 2012 წელს, საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარების მხარდაჭერა, რაც საქართველოს დემოკრატიული განვითარების გამოხატულებად მიიჩნეოდა, ნაცვლად რომელიმე პარტიის ან ლიდერისკენ გადახრისა. იმის გამო, რომ

[338] United States-Georgia Charter on Strategic Partnership, ხელმისავწდომია აქ: https://www.state.gov/united-states-georgia-charter-on-strategic-partnership/

ქართულ საზოგადოებაში რიგი წრეების მხრიდან შექმნილია სპეკულაციური ნარატივი, თითქოს აშშ ქვეყანაში ერთ კონკრეტულ ფრაქციას ან პოლიტიკურ ჯგუფს ემხრობა, ხოლო მეორეს მტრობს, საჭიროა წარმოვადგინოთ 2012 წლის არჩევნების პროცესში, ამერიკელი ოფიციალური პირების განცხადებათა ქრონოლოგია. უნდა ითქვას, რომ ეს მოვლენა ამერიკისთვის მიიჩნეოდა საკმაოდ საკვანძო საგარეო პოლიტიკურ ამოცანად, რასაც, სხვადასხვა დონის მაღალი რანგის პირების პროცესში ჩართულობა ადასტურებს. დავიწყოთ იმით, რომ უშუალოდ არჩევნების დღეს საქართველოში იმყოფებოდნენ სენატის წევრები, ჯინ შაჰინი და ჯიმ რიში, რომლებიც, Foreign Policy-ს მიხედვით, შეერთებული შტატების საელჩოსთან ერთად დააკვირდნენ არჩევნებს.[339] შეიძლება ითქვას, რომ არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარებაში, თავად შეერთებული შტატების სენატის წევრებმა შეიტანეს წვლილი. ჯინ შაჰინმა არჩევნების მეორე დღეს აღნიშნა, „ჩვენ ძალაუფლების გადაცემის ისტორიული მომენტი ვიხილეთ საქართველოში. ძალიან გვიხარია აღვნიშნოთ, რომ გუშინდელი არჩევნები საკმაოდ მშვიდად მიმდინარეობდა, მართალია მცირედი ინციდენტების ფონზე, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია ქართველი ხალხის ნების გამოვლენაში."[340] თავის მხრივ, მშვიდი გარემო და საარჩევნო კანონების აღსრულება მოიწონა ჯიმ რიშმაც, რომელმაც განაცხადა - „ყველაფერმა ძალიან წესრიგიანად ჩაიარა, ჩვენ ეს ვნახეთ. შეგიძლიათ ყველამ ერთად იამაყოთ იმ გზებით, თუ როგორ ჩატარდა არჩევნები.[341] ცხადია, სენატორებს კარგად მოეხსენებოდათ ქვეყანაში არსებული პოლარიზებული და ფეთქებადი გარემო, რის გამოც, წესრიგისა და მშვიდობის შენარჩუნების მიზნით, მათ პირადად მიიღეს მონაწილეობა პროცესში. არჩევნებს დააკვირდა და საარჩევნო უბნების უშუალოდ მოინახულა ელჩმა რიჩარდ ნორლანდმაც, რომელმაც არჩევნების წინა დღეს განაცხადა, რომ „ჩვენ, როგორც დამკვირვებლებს, თხოვნით მოგვმართეს, რათა განვახორციელოთ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეტყობინება გავაკეთოთ ნებისმიერი დარღვევის შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ადგილი არ ექნება დარღვევებს, მაგრამ თუ ისინი მოხდება, ჩვენ განვაცხადებთ მოცემული დარღვევების შესახებ, განურჩევლად იმისა, თუ ვის მიერ

[339] Senators praise historic Georgian elections, ხელმისაწვდომია აქ: https://foreignpolicy.com/2012/10/02/senators-praise-historic-georgian-elections/
[340] იქვე
[341] იქვე

იქნება ისინი დაშვებული. ყველას სურვილია, მიღწეული იქნას არჩევნების სარწმუნო შედეგები. ყველა მხარის ლიდერმა განგვიცხადა, რომ ისინი პატივს სცემენ სარწმუნო პროცესის შედეგებს და აქტიურად მოუწოდებენ თავიანთ მხარდამჭერებს, რათა მათაც ასევე პატივი სცენ მოცემულ შედეგებს.“ მან იქვე დასძინა, რომ საერთაშორისო საზოგადოება ხმების დათვლის ისეთ უზრუნველყოფას მოელის, როგორსაც ქართველი ხალხი იმსახურებს.[342] სავარაუდოა, რომ როგორც ელჩი ნორლანდი, ისე სენატორები პრეზიდენტ სააკაშვილს მოუწოდებდნენ მაქსიმალური მშვიდობის შენარჩუნებისა და ამომრჩეველთა ხმების დაცვისკენ. ამას ადასტურებს თეთრი სახლის 2 ოქტომბრის განცხადებაც, რომელშიც მითითებულია, რომ „საქართველომ რეგიონული და გლობალური მაგალითი აჩვენა როგორც კონკურენტული საარჩევნო კამპანიის ჩატარებითა და დემოკრატიული უფლებების თავისუფალი რეალიზებით, ასევე ვალდებულების აღსრულებით, ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემის თაობაზე.“[343] წერილში ნათლად ჩანს, რომ თუკი ქართველი ხალხის ნება იქნებოდა, იმდროინდელ მმართველ ძალას აუცილებლად უნდა დაეთმო გზა არჩევნებში გამარჯვებული კოალიციისთვის და ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის მაგალითი ეჩვენებინა. ყოველივე ამას ძირითად არგუმენტად მოსდევს პრეზიდენტ ობამას წერილი, პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის მიმართ, რომელმაც, ამ უკანასკნელს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და ურთიერთობების გაღრმავების სურვილი გამოთქვა. „არჩევნები თქვენი ქვეყნისთვის ისტორიულ მომენტს წარმოადგენდა და აჩვენა მსოფლიოს, რომ საქართველო დინამიური დემოკრატია გახდა. ახლა თქვენი მთავრობა მემკვიდრეობით იღებს დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების განმტკიცების და განვითარების გზაზე წინსვლის ამოცანას. ამისათვის საჭიროა, რომ მთავრობამ, პარლამენტმა და პრეზიდენტმა უკან მოიტოვონ საარჩევნო დაპირისპირება და ასევე [ხელისუფლების] გადაცემის პერიოდი და ერთად იმუშავონ კონსტრუქციულად იმ პოლიტიკის გასატარებლად, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქის ინტერესშია“,[344] ნათქვამი იყო პრეზიდენტ ობამას წერილში. ამდენად, შეერთებული შტატების დამოკიდებულება 2012 წლის არჩევნების მიმართაც

[342] აშშ–ის ელჩის კომენტარი არჩევნებზე, ხელმისავწდომი აქ: https://civil.ge/ka/archives/150921
[343] Statement by the Press Secretary on the Georgian Elections, ხელმისაწვდომია აქ: https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2012/10/02/statement-press-secretary-georgian-elections
[344] ობამამ ივანიშვილს მისალოცი წერილი გაუგზავნა, ხელმისავწდომია აქ: https://civil.ge/ka/archives/151041

გახლდათ ორპარტიული, მისი დაკვირვებისა და აღიარების პროცესში მონაწილეობდნენ როგორც რესპუბლიკელი, ისე დემოკრატი ლიდერები. ამასთან, მათგან არც ერთ ჯგუფს რაიმე კონკრეტული მხარდაჭერა არ გამოუთქვამს ცალკეული ქართული პარტიებისა თუ ლიდერების მიმართ. არამედ, მათ საქართველოს მხარი დაუჭირეს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. მეტიც, მათ ყველაფერი გააკეთეს უშუალოდ საარჩევნო უბნების დაკვირვების ჩათვლით, რომ საარჩევნო პროცესი გამჭვირვალე და ქართველი ხალხის ნების ამსახველი ყოფილიყო და როგორც მოყვანილმა დოკუმენტებმა აჩვენა, უშუალოდ დაუჭირეს მხარი ძალაუფლების მშვიდობიან გადაბარებას. ეს უკანასკნელი არამხოლოდ ქვეყანაში მმართველი პარტიის ცვლის გამოხატულებად, არამედ, ამერიკის რეგიონულ წარმატებადაც იქნა მიჩნეული, რამდენადაც მოხდა დემოკრატიის განვითარების პრაქტიკაში რეალიზება, რაც ამერიკული დახმარების ერთ-ერთ მთავარ მიზნად და წინაპირობად ითვლებოდა ხოლმე.

აღსანიშნავია ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლა 2016 წლის შემდეგ, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელების კანდიდატმა, დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა. ტრამპის თავისთავად ურთიერთსაწინააღმდეგო ფიგურაა ალბათ ნებისმიერი სახის დისკუსიაში, შესაბამისად, გამოითქმოდა ვარაუდი, რომ ვლადიმერ პუტინისთვის მაამებლური რიტორიკის გამო,[345] იგი საქართველოს რეალობისთვის სახიფათო პრეზიდენტი იქნებოდა. ამის მიუხედავად, საქმე სხვაგვარად წარიმართა. არჩევნიდან მეორე წელსვე, კერძოდ, 2017 წლის მაისში დონალდ ტრამპმა, ხელი მოაწერა 2017 წლის ბიუჯეტის კანონს, რომელშიც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ ჩანაწერიც გაკეთდა. რადიო თავისუფლების მიხედვით, ამ ჩანაწერის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების საბიუჯეტო დაფინანსებით ვერ ისარგებლებს ვერც ერთი ქვეყნის მთავრობა, რომელმაც აღიარა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ან მათთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა.[346] ეს აშკარად უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი

[345] Trump in hot water over Putin embrace, ხელმისავწდომია აქ: https://www.politico.com/story/2016/09/trump-putin-embrace-fallout-227940

[346] აშშ - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად, ხელმისავწდომია აქ: https://www.radiotavisupleba.ge/a/usa-saqartvelos-teritoriuli-mtlianobis-mkhardasacherad/28471820.html

იყო და დღემდე რჩება არაღიარების პოლიტიკის შენარჩუნებისა და კიდევ უფრო გაძლიერების თვალსაზრისით. მეტიც, ამან მალევე გამოიღო შედეგი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ამღიარებელ ნაურუს, შეერთებული შტატების მხრიდან დახმარება შეუწყდა.[347] ამერიკის მხრიდან მხარდაჭერა გაგრძელდა 2018 წელსაც, როცა შეერთებული შტატების კონგრესმა დაამტკიცა დოკუმენტი ამერიკული ანტისატანკო სისტემის, ჯაველინების საქართველოსთვის გადმოცემის თაობაზე.[348] ქვეყნის უსაფრთხოების მოწყვლადობიდან გამომდინარე, რაც განსაკუთრებით ნათელია რუსული ჯავშანტექნიკის დედაქალაქიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში განლაგების პირობებში, მსგავსი თავდაცვის სისტემის გადმოცემა უაღრესად მნიშვნელოვანი და საკმაოდ ხმამაღალი განაცხადი იყო საქართველოს მხარდაჭერის მიმართულებით. ამას მოჰყვა არაერთი მაღალი რანგის ვიზიტი საქართველოში, რომლის დროსაც ოფიციალურმა პირებმა არაერთხელ დაადასტურეს საქართველოს მიმართ ორპარტიული მხარდაჭერა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში, ახალი ელჩი, კელი დეგნანი დაინიშნა, საქართველოს ოფიციალურ პირებსა და ამერიკული მისიის ხელმძღვანელს შორის, ურთიერთობამ სხვადასხვა ეტაპზე თითქოს გაურკვეველი სახე მიიღო და დაიძაბა კიდეც. შეიძლება ითქვას, რომ ეს არ ყოფილა პიროვნული ურთიერთობების ცვლილება, არამედ მას ინსტიტუციური შემობრუნების ხასიათი ჰქონდა. ყველაზე რთული ხასიათი, ქართულ-ამერიკულმა ურთიერთობებმა 2023 წლის გაზაფხულზე, „უცხოური გავლენის აგენტების“ კანონის ინიცირების დროს მიიღო, როდესაც ელჩმა დეგნანმა მას შემდეგი კომენტარით უპასუხა: „USAID-ის მაგალითზე, ყოველი სამი თვის განმავლობაში დეტალური ანგარიში წარედგინება პარლამენტს, შემდგომ პარტნიორებიც დეტალურ ანგარიშს, ფინანსურს თუ სხვაგვარს, წარუდგენენ საგადასახადო სამსახურს და შესაბამისად, გამჭვირვალობის კუთხით ნამდვილად არ არის პრობლემა. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია სხვადასხვა წყაროების მეშვეობით, სხვადასხვა ვებსაიტებზე, თუ ვინმეს აინტერესებს.“[349] აქ ელჩმა დეგნანმა დასძინა:

---

[347] ნაურუ, რომელმაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარა, აშშ-ის ფინანსურ დახმარებას ვერ მიიღებს, ხელმისავწდომია აქ: https://netgazeti.ge/news/192841/

[348] “ჯაველინების” ტანკსაწინააღმდეგო სისტემა საქართველოშია, ხელმისავწდომია აქ: https://netgazeti.ge/news/247281/

[349] კელი დეგნანი - „უცხოური გავლენის აგენტების“ კანონპროექტი რუსული კანონია, ხელმისავწდომია აქ: https://www.interpressnews.ge/ka/article/746170-keli-degnani-ucxouri-gavlenis-agentebis-kanonproekti-rusuli-kanonia/

„ჩემი კითხვაა - სჭირდება კი საქართველოს ეს კანონი, როდესაც ისედაც არის საკმარისი გამჭვირვალობა და უკვე არის ღრმა თანამშრომლობა და კომუნიკაცია დონორებსა და მათ შორის, ვინც მუშაობენ ქართული საზოგადოების გაუმჯობესებაზე?“[350] ცხადია, მსგავსი კრიტიკა არც ხელისუფლების წარმომადგენლების ყურადღების მიღმა დარჩენილა, რის გამოც, ელჩსა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს შორის, ხისტი რიტორიკის ჩამოყალიბება ჩვეულებრივ დღის წესრიგადაც კი გადაიქცა. თუმცა, ამ ხისტმა და დაძაბულმა რიტორიკამ 2024 წლის გაზაფხულიდან კიდევ უფრო განსხვავებული და მძიმე სახე მიიღო მსგავსი შინაარსის კანონის განსხვავებული დასახელებით ქვეყანაში იმპლემენტაციის შემდეგ. პირველ რიგში ეს გამოიხატა 2024 წლის 5 ივლისის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის განცხადებაში, როდესაც მათ ყოველწლიური ერთობლივი სამხედრო სწავლების, „ღირსეული პარტნიორის“ განუსაზღვრელი ვადით გადადების შესახებ გვამცნეს. საინტერესოა, რომ სწავლების შეწყვეტის მიზეზებად დასახელებული იყო საქართველოს მთავრობის „ცრუ ბრალდებების გამო შეერთებული შტატებისა და სხვა დასავლური ინსტიტუტების მიმართ, თითქოს ისინი საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნას აიძულებენ და მონაწილეობდნენ გადატრიალების ორ მცდელობაში მმართველი პარტიის მიმართ.“[351] ამის გარდა, 2024 წლის ზაფხულში 95 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური დახმარების შეჩერება გამოაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტმაც, რომლის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ „საქართველოს მთავრობის ანტიდემოკრატიული ქმედებები და ცრუ განცხადებები შეუსაბამოა ევროკავშირისა და NATO-ს წევრობის მოსურნე ქვეყნისათვის.“ განცხადებაშივეა მითითებული 6.2 მილიარდი დოლარის საერთო დახმარებაზეც, რაც, 32 წლის განმავლობაში საქართველომ მიიღო.[352] ამას დაემატა, იმავე წლის აგვისტოში, ზემოთ უკვე მრავალჯერ ხსენებული ჯინ შაჰინის 2024 წლის აგვისტოში გაკეთებული

[350] იქვე
[351] Postponement of Exercise Noble Partner Announcement, ხელმისავწდომია აქ: https://www.defense.gov/News/Releases/Release/Article/3827839/postponement-of-exercise-noble-partner-announcement/
[352] United States to Pause Assistance to the Government of Georgia, ხელმისავწდომია აქ: https://www.state.gov/united-states-to-pause-assistance-to-the-government-of-georgia/?fbclid=IwY2xjawEXJpVleHRuA2FlbQIxMAABHS9FMHv4ISzr7rwge5xT_9HB3jyn8hFDIp1gxjdVmmeYmqy9XCn2pVPTOQ_aem_hLtkBVZWNvWZFuEwTWfZyw

განცხადება, რომლის მიხედვითაც, „საქართველოს პრემიერ-მინისტრი არ ჩანს დაინტერესებული აშშ-სთან ურთიერთობის გაგრძელებით“.[353]

ცხადია, ეს უპრეცედენტოდ რთული და პრობლემური ვითარებაა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მთელი ისტორიის განმავლობაში, რისი გადაწყვეტაც პოლიტიკურ ჯგუფებსა და ელიტებზეა დამოკიდებული. მიმდინარე ნაშრომის შემთხვევაში, ამ პროცესის განხილვის კონტექსტში მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ამერიკული პარტიების მონაწილეობას მიმდინარე პრობლემების გადაწყვეტაში და ქართული პარტიების მცდელობას, შეინარჩუნონ საჭირო ურთიერთობები შეერთებულ შტატებთან. პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას, რომ ამ გართულებულ ვითარებაშიც, შეერთებული შტატების მიდგომა საქართველოსთან მიმართებით კვლავ ორპარტიული რჩება. ვითარების ანალიზიდან ირკვევა, რომ ზემოთ ნახსენები სპეკულაციები, რომ რიგ ამერიკელ ოფიციალურ პირებს ქვეყანაში კონკრეტული პოლიტიკური ფიგურები ჰყავთ არჩეული და მათ ინტერესებს აყენებენ წინა პლანზე, ნაკლებად შეესაბამება სიმართლეს. მაგალითისთვის, საკმარისია გავიხსენოთ 2023 წლის მაისში ამერიკელი სენატორების განცხადება, როცა მათ სახელმწიფო მდივანს, 2024 წლის არჩევნებისთვის, საქართველოში გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შექმნას სთხოვენ. ვფიქრობ ნიშანდობლივია, რომ ეს სენატორები სწორედ იმავე პირები იყვნენ, ვინც 2012 წლის არჩევნებს საქართველოში პირადად დაესწრნენ. როგორც 2012 წლის შემთხვევაში, ჯინ შაჰინსა და ჯიმ რიშს სურთ „ამ გადამწყვეტ მომენტში, საქართველოს და ქართველ ხალხს მხარი დაუჭირონ.“[354] კვლავ ამ ორი სენატორის ხელმოწერა ჰქონდა დართული ამერიკელ წარმომადგენელთა 2024 წლის 26 აპრილის წერილს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართაც, რომელშიც, მათ კიდევ ერთხელ გამოხატეს უკმაყოფილება სადავო კანონის რისკების თაობაზე. წერილში მითითებული იყო ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ვრცელი ისტორიისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის შესახებ, რასაც, სადავო კანონის მიღების

[353] სენატორი ჯინ შაჰინი: საქართველოს პრემიერი არ ჩანს დაინტერესებული აშშ-სთან ურთიერთობების გაგრძელებით, ხელმისავწდომია აქ: https://www.radiotavisupleba.ge/a/33074367.html
[354] სენატორები ჯინ შაჰინი და ჯიმ რიში აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, 2024 წლის არჩევნებისთვის, საქართველოში გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შექმნას სთხოვენ, ხელმისაწვდომია აქ: https://www.interpressnews.ge/ka/article/755298-senatorebi-jin-shahini-da-jim-rishi-ashsh-is-saxelmcipo-mdivans-2024-clis-archevnebistvis-sakartveloshi-grzelvadiani-sadamkvirveblo-misiis-shekmnas-stxoven/

შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზიანი მიადგებოდა.[355] შესაბამისად, კონკრეტული სენატორების მხრიდან აქტიურობის მიზეზი მათი ცოდნა და ვრცელი გამოცდილებაა საქართველოსთან თანამშრომლობის. ამას ისიც ემატება, რომ მათი საქმიანობის სფერო კონკრეტულად საგარეო ურთიერთობებია, რამდენადაც, მათ წლების განმავლობაში სწორედ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხვადასხვა თანამდებობდა უჭირავთ. ამდენად, მათი მონაწილეობა ამ რთულ და საპასუხისმგებლო პროცესში მოიცავს ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის და არა საქართველო მოქმედი ვიწრო პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებიდან ამოსვლას. ეს იმიტომ, რომ როგორც 2012 წლის არჩევნების შემთხვევაში, სამართლიანი არჩევნების ჩატარება და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა, დღესაც მათი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა. ხოლო საქართველოში მიღწეული წარმატება დამატებით გააძლიერებს და გამართლებას მისცემს შეერთებული შტატების ჩართულობას მსგავსი მნიშვნელობის როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ საქმეებში.

ამდენად, წლების განმავლობაში მიმდინარე ახლო და აქტიური თანამშრომლობის მიუხედავად, 2024 წლის შემოდგომის მდგომარეობით, საქართველო დარჩენილია ამერიკული დახმარების გარეშე, რაშიც, ცხადია, პოლიტიკური პასუხისმგებლობა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ეკისრებათ. მმართველი პარტიის განცხადებით, ისინი მზად არიან ამ ურთიერთობათა გადასააზრებლად, თუმცა შემხვედრ ნაბიჯებს ელოდებიან, რაც ჯერჯერობით არ ჩანს.[356] საინტერესოა თუ რა იგულისხმება ზუსტად ასეთ ნაბიჯებში, თუმცა, ალბათ პოლიტიკური წრეების მხრიდან უმჯობესია ისეთი საკითხების გააზრება, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა და დღემდე აქვს შეერთებული შტატების მსგავს სუპერ სახელმწიფოს საქართველოს მსგავს, პრობლემურ რეგიონში არსებული ქვეყნისთვის, ოკუპირებული ტერიტორიებითა და საკმაოდ სუსტი ეკონომიკური მოცემულობით. საინტერესო ჟესტი იქნებოდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა ვიზიტი შეერთებული შტატების პარტიათა 2024 წლის აგვისტოში გამართულ ყრილობებზე

[355] April 26, 2024 Letter to the Prime Minister of Georgia, ხელმისავწდომია აქ: https://shorturl.at/svcks

[356] ირაკლი კობახიძე - მთავარია, მივიღოთ შემხვედრი ნაბიჯები ამერიკელი პარტნიორების მხრიდან, ხელმისავწდომია აქ: https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-mtavaria-mivighot-shemkhvedri-nabijebi-amerikeli-partniorebis-mkhridan-dghemde-amas-ver-vkhedavt-tumca-ukrainashi-omis-dasrulebis-shemdeg-midgomebi-radikalurad-sheicvleba/

ქალაქ მილუოკისა და ჩიკაგოში, რადგან ეს დაადასტურებდა ამერიკაში მიმდინარე პოლიტიკური ბატალიებისადმი ინტერესს. იმის გამო, რომ მიმდინარე ნაშრომი აკადემიური ხასიათიდან გამომდინარე, ძირითადად, ვითარების შეფასებას და ანალიზს ისახავს მიზნად, მისი მოქმედების არეალი შეზღუდულია. ხოლო აქ განხილული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა კი, სწორედ პოლიტიკური პარტიებისგანაა საჭირო, რომლებიც მოგვწონს თუ არა, მოქალაქეთა ნების გამოხატვის და აღსრულების ჯერ კიდევ ერთადერთ ძირითად ინსტრუმენტად რჩება.

დასკვნა

1787 წლის კონვენტზევე შეიქმნა შეერთებული შტატების კონსტიტუცია, რომელმაც დააფუძნა მმართველობის ფედერალური სისტემა, რომელმაც დაყო ეროვნული ანუ ფედერალური და შტატების ხელისუფლება.[357] თუმცა, როგორც დავინახეთ, ამერიკული დემოკრატიისა და ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც სახელმწიფოს დაფუძნება რთულ და ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესებს უკავშირდებოდა, რომელიც უცაბედად ნამდვილად არ მომხდარა. მეტიც, მას საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ნიშანდობლივია, რომ მათ შორის იყვნენ ადამიანები, რომელთა სახელი ერთგვარად შეერთებული შტატების დამოუკიდებლობას პირდაპირ უკავშირდება. მაგალითად, პატრიკ ჰენრი, რომელიც გახლავთ საყოველთაოდ ცნობილი სიტყვების, „თავისუფლება ან სიკვდილი“, ავტორი 1787 წლის კონტინენტურ კონვენტზე სწორედ ანტიფედერალისტთა რიგებში იყო.[358] ჰენრის მოსაზრებით, თუ ადრე თავისუფლების მტერი მეფე და მეტროპოლია იყვნენ, შემდგომში, ასეთი შეიძლებოდა ძლიერი ცენტრალური მთავრობა გამხდარიყო. სწორედ ამიტომაა, რომ ფედერალისტებმა გადამწვეტი სამუშაოს გაწევა აიღეს საკუთარ თავზე. რთული წარმოსადგენია როგორი იქნებოდა აწ უკვე დამოუკიდებელი 13 შტატის ისტორიის გაგრძელება, თუკი ალექსანდრ ჰამილტონი ნიუ იორკის შტატის ასამბლეაში ვერ შეძლებდა კონსტიტუციის მხარდამჭერი

[357] ელენე მეძმარიაშვილი, მიხელ ბარნოვი, 2019, გვ. 140
[358] Notes of Debates in the Continental Congress, 6 September 1774, ხელმისავწდომია აქ: https://founders.archives.gov/documents/Adams/01-02-02-0004-0006-0007

გადამწყვეტი სამი ხმის მოპოვებას. თუმცა, ნიჭიერ და პატრიოტ ამერიკელებთან ერთად, ამერიკული დემოკრატიის წარმატების გასაღები სწორედაც რომ **კომპრომისების ხელოვნებაში,** დავებისა და განსხვავებული შეხედულებების მშვიდობიანად გადაწყვეტის გამოცდილებაში უნდა ვეძიოთ. როგორც ნაშრომის სხვადასხვა ნაწილებში გამოიკვეთა, ამერიკის შეერთებული შტატები არ გახლდათ ზედმიწევნით ერთიანი და ჰომოგენური სახელმწიფო, რომელიც ბუნებრივად მიილტვოდა ძლიერი ცენტრალური მთავრობისა და ერის ფორმირებისკენ, თუმცა, ყველა სხვა შესაძლო პერსპექტივიდან, სწორედ ეს უკანასკნელი იქნა არჩეული, რათა მიღწეული ყოფილიყო პრეამბულისეული საყოველთაო კეთილდღეობა და თავისუფლება. ამდენად, მკითხველისთვის თვალსაჩინო უნდა გამხდარიყო, რომ ამერიკული სისტემის მშენებლობა და ჩამოყალიბება არათუ მარტივად მოხდა, არამედ საკმაოდ ახლოს იყო წარუმატებლობასთანაც კი. შესაბამისად გამოიკვეთა, რომ შეერთებული შტატები გახლავთ მრავალეთნიკური და განსხვავებული ინტერესების მქონე ადამიანთა კავშირი, თუმცა, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი შეთანხმდნენ ერთიან ეროვნულ მთავრობაზე, კანონებსა და კულტურულ ურთიერთობებზე. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ შეერთებული შტატები ისეთი გამოცდილი დემოკრატიის იდეური გაგრძელებაა, როგორიც არის დიდი ბრიტანეთი, რამდენადაც, ახალმოსახლეებმა სწორედ რომ ბრიტანული რესპუბლიკანიზმი და თვითმმართველობის ტრადიცია ჩაიტანეს კოლონიებში; ამერიკული ფედერალიზმი, როგორც ძლიერი ცენტრალური მთავრობის გამოხატულება, შექმნის პროცესში ერთგვარი აუცილებელი ბოროტების მაგალითი იყო, რომლის შექმნასთანაც ცალკეულ შტატებს, თავიანთი უფლების დათმობის შიშით, სერიოზული წინააღმდეგობა გააჩნდათ; **კონსესუსების ხელოვნებიდან** და ვითარების რაციონალური გააზრებიდან გამომდინარე, ადრეული რესპუბლიკის დროინდელი სახელმწიფო მოღვაწეების და ჩვეულებრივი ხალხის უმრავლესობა შეთანხმდა ძლიერი ცენტრალური მთავრობის უპირატესობაზე დაყოფილი და დაპირისპირებული შტატების საპირწონედ. აღნიშნულმა დებატებმა და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებმა გვიჩვენა, რომ მაღალი პოლიტიკური კულტურის არსებობის პირობებში, ისეთი სენსიტიური საკითხების გარშემოც შესაძლებელია კომპრომისების მიღწევა, როგორებიცაა პირადი თავისუფლების ხარისხი და დამოუკიდებლობა.

ამასთან ერთად, ნაშრომმა გამოკვეთა კონსტიტუციური კონვენტისა და კონსტიტუციის მიღების შემდგომი ამერიკის ვითარება, რომლის დროსაც, უკვე პოლიტიკური იდეების განსხვავებულობამ, პარტიების წარმოშობას დაუდო დასაბამი. ასე მაგალითად, ჯეფერსონის ხედვა ჰამილტონისგან რადიკალურად განსხვავდებოდა, რამდენადაც ჰამილტონის ძირითადი ამოსავალი სწორედ ადამიანების მიმართ უნდობლობა და შიში იყო, რის გამოც, სახელმწიფოს ძლიერი მმართველი უნდა ჰყავდეს პირად ინტერესებს მიჯაჭვული ხალხის მღელვარების დასაბალანსებლად. ხოლო ჯეფერსონს მიაჩნდა, რომ სწორედ ძლიერი მმართველია მთავარი პრობლემა ადამიანების თავისუფლებისა. „არა მეგობარო, კარგი და უსაფრთხო მმართველის ყოლა არ ნიშნავს ძალაუფლების ერთისთვის მინდობას, არამედ მის გადანაწილებას ბევრისთვის.“[359] აქ ჯეფერსონის ხალხის თანამონაწილეობას გულისხმობს მმართველობაში და ძალაუფლების მათთვის გაზიარებას. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ორივე მათგანის იდეები ინგლისურ ფილოსოფიის გაგრძელება იყო, თუმცა ჯეფერსონის წინამორბედს ჯონ ლოკი, ხოლო ჰამილტონისას, თომას ფობსი წარმოადგენდა. ეს იმიტომ, რომ ჯონ ლოკი მეტად ოპტიმისტია ადამიანის ბუნების მიმართ და მისი „ბუნებრივი მდგომარეობა“ ეფუძნება ადამიანთა მშვიდობიანი კოოპერაციის შესახებ მოლოდინს, ნაკლები ომისა და დაპირისპირების შიშით. ჰობსის შემთხვევაში კი პირიქით, „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“. ნიშანდობლივია, რომ აშშ-ის, როგორც ბრიტანული რესპუბლიკანიზმის ტრადიციის გაგრძელება, ამ ფიგურების დაპირისპირებაშიც კი ვლინდება. რაც მთავარია, ჰამილტონისა და ჯეფერსონის მიერ წამოწყებული დებატები იზოლირებულად არ მიმდინარეობდა, მასში ამერიკული საზოგადოება იყო ჩართული და მათ მიმდევართა საკმაოდ დიდი ჯგუფები ჰყავდათ. შედეგად კი, ამ დებატებმა უმდიდრესი მემკვიდრეობა დატოვა განსხვავებული იდეებისა თუ პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ამერიკელი ერის ფორმირება კი, სწორედ ამ იდეებზე გაგრძელდა და ბევრი მიმართულებით დღემდე მიმდინარეობს.[360]

---

[359] Thomas Jefferson to Joseph C. Cabell, 2 February 1816, ხელმისაწვდომია აქ: https://founders.archives.gov/documents/Jefferson/03-09-02-0286

[360] Edward L. Schapsmeier and Frederick H. Schapsmeier, “The Hamilton-Jefferson Confrontation: Origins of the American Political System”, Social Science , 1971, Vol. 46, No. 3, p. 146

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ისტორიამ გვაჩვენა, არც ჰამილტონის და არც ჯეფერსონის მოსაზრებები არ აღმოჩნდა სრული ჭეშმარიტება და ვერც იმას ვიტყვით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომი განვითარება მხოლოდ რომელიმე მათგანის ფილოსოფიას და პოლიტიკურ ხედვებს დაეფუძნა. ალბათ უფრო პირიქით, აშშ არის მათი აზროვნებისა და განსხვავებული პოლიტიკური ლოგიკის სინთეზის შედეგი, რაზეც, თანაბრად აისახა როგორც ჰამილტონის, ისე ჯეფერსონის შეხედულებები. ვფიქრობ, მათ დებატებს დაფუძნებული ეს ამერიკული ექსპერიმენტი, ისტორიულად საკმაოდ წარმატებულად და ნაყოფიერად ვითარდებოდა, თუკი სამოქალაქო ომის მძიმე გამოცდილებას არ ჩავთვლით. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ალბათ სწორედ მათ იდეების რადიკალიზაციის შედეგი იყო სამოქალაქო ომიც. ნებისმიერ შემთხვევაში, საინტერესო ამ განსხვავებული პარტიების მოლოდინებზე დაკვირვებაა. ერთ მხარეს სჯეროდა, რომ სერიოზული გადატრიალება იგეგმებოდა შტატების მთავრობებისა და რესპუბლიკანიზმის მიმართ, რაც კვლავ მონარქიას მოიყვანდა ხელისუფლებაში, ხოლო მეორეს მტკიცედ სწამდა, რომ მიმდინარეობდა ფედერალური მთავრობის გაუქმების მცდელობა, რის ნანგრევებზეც განცალკევებული შტატები გააგრძელებდნენ ანარქიულ მდგომარეობაში არსებობას. შესაძლოა, ორივე მხარე თანაბრად ცდებოდა და მათი საერთო ეჭვიანობა ხელოვნურადაც ქმნიდა საძირკველს, ერთმანეთის მიმართ წინააღმდეგობის გასაღვივებლად. ვფიქრობ, ამ აზრს ამყარებს მილერის მოსაზრებაც, რომ სინამდვილეში, ჰამილტონსა და ჯეფერსონს შორის კონფლიქტი ყოველთვის გაკრვეული პრინციპების და იდეოლოგიების სხვაობას არ ეფუძნებოდა. მიუხედავად იდეების მიმართ მნიშვნელოვანი ერთგულებისა, კაბინეტის ორი მდივანი ჩართული იყო ძალაუფლებისთვის ბრძოლაშიც. კითხვა, თუ ვინ ჩაიბარებდა ვაშინგტონის მემკვიდრეობას, არასდროს მოხსნილა ამ დაპირისპირების დღის წესრიგიდან.[361] სოლ პედოვერის მიხედვით, ამ ორი ადამიანის დაპირისპირებას პოლიტიკურთან ერთად, ნაწილობრივ პერსონალური საფუძვლებიც შეიძლება ჰქონოდა. წარმოვიდგინოთ სრულიად განსხვავებული ტიპის ორი პიროვნება - ერთი ქალაქის, ხოლო მეორე პროვინციის მკვირდი, ერთი ვაჭრის ოჯახიდან, მეორე ფერმერის. ჰამილტონს ფერმერები არ მოსწონდა, ხოლო ჯეფერსონს ბანკირები. და ბოლოს, იქნებ ჰამილტონს,

[361] Miller, 1960, p. 94

რომელიც დაბალი სიმაღლის, უკანონო შვილი იყო, ფარული წყენა ჰქონდა ახოვან და სოციალურად მტკიდეც დაფუძნებული ჯეფერსონის წარმომავლობის მიმართ.[362]

მათი პირადი თუ პოლიტიკური-იდეოლოგიური მოტივების წინაპირობათა მიუხედავად, ისინი ამერიკული პოლიტიკური ტრადიციის შტამაგონებლებად იქცნენ. აშშ-ში მათ შემდეგ განვითარებული პოლიტიკური პარტიები აგრძელებდნენ და აგრძელებენ არსებითად მსგავს საკითხებზე დავებს და მეცნიერები და სწავლულები, რიგ პოლიტიკოსებს დღემდე რომელიმე მათგანს ადარებენ. ამიტომ, ბევრ გამოწვევასა თუ კრიზისზე, დღესაც შეიძლება ადრეული რესპუბლიკის ისტორიული გამოცდილების შესაბამისად პასუხის გაცემა. როგორც ნაშრომმა აჩვენა, ამერიკის პრეზიდენტები და პოლიტიკური მოღვაწეები ამას პრაქტიკაში აკეთებდნენ კიდეც და არაერთი მათგანისთვის, ეს ფიგურები ღრმად პატივსაცემი წინაპრებიც იყვნენ. მათ, იგივე ფრანკლინ რუზველტის თუ რონალდ რეიგანის მაგალითზე, არაერთხელ გამოიყენეს დამფუძნებელ მამათა პრინციპები ქვეყნის წინაშე წამოჭრილი მძიმე პრობლემების საპასუხოდ. თუმცა, რაც აშკარად ნიშანდობლივია და რისი გამოკვეთაც ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო, ამერიკაში პოლიტიკური დებატების ძირითადი სათავე სწორედ ჰამილტონსა და ჯეფერსონს შორის დაპირისპირებით იწყება და უმნიშვნელო ცვლილებებით, თან გასდევს ერის არსებობის ყველა ეტაპზე დღევანდელობის ჩათვლით. ორ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, 2024 წლის წინასაარჩევნო კამპანიაც დატვირთულია დიდ და მცირე მთავრობასთან დაკავშირებული დაპირებებით. კვლავ ჩვეულებრივი მოვლენაა შტატების უფლებებისთვის ბრძოლა, შეინარჩუნონ მათ თავისუფლება ისეთი გამოწვევების მიმართ, როგორებიცაა სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, იარაღის შეძენისა და ტარების უფლება, აბორტის საკითხები, ემიგრაციის რეგულირება, წიაღისეულის მოპოვება და სხვ.

იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს დემოკრატიული სისტემის უწყვეტად მუშაობის ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს, მათგან რიგი საკითხების შესწავლა და გაზიარება არის საჭირო. ამ მიმართულებით საქართველოში არსებული სკეპტიციზმი გასაგებია და ეფუძნება ქართველი ერის არსებობის გაცილებით ვრცელ ტრადიციას. ეს არამხოლოდ ჩვენი, არამედ მსოფლიო თანამეგობრობისთვის კარგად

[362] Padover, 1960, p. 93

გასაგებია, მათ შორის ამერიკელებისთვის. თუმცა, ამ შემთხვევაში საუბარი მათგან კულტურული თავისებურებების, მრავალხმოვანების, ფართო სამზარეულოს, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციისა თუ იდენტობის სხვა მახასიათებლების გადმოღებას არ გულისხმობს, რადგან, ეს ჩვენი საკმაოდ ძლიერი მხარეებია. საქმე ეხება თვითმმართველობისა თუ დემოკრატიის ტრადიციებს, რაც, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მიუხედავად, ზოგჯერ შეწყდა, ზოგჯერ კი, დამპყრობელთა ძალმომრეობით საერთოდაც ჩაეხშო. ამის აშკარა გამოხატულება იყო 1921 წლის თებერვლის ოკუპაცია ბოლშევიკური რუსეთის მიერ, რამაც, ქართველ ხალხში იმ დროისთვის საკმაოდ დახვეწილი წარმომადგენლობითი დემოკრატიის, სიტყვის, აღმსარებლობისა თუ ეკონომიკური თავისუფლების ნიშნები ძირეულად ამოშანთა. სწორედ ამიტომ, 1990-იანი წლების დასაწყისში, მისი აღდგენა და ხელახლა გათავისება გაჭირდა. ამერიკული პოლიტიკური გამოცდილების ქართული პარტიებისა თუ სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ შედარებით უფრო ფართოდ შესწავლა რომ საჭირო და მნიშვნელოვანია, ეს დამოუკიდებლობის მთელი 34 წლის განმავლობაში კარგად გამოჩნდა. მსგავსი კომპრომისული მიდგომები და შიდა საზოგადოებრივი დებატების მეტნაკლებად მშვიდობიან გარემოში შენარჩუნება, ნებისმიერი დემოკრატიული და სტაბილური საზოგადოების მთავარი მახასიათებელია. შეერთებულ შტატებში, პოლიტიკურმა პარტიებმა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, ასეთი გარემოს შექმნაში დიდი წვილილი შეიტანა. ალბათ ნიშანდობლივია, რომ პირველ თავში განხილული ალექსანდრ ჰამილტონის და თომას ჯეფერსონის საკმაოდ მწვავე დაპირისპირებაც სწორედ პოლიტიკური პარტიების შექმნაში გადაითარგმნა. იმავე წარმატებით, პარტიებმა და პოლიტიკურმა ჯგუფებმა შეძლეს დაძაბულობის პოლიტიკურ დიალოგში გადატანა ისეთ მძიმე პერიოდებში, როგორებიც იყო მუშათა კლასის პრობლემები მე-19 საუკუნის დასაწყისში, დიდი დეპრესია, რასობრივი საკითხები 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანების დასაწყისში, 2008 წლის ეკონომიკური კრიზისი და სხვა. ამის პირველი მაგალითები ამერიკულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღების პერიოდში გაჩნდა, როდესაც, უდიდესი წინააღმდეგობების, განსხვავებების თუ პრეტენზიების მიუხედავად, დამფუძნებელთა თაობამ ერთი საერთო ღირებულების მქონე დოკუმენტის მიღება შეძლო. თუმცა, ამ დოკუმენტის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი არა

რომელიმე ხელისუფლების შტოს იდეალურად განსაზღვრა ან დაგეგმვა იყო, არამედ მეთოდები, თუ როგორი ურთიერთქმედება უნდა ჰქონოდათ მათ ერთმანეთის მიმართ. 2011 წლის 11 ოქტომბერს, მოსამართლე ანტონინ სკალიამ სენატის იურიდიული კომიტეტის სხდომის გახსნისას საზოგადოებას მიმართა და ამერიკული კონსტიტუციის ჭრილში მოსამართლის განსაკუთრებულ როლზე ისაუბრა.[363] ამ გამოსვლაში, მოსამართლემ ხაზი გაუსვა, თუ რატომ ფუნქციონირებს ჯერ კიდევ ამერიკული დემოკრატია და რა განასხვავებს მას ისეთი აუტორიტარული რეჟიმებისგან, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, რომელსაც, ყველასთვის საკვირველად, ადამიანის უფლებების ნაწილი ბრწყინვალედ ჰქონდა ჩამოყალიბებული. სკალიას თქმით, ასეთი ქვეყნების კონსტიტუციების ყველაზე სერიოზული პრობლემა ხელისუფლების ცენტრალიზაციისგან თავის დაზღვევის მექანიზმების არქონაა, რაც თავად ადამიანის უფლებების ნაწილსაც, „როგორც დამფუძნებლები იტყოდნენ, უსარგებლო ქაღალდის გროვად აქცევს“. შემთხვევითი არ არის, რომ ამ გამოსვლაში სკალია სწორედ ძალაუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, რომელიც, ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის ძალაუფლების გადანაწილებას გულისხმობს. ნაშრომში არაერთხელ ნახსენებმა ჯეიმს მედისონმა, თავისი 47-ე ფედერალისტური წერილი, სწორედ ძალაუფლების დანაწილებას მიუძღვნა. მითითებულ წერილში ვკითხულობთ, „როცა მთელი ძალაუფლება, მისი სამი – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო – შტოს სახით თავმოყრილია ერთ ხელში, ასეთი ვითარება სამართლიანად იწოდება ტირანიად, ამ სიტყვის ყველაზე ზუსტი მნიშვნელობით“ {...} „ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება; უპრიანია, ისინი ერთმანეთისგან განკერძოებულად მოქმედებდნენ, რამდენადაც ამის შესაძლებლობას თავისუფალი მართვის სისტემის ბუნება იძლევა“.[364] იმავე კონცეფციის ასახსნელად, მედისონი 51-ე ფედერალისტურ წერილში აღნიშნავს, რომ ერთმმართველობის თავიდან არიდების მიზნით „ერთის მხრივ სათანადო კონსტიტუციური უფლებამოსილება მივანიჭოთ მათ, ვინც ამა თუ იმ დეპარტამენტს

[363] Antonin Scalia on American Exceptionalism, ხელმისავწდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=Ggz_gd--UO0

[364] ჯეიმს მედისონი, ფედერალისტი #47, ხელმისავწდომია აქ: http://www.federalistpapers.ge/federali47.php

მართავს; მეორე მხრივ კი აუცილებელია ის, რომ მათ პირადი მიზეზები ჰქონდეთ საიმისოდ, რათა წინ აღუდგნენ სხვა დეპარტამენტთა წევრების მიერ მათ უფლებამისილებებში შეჭრის მცდელობას. როგორც ამ სიტუაციაში, ისე ყველა სხვა შემთხვევაში აუცილებელია, საშუალება საფრთხის თანაზომიერი იყოს. პატივმოყვარეობას პატივმოყვარეობა უნდა დაუპირისპირდეს."[365] გამოდის, ჯეიმს მედისონს, როგორც კონსტიტუციის ერთ-ერთ ავტორს, ძალაუფლების დანაწილების პრინციპი არათუ პრაქტიკულ დონეზე, არამედ ადამიანის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე ჰქონდა შესწავლილი, რაც ცალსახად მის გენიალურობაზე მიუთითებს. მართალია, ძალაუფლების დანაწილების სკალიასეული დახასიათება და მედისონისეული ახსნა-განმარტება ერთადერთი მიზეზი ვერ იქნებოდა საზოგადოებრივი სტაბილურობის და ამას პარალელურად პოლიტიკური კულტურაც უნდა დართვოდა, თუმცა, ფაქტია, სისტემამ ისტორიის არაერთ მონაკვეთში ითამაშა მნიშვნელოვანი როლი ამერიკული ექსპერიმენტის გადარჩენის კონტექსტში. ქართველი ექსპერტის აზრით, სწორედაც სისტემის შესაფერისი ორგანიზებაა ის, რაც ქართულ პოლიტიკურ რეალობას ყველაზე მეტად სჭირდება. თედო ჯაფარიძის მიხედვით, „ქართული პარტიული სისტემის მთავარი პრობლემა არის ძალაუფლების ცდუნება, რომელიც მართვის გაჩენის შემდეგ ჩნდება. ეს ამერიკის მამა-დამარსებლებს გათვალისწინებული ჰქონდათ, რადგან „ადამიანები ანგელოზები არ არიან" და საჭიროა კონტროლის მექანიზმები. ჩვენს შემთხვევაში ეს მექანიზმები არ არსებობს და ეს პარტიების მოდელები იქნება თუ ეკონომიკური ხედვები, მათი გადმოტანა დამოკიდებულია მენტალობაზე."[366] ხოლო ვახტანგ ძაბირაძის მიხედვით კი, „ხელისუფლებაში მოსულ ყველა პარტიას ახასიათებს ოპოზიციის დაგმობა. ისინი პირველ რიგში რასაც ცდილობენ არის ძალაუფლების შენარჩუნება. თავიდან ისინი მოდიან როგორც კოალიცია, შემდეგ ეს კოალიცია იშლება და მთავარი გამწევი ძალა რჩება, რომელიც ცდილობს ძველი სახელისუფლებო კადრები გაათავისუფლოს და ისინი საკუთარით ჩაანაცვლოს. შემდეგ ხდება პარტიული და სახელმწიფო უწყებების ერთმანეთში გაერთიანება და იქმნება ავტოკრატიული ვერტიკალი. ამდენად, ასეთ ვითარებაში რაიმე დასავლურ ანალოგებზე საუბარი, ჯერჯერობით რთულია.[367]

[365] ჯეიმს მედისონი, ფედერალისტი #51, ხელმისაწვდომია აქ: http://www.federalistpapers.ge/federali51.php
[366] ინტერვიუ თედო ჯაფარიძესთან, ჩაიწერა გიორგი ლაბაძემ 03/08/2024
[367] ინტერვიუ ვახტანგ ძაბირაძესთან, ჩაიწერა გიორგი ლაბაძემ 05/08/2024

დასასრულისთვის ღირს მოვიყვანოთ ამერიკული დემოკრატიისთვის ალბათ ყველაზე ნიშანდობლივი ავტორი, რომელმაც, კონსტიტუციის მიღების პროცესში, შტატებსა და საზოგადოების სხვადასხვა წრეებს შორის არსებული განსხვავებები აღწერა. ტოკვილის მიხედვით, „მართალია უცაბედად ინგლისისგან ჩამოშორებულ 13 კოლონიას ერთმანეთის მსგავსი რელიგია, ენა, მორალი და კანონები ჰქონდათ, რაც მათი გაერთიანების წახალისების მიზეზი გახდა, მაგრამ თითოეული მათგანი ყოველთვის განცალკევებით არსებობდა თავისი მთავრობით, ცალკეული ინტერესებით თუ წეს-ჩვეულებებით. ამიტომ, არც ერთ მათგანს არ ხიბლავდა სოლიდური და ძლიერი კავშირი, რომელშიც საერთო ინტერესები გადაწონიდა მათ ინდივიდუალურ მნიშვნელობას.“[368] ამის მიუხედავად, ეს წინააღმდეგობა კონსესუსის მიღწევითა და მომავლის გრძელვადიანი გააზრებით დასრულდა. უფრო ზუსტად, თითოეულმა შტატმა უარი თქვა აბსოლუტურ სუვერენიტეტზე, რაც მათ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჰქონდათ და შეუერთდა კავშირს, რომელიც, მას როგორც ერთმანეთს შორის უთანხმოების, ისე გარეშე მტრის მიერ შევიწროებისგან დაიცავდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამერიკული დემოკრატიის დაბადება და მისი წარმოშობის პროცესის შესწავლა თუ გააზრება სწორედაც რომ მეტ ყურადღებას იმსახურებს არამხოლოდ მკვლევარების, არამედ ყველა მოქალაქისგან. პარტიულობა თუ ფრაქციონიზმი, საქართველოს ისტორიისა და აწმყოს განუყოფელი ნაწილია, რაც სოციოლოგებსა და ისტორიკოსებს კარგად მოეხსენებათ, თუმცა ამერიკის მაგალითზე, წარმატების ფორმულა და წინაპირობა, ერის ერთობილივი მშენებლობაა, თუნდაც რიგი პირადი ინტერესების დათმობის ხარჯზე. მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური, იდეოლოგიური ხედვებისა, ეროვნული წარმატების მიღწევა, მხოლოდ ნაცადი, კომპრომისული და დათმობების გზითაა შესაძლებელი. შეერთებული შტატების პარტიული ისტორია სწორედ ამის მაგალითია, ხოლო თავისმხრივ, ამ გამოცდილების გაზიარება, ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმაც უნდა დაისახოს მიზნად.

[368] ტოკვილი, 2011, გვ. 188

გამოყენებული ლიტერატურა

ა) სამეცნიერი ლიტერატურა

1. ბარნოვი, მიხეილ, 2017. *ჯორჯ ვაშინგტონი* . გამომცემლობა პალიტრა L. თბილისი
2. დემეტრაშვილი, ა., გიორგი გოგიაშვილი. 2016. „კონსტიტუციური სამართალი“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი
3. მეძმარიაშვილი ე, მიხელ ბარნოვი. 2019. *ამერიკული დემოკრატიის გაკვეთილები (1600-1877).* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
4. ხუბუა, გიორგი. 2000. *ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი.* თბილისი.
5. ტოკვილი, ალექსის დე. 2011. *დემოკრატია ამერიკაში, დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიას თარგმანი.* გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

6. კაჭარავა, ვასილ. 2008. „ამერიკა 1920-იან წლებში“, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი.
7. კაჭარავა, ვასილ. 2011. „ამერიკა 1950-იან წლებში“, გამომცემლობა „კლიო“, თბილისი.
8. კაჭარავა, ვასილ. 2018. „დემორატიის გაკვეთილები: ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია 1877-2008 წლებში“. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
9. კაჭარავა, ვასილ. 2022. „რონალდ რეიგანი და მისი ათწლეული: ამერიკა 1980-იან წლებში“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
10. კალანდაძე, მერაბ. 2005. „ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია“, გამომცემლობა „არტანუჯი”, თბილისი.
11. მოსაშვილი, ა. 2020. „ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები 1992- 2002 წწ.“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
12. შევარდნაძე, ე. 2018. „ფიქრი წარსულსა და მომავალზე: მემუარები“, მეორე გამოცემა, თბილისი
13. შვაიკარტი, ლ. დეივ დოქერტი, მაიკლ ალენი,. 2014. *„პატრიოტთა ისტორიის მასალები“,* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
14. ჯენტლესონი, ბ. 2015. „ამერიკის საგარეო პოლიტიკა - არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
15. რეიგანი, რ., 2011. „ამერიკული ცხოვრება“, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. თბილისი
16. ჩარკვიანი, გ. 2016. „ნაცნობ ქიმერთა ფერხული“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი
17. შველიძე, დ., 2021, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში 1987-1992 წლებში“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი
18. ჟორდანია, ნ., 1920 „ახალი გზით“, გამოცემა N2, „ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობა“
19. Allswang. John M. 1978. „The New Deal and American Politics: A Study in Political Change“, Indiana University.

20. Beard, Charles A. Beard and Mary R. New York. *A Basic History of the United States.* 1944: Doubleda, Doran & Company.
21. Berkin, Carol. 2006. " We, The People of the United States: The Birth of An American Identity, September 1787." *OAH Magazine of History.*
22. Blum. John M., 1980. „The Progressive Presidents: Roosevelt, Wilson, Roosevelt, Johnson“, Norton & Company, Inc., N.Y.
23. Brownlee, Elliot W. 2013. „The New Freedom and its Evolution“, A John Wiley & Sons, Ltd, Chichester.
24. Bibby, John F. 1992. *Governing by Consent.* Washington D.C.: Congressional Quarterly Inc.
25. Bowen, Catherine Drinker. 1966. *Miracle at Philadelphia; the story of the Constitutional Convention, May to September, 1787.* Boston.
26. Christ, B., Great Olson. 2012. „Obama and the Paradigm Shift“, Universitatsverlag Heidelberg.
27. Cooke, Jacob E. 1961. „The Federalist”, Wesleyan University.
28. Derek Muller. 2012. "Invisible Federalism and the Electoral College ." *Arizona State Law Journal, Vol 44.*
29. Ehrman J. And Michael W. Flamm. 2009. „Debating the Reagan Presidency“, Rowman & Littlefield Publishers, Inc., Lanham, Maryland.
30. Edited by Herbert J. Storing, Volume 1. 1981. „The Complete Anti-Federalist“. Chicago: The University of Chicago Press.
31. Fischer, Louis. 1991. *Constitutional Conflicts Between Congress and President.* Kansas University Press.
32. Gould. L. Lewis. 2003. „A History of the Republicans“, 1st Edition, Random House, The United States.
33. Goldwater, Barry. 1960. „The Conscience of a Conservative”, Victor Publishing Company, Inc., Shepherdsville, Kentucky.
34. Hanson, D. V., 2019. „The Case for Trump“, Basic Books.
35. Herbert Wechsler. 1954. „The Political Safeguards of Federalism: The Role of the States in the Composition and Selection of the National Government.“ *Columbia Law Review.*
36. Hofsdadter, Richard. 1969. „The Idea of a Party System“, University of California Press.
37. Hofsdadter, Richard. 1989. „The Age of Reform: From Bryan to F.D.R.“ Alfred A. Knopf, Inc., New York.

38. Hoover, Herbert. 1922. „American Individualism“, *Doubleday, Page & Company,* Garden City, New York.
39. Jensen, Merril. 1958. *“The Making of the American Constitution”* . Malabar, Florida: Robert E. Krieger Publishing Company.
40. Kingdon, Frank. 1947. „Architects of the Republic“, *Allience Publishing Co.,* New York.
41. LaCroix, Alison L. 2010. „The Ideological Origins of American Federalism“, Harvard University Press.
42. Levin, Mark. 2009. „Liberty and Tyranny: A Conservative Manifesto*”.* New York
43. Mitchell, A. L. 2009. „Uncertain Democracy: US Foreign Policy and Georgia’s Rose Revolution“, University of Pennsylvania Press, Philadelphia
44. Murrin, John M. 1987. "A Roof without Walls: The Dilemma of American National Identity." In *In Beyond Confederation: Origins of the Constitution and American National Identity,* by Stephen Boten, and Edward C. Carter Richard Beeman. University of North Carolina Press.
45. Mason, Robert. 2012. „The Republican Party and American Politics from Hoover to Reagan“, Cambridge University Press, New York.
46. John C. Miller.1960. *The Federalist Era, 1789–1801.* New York: Harper and Brothers.
47. Cappon, Ed. Lester J. 1959. *The Adams-Jefferson Letters: The Complete Correspondence Between Thomas Jefferson and Abigail Adams.* Chapel Hill: University of North Carolina Press.
48. Reichley, James. 1992. "The Life of the Parties: a History of American Political Parties", Free Press, N.Y.
49. Schattschneider, Elmer E. 1942. "Party Government", Rinehard, New York
50. Schapsmeier L. Edward and Frederick H. 1971. “The Hamilton-Jefferson Confrontation: Origins of the American Political System” Social Science Journal, Vol. 46, No. 3
51. Turner, Frederick J. and John Mack Faragher. 1994. "The Significance of the Frontier in American History", Yale University Press.
52. Hanson, Victor Davis. 2019. *The Case for Trump.* New York: Basic Books.
53. Hicks, John. 1949. "The American Nation, A History of the United States from 1865 to Present". The Riverside Press. Cambridge, Massachusetts
54. Kirk, Russel. 2001. *“The Conservative Mind”, Seventh Revised Edition.* Washington DC: Regnery Publishing Inc.
55. Schudson, Michael. 1998, *The Good Citizen: A History of American Civic Life.* New York: Free Press.

56. Skjonsberg, Max. 2016. Lord Bolingbroke's Theory of Party and Opposition", The Historical Journal, Vol. 59, No.
57. Griswold, A. Whitney. 1946. "The Agrarian Democracy of Thomas Jefferson." *American Political Science Review*
58. Morgan H. Wayne. 1956 „The Origins and Establishment of the First Bank of the United States“, The Business History Review , Dec., 1956, Vol. 30, No. 4
59. Olsen, Henry. 2017. „The Working-Class Republican: Ronald Reagan and the Return of Blue-Collar Conservatism“, Broadside Books, New York.
60. Onuf, Peter S. "A Scholars' Jefferson" ." 1993,*The William and Mary Quarterly* 674-681
61. Padover, Saul. 1960. *The Genius of America.* "McGraw-Hill Book Company, Inc.
62. Pilon, Roger. "American Constitutional Theory and History: Implications for European Constitutionalism." *the Cato Journal of Public Policy Analysis,* Fall 2018 .
63. Perkings, Branford. 1993. „The Cambridge History of American Foreign Relations, The Creation of a Republican Empire“, Volume I, Cambridge University Press, NY.
64. Romney, M. 2010. „No Apology: The Case for American Greatness“, St. Martin's Press, New York.
65. Ross, Tara. 2004. *The Electoral College: Enlightened Democracy".* Washington D.C.: The Heritage Foundation.
66. Urofsky, Melvin I. 1994. Basic Readings In U.S. Democracy, United States Information Agency
67. Yoo, John. 2019. "A Defense of the Electoral College in the Age of Trump." *Pepperdine Law Review, Vol. 46.*
68. White, Leonard D. 1948. *The Federalists: A Study in Administrative History.* New York: The Free Press
69. Witcover, Jules. 2003. "A History of the Democrats", 1st Edition Random House, The United States.
70. Zieger, Robert H. 1969. „Republicans and Labor: 1919-1929“, University of Kentucky Press, Lexington.

ბ. დოკუმენტები

71. Objections and Answers Respecting the Administration. August 18, 1792. https://founders.archives.gov/documents/Hamilton/01-12-02-0184-0002#ARHN-01-12-02-0184-0002-fn-0005. (გადამოწმებულია 19/09/2024)

72. Remarks By Kentucky Senator Thruston B. Morton on the 1964 Elections, Roosvelt Institute of American Studies, Papers of the Republican Party, 1911-1980, Reel 8, Series B, 0513
73. Cabell, Thomas Jefferson to Joseph C. 1816. February 2 . https://founders.archives.gov/documents/Jefferson/03-09-02-0286. (გადამოწმებულია 19/09/2024)
74. The Letter of President of Georgia Zviad Gamsakhurdia to United States Secretary of State James Baker, https://idfi.ge/en/the_letter_of_president_of_georgia_zviad_gamsakhurdia_to_us_secretary_of_state_james_baker, (გადამოწმებულია 19/09/2024)
75. Theodore Roosevelt, "Remarks at the Forty-Second Anniversary Banquet of the Union League Club in Philadelphia, Pennsylvania", https://www.presidency.ucsb.edu/documents/remarks-the-forty-second-anniversary-banquet-the-union-league-club-philadelphia (გადამოწმებულია 10/09/2024)
76. Pierre Samuel Du Pont de Nemours to Thomas Jefferson, 1816. May 12. https://founders.archives.gov/?q=jefferson%20to%20Nemours&s=1211311113&sa=&r=22&sr=.
77. Herbert Hoover "Letter to the Chairman of the Republican National Committee on the Role of the Republican Party", February 27, 1993 (გადამოწმების თარიღი: 10/09/2024)
78. Remarks New York Ratifying Convention. 1788. June 24 . https://founders.archives.gov/documents/Hamilton/01-05-02-0012-0023 (გადამოწმებულია 19/09/2024)
79. IDFI Archive, https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/achieves/Agenda_1991.PDF (გადამოწმებულია 19/09/2024)
80. IDFI Archive, https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/achieves/CIA_1991.pdf, (გადამოწმებულია 19/09/2024)
81. IDFI, CIA Documents, https://idfi.ge/en/documents_from_cia (გადამოწმებულია 19/09/2024)Notes of Debates in the Continental Congress, 6 September 1774, https://founders.archives.gov/documents/Adams/01-02-02-0004-0006-0007, (გადამოწმებულია 19/09/2024)

82. John Adams, "Thoughts on Government". 1776. April. https://founders.archives.gov/documents/Adams/06-04-02-0026-0004, (გადამოწმებულია 19/09/2024)
83. Thomas Jefferson to Joseph C. Cabell, 2 February 1816, https://founders.archives.gov/documents/Jefferson/03-09-02-0286, (გადამოწმებულია 19/09/2024)
84. United States-Georgia Charter on Strategic Partnership, https://www.state.gov/united-states-georgia-charter-on-strategic-partnership/, (გადამოწმებულია 19/09/2024)

გ. ინტერვიუები

85. ინტერვიუ თედო ჯაფარიძესთან. ჩაიწერა გიორგი ლაბაძემ. 03/08/2024, თბილისი.
86. ინტერვიუ დიმიტრი შველიძესთან. ჩაიწერა გიორგი ლაბაძემ. 04/08/2024, თბილისი
87. ინტერვიუ ვახტანგ ძაბირაძესთან. ჩაიწერა გიორგი ლაბაძემ. 05/08/2024, თბილისი

დ. პერიოდული პრესა

88. ნიკოლაძე, ნ. „შინაური მიმოხილვა - ქართული მწერლობა“, გაზეთი მოამბე N1, იანვარი, 1895, გვ. 91, https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/155546 გადამოწმებულია, 19/09/2024
89. ჭავჭავაძე, ი., გაზეთი ივერია N15, 21 იანვარი 1895, https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/60266, გადამოწმებულია, 19/09/2024
90. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, დეკემბერი, 1991, https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/8308/1/SakartvelosRespublika_1991_N253.pdf (გადამოწმებულია 19/09/2024)
91. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, აგვისტო, 1991, N90, ხელმისაწვდომია აქ: https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/300424/1/Axalgazrda_Iverieli_1991_N90.pdf (გადამოწმებულია 19/09/2024)

92. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 აგვისტო, 1991, ხელმისაწვდომია აქ: https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/8108/1/SakartvelosRespublika_1991_N152.pdf (გადამოწმებულია 19/09/2024)
93. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი, აგვისტო, 1991, N157, ხელმისაწვდომია აქ: https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/8122/1/SakartvelosRespublika_1991_N157.pdf (გადამოწმებულია 19/09/2024)

ე. ინტერნეტ წყაროები

94. 1991 წლის აგვისტოს პუტჩი და საქართველო, https://shorturl.at/3lxIZ (გადამოწმებულია 19/09/2024)
95. აშშ - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად, https://www.radiotavisupleba.ge/a/usa-saqartvelos-teritoriuli-mtlianobis-mkhardasacherad/28471820.html, (გადამოწმებულია 19/09/2024)
96. აშშ–ის ელჩის კომენტარი არჩევნებზე, https://civil.ge/ka/archives/150921, (გადამოწმებულია 19/09/2024)
97. კელი დეგნანი - „უცხოური გავლენის აგენტების“ კანონპროექტი რუსული კანონია, https://www.interpressnews.ge/ka/article/746170-keli-degnani-ucxouri-gavlenis-agentebis-kanonproekti-rusuli-kanonia/, (გადამოწმებულია 19/09/2024)
98. ლეშეკ ბალცეროვიჩი და საქართველო, https://geoeconomics.ge/?p=598, (გადამოწმებულია 19/09/2024)
99. ლეშეკ ბალცეროვიჩი და ქართული ეკონომიკური „ჩვეულებრიობა“, https://shorturl.at/lq7L6, (გადამოწმებულია 19/09/2024)
100. ნაურუ, რომელმაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარა, აშშ-ის ფინანსურ დახმარებას ვერ მიიღებს, https://netgazeti.ge/news/192841/, (გადამოწმებულია 19/09/2024)
101. რადიო თავისუფლები, „ნიქსონი, გამსახურდია და დამოუკიდებლობის რეფერენდუმი“, https://shorturl.at/kDGB4 (გადამოწმებულია 19/09/2024)
102. რადიო თავისუფლება, „როგორ ვერ გადავიტანეთ აგვისტოს ბუტჩი“, https://shorturl.at/WNWuN, (გადამოწმებულია 19/09/2024)

103. საქართველოს დაბადება, აკაკი ასათიანი, https://www.youtube.com/watch?v=3jOipOR6irg&t=1s, (გადამოწმებულია 19/09/2024)

104. საქართველოს დაბადება, ბაკურ გულუა, ნაწილი II, https://www.youtube.com/watch?v=agAYRnZFZTg&t=1s, (გადამოწმებულია 19/09/2024)

105. სენატორი ჯინ შაჰინი: საქართველოს პრემიერი არ ჩანს დაინტერესებული აშშ-სთან ურთიერთობების გაგრძელებით, https://www.radiotavisupleba.ge/a/33074367.html, (გადამოწმებულია 19/09/2024)

106. სენატორები ჯინ შაჰინი და ჯიმ რიში აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, 2024 წლის არჩევნებისთვის, საქართველოში გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შექმნას სთხოვენ, https://www.interpressnews.ge/ka/article/755298-senatorebi-jin-shahini-da-jim-rishi-ashsh-is-saxelmcipo-mdivans-2024-clis-archevnebistvis-sakartveloshi-grzelvadiani-sadamkvirveblo-misiis-shekmnas-stxoven/, (გადამოწმებულია 19/09/2024)

107. ფედერალისტური წერილები, http://www.federalistpapers.ge/index.php, (გადამოწმებულია 19/09/2024)

108. ზვიადი, "თაობათა ბრძოლა" ეროვნულ მოძრაობაში, აგვისტოს პუტჩი და მრავალი სხვა, https://www.youtube.com/watch?v=iB1a0YfzOSQ, (გადამოწმებულია 19/09/2024)

109. ობამამ ივანიშვილს მისალოცი წერილი გაუგზავნა, https://civil.ge/ka/archives/151041, (გადამოწმებულია 19/09/2024)

110. “ჯაველინების” ტანკსაწინააღმდეგო სისტემა საქართველოშია, https://netgazeti.ge/news/247281/, (გადამოწმებულია 19/09/2024)

111. Address on Gorbachev Resignation, https://www.c-span.org/video/?23549-1/address-gorbachev-resignation (გადამოწმებულია 10/09/2024)

112. Antonin Scalia - On American Exceptionalism, https://www.youtube.com/watch?v=Ggz_gd--UO0, (გადამოწმებულია 19/09/2024)

113. April 26, 2024 Letter to the Prime Minister of Georgia, https://www.shaheen.senate.gov/imo/media/doc/georgia_letter.pdf?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR03HjWynK7TeNwIbIvkl3ADwy7yh6LZ2eXKch-

jbCs1jgj9FelG23vqA4M_aem_AdbtRCVyCGaA6O-bVCG1CuLfHMbcQlyBrSF3XhEqVB5psF5QRXzoV_9t1BfahiKg1yItI9rNU74QJ2AlZ9KSaVxN (გადამოწმებულია 19/09/2024)

114. Election of 1828, https://www.u-s-history.com/pages/h325.html (გადამოწმებულია 09/09/2024)

115. Failed Coup in the Soviet Union, https://www.c-span.org/video/?20779-1/failed-coup-soviet-union, (გადამოწმებულია 19/09/2024)

116. First Statement on Soviet Coup, https://www.c-span.org/video/?20705-1/statement-soviet-coup, (გადამოწმებულია 19/09/2024)

117. Historical Presidential Elections, https://www.270towin.com/historical-presidential-elections/ (გადამოწმებულია 19/09/2024)

118. Labadze, G. „Rebuilding the Reagan Coalition is a Tall Order“, https://conservatives.global/rebuilding-the-reagan-coalition-is-a-tall-order/ (გადამოწმებულია 09/09/2024)

119. McCain vs. Obama: The first 2008 presidential debate, https://www.youtube.com/watch?v=4b7NfEZWBzw&t=1s, (გადამოწმებულია 19/09/2024)

120. McCain vs. Obama: The second 2008 presidential debate, https://www.youtube.com/watch?v=V0ppjZvvgDU&t=1s, (გადამოწმებულია 19/09/2024)

121. Postponement of Exercise Noble Partner Announcement, https://www.defense.gov/News/Releases/Release/Article/3827839/, (გადამოწმებულია 19/09/2024)

122. President Reagan's Inspiring Speech at Pointe du Hoc on the 40th Anniversary of D-Day, https://www.youtube.com/watch?v=CENbdxQcUZc (გადამოწმებულია 10/09/2024)

123. Reagan, Ronald. 1964. „A Time for Choosing“, https://www.youtube.com/watch?v=qXBswFfh6AY&t=220s (გადამოწმებულია 09/09/2024)

124. Remarks to Soviet Dissidents at Spaso House in Moscow, https://www.reaganlibrary.gov/archives/speech/remarks-soviet-dissidents-spaso-house-moscow (გადამოწმებულია 19/09/2024)

125. Remarks to the Supreme Soviet of the Republic of the Ukraine in Kiev, Soviet Union, https://bush41library.tamu.edu/archives/public-papers/3267 (გადამოწმებულია 19/09/2024)

126. Roosevelt, Theodor. "New Nationalistm", September 01, 1910, https://teachingamericanhistory.org/document/the-new-nationalism/ (გადამოწმებულია 09/09/2024)

127. Senators praise historic Georgian elections, https://foreignpolicy.com/2012/10/02/senators-praise-historic-georgian-elections/, (გადამოწმებულია 19/09/2024)

128. Statement by Press Secretary Fitzwater on Diplomatic Relations With the Republic of Georgia, https://bush41library.tamu.edu/archieves/public-papers/4104, (გადამოწმებულია 19/09/2024)

129. Statement by the Press Secretary on the Georgian Elections, https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2012/10/02/statement-press-secretary-georgian-elections, (გადამოწმებულია 19/09/2024)

130. Supreme Revenge, https://constitutioncenter.org/blog/james-wilson-popular-sovereignty-and-the-electoral-college. (გადამოწმებულია 19/09/2024)

131. The University of York Student History Magazin. https://theyorkhistorian.com/2018/03/27/the-development-of-america-identity-a. (გადამოწმებულია 09/09/2024)

132. Trump in hot water over Putin embrace, https://www.politico.com/story/2016/09/trump-putin-embrace-fallout-227940, (გადამოწმებულია 19/09/2024)

133. United States to Pause Assistance to the Government of Georgia, https://www.state.gov/united-states-to-pause-assistance-to-the-government-of-georgia/?fbclid=IwY2xjawEXJpVleHRuA2FlbQIxMAABHS9FMHv4ISzr7rwge5xT_9HB3jyn8hFDIp1gxjdVmmeYmqy9XCn2pVPTOQ_aem_hLtkBVZWNvWZFuEwTWfZyw, (გადამოწმებულია 19/09/2024)

134. World reacts with shock to Gorbachev ouster, https://www.upi.com/Archives/1991/08/19/World-reacts-with-shock-to-Gorbachev-ouster/5234533009911/ (გადამოწმებულია 19/09/2024)